

114
1937



საქართველოს
ხელნაწილები

მნათობი

3

ს ე ს ე რ ბ ე ბ ი

ბ ვ ი ლ ი ს ი — 1937

მნათობი



სრულიად საქართველოს საბჭო. შწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-სამშენებლო
ქურნალი

წელიწადი მეთოთხმეტი

3

240

ს ე ნ ე რ გ ე მ ი

ბ უ ი ლ ი ს რ ე კ ე მ ე ლ ე ს
33 წელიწადის
ქართული
ბიბლიოთეკა

კ/მბ. რედაქტორი — აკ. თათაროვილი

კ/მბ. მდივანი — ლევან ასათიანი



ქართული
ენციკლოპედია

რედაქცია:

ტფილისი, მინაბლის, 13
მწერალთა სასახლე
ტ. 3-55-25

კანტორა:

ტფილისი, კორეის ქ. № 7
სახელგამი
პერიოდსექტორი

მოთვლ. რწმუნ. № 7100 შეტ. 444 ტირაჟი 7000

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, უორესის ქ. № 5.

გზა მშვიდობისა

პოემა 1)

ერთი ქალი, თვალმაცვავალი
 ვნახე სოფლის ახალ გზასთან,
 შენზე უფრო ტანმალალი,
 ჩემზე უფრო ახალგაზრდა.
 ჯერ ისეთი ფეხშიშველი,
 ჯერ ისეთი თვალტანადი
 არ მინახავს ტყეში შველი
 არც ახლა და არც მანამდე!
 რომ აპკრავენ ხორბალს ნიჩაფს
 და ხორბალი ქვევით სცეკივა,
 მისი თმები ასე მიჩანს
 და ამ თმების ქარში შკივა.
 ყველას ტოლობ, ყველას იცნობ,
 მისული ხარ ხალხთან ახლო,
 ერთხელ კიდევ უნდა მიძმო,
 და ის ქალი დამანახო!

— „მაგ შენი გულის ცხელებით
 დადექ შუადღის ავღარში,
 მე ჩაგწერ ჩემის ხელებით
 შენ საქორწინო დავთარში.
 ვიცი ის ქალი ვინ არი
 და სხვა სახელსაც არ ველი,
 კუტი ბაქარის თინანი
 ჩვენი ჯოგების მფარველი.
 წრეულს ავიდა ვენახად

1) დასაწყისი იხ. მნათობი № 12. 1936 წ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზრებზე თმა გადაწყობილი.
 ნეტა იმ დღესვე გენახა
 ყარამან შენი მშობილი,
 როდესაც გაშლილ შარასთან
 შემოგხვდა შეფითრებული,
 და მის გარშემო ჩარახმდა,
 შენი გრძნობების კრებული.
 იმ მდულარების მოდებით
 ჩემთან მოვიდა პირველი,
 მე ვიყავ მისი გოდების
 ნუგეში და დამტირველი!
 ზაზა! ზედიზედ მოდიან
 ვინც გულდამწვარი დარჩება
 და ჩემთვის ძნელი როდია
 მათი ტკივილის გარჩევა.
 მტვირთავენ და მიხარია
 არავის არ ვემდურები,
 რა ექნათ ასეთი არიან
 საწყალი მებაღურები.
 საქმე ეწყობა კეთილი
 და ნათელივით მარტივი,
 ბაქარი წელმოწყვეტილი
 ვნახოთ, ვცეთ ჩვენი პარტივი,
 მას შვილი ესახელება,
 მის ბედს მოელის ოცნებით,
 მისი დამჰქნარი ხელებით
 გჯეროდეს დაილოცები.
 სიმამრი დღეს თუ განახე
 გვინდა საგზაო მარაგი!
 დაუტრიალდეთ კალმახებს,
 დაელიოთ პანტის არაყი...
 მისდევს ქოხებს და საბძელებს
 გზა მოკლე გადასალახი,
 ეზოს შევიდნენ გასთელეს
 გაუთელავი ბალახი;
 ქოხი სდგას ჩვეულებრივი
 რიყის ქვით ნამუშავარი,
 მოკლული ყვავის ფრთებივით
 კერზე აყრია ყავარი.
 ქოხი შავია სრულიად



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩამოზნექია განივი,
და ერთგან შენგრეულია
საყდარის გაღაგანივით.
ავიდნენ, კარი შეაღეს
შეკრთნენ, და შესდგენ ერთხანად,
თითქოს ხელები შეაბეს
რაღაც გადასულ ქვეყანას,
თითქოს ოთახში ბურია
კვამლი სდგას იქ შარშანდელი,
კაცს ქეჩა გაღუხურია
უნთია თაფლის სანთელი.
ზაზა დიდ ტყეში ყოფილა
ნისლებით შემობურვილი...
არ შეკრთა, შეატყობინა
თავის დარდი და სურვილი,
დაიწყო — „ძილ მოდებულო
წარჩინებულო ბაქარო,
ნახევრად წყალში დებულო
აღგეთის ქვაო მაგარო,
მოესულევართ, მოგვიტანია,
დიდ მთების შემოძახილი,
მტერს სჭრიდა თავით-ტანიან
შენი ნაცადი მახელი!
მე ზაზა მჭვიან — მამაჩემს
იცნობდი, გამიგონია...
ესროდით თოფს და დამბაჩებს
მთავარ დათვის, ყვითელ ქონიანს,
მე მას არ დაუვარდები,
თუმცა ჯერ კიდევ ლეკვი ვარ
შემომსვეიან დარდები,
და წუხილს წაულეკივარ.
მე ქალმა შემომისია
დარდები ცალ და ცალობით,
ჩემი ქვეყანა მისია
და მას შესცქერის გალობით.
ეს ქალი შენი შეილია
სიწმინდით დაუძრახავი,
ცა თვალით შემომივლია
არ ვარ ისეთის მნახავი...
დედა მყავს ცამდე მართალი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამა მორივით მეგარი,
 მაქვს წრეევანდელი ნათალი
 ბორბლები და ზესადგარი,
 თოფი მაქვს ჩახმაზიანი,
 ოთხფეხიანზე ნაცადი,
 ხანჯალი მწარე ფხიანხი
 ყაბარდოული ნაბადი,
 თვალი მაქვს ნიშნის ამლები
 ხელები — მუხის მჩებელი,
 არ მაქვს ვენახი, ბალები
 არც მოპირული ბედელი,
 არა მაქვს არც საკუთარი,
 წისქვილი კოდის ღარებით,
 არც ცხრა უღელი გუთანი,
 არც ჩერტეზული ხარები,
 არ მტანჯავს არც უმიწობა,
 არც ოქრო მინდა მაცდური,
 მე მინდა შენი სიძობა, —
 მომეცი შენი დასტური.
 ჩემთვის სიმდიდრე ეს არი,
 სხვა შეედრება რომელი,
 ცაში მეზია მკვესარი,
 სოფელში მე ვარ მშრომელი.
 გული შუაზე იყოფა.
 ეს ზნე არ არის ადვილი,
 ვერავინ გადამილობა
 შემოვარდნილი წადილი,
 მომეცი შეილი, ვაცხოვრებ
 არ აკლდეს არავითარი,
 შენ შენი სული აცხოვრე
 მე კი გამხადე მდიდარი.
 ეს შენგრეული სახლ-კარი
 მიეცი შენზე გლახასა,
 შენი დღის ნაამეგარი
 ხომ ხედავ წლებმა დახავსა.
 წამოდი ჩემთან... ხურებით
 აენტო გულის საკირე...
 ერთგულად გემსახურები
 როგორც რომ მოჯამავირე,
 თუ არჩვის მწვედი მოვინდა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

არჩევ მოგივა ნარჩევი,
თუ მოკედი აქ ამოვიღებ,
არა და ჩემთან დარჩები,
ეზოში თავს შეაფარებ
მოლზე დაფანტულ ჩრდილებსა,
ჩეროდან ჩეროს გატარებ
დაგასევ შეილი-შვილებსა“.

წამოდგა ბერი ბაქარი,
წელს ზევით კიდევ მაგარი,
წელს ქვევით მკვდარი ნახევრად,
სტუმარს მდუმარეთ ვახედა,
წვერზე მარჯვენა დაისვა
და ხმა კანკალით გაისმა:—

„— ეჲო, საიდან მოგინდა
მოსვლა ამ ბედკრულ ლოგინთან,
ამ სამაროდან, ნათქვამით
რალა სიბარულს მოგიტან.“

მოსულხარ შეილის ბადალი
სიტყვა გაქვს კარგი ნათალი,
ნეტა მას, ვისაც უნახავს
მაგ შენი თოფის ნადავლი.

გეტყობა:— გახლავს ზრდილობა,
სიტყვაში გამოცდილობა,
აღბად იცი, რა მწარეა
და ტკბილი მამაშვილობა.

დამემხო ზეცის კამარა,
ვგდიეარ იმ შეილის ამარა,
სული მისია, ტანი კი—
ხომ ხედავ, დამესამარა.

ქურდიც რომ იყო ფარული,
საავოდ შემოპარული,

როგორ წავართვა ხელიდან
იმედი და სიყვარული.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ გემი ნაპირს მიაკვლევს,
ჭარი შეუდგეს იალქნებს,
იღბალს, თავისი იღბალი
ინდოეთიდან მიაგნებს.

გემრავლოს ნამამაცარი,
შრომით ნახული რაც არი,
შე ნუ წამიყვან, — რად უნდა
კერიას ცივი ნაცარი!



გაილო კარი... შეთენდა
თითქოს, აენტო ნაცარიც,
გაოცებული კედელთან
სდგას თინან — სახე დამწვარი.
ხედავს, ვინც ცხადად ახსოვდა,
ხედავს სანატრულ მკლავიანს;
ყარამანს მიუახლოვდა
და ჰკითხა — „რა ამბავია?“
სანამ ყარამანს სააზრო
სიტყვები აუბოგინდა,
უკვე ბაქარმა დაასწრო
მოიხმო შეილი ლოგინთან,
და მწარე თვალცრემლიანმა
ჯერ უთხრა, რაც კი ეტკინა
და შემდეგ რაც კი იამა,
რაც ზაზამ გააგებინა.



წვიმაში რომ ხმელი თივა
ინამება ღერო-ღერად,
ბაქარს წვერზე ცრემლი სცვივა,
ცა ჰკონია თავის კერა,
ხედავს, ისმენს — შეილის ბედი
ავერ სდგას და ავერ სუნთქავს,



ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცქერს შვილს და ღელავს მკერდი
 შვილს პასუხი რომ არ უთქვამს.
 ადგა ქალი — გარედ დღეა
 გარედ ისმის სუნთქვა მიწის...
 თითქოს ველად ორი ხეა
 და ორივე ერთად იწვის,
 ასე სდგანან თინან, ზაზა
 გარედ მიწა სუნთქავს ცხელი, —
 უცბად თითქოს ვადიხაზა
 ცა შვიდღერი ცისარტყელით,
 თითქოს ერთმა ტკბილმა ნანამ
 მთელ ქვეყანას ვადღუარა,
 ზაზა ძგერამ აიტანა
 ვაიგონა — „რატო არა“.
 „რატო არა“. ქალმა ბრძანა
 და გავარდა ქალი ვარეთ —
 ორი სულის ორი ნანა
 ვადასცილდა ჭოხის კარებს.
 ის ნიაემა აიტაცა
 და შეუწყო თავის ენა
 მთას ვასცილდა, ტყეებს ვასცდა
 და მწვერვალზე დაისვენა.
 ბერი ამბობს — მკერდს მიღუნავს
 ჩემი კერის ვაცივება,
 შეახალეთ თოფი ზეცას
 ვაიგონონ არწივებმა,
 ხმა მოედოს მთაში არჩევს
 სულით მაინც — აღარ ეწვალობ.
 ჩვენ წავედეთ — ჭოხი დარჩეს
 თქვენი ბედის სანაცვალოდ.

(გაგრძელება იქნება)





ქართველი
წიგნწერეთა

ალ. ჰაიფილი

ღ ე ღ ო

რ მ მ ა ნ ი

საბრალლო სიყვარული,
კაცა შეიქმს გულმოკლულად.

ჰერბარის ჰემაანი

— აბა, შენ იცი, ბიძი, ბეოლები არ დამიჯიღნო, ისე მოეკყარი, როგორც შენს საკუთარს. მაგ ბეოლების და ორი ძირი ნიგოზის შეტი ალარაფერი დამრჩა იმ ცხენის ზურგაზე, — გადმოსძაბა სართულზე წამოდგმულ ლურჯად შეღებილ ოდის პარმალიდან ტანმორჩილმა, ჩაკურატებულმა კაცმა ეზოში მდგომთ.

— არა, ბატონო, რავე გეკადრება, ბალანა ხომ არა ვარ, ერთი დამისხეპია თუ ორი, — მიუგო უსურვაზით გადაზრდილ თალარში მდგომმა ახალგაზრდამ და თავის გვერდით მყოფ ქალიშვილს თავმომწონედ გადახედა.

— არა, ბიძი, საწყენათ კი არ მითქვამს, მარა — ცოტა შეშინებული ვარ. შარშან სილოვანას მივეცი ბეოლი და იმ დილენჯმა ისე გამოიხრა, კაცს გულზე შემოეყრებოდა. ხელახლად გასაშენებელი გამიხადა. რომ მკოდნოდა ასეთ საქმეს მიზამდა, თითონ მე დავესხებავდი. იარალი კაი გაქ შაინც, ბიძია? — არ ეშვებოდა პარმალზე მდგომი, შიშველ ფეხზე კალოშები წამოიკცვა და ფლატუნით ჩამოჰყვა ტინობის კიბეს.

— ესმა, დილა მშვიდობით! როგორ გიკითხოთ? როგორ კარგათ? — მიმართა მან ხანშიშესულ, შავებში შემოსილ ქალს, რომელსაც თუთის ფოთლების საზიდად მკლავზე სუფთა ზეწარი ჰქონდა გადაფენილი.

— აი ბარიშნა რომლისაა, ესმა ბატონო? რაცხა ვერ ვცნობ.

— აი ჩვენი სეფეს ციციონა, რავე ვერ იცანი, სიპიტო?

— უყურე ახლა, რამხელა გაზრდილა! კაი სახიერია, ზულ დედამისისკენ წასულა. მაგას ჯღერიების მოსდგამს, — სთქვა სიპიტომ და თავისი კეხიანი ცხვირის მარაგი ჩვეულებისამებრ ღრმა შესუნთქვით მალა აისრუტა.

სიპიტოს შექებაზე ქალიშვილმა მორცხვად დახარა თავი. მალალი და ტანწერწეტი იყო, მხრებში ოდნავ განიერი. შავი სატინის კაბა მჭიდროდ ეკვროდა მკვრივ, ოდნავ წახნაგოვან თეძოებს. წაბლისფერი გრუნა თმა ორ კუშტნაწნავედ ჰქონდა ჩაგრებილი. ნაწნავის ზევით ნაზად აშლილი ბუსუსები მის სახეს ნაზ, პეროვან იერს აძლევდა.



— პო მაჩვენე, ბიძია, ეგ წალდი, — ისევე მიუბრუნდა სიპიტოს ახალგაზრდას. ახალგაზრდამ შორიდან გაუწოდა გრძელტარბაზი წალდი, სიპიტომ წალდის პირს ცერის გული გააყოლა.

— კაი რკინა ყოფილა, — კმაყოფილებით სთქვა მან. — განა მამაშენის შვილს გლახა იარალი რათ უნდა ჰქონდეს! წალდის მოჭნევის ყველა კაცი მოახერხებს, მარა ბეოლს ხერხიანად უნდა გასხეპვა, — ისევე წამოუწყო მან მოუთმენლად მდგომ ახალგაზრდას. — ასე უნდა გაუქნო, ბიძია, ირიბულად. — და სიპიტომ წალდის ტარი მოკლე, ადრეულა ვარდისფერი ქართოფილის მავგარ თითებში მავრა ჩაბლუჯა, მარცხენა თვალი მოხუჭა, თითქოს თოფს უმიზნებს რამესო. ქვედა ტუჩიც მოჭნეული წალდის მიმართულებით მოღრცა. — ბოლო არ უნდა დაეცუა გადანათალი დიდი არ უნდა იყოს. კვირტს ზეით უნდა გადაჭრა. — გააბა სიპიტომ.

ვაგი გაბეზრებული უფლებდა ყურს სიპიტოს დაუსრულებელ დარიგებას. ქალებსაც მოთმინება ელეოდათ. მზე მალღამაღლა იწვედა და სიციხეში დასხეპილი თუთის ფოთოლი ადრე დაქცენბოდა. ამ დროს ოდის პარმალზე სიპიტოს ტანგოდორა, ჩათქვირებული მეუღლე ჰუპულა გადმოდგა და ქშენითა და ჭაქანით შეუღდა უცხოდ დალიანდაგებული წითელი და მწვანე აბრეშუმის საბნების მოაჯირზე გადაფენას. სიპიტოს დარიგებას კი ბოლო არ უჩანდა.

— ფერღზე დასხეპე, ბიძი, დიდი ჭრელბეოლა რომაა იგი. სათოვლის ზევით მდგომ, ბოჯალიან ბეოლს კენწერო გადასკერი. გამხმარი აქეს, ჰოდა რამენაირად სიმიინდი არ მოაგეკნო, თორემ დანიელა შემქამს ხორცათ. გზაზედ გაიტანეთ და იქ გასხეპეთ, ტოტები არ დამიჩეხოთ, ლობისთვის მიინდა.

სიპიტო კიდევ განაგრძობდა დარიგებას, უსმა, ქიშვარდი და ციციხო კი უკვე ალაგეზე გადადიოდნენ.

ერთი საათის შემდეგ სამივემ ისევე სიპიტოს ოდის წინ შეისვენეს. ქალებმა ვეებერთელა ფოტები — თუთის ფოთლით სავსე ზეწრები — თაკიდან ჩამოიღეს და თალარში სკამ-ლოგინზე დააწყეს. ვაჟმაც თუთის ფოთლით სავსე გოდორი ზურგიდან მოიხსნა.

ახლა კიბის თავზე სიპიტოს პირშშო ბონდო იდგა. თავზე თმის დასატკეპნი ბადურა ჰქონდა გადაჭერილი. ტანთ დარაიის ხალათი ეცვა, ჩანჩურ ყაიდაზე შეკერილი. განიერ სახელოების ზედა მხარე გამხდარი მხრების თავზე ჰქონდა გადმოგდებული. ქვედა მხარე კი, ილღიის ქვეშ აფრასავით მოფრიალე, ირიბული ხაზით უერთდებოდა ვიწრო წელს, რაც ზედა ტანს ყირაზე დაყუღებულ სამკუთხედის ფორმას აძლევდა. ხალათის წინა მხარე ჩავარდნილ მკერდზე ჰქონდა შემოტმანსილი, უკან კი წელზე ხშირ ნაოჭებად ჰქონდა მიყრილი. წელთ სპილოს ძვლის ბალთებით და აბზინდებით მორთული ვიწრო ქამარი ერტყა. მუხლის თავ-

ზე გადმოსული აზიური ჩექმების ყელეებიც სპილოს ძვლის მართკბიანი ლეკვერთხებით ჰქონდა გაჭერილი.

ვაჟმა ეზოში შესულებს გადახედა და თავისი წყლულები დააჩვენა ქალიშვილს დააშტერა. ციციანომ, რომელსაც ფოტის ტარებისაგან სახე აქარხლებოდა და თმები აშლოდა, შენიშნა ვაჟის მიშტერებული მზერა. აიღეწა და ხელის უნებლიე მოძრაობით თმები წინამოსთან ჩაისწორა. ბონდომ თმის ბადურა მოიხსნა, სწრაფად ჩაირბინა კიბე და თალარისკენ გასწია. ტანში თითქოს მკვრივად არ იყო შეკრული და სიარულის დროს ირწეოდა. ნამიან კოლინდარში მალლა-მალლა ადგამდა ფეხებს, რომ აზიური-ჩექმები არ დასველებოდა.

— ძან ევავე ყოფილა დღეს, — სთქვა ბონდომ და ციციანოს კაბის გაწუწულ ჯობას შეავლო თვალი, აშოლტილ წვივებს რომ ეკვროდა. ციციანომ შავ თუთაში მოსერილ თითებზე დაიხედა და ხელების გულამბარის ქვეშ დამალვა სცადა.

— რატომ ჩამოდი კლასის დათხოვნამდე? — შეეკითხა ქიშვარდი ბონდოს.

— ყველა საგნებში კუდიანები *) მყავდა და სულერთია გამოცდებს შაინც ვერ ჩავაბარებდი. კახაბალს შაინც ჩამოუსწრობ მეთქი, — უდარდელად გადაიხარხარა ბონდომ. ბონდო ისე გულიანად იცინოდა თავის თავზე, რომ თხელი ტუჩების კუთხეები როგორღაც ზევით აიღრიაკა. მშვილდივით მოიხარა და წერილი და მეჩხერი კბილები გამოაჩინა. მრგვალი მსუქანი ნიკაბი შუაში მიწის ვაშლას კვირტივით ჰქონდა ჩაჩუტკნული, რაც სახის უდარდელ გამომეტყველებას კიდევ უფრო აძლიერებდა.

ციციანოს მოეწონა ბონდოს მიერ საკუთარი თავის ყბადაღება: აღტაცებით შესცქეროდა სახეში. შემდეგ ქიშვარდის გადახედა, თითქოს ერთმანეთს აღარებსო. რატომღაც მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ქიშვარდი ფეხშიშველა „მოზლაგუნობდა“. ვაჟს ყარაბანდული შარვლის ტოტები მუხლებამდე ჰქონდა დაკარწახებული. გახუნებული ხალათი მხრის თავზე გადახეთქოდა და მზისგან დამწვარი კანი გამოეჩინა. ქიშვარდომ შენიშნა ქალის მეწუწნია შემოხედვა და მხარზე ჩამოგლეჯილი ხალათი გაისწორა, შარვლის დაკარწახებული ტოტები ჩაუშვა. თავის თავს ციციანოს თვალით დაუწყყო მზერა. გულში არცხვენდა და ტუქსავდა თავის თავს.

„რად არ ჩაიცვა დღეს ახალი აბრეშუმის ხალათი, რატომ წამოვიდა ფეხშიშველა?“

გულში კი თითქოს ეილაც სხვა ეჭომაგებოდა ქიშვარდს:

*) ორიანები.

„აბა, როგორ ჩაეცვა ახალი ტანსაცმელი ბეჭელებზე საბოლოოდ. სომ სულ შამოებდღენებოდა?“ ამ ფიჭვებისაგან საბე ურთავად გუქვარხლდა.

ქალი რიგშეცვლით ათვალეირებდა ქიშვარდის და ბეჭელებზე ქიშვარდი ბეჭეებში განიერი, ძვალშხვილი და ძარღვიანი იყო. წინწამოყრილი თმა, წამახული ცხვირი და ოდნავ გაკუთხული ნიკაპი მოგრძო სახეს ენერგიულ გამომეტყველებას აძლევდა. ქვევაში კი ერთობ მორცხვი იყო. ეს მოკრძალება ბავშვობიდან დასჩემდა. როცა ესმა მეზობლისას ვაგზავნიდა ერთი კოთხო ფქვილის ან ორი ცალი ასანთის სათხოვნელად, ის ყოველთვის თავდახრილი გადასცემდა მეზობელს დედის მიერ დაბარებულს. ერთხელ სეფფსას ვაგზავნეს საცერმენდინის სათხოვნელად და ეს შემთხვევა წლების განმავლობაში დარჩა საღალობოდ მათ ოჯახში. ქიშვარდომ ჩვეულებისამებრ თავაუღებლად გადასცა ელპიტოს დედის დაბარებული:

— ნენამ შემოგითვალა, ჩემო ელპიტოვო, შენი ჭირიმეო, თუ არ გეწყინებო, თლათ მე დაგიღლიტეო, მარაო შენი მერდინი მათხოვეო, — პირი კი გვერდზე მიებრუნებია, სახლის ყურისკენ, სადაც სეფფს მურარკალივით მოხრილი, საკუთარ ლაჯებს შორის რწყილებზე ნადირობდა და ნანადირევს კბილებით კვნეტდა.

— შენ გელაპარაკება, მურია, გამოუტანე მერდინი, — ხუმრობით მიუბრუნდა ელპიტო მურიას და სახლში შევიდა მერდინის გამოსატანად.

ახლა ციცინოს გამჭირდავმა მზერამ ის სულ დააბნია. კუშტად გამოიყურებოდა.

ბონდომ სოფლის ახალ ამბებზე დაიწყო ლაპარაკი. ალევრას გამართვას ხომ არ აპირებთო. ქიშვარდი უხალისოდ უბასუხებდა. გრძნობდა, რომ ბონდომ მთლიანად დაიპყრო ციცინოს ყურადღება. შურმა თითქოს გააჩინდა.

„როგორ გამოუთხავდა თვალეები!“ — გაიფიჭრა მან ციცინოზე, რომელიც ბონდოს თვალს ვერ აშორებდა. ბრაზი მოერია, ლაპარაკის გაბმავერ მოახერხა.

ესმა მორიდებულად ეკითხებოდა პუპულას ბონდოს ნაადრევად ჩამოსვლის მიზეზს და ისიც ვაწიწმეტებით იწყებდა ბონდოს ჩამოსვლის საბოდიშო ახსნა-განმარტებას, რასაც მთელი კვირა უყვებოდა მეზობლებს.

— ჩუუჯინდა. ბატონო, ართმეტეკის მასტავლებელი. ეიკვიწინია, არ გაახარა არ გაახარებს იმას მამაზეციერი! დამიკლექა ბაღანა.

ბონდო ბათომში სწავლობდა. მეექვსე კლასში იყო და თავის ამხანაგებს, თუ სწავლით ვერა, პასაკით მაინც სჯობნიდა. შვიდწლელი სამღვთოშიც იყო, მაგრამ პუპულას სოფლური არაფერი არ მოსწონდა და

ბონდო ბათომში გაგზავნეს სასწავლებლად, საიდანაც ის ახლა ასე ნადრეოდ დაბრუნდა და ელპიტოს საბოდიშო გაუჩინა.

— არიქა გვეჩქაროთ, თვარა ბობოლი *) დაგვიწყდება ხანძრით! — სტევა ესმამ და ფოტა თავზე დაიდო, ციციოც გაეწივნენ — კოლინდარში დაგდებულ კეწეწას წამოპკრა ფეხი და წაიფორბილა. ფოტა ძირს დაუვარდა.

— ჩემი სიკვდილი! რავე დავთხუბნე ზეწარი! — სტევა მან, სწრაფად ძირს დაიხარა და ფოტა აიღო. ახლა მკლავზე გადაგდებული ხილაბანდი ჩამოუვარდა. ქიშვარდი უხერხულად იღვია. ბონდო კი სწრაფად მიიქრა და ხილაბანდს დასწვდა. ქიშვარდი კვლავ გაწითლდა.

„რა მოუხერხებელი ვარ“, — გაიფიქრა მან თავის თავზე და გაბოროტებულმა ცერის ფრჩხილით ფეხის ტერფზე იჩხვლიტა.

პუპულამ, როგორც იყო, გული იჯერა არითმეტიკის მასწავლებლის წყველით. ესმას შინ დამშუფული აბრეშუმის ქია ეგულებოდა. ქიშვარდიც სცდილობდა გასცლოდა იქაურობას, მხოლოდ ციციოს რჩებოდა ფეხები უკან.

როცა ესმას და ციციოს ფოტები ორლობეს მიეფარა, სიპიტომ პუპულას დაუწყო ჩხუბი.

ბონდო ჯერ კიდევ აფლაგებელ ლოგინზე წამოწოლილიყო. ევავეში დასველებული აზიური ჩექმები საწოლის გამირებზე გაეწყო და ქარვის მუშტუკით, ქალაქურ გლარჯას აბოლებდა, თამბაქოს ბოლის რგოლებს თვალს აყოლებდა. პუპულამ მეორედ შემოუტანა ბონდოს საუხზე — წაბლის ფოთოლში გამომცხვარი კვერი და ჩვილი ყველი.

— რა ამბავია, ქალო! ბობოლი ხომ არაა, ყოველ წუთში რომ აპურებ! შენ ვააფუქე მთლად მაი ბიჭი. ჯერ იყო და ატყდი, აქოური სასწავლებელი არ ვარგაო! ახლა მაგის საკადრისი მასწავლებლები არ იყო ვითომ ჩვენში? ხომ ხედავ, რომ არ შობა ხეირს. ახლა არც სამუშაოზე გინდა გაუშვა. სულ კი ნუ წამოიჯენ თავზე... ოჯო, ადე ახლა ზედ და წადი ნარუჯალში ჩვენი ბრიგადის ხალხი საკაფაეში მუშაობს, — მიუბრუნდა ახლა ბონდოს, — სხვაფერ შეხედავენ, თვარა ნამეტანი აღრენილი გვეყავს მეზობლები — პასიური ხართო. ეინცხამ მგონი დამასმინა: სიპიტო და ელიზბარა კიდო არაყს ზიდავენ ფოთშიო. არ გინდოდა შენი თავიზა სიკეთე და რა გიყო! ახლა დეიკავე ხელში ოროყიანი თოხი და ურტყი, რომ გესტავლა რამე, სამსახურში ჩადგებოდი, კაცი გამოხედიოდი, — არა ცხრებოდა სიპიტო.

— დეტხუე ერთი, შე სულწაწყმენდილო! ვერ ხედავ, რაფერ გატეტკილია **) ბალანა! დაზაფრულია, დაგვიტლექთება, იმ არითმეტიკის

*) აბრეშუმის ქიას ბობოლს ეძახიან გურიაში.

**) ფერმკრთალი.

მასტავლებელს მოუგრებს კისერს წმინდა გიორგი! ასე, მოსტოპს, მოს-
პობს, მუასინსილებს ხელისგულივითა! — სიტქვა პუპულამ და ფუბთუშა
ხელისგულები ერთმანეთზე გაწიწმატებით მოუსვა.

ერკინული
გინგლირთუქა

სიპიტო, იზივა სილიზისტრო

თუთის ფოთოლზე წამოსულნი კი შინისკენ მიეშურებოდნენ. ესმა
ისე გამალებით მიდიოდა, რომ ახალგაზრდები შორს მოიტოვა. ქიშვარ-
დი როგორღაც დაზაფრული, ღონღილით მიდიოდა. თავს ძალას ატან-
და, დიდხანს ფიქრობდა, თუ როგორ გაება გაწყვეტილი საუბრის ძა-
ფი. ერთხანს სცადა აბრეშუმზე ჩამოეგდო ლაპარაკი, მაგრამ ციციწო
დაფანტული იყო და ქიშვარდის არ აპყვა ლაპარაკში. სჩანდა, რომ მისი
ფიქრები სხვაგან ქროდა... ალბათ ბონდოსთან, ფიქრობდა ქიშვარდი.
მერე როგორ მონუსხა*) ნეტავი ბონდომ ასე ერთი შეხედვით? რა
თილისმით... იგი თავის თავს ბონდოს ადარებდა, ხოლო თავის ოჯახს —
სიპიტოსას.

სიპიტო ქიშვარდის მამის — ფარნას გარე ბიძაშვილი იყო. ტანად
ქანჭურივით პატარა, მაგრამ ტყის თხილივით კერკეტი, როცა დიდი ჩხუ-
ბისა და წეწვის შემდეგ მათი ოჯახი გაიყარა, სიპიტომ წილზდომილი
ჯარგვალი და წაბლის ხულა გაყიდა და ზედის საქებნელად ფოთში წა-
ვიდა. ერთხანს ნავთსადგურში ზეტყის სატვირთავზე მუშაობდა „ტაბელ-
ჩიკად“, იქ შეუჯდა რალაც ბზიკი და კაპიტალისტად გახდომა მოინდო-
მა. ენაზე სულ „სერმია“, „დევერია“, „თაენი“ და „სარგებელი“ ეკერა.
ბავშობიდანვე ქიანჭველასავით მოუსვენარი იყო და ოთხი თავისტოლა
ტვირთის აკიდება უყვარდა. დიდ რაყაში საკასრე მერქნის დამზადება
განიზრახა. საკასრე მერქანზე იმ დროს დიდი მოთხოვნილება იყო. ფოთ-
ში კანტორა გახსნა, რომელსაც ამაყი აბრა ამშვენებდა: „ზე-ტყის საწყო-
ბი ძმები ქილიფთარები“, თუმცა ამ წარმოებაში სიპიტოს არც ძმა ერია
და არც და, პატრონიც თვითონ იყო. ინყენერიც და მუშაც.

— სერმია — ორმოცი თუმანი, — თითო თუმნობით ჩამოისესხა ნავთ-
სადგურში მტვირთავად მომუშავე სამღვთოელებისაგან. — ამ სერმიას
ერთ წელიწადში რახივით გადავაბრუნებ და თავნზე თავს დაგიდებთო, —
აიმედებდა სიპიტო მევალეებს.

დიდ რაყაში ცამდე აწვდილი წიფლები იზრდებოდა. სამღვთოელები
ყავარს აქ ამზადებდნენ და საშენი მასალაც აქედან გამოჰქონდათ ზურ-
ვით. აქ განიზრახა სიპიტომ საკასრე მერქანის დამზადება და მდინარე
ნადინებზე დაცურება. წიფელი ციკაბო ფერდობზე იზრდებოდა და მდი-
ნარეზე ჩასავალი გზა არ იყო. სიპიტომ ვეებერთელა ხის ლარი გააკეთა,

*) მოაჯაღოვა.

რომელიც მთის კორტოხიდან მდინარემდე ეშვებოდა. სამი თვე სრულდებოდა სიპიტო მარტოხელა. წყავის ტოტებისაგან მოლომბილ კაჯავში ცხოვრობდა.

ერქვესული

— საკასრე მასალას ნულარ ჩივი, შენ თითონ აბიდაცქროსმანდათეებმა მაგ კორტოხიდან ბოქკასავეით, — გაეზუმრებოდნენ ხოლმე სიპიტოს ყავრის ჩასატანად ამოსული ჩაღვადრები.

ერქვეტი სიპიტო არა ტყდებოდა თავს არ ზოგავდა. როგორც იყო, გამართა ღარი, მაგრამ მისი ინენერული უნარი არ გასწვდა ამ წამოწყებას. ერთი რამ ვერ გაითვალისწინა: მდინარე ნადინებში დიდრაცას ქვევით უზარმაზარი, ლოდებით გარშემორტყმული ჩქერალი იყო, სიპიტომ შემოდგომაზე და ზამთარში დამზადებული საკასრე მერქანი გაზაფხულზე დააცურა. დაცურებული ხეტყე ზოგი საქუბში ლოდებს შორის გაიხერგა და ზოგიც წისქვილებთან დაიჭირეს. ბარში ერთი ნაფოტიც არ ჩასულა. ისე გამოვიდა, რომ სიპიტომ ვალად აღებული „სერშია“ დააცურა. მეველებისაგან თავის დასალწევად სიპიტომ თავისი კანტორის ამაყი აბრა „ხეტყის საწყობი ძმები ჭილიფთარები“ სამგლოვიარო აბრით შესცვალა: „Братна Килиптари абракутился“.

შემდეგ ისე გაჭრა იქიდან, იტყოდი — მიწამ პირი უყო. ჩრდილოეთ კავკასიაში რკინის გზის ბუფეტში ამოპყო თავი. ვაკორტებულმა სიპიტომ ლაქიაობა არ იუკადრისა. დიდ-ჯამაგირიანი ხელობა არ იყო. მაგრამ მეზობლები ამბობდნენ: დიდი გამოსარჩენი აქვსო, დიდად მოხერხებული კაცია, რწყილს ტყავს გააძრობსო. ამ „მოხერხებამ“ არც აქ უღალატა სიპიტოს. ბუფეტში დიდი ინენერობა არ იყო საქირო და საქმე ისე წაიყვანა, რომ მალე ბუფეტის პატრონის თანამოზიარე გახდა.

ათი წელი რომ გავიდა, შავ მთედის კოსტუმში და გახამებულ პერანგში გამოწყობილი მოევილინა სამღეთოს. სოფელში დასახლებას არ აპირებდა, მაგრამ „მტერის ჯინზე“ მაინც ოჯახის გამართვას შეუდგა. თავის გულამშიერ მეზობლისაგან — აზნაურ შავარდენა ჯღერიასაგან ათი ქცევა ეწერი იყიდა: დიდ რაცას ახლა დაქირავებული მუშით შეესია და ერთ წელიწადში ტინობის სართულს ექვს-ოთახიანი ლურჯად შელებილი ოდა წამოადგა. ფართო ეზო მაღალი ყორით შემოღობა. ყორეს ტრიფოლიატები მიურგო. ეზო კრიპტომერიით და კვიპაროზით, მაგნოლიით და ბრტყელ-ფოთლოვანი ბანანის ხეებით მორგო.

როცა ოდის აგება დაასრულა, ქუთაისში წავიდა. ერთი კვირის შემდეგ თივთიკის ჩოხაში დაბრუნდა. მკერდს ვერცხლით მოსაეადებელი მასრები უშშვენებდა. ვერცხლით დამძიმებული ხმალი და ქამარ-ხანჯალი წელს სწყვეტდა. კარაკულის ბოხობი მთელი სართულით მალდა სწევდა. სასაცილო სანახავი იყო ჯუჯა სიპიტო ამ მორთულობაში. ვრძელი ჩოხის კალთები და ხანჯალი ფეხებში ებლანდებოდა, ხმალი „ბაღლის საზიბივით“ მიწაზე მიეთრეოდა. პარასკეობას სოფლის ბა-



ზარს ჩაუვლიდა და შემდეგ თავისიანებს გამოკვირებულად უნდა ამბობენ ჩემზე სოფელშიო.

შთაბეჭდილებას ამოწმებდა და საცოლუს არჩევდა. მზგისმ მსწრ-მახლო ვერავენ ნახა სათავეისო. აზნაურ ზვიადის ქალს პუპულას დაადგა თვალი. ბუფეტის პატრონს უარს ვინ ეტყოდა? ქორწილი დიდის ამბით გადაიხადა. ქორწილზე სამაზრო ცენტრიდან ბოქაული და „სუდის ხალხი“ კი ამოიყვანა. სამღეთოს „ჩასთრომგორებულ“ ამოუშრობ ტალახით დაფარულ გზაზე, ეტლებმა პირველად ამოიარეს.

მალე ამის შემდეგ სახლის დარაბები მაგრა ჩაკეტა. ისევ რუსეთში გაემზავრა. პუპულაც თან წაიყვანა.

სიპიტოს მუდამ მწვანე ხეებით მორგული ეზო საამურად გამოიყურებოდა გვიმრით დაფარულ, გადახრუჯულ ეწერზე. ყველას თვალი ზედ რჩებოდა.

— ნეტა ვინ უნდა ცხოვრობდეს აქ? ალბათ, ვინმე დიდი აზნაური იქნება, — ჩაილაპარაკეს ერთხელ ტირილზე მიმავალმა უცხო მგზავრებმა.

შეგარდენას ენაბრგენილი და ჭკუათხელი ქალიშვილი ჭამიტო, ფეხშიშველი, ქუსლებ-დასეთქილი, მუდამ შარაზე მდგომი, გაწიწმატებით შეეკამათა გამვლელს, თუმცა მას არავინ ეკითხებოდა:

— აზნაური კი არა, ის არ გინდა! გლენია, დინდარი გლენი.

თითქოს ამით სურდა ჯავრი ეყარა გამდიდრებულ სიპიტოზე, მათ მამულს რომ დაეპატრონა. მაგრამ ენაბლუ ჭამიტოს აუგი სიმდიდრით გალაღებულ სიპიტოს ვერაფერს აკლებდა. როცა მეზობლებმა სიპიტოს ოჯახი ასე გამართული ნახეს, მოაგონდათ, რომ სიპიტოს ნათლობის სახელი სილიბისტრო იყო და ახლა პირში ყველა სილიბისტრო პატრონის და სილიბისტროს ქირიმეს ეძახდა. განსაკუთრებული მორიდებით მიმართავდნენ, როცა ფულის სასესხებლად მივიდოდნენ მასთან. პირსუკან კი ენამწარე სამღეთოელები ისევ წიქორია სიპიტოს უხმობდნენ, მუდამ გაქარხლებული სახისფერისა და წითური წვერულვაშის გამო.

სიპიტო ოჯახს რუსეთში აზამთრებდა, მხოლოდ გაზაფხულზე გამოგზავნიდა „ქალს და ბალანას“ სამღეთოში. თითონაც შემოდგომაზე, ან როგორც გურჯიაში იტყვიან, „კრეფატეხზე“ ჩამოვიდოდა ხოლმე. ამ დროს ხვდებოდა ქიშვარდი ბონდოს.

თუმცა სიპიტო ფარნას მოკეთე იყო, მაგრამ მისი ოჯახის ნათესაურად „მოხარჯვაზე“ და მომსახურებაზე უარს არ ამბობდა. ფარნა და ესმა მისას შინაყმებივით მუშაობდნენ ერთი უღელი ხარისთვის, სიპიტომ რომ იყიდა და ფარნას მიაბარა, თანაც უთხრა: შენც მოიხმარე და მეც მოიხმარეო. ახლა შურით ამორგებულმა ქიშვარდემ ბევრი დამკირეო გაიხსენა, რაც მას ამ სიმდიდრით გალაღებულ ნათესაფრს ოჯახში გადაეიტანა. მოაგონდა და ყურის ბიბილო აეწვა, თითქოს დღეს შეუსრისა ყურები სიპიტომ. არა, ეს რამდენი ხნის წინათ იყო? მაგრამ ქიშვარდის

„ძალის ნაკბენივით“ დაამახსოვრდა ბავშობაში გადატანილი ეს დამცირება.

სიპიტო სამღვთოშია ჩამოსული, ცხენის ზურგზე მათ დიდი კაკლის ხე აქვთ — ადრეულა, საფერისცვალობოდ მოდის და მის დაბლერტას თითქმის არასოდეს არ დააკლდება სიპიტო. პუპულამ ჭიშვარდი სხვა ბიჭებთან ერთად „დაპატივა“ კაკლის ბლერტაზე. ციციოს მამა, კაქაფეხება სეფე უზარმაზარი ნიგეზის ბორჯღზეა აბობლებული, რცხილის წვრილ და დრეკად გრძელ ქოლოკს თავვამეტებით ურტყამს ნიგეზის ტოტებს. ქოლოკის ტყლაშუნს ხის კენწეროდან შურდულეს ქვასავით მოქნეული კაკლები სწული ერთვის. კუნწუხიდან გატყორცნილი კაკალი გულზეიდად მოგრეხილ სიმინდის ფოთლებს ფლეთს და მიწაზე ბაგა-ბუფით ეცემა. ბავშვები მაინც არ ებუებიან კაკლის სეტყვას და ზოგჯერ ხის ძირში შეიჭრებიან კაკლის ასაკრეფად. მაგრამ მწვერვალიდან წამოსული კაკალი ზურგსა და თავში დასცხებს და აყვირებული ბავშვები უკან გამოიბიან „ცეცხლის ხაზიდან“. ჭიშვარდისაც ერთი ისე მაგრა მოხვდა კეფაში, რომ ვეებერთელა კოპი დაადგა. ფარნამ ბლერტა გაათავა, აქა-იქ წვეროებზე შერჩენილ ტყუპ კაკალს თუ ჩამოჰკრავს ქოლოკს, რომ ციყვს და ყვავს საზამთრო მარაგი არ დაუტოვოს. ბავშვები ფერდობს მოედნენ, ბალახსა და სიმინდებში კაკლებს ეძებენ, ჭიშვარდი ლელეში ჩაკვივნულ კაკლებს ატროვებს და თანაც უფროსებისგან სადღაც გაგონილ სიმღერას გულუბრყვილოდ დალიღინებს:

ძირს ჩამოვავდით ნიკოლოზ,

ჩენს ზურგზე გასუქებული,

მას მივიყოლოთ ილექო

საქვე არ გვიქნას ეარესი.

სწორედ ამ დროს სიპიტო ფლოსტებში ფეხ-გაყრილი ფერდობზე ჩამოდის, ჭიშვარდის სიმღერას ყურს რომ მოჰკრავს, შიშისგან გზღვითრდება, აქოშინებული მიიბრუნს მასთან, ყურებს მოუსრესს და დატუქსავს: — ატ, შე გლახავ, შენ ზურგზე ნიკოლოზ მეფე კი არა, ტილი ვერ გასუქდება, დაიკარგე აქედან! არ გაბედო მაგისთანა რამის თქმა ჩემს ოჯახში, თორემ ტყავს გაეპაჩობ!

ჭიშვარდი ნაცემი ძალღივით დაბრუნდა სახლში, ცრემლებს ჩემსუ-მად ყლაპავდა, მაგრამ შინაურებისთვის არაფერი არ უთქვამს.

რაღა დღეს მოაგონდა შურით აბორგებულ ჭიშვარდის ყველაფერი? მაგრამ ამ დამცირებას იგი ისე ვერ მოიგონებს, რომ სიბრაზის ცახცახმა არ აიტანოს.

პუპულას, რომელიც რუსეთში ყოფნის ფაშს გამუდმებით ბუფეტში ჯდომისაგან გოდორს დაემსგავსა, გულის ფრიალი და უძილობა დასჩემდა. ზაფხულის დახუთულ საღამოებში, როცა უძილობა შეაწუხებდა, „მობარებულ“*) გოგოს ესმასთან ვაგზავნიდა, თავისთან იხმობდა. აამ-

*) ხელზე მოსამახურე გოგო.



პობინებდა სოფლის კორებს და ახალ ამბებს: ვინ ვისზე თითქმისობდა, ვის შვილი შეეძინა, ვინ როგორ დასტიროდა თავის მკვდარს. საღმთოში თეატრი არ იყო და კინო, და ტირილი ერთი მთავარეული საკუთრება იყო ვარე ხალხისათვის. ესმა არც ერთ ტირილს არ დააკლდებოდა, უფრო ხშირად იმიტომ, რომ იქ თავისი მკვდრები დაეტყობებოდა. ესმა ისე ოსტატურად აჯავრებდა სხვადასხვა მოტირალს, რომ პუპულას სიცილი-საგან ვულისძგერა აფვარდებოდა ხოლმე. — სიმსუქნეს და გულის ფრი-ალს უჩიოდა და თანაც აუარებელ ხორაგს ანადგურებდა. ესმას ღამე შინ მარტო დაბრუნება ეხარებოდა და ქიშვარდისაც თან წაიყვანდა ხოლმე. ფარნასას სამშადისის სახლში შუაღამის პირას დაბალ სუფრაზე სადილობდნენ. აქ კი, სიპიტოსას, თოვლივით თეთრ საფარ-გადა-ფარებულ, ნაირ-ნაირი ჭურჭლით მორთულ სუფრაზე ქიშვარდის თვალი უჭრელდებოდა. ერთხელ ქიქა წააქცია და სუფრა წითელი ღვინით შე-ღებდა. ამ მარცხის შემდეგ პუპულამ მას კუთხეში იატაკზე მიუჩინა ად-გოლი. მარტო დასვამდა და თუნუქის ფინჯანს დაუდგამდა, მგრძნობიარე და თავმოყვარე ბავშვის გულს საშინლად კოდავდა ეს დამცირება. თავაუღებლად იჯდა კუთხეში, არავის უცქეროდა, მაგრამ კედლის დიდ სარკეში მანაც ხედავდა ბონდოს და მის ძმებს, ყელზე ტილო-მოხვეუ-ლი როგორ ხვრებდნენ ნაღებ-მოვლებულ კაკაოს. თვალზე ცრემლი ად-გებოდა, ლუკმა ყელში არ გადადიოდა. ესმას უჭუმრად კაბის კალთას ეწეოდა, ანიშნებდა — შინ წავიდეთო.

წლები მიდიოდა. ცვალებადმა ბედმა სიპიტოს ისევ „შეუბრუნა კე-ხი“. მისი ბუფეტი სამოქალაქო ომების ჭარკეცხლში მოექცა: ყუმბარებ-მა დაღეწეს, თვითონ ძლივს გამოასწრო ცოცხალმა. მეორედ გაკოტრე-ბული ბედის მამიებელი სამღვთოში დაბრუნდა. მეზობლებისათვის რომ თავისი განადგურება და დაქცევა დაედასტურებია, სიპიტო სალოც თითს პირში გამოივლებდა და მოსაუბრეს ცხვირში ატაკებდა:

— ასე დავრჩი თითივით, — იტყოდა ამოოხვრით.

მეზობლებმა კვლავ გაიხსენეს მისი ძველი სახელი — სიპიტო.

მაგრამ ტყუილად კი არ ამბობდნენ სამღვთოელები სიპიტოზე: კა-ტის ჯიშისაა — ხის წვეროდან რომ ჩამოავდო, ფეხებზე დადგებო.

სიპიტო მალე ისევ გაიმართა წელში. არც ისე ხელცარიელი დაბრუ-ნებულა სამღვთოში, როგორც თავს ისაწყლებდა. ერობის ხალხს, რო-გორც იმ დროს მენშევიკურ ხელისუფლებას ეძახდნენ სოფელში, კარ-გად შეეთვისა. მიწის მალული ყიდვა-გაყიდვა იყო და სიპიტომ კარგად ბლომად შეიძინა ტყე და მამული ქვეყანას არაღაც სპეკულაციის ციებ-ცხელება ქონდა ტანში ჩამდგარი, ყველა „სენთიანი“ კაცი რაღა-ცას ივლიჯებოდა და სიპიტოც „მოხერხებით და უნარით“ სხვას არ ჩა-მოუვარდებოდა. ისიც ჩაება ამ ფერხულში, ორჯელ სტამბოლშიც კი იმგზავრა ნოხებზე თუ თამბაქოზე. იმასაც კი ამბობდნენ სოფელში —

ზოგასთან „ბანდიტისტებმა“ უცხოელების გემი „გააჩერესო“. რომცა სიპიტო იქ არ ყოფილა, მაგრამ დაჟინებით ამბობდნენ. — მასაც ელო ამ საქმეში წილი და ნაალაფარიც ზედაო.

ერკინული

სიპიტოს თავი მაინც ისე ამყავდ აღარ ეჭირა. რეკონსტრუქციის ქარტეხილმა თითქოს ამოაგესო ის თხრილი, რომელსაც სიპიტო ასე გულმოდგინეთ თხრიდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში: თხრილი, რომელიც მას მეზობლებისაგან აშორებდა. ქიშვარდის და ბონდოს ოჯახები ვატოლ-ამხანაგდნენ, მაგრამ ქიშვარდის ცუდად შეხორცებული იარის ნარბიეთ ჩარჩა გულში ეს ბავშობაში განაცადი დამცირება: ყურების დასრესა ლექვისათვის, რომლის აზრი მას იმ დროს არც კი ესმოდა, და კუთხეში მიგდებული იატაკზე ჩაის სმა ამ ქედმაღალი ნათესავის ოჯახში.

„ახლაც საქმე ისე მიდის, რომ ბონდო მალა სუფრას უნდა შემოუჯდეს, მე კი იატაკზე უნდა დავეჯდო“, — ფიქრობდა ქიშვარდი. გრძობდა, რომ ბონდო იჭერდა მის ადგილს ციცინოს გულში.

ქიშვარდი ისე ვაიტაცა ამ ფიქრთა დენამ, რომ ვერც კი შეამჩნია თუ როგორ მიადგნენ ქიშვარს.

ეზოში შევიდნენ. ქიშვარდომ გოდორი სახლის ზღურბლზე ჩამოდგასამ და ციცინომ ფოტები ვახსნეს. აბრეშუმის ქიის კვებას შეუდგნენ. ჭია დიდი კანიდან იყო ამოსული და გაუმადლობის პასაკში ვადასული. ბონდოს ნაადრევ ჩამოსვლას და პუპულას მიერ არითმეტიკის მასწავლებლის დაუსრულებელ წყევლას თითქოს „ბობოლისათვისაც“ ევნოდღეს კვება დაგვიანებოდა. ქიებს შეწარბიანი თავები სწორი კუთხით აეწიათ, ზევით და აქეთ-იქით აბრუნებდნენ. ესმა თუთის ხის ლორთქო ფოთოლს გამალებულად შლიდა ჩელტზე. სახლში ბნელოდა. თითები ქიის ცივ კანს ხედებოდა. ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი ჭია საძოვარზე გაშლილ ცხერის/ფარას ჰგავდა. ციცინო როგორღაც უგულოდ ჰყრიდა ჩელტებზე ფოთოლს. ზოგან მთად შეზვინავდა, ზოგან კი თითო-ოროლა ფოთოლს სდებდა. შეზვინულ ფოთოლს ქვეშ ჭია იხუთებოდა. მაგრამ რა სქლადაც არ უნდა დაეყარა ფოთოლი, ჭია რამდენიმე წუთში ჩანთქავდა შეზვინულ ფოთოლს და ზევით ამოხზდებოდა. საოცარი იყო თუთის ხის ფოთოლს შესული აბრეშუმის ქიის ხმაური. ოთახს ავსებდა საამურო შრიალი, იტყოდით, ხის ფოთლებს ეუეუნა წვიმა დასდისო. ეს ხმაური აბრეშუმის კაბის შარი-შურსაც ჰგავდა. საოცარი იყო ამ სასიკვდილოდ გამზადებულ არსებათა გაუმადლობა. რამდენიმე წუთში ჩელტი ნაომარს დაემსგავსებოდა. ჭია გამობრულ ღეროზე მოექცეოდა და კვლავ თავის კანტურს შეუდგებოდა. მაგრამ ახლა ის უკვე მადლარი იყო და ისე გაწიწმატებით აღარ აწნევდა თავს. შთანთქელ თუთის ხის ფოთოლს აბრეშუმის ჯირყელებში ამუშავებდა.



მწარე მოგონებანი

ერეკლესელი

ქიშვარდი ეზოში ჩელტს წნავდა. სიმინდის ჩაღრმობის მუხლოვანი ღეროები ახლენილი კანით ერთმანეთზე აკრავდა, ჩელტის მუხლოვანი ღეროები კლავიშებივით ირწყოდა. ქიშვარდი თავის ფიცრულს შესტკეპროდა და სიპიტოს ოდას ადარებდა. რა უბადრუკად და ნაღვლიანად გამოიყურებოდა მუხის დაბალ კოტრებზე შემდგარი ეს ფიცრული, მოდგმული სამზადისის სახლით, ფიცრულიც და სამზადისის სახლიც ჩელტებით იყო საფუე. აბრეშუ-მის ქიას ხალხი გარეთ გამოერეკა. მთელი ავეჯი პარმალზე ელაგა. ლოგინზე ზეწარ-გადაფარებული ბალიშები ეწყო. იქვე ელაგა ოთახის სხვა სამკაული, ალემასტრის მტრედები და თავკანტურა კატა. რა განეცადა მას საამური ამ სახლში? მოგონების თვალით ბავშობაში გადაეშვა, რომელსაც ოქროს ჰასაკს ეძახიან წიგნებში. ბევრი სიტყმო არ ახსოვდა ამ ოქროს ჰასაკიდან. მოაგონდა წითლად ბოლოშეღებილი ვარიები, ბეოლის ხისაგან გათლილი ჩონგური და „ყვავილბატონების“ მოსაბოდიშებელი ნაზი ჰანგი. „ლამაზი ბატონებია და ია-ვარდი ჰვენია“.

ამ მოგონებას მოჰყვა პირველი შეცხადება მათ ოჯახში. ეს იყო ომის პირველ წელს ახალ წლის წინა დღეს, რომელსაც გურიაში „ცხემლის ქრას“ ეძახიან.

მთელი დღე სთოვს. ეს-ეს არის გადაიღო. ხეებს ცოცხალი არსებებივით აფრთოლებს და თოვლით დატვირთულ ტოტებს იბლერტავენ რა ხანი გამოხდა მას შემდეგ, მაგრამ გუშინდელ დღესავით ნათლად ახსოვს მას ეს ჩამწარებული კალანდობა, თითქოს ამ დღეს გაიხსნა პირველი ვარი მათი ოჯახის შევბედიითი ისტორიისა.

ქიშვარდი სახლის წინ მდგომ სუროთი დაბურდულ ხურმის ხის კუნწუხზეა ვადამჯდარი და ირეკში გაბმულ შაშვს ყულფიდან ხსნის. ირეკის მკედს შაშვისთვის ფეხები დაუმსხვრევეია და სანამ პატარა მონადირე მას ირეკიდან ანთავისუფლებს, ჩიტს ქარვისფერი ნისკარტი მის ხელში ჩაურჭვია და ვულშემზარავად ჰყივის. ქიშვარდი უკვე ხიდან ჩამოსვლას აპირებს, რომ უცებ თვალს მოჰკრავს მათ ეზოსკენ ამომავალ აღმართზე სოფლის კანცელარიის დარაჯის თომას მოხრილ ფიგურას. თომას ხელში თაფლის ორჯავი ჯოხი უჭირავს.

საოცარი სიხარული იცის თომამ: როცა მარტო მიდის, ხელი ჯოხის შუაწელზე აქვს მოვლებული და წელში ისეა მოხრილი, რომ სახის მაგიერ ბეჭთ-საშვალის და მოტვლეპილი კეფა მოუჩანს, მაგრამ როგორც კი ეისმეს ფეხის ხმას მოჰკრავს ყურს, თითქოს მოხრილობის შერცხვაო, ჯოხს სწრაფად ხელს ააყოლებს და მკედლაწყვეტილი მშვილდივით, წელში გაიმართება. ახლაც სანამ აღმართზე მოდიოდა, თომამ წელში ორად იყო მოხრილი, როცა ეზოს მოადგა წელში ლარტყასავით გაიმართა და უნასი ხმით დაიძახა:

— მაინძელო!

ესმა რალაც ტანშეზარებული ვაეარდა ვარეთ.

იმავე წლის აგვისტოში, როცა ომი გამოცხადდა, თანამეგობრებმა მოიტანა: ესმას უფროსი ვაეი, თადარიგის ჯარისკაცი ილაკრია, რომელსაც ვაეი-წვიეს.

ახლაც თომას რალაც ქალაქი უჭირავს ხელში. ამის შემდეგ ქიშვარდის აღარ ახსოვს, როგორ ჩამოსრილდა სუროს ფოთლებით დაბურდულ ხიდან და როგორ ჩაეფლო წელამდის თოვლში. ირეცში გაბმული, ფეხებდამსხვრეული შაში შორს გადაეარდა. შაში ირეცს მიათრევს, ფიწინმატებით ქაბჭახებს და ირეცის მკედს ნისკარტით ვაკენეტას ლამობს. ქიშვართან კი ესმას კვილი ცას წვდება. ესმა სახეს იხოკს და ქიშვართან მდგომ ბლის ხეზე გამეტებით ახეთქებს თავს. მეზობლები, ყოველი მხრიდან მოეშურებიან ფარანს ეზოსაკენ. სახედაკაწრული ესმა სახლში შეიყვანეს. ახლად დაკლული, გასაფუფქად გამზადებული საახალწლო კერატი, რომელსაც თვალეზი ირონიულად მოეხუჭა ხოლო ენა კბილებმორის დარჩენია, „ასაჩირაქებლად“ *) მეზობლისას წაიღეს.

ორ დღეს ვანუწყვეტლად დადიოდნენ მეზობლები „სამძიმარზე“. ყოველი ახალი მოსამძიმრის ეზოში შემოსვლას თან დევდა შეცხადება, კვილი და ოდნავ მიწყნარებული ხმამაღალი მოთქმა და გოდება.

მესამე დღეს ქილოფ-გადაფარებულ საწოლზე ილაკრის ფოტოგრაფიული სურათი და ჩაქურა ელაგა. მოხუცი მამაკაცები ეზოში შემოსვლისას თავდაზოგვით იტყუბდნენ მელოტ თავს. ქალები თმას იწეწდნენ და სახეს იხოკდნენ — ნათესავეები და მოკეთეები თავგამეტებით, გარეშეები კი — ისე, „წესისათვის“. შემდეგ სურათი და ჩაქურა კარადაში შეალაგეს. მაგრამ გლოვა ამით არ დასრულდა. როცა ესმას გულზე ბოლმა შემოაწვებოდა, სურათს და ჩაქურას კარადიდან გამოიღებდა, საწოლზე დააწყობდა და კარპატებში დაღუპულ შვილს დაიტრებდა. ეს ზარი და მოთქმა აესებდა ქიშვარდის ბავშვობის წლებს.

აი, სოფლის სკოლაში გამოსვლის ზარი დარეკეს. ქიშვარდიმ ჩალამკალამი და წიგნები ლურჯ-ზოლებიან ჩითისაგან შეკერილ ჩანთაში ჩაალაგა. ბავშვები ღრიაბულთ და ყვირილით გამოცვიდნენ სასკოლო ოთახიდან. ქიშვარდი შურდულივით მირბის თავდაღმართზე. ჩალამკალამში კალმისტარი და ფანქარი ჩხაკუნობს, ჩანთა კუკუხოზე სცემს. ვზა სასაფლაოზე გადადის. როგორც კი ვასცდება ეკლესიის გალავანს, გამოჩნდება ისლით დახურული მათი ფიცრული.

სახლის წინ ბოსტანია. ძაძებში მოსილი ესმა კვლებში ზის სამფეხა სკამზე. არემარეს აყრუებს მისი გულსაკლავი მონოტონური მოთქმა: „ილაკრია! ილაკრია!“. ესმა წამახული ჩხირით მდოგვის კვლებს სარე-

*) ასაქნელად.



ველასაგან ხილავს და თითქოს მდოგვის სიმწარე ჩასდგომია თველემში, მისი ხმა ხაფია და მშრალი, ციცრის ძახილს მიუგავს. სოფელსკვეთში მდებარე თელი მთის ფერდობები მის ხმას უკუაქცევენ. მოთქმის მთქმის სურათებს დაეღუროვით უვლის, და სადღაც შორს იკარგება, თითქოს სურსო კარპატების ხნარცვებს მისწვდეს, სადაც დაიღუბა ესმას ილაკრია. ქიშვარდი კენტრუშით მორბის და ვზის პირად მდგომ ჩამოხუნძულ მსხლის ტოტებს ჯოხს შესტყორცნის ან ბეოლის კენწეროზე ათივეივებულ ბელურებს ვოროზს მიახლის.

როცა ესმა თავის მოკენტრუშე ვაეს დაინახავს, მოღრუბლული სახე გაუნათლდება, ცრემლებს სახელოთი მოიწმენდს და დაყვავებით ეტყვის: — მოდი, ნენა შენი ქირიმე, რაცხა უფერულად მეჩვენები. ავად ხომ არა ხარ?

როცა ქიშვარდი თვალს მიეფარებოდა, ესმას კვლავ გული აუღულდებოდა და კვლავ იწყებდა თავის დაუსრულებელ მოთქმას.

ერთმა წელმა განვლო. ესმას ძაძები გაუხუნდა, მაგრამ ბოლმა არ გაუნელდა. სიკვდილმა მეროდ ჩამოიარა მის ოჯახში. ილაკრიას მომდევნო ძმა სიო, რომელზედაც მეზობლები ამბობდნენ, ისეთი ვაჟაკია, ვარსკვლავს ეთამაშებაო, თურქეთის ფრონტზე დაიღუბა.

ესმამ გახუნებული ძაძები ლაფანის ფოთლის წვეწვში და „მიწანელაში“ გაამუქა და ახლა რიგ შეცვლით „სიო ნენას“ და ილაკრიას დასტიროდა გამშრალი ხმით. გლოვა-ტირილი და გამოტირილი არ გამოილია მათ ოჯახში. ეს გლოვა თითქოს არ უტეოდა მათ პტარა ფიცრულში და ეზოსა და კარ-მიდამოსაც უფლებობდა. ქიშვარდის გული დაეჩაგრა, ცდილობდა საითმე გასცლოდა გაბმულ მოთქმას. „დედა ილაკრიავე“ და „სიო ნენავ“ თითქოს ფეხდაფეხ მისდევდა და ეზოდან მიერეკებოდა. ესმას დაუსრულებელ გოდებას ბავშვი კი არა, უდრეკი ფარნაც ვერ უძლებდა.

ქიშვარდი მარტოობას შეეჩვია, გულჩათხრობილი გახდა. ნადირობამ გაიტაცა. ნადირობდა თავის მიერ ნახელოვნები თოფით. ლულა ქოლგის ტარისაგან გააკეთა. ერთი თავი შაშხანის მასრით დაუკო, თითონ დააგო ხის კონდახზე, საკეტი და სასხლეტიც თვითონ მოუსადაგა. ზამთარში შაშხის, ჩხართვის, ჩიჩხინაკის, ფრთაწითელის, — ზაფხულში კი მელეღვიების, მოლალურების, გვრიტებისა და გადამფრენ ქორჯაჯების დევნა ავსებდა მის დღეებს. საათობით შეეძლო ეთვალთვალნა ქარვის ნისკარტიანი შაშხისათვის. როგორც შეყვარებულს პაემანზე, ისე ელოდნა მოლულუნე გვრიტებისათვის. აგვისტოში საიდანღაც ქორჯაჯები მოფრინავდნენ დაულეველ ვუნდებად. როცა წვიმა მოუსწრებდათ, ხის კუნწუხებზე შემოსხდებოდნენ. სოფელში დიდ სვენებას აკეთებდნენ. ქიშვარდი გულის ძგერით მიბობლავდა ნაწვიმარ ბალახში ან სიმინდის ყანაში. მისი თვალი კაკლის ხის კუნწუხზე შემომსხდარ „მოქურუეებული“ ჯაჯის მეტს

ვერაფერს ამჩნევდა. ზოგჯერ სადილიც კი დააფიწყებოდა. დიანსული ბრუნდებოდა საღამოთი შინ. თოფის ლულასა და ზუმბან შორის თავი ეკიდებოდა ქორჯაჯა, რომელიც შემდეგ მხარგრძლივ გაქცეული ქათამებისა და ინდაურების საფრთხობელად დიდ ხანს ფრიალებდა. ასე მიდიოდა მისი ნაღვლიანი ბავშობა.

ციცინო იყო მისი სიყრმეშივე დაკოდელი გულის პირველი აჩქო-
ლება და სიხარული.

მერე, როდის იგრძნო პირველად ტრფივლების ცეცხლის წვა? იქნებ მხოლოდ იმ დღით, როცა მის და ციციანოს შორის ჩამდგარი შეტოკე დაინახა? ან იქნებ მაშინ, როცა სამკითხველოს კედელზე ვეებერთელა, ცარკით მიწერილი ასოები ამოიკითხა: „ქიშვარდი-ციცინო“. ამ ამბავ-
მა მაშინ დიდად ააღელვა. ქიშვარდის ეგონა, რომ მთელი სოფელი მათ ერთმანეთისადმი ლტოლვას გრძნობდა და დიდი და პატარა მხოლოდ ამა-
ზე ლაპარაკობდა. მან ხალათის სახელო დაიგლიჯა, რომ სამკითხველოს კედელზე წაეშალა სიყვარულის ეს მიაშიტი ფორმულა. მაგრამ მის ცნო-
ბიერებაში დაღვივით ამოიწვა მათ სახელებს შორის ვიღაც მოკლილის ხელით დასმული თანასწორობის ნიშანი.

ალბათ, ამიტომ იყო, რომ როცა ამის შემდეგ ციციანო ორი წლით შორეულ სოფელში ნათესავ ქალთან გაგზავნეს ჭრაცერვის შესასწავლად, ქიშვარდი ასე დანაღვლიანდა. მთელი კვირა ჭორდანაცემ ქათამივით და-
დიოდა, მუშაობაზე გული აიყარა, ბოღმისაგან მოჭარბებული სმა დაიწ-
ყო. ფარნას უკვირდა ქიშვარდის გუნების შეცვლა. მიზეზს ეძებდა და როცა უთხრეს, ბიჭი ალბათ შეყვარებულიაო, გაკვირვებით წამოიძახა: „დალახვროს ღმერთმა, ორმოცი წელიწადია მყავს აი ჩემი ქალი და არ შემეყვარებია, კაცს ერთი ნახვით რა შეაყვარებს ქალსო“.

ქიშვარდის სიყვარულს ორმოცი წლის ხანგრძლივობა არა ჰქონდა, მაგრამ მათ არც ერთი ნახვით შეყვარებით ერთმანეთი. ციციანო ქიშ-
ვარდისთვის მახლობელი იყო, თანშეზრდილი, სიყმის მეგობარი. მათი სიყ-
ვარული ვისის და ვიროს სიყვარულს უფრო გაედა, ვიდრე ვისის და რამინისას.

მაგრამ არ იფიქრო, მკითხველო, რომ მათ მიჯნურობის გაკვეთილები კლასიკური რომანების გმირებივით „ვისრამიანში“ ამოეკითხოთ ან „ტრი-
სტან და იზოლდაში“. გინდ აბატ პრევოს „მანონ-ლესკოში“. არც რიჩარ-
დსონის „გრანდისონი“ უფურცლავთ მათ გულაჩუყებულთ და არც „ვერ-
ტერის ვენებების“ და „ვერაგობა და სიყვარულის“ ფურცლები დაუნა-
მავთ ცრემლებით. მათი გული არც „მადამ ბოვარის საცოდაობას დაუწ-
ვავს და არც „ანნა კარენინას“ ტრაგიკულ ხვედრს. იქნებ მათ ბუციეს
ბულგარული რომანი „იზა“, ყაზბეგის რამდენიმე მოთხრობა და „თამა-
რიანი“ წაეკითხოთ ან რუსთაველის „საბრალოა სიყვარული. კაცსა, შეიქმ“.

გულმოკლულად“ გურულ კრიმანტულში ჩართულ სტოპორებში ვა-
რძნით.

მათი მიჯნურობის მწიგნობრული ძირებზე ამაზე ურმალ არ იყო ვაღ-
გმული.

ვისო და ვირო იმად ვახსენე, რომ ციციხო ჭიშვარდისთვის ძალიან
მახლობელი იყო, თანშეზრდილი, სიყმის მეგობარი. მისი კარის მეზობე-
ლი. ყანის მოზიარის ქალიშვილი. საზიარო ყანა კი ნათესაეობაზე უფ-
რო აახლოებდა მათ. ვაზაფხულზე კაფევასა და თესვაზე, ზაფხულში
სიმინდის მარგვლასა და თოხნაზე, შემოდგომაზე სიმინდის ტეხაზე ისინი
ჯერ კიდევ ბალები ხედებოდნენ ერთმანეთს, როცა დედებს ჩაყვე-
ბოდნენ ყანაში სადილის ჩატანისას. ამ დროს ისინი ჯერ კიდევ უღარდუ-
ლი ბავშვები იყვნენ. დაუფიქრებლად ეჭიდავებოდნენ ერთმანეთს. ახ-
ტებოდნენ სიმინდის ღეროების კოცონს. ვაზაფხულის მოხვლა მით ახა-
რებდათ, რომ თხემლას ნორჩ ყლორტს ჩამოახლეჩნენ. გულს გააცლიდნენ,
სალამურს აკეთებდნენ, და მთელი დღე აპუტუნებდნენ უფროსების გულ-
გასაწყალებლად. ან დობილოში ახლად დაფრენილ შაჭვის ბარტყებს
დასდევდნენ, რომელთაც ნისკარტი თხმელის დუყივით ნაზი და რბილი
ჭქონდათ. ან ერთმანეთს გვიმრის კაულებით ეჯიბრებოდნენ. მთელი საა-
თონით შეეძლოთ ეძებნათ ღეროგახევებული გვიმრა, რომელიც მეტოქის
გვიმრას ტოტს ჩამოახლეჩდა.

ჭიშვარდი და ციციხო წამოიჩიტნენ. მათი საზიარო ყანა გამოიფიტა
შოსავალი კლებულობდა და გამარტებაზე მათ სასიმინდეებში თავის
სუნთ უფრო საგრძნობი ხდებოდა, ვიდრე სიმინდის ტაროებისა.

ფარნამ და სეფემ გადასწყვიტეს მისი მიშეება დასასვენებლად.

ჯარღალა

სხვა ვხა არ იყო, სდმე სოფლის გარეთ უნდა ეძებნათ საყანე მიწა.
სამლოელებს მიწის ნაკლებლობა სულს ჭხუთავდა. ზოგი მთაში
გარბოდა საყანე მიწის საძებნელად, ზოგი ზღვის პირისაკენ. ზღვის ნაძი-
რას მდებარე საყანეებს „საღარიბო“ ერქვა. ისლით და ქაობით დაფარუ-
ლი საღარიბო კოლოს სამფლობელო იყო. სიმინდის სამარგლად თუ საი-
თოხნელად ჩასულ მეყანეებს კოლოების გუნდები გაწიწმარტებული ბზუ-
ილით შეხვდებოდნენ ხოლმე. მუდამ გულგაუტრებავი და მზაარული გუ-
რულები ამბობდნენ: კოლოები ჩვენს ჩამოსვლას შეიცხადებენ — კივიან
უი, უი, ვინ ჩამოსულაო. მეყანეები თავზე ყაბალახს შემოიხვევდნენ,
ზურგზე ტომრებს მოიხურავდნენ, მაგრამ კოლოებმაც გან შეველა არ იყო.
მათი შუბივით წამახველი ხორათუმები ჯავშანსაც კი ვაჯუჭანდა, ალბათ,
საღარიბოში გვალვიან წელიწადში კარგი მოსავალი იყო და ქყიფო-

რინ წელიწადში კი სულ ხელცარიელს დასტოვებდა კაცს, სთხოვსაც ვერ ამოიგებდნენ.

სამღვთოს მთაშიც ჰქონდა საყანეები, მთის ფერღობებზე მკაფადდნენ და სიბინდს თესდნენ. მთაში ციება არ იყო, მაგრამ ზღაპრულად მოსახლეობს რამდენიმე წელიწადში წვიმა-ნიაღვარი ისე ჩამორეცხდა, რომ მოსავალი, პირველ წელშივე უმნიშვნელო, შემდეგ საცებით წყდებოდა. აღმართი და დაღმართიო, არც ერთია წალმართიო, ისე იყო „სალარობის“ და მთის ყანის საქმე. მაგრამ ფარნამ მთის ყანა არჩია. მას მართა სამეურნეო ანგარიში არ ამოძრავებდა. ის ადამიანის მოდგმაზე გულამღვრეული იყო. გულამღვრეული იყო „ერობის ხალხზე“, ის რომ გააბრიყვეს, შეაცდინეს და ოსეთში წაიყვანეს მემამბოხე გლეხების დასარბევად, მათი სახლების გადასაბუგავად. მას, ცხრაას ხუთში წითელ რაზმელს, ახლა „პლასტუნობა“ დააკისრეს. ფარნამ მაშინ შაშხანა ხეზე შეაღწეა და, როკის უღელტეხილიდან გამოქცეული, სამღვთოში ფეხით ჩამოვიდა. მაგრამ მისი გულისწყრომა იმდენად დიდი იყო, რომ მან საერთოდ ადამიანზე აიკრუა გული. ნადირზე უარესია ადამიანიო, იტყოდა ხოლმე ამის შემდეგ ფარნა და თავის გულისწყრომას მით გამოხატავდა, რომ ცდილობდა რაც შეიძლება შორს გასცლოდა ადამიანის სამყოფელს. მას შემდეგ „ერობის“ დამხობამდე ერთხელაც არ ასულა სოფლის ვანცელაჩიაზე.

საყანე ადგილები სოფლის ბოლოს იწყებოდა, მაგრამ ფარნა სულ ზევით და ზევით მიიწევდა. სეფეს აგულიანებდა, მალა მთაში კარგი მიწა იქნებოდა. ჯარღალაში ავიდნენ. ჯარღალა დიდ რაყას ძირში იყო, იქ, სადაც ერთ დროს სიპიტომ საკასრე მერქნის დამზადება სკდა. აქედან მთელი დასავლეთი გურია ხელის გულივით იყო გადაშლილი. მოჩანდა სუფსისა და ნატანების ხეობა, ხოლო ცის კამადონზე — ვერცხლისფრად მოციმციმე ზღვის ზოლი.

ჯარღალაში ასვლაც კი ჯოჯოხეთი იყო, არა თუ მუშაობა. ალფესია ამბობდა — აგერ არის ჯარღალა ყურის ძირში, ეს ყურის ძირი კი ათი კილომეტრით იყო დაშორებული მათ სახლს. გზა სულ დაკიდული აღმართით მიდიოდა. სოფლის ბოლოს წიფლნარი იწყებოდა, წიფლნარს გებული სცვლიდა. გებულს ანუ ბეშენარს გურიაში გაკრულ ბუჩქნარს ეძახიან, რომელშიაც ერთმანეთში გადაზრდილია წყავი, მოცივი, ბაჭვი, ეკალი და ბარდი. ბეშენარი ისეა შეკრული, რომ შიგ გარეული ტახიც ვერ გაატანს. ზამთარში, როცა გებულს თოვლი დაჰფარავს და გაჰყინავს, არჩეზე მონადირეები ამ ბუჩქნარის თავზე ისე დადიან; როგორც დათოვლილ სახურავზე. მაგრამ ვაი თქვენი ბრალი, თუ ამ გებულში ფეხი ჩავიცდათ, ცის ნათელს ვეღარ იხილავთ, ბეშენარში ჩაიკარგებით.

მთელი ორი კვირა მიიკაფადდნენ გზას ფარნა და სეფე გებულში. გაჰყავდათ ვიწრო ჭრილი. როგორც იყო მიადწიეს ჯარღალას. ყანა სა-

კალმაზე ღელის პირას იწყებოდა და ვიწრო ზოლად მთის კალთებამდე ასდევდა. მთელი თვეები კაფადნენ საყანე ფერდობს. დიდრონ ხეებს ზოგს სჭრიდნენ, ზოგს ცეცხლს უკიდებდნენ. შტურმის ხმა ბაძვის ამოძირკვით მკლავები დასძვრათ. საყანე ისეთი ციციანო აღმართი იყო, რომ კაცს ფეხი დაუტურდებოდა. ღელის პირამდი ჩაგორდებოდა. ზოგან წელზე თოკი უნდა მოებათ და ისე უნდა ეთოხნათ, ნიადაგი ქვიანი იყო. დაკიდულ ფერდზე თოხის პირს მოყოლილი ქვა კანჭებს ამტვრევდათ. ეს იყო მარტოხელა კაცის ბუნებასთან ხელდახელ შებმა.

აქ ადამიანს, ალბათ, არასდროს არ დაედგა ფეხი, მაგრამ ალფესის ანცივიფრებდა, რომ ზოგჯერ შვერის ამოძირკვის დროს წერაქვი „კენაწილას“ ამოაგდებდა. და როდის დაეკრა აქ კაცს გახურებულ შანთზე კვერი?, ალბად წარღვნის წინ, ფიქრობდა ფარნა. ერთ ყანობაზე ახო მოიდრიკა. შვერის და ბაძვის ძირები ნიადაგში ჩაღმა. ყანის შუაგულში პატარა შევაკებაზე წნული სასიმიდე ჩადგეს.

ფარნა იმიტომ ცდილობდა ასე მალა ასვლას, რომ მომიჯნე არავინ ჰყოლოდათ, მაგრამ აქაც გაუჩნდათ მოთალრე. თუ „სალარიბო“ კოლოს და ციების სადგური იყო, მთის ყანები — დათვის სამფლობელო იყო, და დათვი უღალოდ და უბეგროდ თავის ადგილ-მამულს არავის უთმობდა, ყველაფერში მოითხოვდა წილს. როგორც კი „სიმიინდი „გულს“ ჩაიდგამდა, სასტიკი მოურავივით დაიწყებდა ყანების ჩამოვლას. ხან აქ მოილაფებდა ხან იქ, ზოგს ჩანთქაედა და ჩახეთქაედა, ზოლო რაც მის უძირო ფაშვში არ ჩაეტეოდა. ისე დალეწდა და გააოხრებდა, რომ ჩალადაც არ გამოდგებოდა.

ასეთი იყო მთის მოყანეების ბედი, მაგრამ დათვი განსაკუთრებით იმ წელიწადს მძვინვარებდა, ციციანო და ქიშვარდი პირველად რომ წაიყვანეს სიმიინდის ტეხაზე:

დათვმა ახო-მახოლო ყანები სულ გაანადგურა. ასეთს წელს მეყანეები „გაცემულ“ წელიწადს ეძახიან. ამბობენ — დათვი ყანას მაშინ ეძალემა, როცა ტყეში წყავის, წიწიბოს და ჩიხატელის ნაკლებობააო. ამ წელს თითქოს ხიჩატელი ბლომად იყო. წყავის და წიფლის ტოტები ნაყოფის სიმძიმის ქვეშ იხრებოდნენ, მაგრამ დათვი მაინც არ ეშვებოდა ჯარღალას. ისე შეეჩვია იქაურობას, რომ კაცი იფიქრებდა — მარტო ღორმუცლობით არ მოსდის ეს ხშირი სტუმრობაო. დათვი თითქოს ერთობოდა ადამიანებთან, მის სამფლობელოში ასე მალა რომ ამოსულიყვნენ. ისე შეეჩვია მათ, რომ, ალბათ, მოსწყინდებოდა კიდევ, სეფეს და ფარნახ ყანისთვის რომ თავი მიენებებიათ.

რით არ სცადეს დათვეს დაფრთხობა: ძველმანებისგან კაცის ფიტული გააკეთეს და შუა ყანაში ჭოლოკზე ჩამოჰკიდეს. დათვი ერთხანს შორიდან უვლიდა ფიტულს გარშემო, მერე, როცა საფრთხობელა უძრავად

მდგომი ნახა, ვათამამდა, ყანის კიდეში დაუშენებოდა, ჩხირს გასტეხდა — უთვალთვალებდა, თუ გაინძრევიაო. კვინიხზე თანს შემოიდებდა, მზეს მოიჩრდილებდა, თვალებს მოწყურავდა და ისე ათვალთვალებდა. ბოლოს ახლოს მივიდა, უკანა ფეხებზე შემართო უნდა დაეჭყაწინათათები შემოახვია და მიწაზე დაანარცხა, კალთები და სახელოები შემოაფხრიწა.

სხვა რამ უნდა ელონათ. ფარნამ საკალმახე ღელიდან გამოყვანილ რუხე სარეკელა მოაწყო, სარეკელა დღე და ღამ რეკდა და შისი ხმა მთელ ხეობას აყრუებდა. მაგრამ დათვის თითქოს ართობდა ადამიანის გამომგონებლობა. სარეკელამ ერთხანს დააფრთხო, შემდეგ შეეჩვია. შორიასლოს ფეხს მოიჩრთხამდა, სარეკელას მონოტონური კაკუნს ყურს უგდებდა და რალაცას გულმთსული ლულულულებდა. ერთ დღეს გაბედა და სარეკელასთან მივიდა. როცა პაწაწკინებდა ქახრაკი ნახა, იქაურობას რომ აყრუებდა, თათ დაელო და წიფლის ქუნძს შეაღწეა. ნამსხვრევებს კბილებით ღრღნიდა, ბრაზისაგან გულზე სკდებოდა. ადამიანის ამ ნაკოდვილარს ამდენი ხნის განმავლობაში რაგორ ეუფრთხოდიო. ალბათ, ასე ამსხვრევდნენ პირველყოფილი ადამიანები თავიანთ კერპებს, როცა მათ უძღლურობაში დარწმუნდებოდნენ. მუტი დონე არ იყო, პირადად უნდა დაეცვათ ყანა აგვისტოდან ოქტომბრამდის. ფარნა მთელი კვირაოზრით რჩებოდა ჯარღალაში. საგზლისთვის თუ ჩამოვიდოდა სახლში. სასმინდში იჯდა და მთელი დამე დადღის ხმზე ყიფდა, რომ ნადირი დაეფრთხო.

სიმინდის ტეხაზე ქიშვარდი და ციციწო თან წაიყვანეს. მამლის ყვილზე გაემგზავრნენ. დილის ნისლი სოფელს მაჯლაჯუნსავით აწვა. მთელი საათი სოფელზე მიდიოდნენ. სოფელი დაიღია, საურმე ვზაც შეწყდა, საცხენოსნოც. საცალფეხო ბილიც შეუდგნენ. წიფლნარს ვებული სცვლის, გებულს თელნარი. ჯარღალასკენ ვაკაფული ჭრილით ციკაბო აღმართზე მიდიან, ქიშვარდის ბარჯით სავსე გორიცა მიაქვს. ციციწოს კალათს გამოართმევს.

— არა, დაილლები, — უარობს ციციწო.

— გინდა შენც შეგისვა მხარზე? — რიხიანდ უპასუხებს ქიშვარდი და რომ თავისი სივაკეაცე უჩვენოს, მძიმე ბარჯით დატვირთული ციკაბო აღმართზე თავმომწონედ გარბის.

— უცებ საიდლაწკ მათი კვესია და ყურში გამოვარდნენ. სახლში არ დამდგარიყვნენ. ატყობდნენ კი, რომ ეს უფროსებს არ მოეწონებოდათ. ეზო რომ უბატონოდ დააგდეს. ამიტომ დამნაშავეებივით თავდაბრილი მოდიოდნენ. ფარნამ და სეფემ ამოდ სცადეს მათი უკან დაბრუნება. დიდ ხანს მისდევდნენ, გოროხებს და ქეებს ესროდნენ, სტუქსავდნენ, წადი ძაღლო, შე მგლის შესაქმელო, უყვიროდნენ... ყურში და კვესია

თავს დახრიდნენ, უფროსების თვალის მოსატყუებლად კედარძმებულნი ერთხანს შინისკენ წაქუნდულდებოდნენ, მაგრამ სადმე მოსაწყვევში ისევ გამოვარდებოდნენ, ერთმანეთს თავზე ახტებოდნენ, სხაჟღერსულდ წყურებზე ჰკბენდნენ.

გ ი ზ ლ ი მ ი მ ი ს ე ა

ქიშვარდის და ციციონოს გუნებაში უხაროდათ, მათი მეგობრები რომ სახლში არ დარჩნენ, უკან ჩამორჩებოდნენ, უფროსებს თვალს მოარიდებდნენ და ძაღლებს უწრუწუნებდნენ, ანიშნებდნენ, არ ჩამოგვრჩეთო, მოგვეყვითო. შემდეგ სანანულად გაუხდათ მათი წამოსვლა.

ცოდი საქმე უყვეს იმ დღეს მათ კვესიამ და ყურშამ. ყანაში გაბელბულივით დარბოდნენ, წააქციეს კავიანი ხარდანი, რომელზედაც საგზლით სავსე კალათი ეკიდა. ღვინიანი ღოჭი და ლობიოს ქოთანნი ფერდობზე დაგორდა, წიფლის კუნძს შეეღეწა. მკადები დაიფშვნა და მტვერში მოისვარა. კვესიას სულმა წაძლია და ყველს პირი წაატანა. სასტიკად კი დაისჯნენ. ისე გაწყებლეს, რომ მათმა წყმუტუნებმა საკალმაზე ღელის ხეობა გააყრუა. ესეც არ აკმარეს, სასიმიინდის ბოძებზე თოკით მიაბეს. მაგრამ გაოხრებულ საგზალს მათი წკაფწკაფი რას უშველიდა. სასაუზმედ თითქმის არაფერი დარჩათ. სხვა გზა არ იყო, ვინმე სახლში უნდა წასულიყო საგზლის ამოსატანად.

— შევიძლია, ბიჭო, მარტო სახლში ჩასვლა, მხარი ხომ არ გექცევა. — დაყვავებით ჰკითხა ალფესიმ ქიშვარდს. მის ხმაში ისეთი გულთბილობა ისმოდა, როგორც ქიშვარდს მანამდე არასოდეს არ უგრძენია მამის მოპყრობაში.

— ფარნა შეესიტყვა — ცოდვაა ბალანა, არ შეშინდეს ტყეში, არ დაიზაფროსო.

ციციონო კი უჩვეულოდ გაფართოებული თვალებით შესცქეროდა ქიშვარდს. მას ჯარღალას ტყის და გებულის მარტო მოგონებაც ზარავდა.

ქიშვარდის გულსაც ბაგა-ბუგი გაჰქონდა, მაგრამ ციციონოს შემოხედვამ თითქოს შიში გაუქარწყალაო. მის გვერდით თავი დევგმირად წარმოიდგინა და მამას რიხიანად უპასუხა.

არაფერის არ მეშინია ქვეყანაზე, ერთ წუთში ჩავიბრუნ სახლში და ამოვიტან საგზალს, — და შინისკენ გაეტანა.

ქიშვარდი თავქვე თითქოს ფრენით მიდიოდა. ტყე და გებული ხელად ჩაირბინა, ეზობებზე გადარბოდა, ლობეებზე კანჯარივით ხტებოდა. ესმამ კვესიას წყველაში საგზალი დაამზადა, ძაღონ ჩქარობდა, მაგრამ მზე უკვე გადახრილი იყო, როცა ქიშვარდი საგზლით სავსე კალათით ფალ ხელში და საღვინე ღოჭით მეორეში გზას გაუღდა.

აი გასცდა ქიშვარდი სოფელს. დაენანა კიდეც, როცა უკანასკნელი მოსახლის ძაღლის ყეფა მისწყდა, მოადერსებად მოეჩვენა ლობეზე გაანჩხლებული ძაღლების მოხეთქება. აქ, სოფლის განაპირას მოსახლეები მერ-

ხრად არიან, მაგრამ სოფლის გზაზე კაცის ფეხი მაინც არ მიწვდება. ამას იქით კი სოფელი იღვევა და ტყე იწყება.

ერქუნული

დღე იწურება, წინ კი დიდი გზა უდევს. ქიშვარდში მსხვერპლნი წინ მდებარე გზას შეავლენს, ძარღვივით რომ მისდევს დიდ რაყას ფერდს, ხან იმ მანძილს, რომელიც მზემ უნდა განვლოს მოლაბლაზე ზღვის ზედაპირამდე. შირბის ქიშვარდი, მზის დისკოს ეჯობრება სისწრაფეში. იმედი აქვს, რომ ის უფრო ადრე ავა ჯარღალაში. ვიდრე გავარდარებული მზის ბურთი ზღვის ტალღებში ჩაეშვება. მანძილის შესაკვეცად გზის პირას წაქცეულ წიფლის ტანზე შეხტება და გარბის ჯამბაზივით. სირბილში მწიფე ნაყოფით დახუნძულ მოცვის ტოტს ან გზაზე გადმოშვერილ მავლის მტევენებს მისწვდება, სირბილისაგან გამშრალ ყელს ჩაისველებს და ისევ შურდულივით მიეჭანება ზევით.

აი დაიღია კიდევ ცხენის ნატერფალით ჩაქრილი საცხენოსნო ბილიკი. ის იყო, ჯარღალასაკენ უნდა გადაეხვია, რომ გზის მოსახვევიდან გამყვანი ძაბილი მოესმა. ვიღაც შევლას ითხოვდა, ყურთასმენის წამლებად ყიოდა. ხმა მთის ფერდებს ეხეთქებოდა და გამოძახილი სოფლამდე ჩადიოდა. ქიშვარდს დავეიწყდა დედის დანაბარები, არსად შეჩერდეთ. ალბათ ჩალვადარია ვინმე, ცხენი თუ წაეჭკა, გაიფიქრა მან. და იქეთვე გაიქცა, საიდანაც ხმა მოდიოდა, მათი მეზობელი ელიზბარა აღმოჩნდა, დიდ რაყიდან ყვარი მოჰქონდა. წინ სხვა ჩალვადრები მიდიოდნენ, იმათ უყიოდა. ცხენი წაქცეოდა, საპალნე დაესნა, მაგრამ გაძვალტყავებული პირუტყვი ვერას გზით ფეხზე ვერ წამოეყენებია. ეტყობოდა, ბევრი უკოდვილია ცხენის წამოსაყენებლად. ჩურჩხელებივით იყვნენ ორივენი ამოვლებული თხელ ტალახში.

ელიზბარას არაბა, მიუხედავად ამ ამაყი სახელწოდებისა, არაფრით წააგაედა თავის სეხნიებს, არაბეთის უდაბნოს მატარებლებს. ღია მქლე და დაღლეტილი იყო. მინდო დაშავებული ჰქონდა, უდიერი ჩალანდარი იყო ელიზბარა. სანამ ეგრე სიკედილის პირამდე, არ მიიყვანდა ცხენს — არ მოეშვებოდა. ქიშვარდი ხედავდა, რომ ულამდებოდა, მაგრამ რა ეჭნა, მეზობელ კაცს ვაკირვებაში აბა როგორ დაავდებდა, სულ დათვებს რომ დაეჭამათ ტყეში. ქიშვარდემ კალათი და დოჭი ძირს დასდო, საწყალ არაბას, უსასოთ რომ თავს მიწაზე ახეთქებდა, კეტრი შეუყენეს და დიდის ჰამანწყვეტით ფეხზე წამოაყენეს. დაცემისაგან დაზაფრულ პირუტყვს მუხლები ეკვეთებოდა, ცხროიანივით ძიგძიგებდა და ისევ დასაწოლად ემზადებოდა. ცხენი მშრალზე გაიყვანეს, ტალახში გორვისა და სიმშილისაგან სასომიხდილ პირუტყვს მოძრაობის თავი აღარ ჰქონდა. ისე იყო დაოსებული, რომ ყბების განძრევაც უჭირდა. უნიათოდ კორტნიდა ბაძკის ეკლიან გვერს. ჩალანდარი ქიშვარდს დაეღროჯა.

— შენ გაზდას, ერთ წუთს შემეცადე აქ; სანამ ბაღებს მოვიტანდე, ცხენი არსად გაიქცეს. ისე მშიერია ეს საშვლე, რომ ქვეყნუფროდება მუცელში, თუ რამე არ ვაქამე, საპალნეს არ აიკიდებს. *მეცხე იმეცხე*

ქიშვარდის ჩალვადარზე უფრო ფერდებჩავარდნილი პირუტყვი შეეცოდა, წყლიანი თვალებით რომ შეჰყურებდა. ელიზბარამ იმისთვის თხოვა ქიშვარდის — დაიცადეო, რომ საპალნის აკიდებაზე მიშველებოდა. ეს ქიშვარდიმაც გაიგო, მაგრამ ჩალვადროსათვის იმის თქმა ვერ გაბედა, — ეს ჯახრაკი სად უნდა წავიდეს, ფეხზე ძლიეს დგასო. ვერც იმის თქმა მოახერხა — დამალამდებოო, დავიბნევიო. შერცხვა, მშიშარას დამიახებესო. სხვა გზა არ იყო, დარჩა არაბას მცველად. ცხენს მოცივის ტოტები მოუმტერია, ტანზე შემხმარი ტალახი ევეროთი ჩამოსწმინდა, არაბა ცოტათი მოსულეირდა, ტანი შეირეკა, ტყავგადამძვრალ მინდაოთი წიღელის ხეს ეფხანებოდა, ქიშვარდის მადლიერი თვალებით შესცქეროდა.

ამ წუთში ამოვალო. — სთქვა ელიზბარამ, მაგრამ ერთი წუთი ორ ათათად იქცა. როგორც იყო, გამოჩნდა პურის ბაღის კონებით დატვირთული, მაგრამ ქიშვარდიმ მაინც ისე ადვილად ვერ დაიხსნა თავი. საპალნე ცხენის წაქევესას დაშლილიყო და მას ხელახლა გადაწყობა დასჭირდა. სანამ არაბა ხარბად სკამდა პურის ბაღის, ქიშვარდი და ელიზბარა საპალნეს ჰკრავდნენ. როგორც იყო, აპკიდეს ყავარი არაბას. ქიშვარდიმ კალათას და დოქს ხელი დაავლო. ელიზბარამ თბილი მჭადის სუნ-იყნოსა, კალათაში ხელი ჩაუყო, მჭადს დიდი ყუა მოამტერია და ქათმის ბარკალიც ამოიღო ქოთნიდან. თითონაც არაბაზე ნაკლებ არ იყო დამშეული. როგორც იყო დაიძრნენ. არაბა ფრთხილად დგამდა ფეხს გზის კრილში. ქიშვარდი იმ გადასახვევამდე ჩაჰყვა ელიზბარას, სადაც მათი-ყანის გზა იწყებოდა. მხოლოდ ახლა შენიშნა, როგორ დაგვიანებოდა. — თითქმის ზღვის ზედაპირზე დასული მზის დისკო ახლად გაფერილ თითბრის ტამტრებით ლაპლაპებდა და დიდ რაყის ფერდებს ღონე მიღეულ სხივებს ესროდა. სოფელში რომ მკედრის მზეს ეძახიან. ქიშვარდი ელიზბარას დაშორდა და ჯარღალას აღმართს შეუდგა. მაგრამ ზღვიდან მომავალი ნისლი და ბინდი თითქმის ფეხდაფეხ მოსდევდა. გებულზე ჯერ კიდევ სინათლე იყო, მაგრამ წიფლნარში ერთბაშად ჩამობნეულა. ისეთი ლურსკეში დადგა. იტყოდი ციდან კუპრი ჩამოახსესო. წინ სელა შედძლებელი ვახდა. შკერის წამოწვდილი ტოტები წამდაუწუმ სახეში ხტემდნენ. ქიშვარდი ბოხებით მიდიოდა პრემასავით წინგაწვდილი ზელებით, ფეხს კრთომით დგამდა. რომ ხრამში არ გადაჩეხილიყო, მაინც ყოველ წუთს ხეებს აწყებებოდა.

მოაგონდა მეზობლების ნაუბარი: დათვს დღისით ჩრდილში სძინაენს და შებინდებისას გამოვა საბაღაზოდო. გულში შიში შეეპარა, თავის ვაჩამხნევებლად სტვენაც სცადა, მაგრამ ხმა როგორღაც ყელიდან არ ამოუდიოდა. წინ აღარ წაისვლებოდა და გადასყვიტა იქ ვაეთია ღამე

•ვალთ ვერაფერს ხედავდა, მაგრამ აღმართ-დაღმართის ცეცხლი ამჩნევდა, რომ იმ ადგილას იყო მიღწეული, რომელსაც ისინი სასაფლაოს ეძახდნენ. ამას იქით სულთმეწიას დიდი აღმართი იწყებოდა. იქ ერთი უხარმახარი ბებერი წიფელა იდგა. მუდამ აქ შეისვენებდნენ ხოლმე, სანამ აღმართს შეუდგებოდნენ. ამ წიფლის ნახვა ნაცნობის შეხვედრასავით გაუხარდა. რაღაც იმედი მოეცა, ტანზე ხელი შეუსვა. ამ წიფელზე გადასწყვიტა ღამის გათევა. რის ვაივავლახით ამობღდა ზედ. ხის ტანსა და გრჯლას შორის ბოჯაღში ჩაჯდა, დოქს და კალათს ზეზე ვერ აათრევდა და შეკრში დამალა. მთელი ღამე ფიჭრი არ ასვენებდა, ვაი თუ საქმლის სუნმა დათვი მოიზიდოს, საგძალიც შეჭამოსო და ზეზედაც ამოვიდოსო.

ღამე კი დაუსრულებლად გრძელდებოდა. გრჯლებს შორის ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ჭამიანი ჰაერი ვახურებულ შუბლს ცივ ტილოსავით ეკვროდა. ტყეს ხმა გაეკმიდა. დუმილი თითქმის ხელსახები იყო. ჰაერი არ იძროდა. მაგრამ უკებ რომელიმე ტოტი ფრინველივით შეფრთხილდებოდა, თითქოს მარტო მას მოხვდა ნიაიო.

ბებერი წიფლის ტანი კი, რომელსაც ქიშვარდი ზურგით მიყრდნობოდა, ღამის ცხოვრებით ცხოვრობდა. მის ალქატ, დაფოტრილ ტანში ურიცხვი ჭია, რკილი მოძრაობდა. ღამის მყუდროებაში გარკვევით ისმოდა, თუ როგორ ღრღნიდა ჭია ალქატ წიფლის გულს. ეს ხმაური ქლექიანის ფილტვების ხიზინს ჰგავდა. ქიშვარდის თავზე რაღაც ცხოველები ტოტიდან ტოტზე ხტოდნენ და ქიშვარდის თავშესაფარისაკენ წიწიბოებს ისროდნენ. ისე ხელმარჯვედ სცემდნენ სახეში, რომ არც ერთხელ არ აცდენდნენ. ციყვები იყვნენ, რომელთაც ქიშვარდის სტუმრობა იუცხოვეს და ახლა წიწიბო წამოღუშინეს, რომ იქიდან გაედევნათ. საშინელი წყურვილი სტანჯავდა, საკალმაზე ღელის ჩხრიალი კი ასე ახლოს ისმოდა, თითქოს ღელე მთვარის შუქზე აღმართში ამოსულიყოს. ჭამიან ფოთლებიდან წვიმის მძიმე წვეთები ეცემოდა. ქიშვარდი ტოტებს თავისკენ იზიდავდა და ჭამიან ფოთლებს ლოკავდა. ღამის მდუმარებაში ისმოდა, თუ როგორ ტყდებოდა ძირნაყარი ხმელი კეწეწი, თავისი ძალით ტყდებოდა და რაიმე ცხოველი ფეხს ადგამდა? იქნება დათვი იყო, იქნება ქიშვარდის საგზალი უკვე დათვის მუცელში იყო.

დაღლილობამ მაინც თავისი ჭია. ცისკრის ვარსკვლავის ამოსვლაზე ჩასთვლიმა. მაგრამ უკვე გარიჟრაჟი მოახლოვებული იყო და ჩიტებმა ისეთი ელრუტუნი ასტეხეს, რომ ერთბაშად გამოეღვიძა. ჩიკემა თავზე დასჩხავლა. კოდალამ წიფლის წვეროზე გაბმით ზარი დარეკა. ქიშვარდი ხიდან ჩამოცოცდა. კალათი და დოქი თავის ადგილას დახედა. გზას გაუდგა. მთის ფერდოებს მზის პირველი სხივი მოხვდა როცა ქიშვარდი ჯარღალაში ავიდა.

— საიდან გაჩნდი ქიშვარდი, — ჰკითხეს ყველამ ერთხმად.

ფარნას ეგონა, რომ ესმამ საგზლის მომზადება ეკრძა, და ქიშვიარდი მეორე დღეს ამოვაო.

— ეშმაკის ფეხია, — ემაყოფილებით ჩაილაპარაკა ქიშვიარდი. ^{ეკრძა} შეშინებულმა ქიშვიარდომ წიფელაზე ღამის თევის ამბავი დაასრულა.

მთელ დღეს სტებდნენ სიმინდს. კრეფდნენ ლობიოს. აგროვებდნენ გოგრებს. ეზიდებოდნენ შიშივე გოდრებს.

ღამეა. სეფესა და ფარნას სასიმინდის კუთხეში მკვდარივით სძინავთ ქიშვიარდის და ციციანოს თვალებს კი ძილი არ ეკარება. აბა რა დაძინებთ. ღამის მყუდროებას ჭოტის გულგამაწყალელებელი „აუ-აუ“ აფხებს. ყანის ნაპირას მდებარე ტევრიდან რაღაც უცნაური ხმები მოდის — მელიას წრებიანია თუ ღამის წივილი.

სასიმინდის ბოძზე მიბმული კვესია და ყურში მთელ ღამეს ყეფდნენ, მაგრამ ახლა ერთბაშად შეშინებულნი აწყვეწყვედებდნენ. ბოძზე აცოცებას ლამობდნენ, მაგრამ კიბე აღებული იყო, რომ დათვი სასიმინდეში არ შესულიყო. დათვი თითქოს ძაღლებს ახელუბსო. შორი-ახლო ჩაცუცქებულა და ღრღინის სიმინდის ტარობს. ძაღლებს ხმა ჩაუწყდათ და საცოდნად ხრიალდებენ. ომახიანი ყეფის ნაცვლად შეშინებული წკმუტუნის ღამისის.

— მოვიდა? — კითხულობს ციციანო, რომელსაც სუნთქვა ეკვრის. ცახცახმა აიტანა. შიშისაგან ქიშვიარდის უკვროს. ქიშვიარდი დიდ ციხე-ხიმაგრედ წარმოუდგენია, და ვაჟმაც შეიფერა ეს.

— გამოვალეძით მამა, — ეუბნება ბოლოს შემკრთალი ციციანო ქიშვიარდის.

— რა საქიროა! დათვის გეშინია, ცაე? იცი, რა მხდალია, თავათ უფროთხის კაცს. გინდა ჩავიდე და მუგუზალით დავედევნო? — და თემცა არა სჯერა დათვის ასეთი სიმხდალე, მაინც ჰგონია, რომ თუ ციციანო ეტყვის, ის მართლაც ვაბედაეს ძირს ჩასელას და დათვთან შებზას. და ციციანოსაც სჯერა მისი გმირობა. განა წუხელ არ გაათია მან ღამე მართოდ-მართომ უღრან ტყეში?

კვესიას და ყურშას წკავეწყავს რაღაც ლულულდი ერთვის. ნადირის ხმაურზე დიდებსაც გამოეღვიძათ. სასიმინდის კედელს კეტები დაუშინეს, ძაღლებიც გაათამამდნენ, ვაბედულად იწყეს ყეფა. ნადირი გააქციეს.

— რას ბურღლუნობს ნეტა ასე? — იკითხა ძილდამფრთხალმა ფარნამ.

— რა ვიცი, მის წახდენას და არგადარჩენას! ძველი კაცები იტყობდნენ, დათვი ხუცის ნაგრამიაო, — ამბობს სეფე. — ერთი მღვდელი დილით, წირვაზე წასვლის წინ, ცხელი ღომით და საცივით ვამოძლა, სიჩქარით პარიკ დაიწვია. ღმერთმა დასწყევლა და დათვად აქციაო. ამიტომაცაა, რომ ორივენი ერთნაირად ლულულდებენო. გაუმაძღრობით მართლა კი გვანან ურთმანეთს, ტყვილა კი არ მღერიან ჩვენში — ვაი ხუცესს, ვუი ხუცესს,



რა გააძღვებს იმის მუცელსო. მაგრამ ღორმუცელობისათვის რომ დაესა-
ჯა ლმერთს ხუცესი, ხომ ყველანი დათვებად უნდა გაქვნიყვნენ!

უფროსებსაც ძილი გაუტეხა ნადირის მოხდომამ და გაათენებამდე-
უამბობდნენ ერთმანეთს დათვისა და კაცის ბრძოლაზე მთის ყანებში.

მეორე დღეს სიმინდის ტეხა დაასრულეს. მთელი კვირა ეზიდებო-
დნენ სახლში მოსავალს, საურამე გზამდე ზურგით გააჭონდათ მძიმე გო-
დრები.

ფარნასას იმოდენა კალო დააყენეს, რომ სამზადი სახლის ქერს
სწევდებოდა. გაუფრჩენელი ტაროები სახლის ერთ კუთხეში იყო მიყრი-
ლი. ნადი ხელხვავის სიმღერით სიმინდს ფურჩენიდა. სახლის მეორე კუთ-
ხეში კი დარჩეული ტაროებისაგან ახალი კალო იზრდებოდა. ციციწო და
ჭიშვარდი ნედლ ტაროებს ეძებდნენ მოსახარშავად. ქერამდი აზვინულ
ტაროებში ორმოს სთხრიდნენ, შიგ მიძვრებოდნენ, ზოგჯერ კალო ჩა-
მოინგრეოდა და ორივეს ქვეშ მოიტანდა. მათი სხეულები ერთმანეთს
ეკვროდა. ჩახურებული ტაროების სითბო თავბრუს ასხვევდა. ზოგჯერ
ერთმანეთს განზრახ წაუბიძგებდნენ და კალოზე დაცურდებოდნენ. შემ-
დეგ ისევ მიბობდადნენ კალოს კორტონისაკენ. სახლი თხმლის კუნძე-
ბის ბოლით იყო სავსე და სიმინდის მრჩეველთა თვალისაგან ბოლი იფა-
რავდათ. ტაროს გაფურჩქენიდნენ, ნედლს მარცვალს ფრჩხილს დააქერ-
დნენ, სიმინდის რძე თვალეებში შეეშეფებოდათ, და ეს თითქოს ის რძე
იყო, ქალის მკერდს რომ მოსდგომოდა და დაეკუქურებინა.

ჭიშვარდი უკვე მომწიფების პასაკის ტკივილებს გრძნობდა ძარღვებ-
ში, ტანში რალაც ახალი ძალა უდუღდა. ციციწოსაც ჩითის კაბის ქვეშ
მკერდი გოუტად ებურცებოდა.

გაფურჩქენილ ტაროებს ბუსუსებს აცლიდნენ. ტაროს „ბოწოწი“ ცი-
ციწოს ნაწნავს ზევით აზრდილ თმის ბუსუსებს ჰგავდა. ამ ბუსუსების
შეხება სახეს ჭინჭარივით სწვავდა. ერთმანეთის მიკარებისას ტანში გაა-
ფრკოლებდათ, რალაც ელექტროდენივით დაუელიდათ სხეულში. სუნ-
თქვა შეეკვროდათ. ქალის ტანი დრეკადი იყო. ვაჟი თინმორეული სცემ-
და ტანზე გადააწეენდა ოჭროსფერ კალოზე თავათ ოჭროსფერს. თით-
ქოს ხელები დაუცურდებოდა კალოზე და მკვრივ მკერდს მოხედებოდა.

ბოლოს ვოგოს ქალური სიმორცხვე დასძლევდა და დაბნეილ ბიჰს
ძალუმად გამოსტაცებდა სხეულს შემოკლობილ ხელებიდან.

სპილენძის დიდ ქვაბში გათენებამდის იხარშებოდა ჭყინტლი სიმინ-
დი. ქვაბს ჯაკვიდან არ ხსნიდნენ. მოხარშული ტაროები ხის კოვზით
ამოქვნიდათ, ხოლო ქვაბში ნედლს ჰყრიდნენ. ნედლს ნიგოზს არჩევდნენ,
ზედ ახალ დადუღებულ „ენაფხაქნია“ მაქარს დააყოლებდნენ, სიმინდს
მარილს დააყრიდნენ. მარილნარევი სიმინდის რძე აბრუებდათ. ღამე კი
დაუსრულებლად გრძელდებოდა. თვალის ქუთუთოები დაღლილობისა-

გან ერთმანეთს ეკვროდა. სარკმელში რაღაც ნათელი შემოდროდა. მაგრამ დღე ღამეს ველარ გაპყროდა, როგორც ტრფიალნი ბავშვანის შემდეგ. ნეტამც არ გათენებულყო, თუ ის ბავშური ოცნებას მსგავსად ვაუცხადდებოდათ.

დიღხანს მისდევდა ქიშვარდი ფიქრთა ამ ნაღვლიან მდინარებას.

ციცინო წამდაუწუმ გარეთ გადიოდა ფოთლების შესატანად და კარებს ახეთქებდა. ესმა წყრებოდა, ბობოლი გაფუქტებო.

— რას აჯახუნებ, გოგო, კარებს? გათხოვება ხომ არ ვინდა?

ქიშვარდომ შეწყვეტილი საუბრის განახლება სცადა.

— დანიელა დამპირდა, თუ ანასეულში კურსები გაიხსნა, უსათუოდ შენ გაგგზავნიო.

ციცინო ჩვეულებრივი ყურადღებით არ შეჰყვია საუბარში.

— კაია ნამეტანი, — რაღაც გულგრილად უბასუხა მან.

— წინად რამდენ გეგმებს დააწყობდნენ, რა ბჭობას გამართავდნენ. ახლა ციცინომ რატომღაც ტანისამოსზე ჩამოაგდო ლაპარაკი.

— რატომ დადიხარ ფეხშიშველი? ხომ გაქვს ფეხსაცმელიც, წუღაც. ხალათიც ხომ ახალი გაქვს, ქინჭიაო კაცი, რომ იტყვიან, ხომ გაგიგონია.

ციცინომ სახლის წინ დაზვინულ თუთის ფოთოლს ორივე ხელი მოხვია! მკერდზე მიიკრა და სახლში შეიტანა. ქიშვარდომ ჩელტის წვნას თავი დაანება, ციცინოს შენაკერი ხალათი ჩამოიღო კავიდან, ფეხსაცმელიც სასწრაფოდ გამოიღო კარადიდან. ერთ წუთში მოირთო, და ისევ ჩელტის ღობევას შეუდგა. მაგრამ ახლა თავისი თავი უფრო სასაცილო მოეჩვენა. ჩელტის წნის დრო ასე გამოწყობილი...

წკებლები შორი-შორს ეჭირა, რომ აბრეშუმის ხალათს არ წამოსდებოდა. უგულოდ მუშაობდა, წკებლები წამდაუწუმ უტყდებოდა.

ახლა ციცინომ მისგან გული იბრუნა და, ალბათ, ამიტომ უტყდებოდა წკებლები და მრუდე გამოსდიოდა ჩელტი. ციცინოს მოუთმენლობა დაეტყო. ესმას ჭირს პურებაც არ ჰქონდა დასრულებული, რომ ციცინო დაზვიდან ჩამოხტა.

— სულ გადამავეიწყდა, რომ პელო და მარგალიტა უნდა მოვიდნენ კაბის მოსაზომებლად, ნუ გეწყინება, ჩემო ესმა, ხვალ ადრე მოვალ. — შობოდიშებით სთქვა მან და შინისკენ გაემართა. ქიშვარდი გულნატყენი ჩაის სათხოვნელად წავიდა.

მეორე დღეს ციცინო სულ აღარ გამოჩნდა. ესმა და ქიშვარდი დიდხანს ელოდნენ. აბრეშუმის ქია მშიერი იყო, ფოთოლზე წასვლა უგვიანდებოდათ. ბოლოს ელპიტო გამოჩნდა, მხალის ნეშოში შეხვეული თავით.

— ი რწყეული გოგო არ წამოვიდა. საკერავი მაქო, და ისევ ისევ შე აედექი ამ უნდომმა ლოგინიდან, — ჩაილაპარაკა მან ეზოში შესვლისას. ქიშვარდის გული ურკინა, უხალისოდ ცალმხარეზე მოიგდო გოდორი და გაუდგა ცხენის ზურგასკენ. რაღაც უსახნოდ, გაჩქარებული მია-

ლაგებდა, ესმა და ელპიტო სირბილითაც ვერ ეწეოდნენ. ისეთ ტუნებაზე იყო, რომ მზად იყო სიბიტოს თუთის ხეები სულ დაეცუნებოდა.

ჭიშვარდის ციციანოს ლოდინით გული „უმცირდებოდა“ მისი ტუნება-ჭია კი დამსხვილდა, დაიზარდა, ქვეყანას შეეკმას უპირებდა. ელპიტომ დიდხანს ვერ შესძლო ნერვის ფოთლის ზიდვა. სამუშაო მოძალეებული იყო, ქიას წამდაუწუმ გადასხმა სჭირდებოდა, საცახე მასალა დასამზადებელი იყო. აბრეშუმის ქიას დღეში ხუთჯერაც არ ჰყოფნიდა კვება. ციციანო კი სულ გადაიკარგა. ახლოსაც არ გაეკარა საზიარო აბრეშუმის ქიას. ესმას საჭმელის გასაკეთებლადაც აღარ ეცალა და მეზობლის ჭალაშვილს ქიონიას სთხოვა შველა. პარკის საფასურს გინაწილებო.

ქიონიას საღმთოელი ბიჭები ქეიჯას ეძახდნენ, გოგოები კი ენატრაკლას და უნიკაპოს. ტანად დაბალი იყო და კუკუხო ცხვრის დუმსავით ჰქონდა დაბლა ჩამოვარდნილი. ელაში იყო, წელი მოკლე ჰქონდა და ენა გრძელი. სახეზე ნიკაპის ნასახიც არ აჩნდა. ამიტომ შავი „გაროზი“ მუდამ ხელით ეკირა ყბაზე შემოხვეული. კაცს ეგონებოდა, ნიადავ ვილაცას ქორავსო. საშინელი ენა-ქარტალა იყო, მაგრამ გულკეთილი და უწყინარი. თითქმის პირადი ცხოვრება არ გააჩნდა. სხვათა სიხარულით და სიმძიმით ცხოვრობდა. ეს უნიკაპო ქიონია შეიზიარეს აბრეშუმის მოვლაში. ქიონია სიხარულით ცას ეწია. ჭიშვარდი თავდავიწყებით მოსწონდა, თუმცა ვერავისთვის ვერ გაემზილა. ოღონდ ჭიშვარდის ყოველდღე შეხვედროდა და ესმას მობარებულად დადგომაც რომ ეთხოვა, უარს არ იტყოდა. მეორე დღიდან ქიონია წელში სწყდებოდა ზედმეტი ერთგულებით. როცა ორი თავისოდენა თავზე დადებულ ფოტას მოათრედა, ვეებურთელა სოკო-პილაპილას ჰგავდა.

მთელ დღეებს უსმასთან აღამებდა, საჭმელის კეთებაშიც შველოდა. ციციანოს გადაკარგვის მიზეზი ამ უნიკაპო ქიონიამ ჩამოიტანა, როგორც სიზმრის ახსნა. ოღონდ ეს სიზმარი ცუდად გაუცხადდა ჭიშვარდის.

გუშინწინ სეფესას ბონდო მოსულაო, ამბობდა ქიონია, ციციანოს ხაჭაპური გამოუცხვია, პელოც და მარგალიტაც იქ ყოფილან, მთელი დღე იქ დაულამებიათო. ჩაის საკრეფავშიც არ წასულან, ბონდოს უთქვამს საცეკაო წრე უნდა მოვაწყოო. ჩვენსას ვიმაცადინოთ, გასაშლელი ოთახები გვაქა. ბათომში ახალი ფასონის ცეკვა უსწავლია. ციციანოც, პელოც და მარგალიტაც ბონდოსთვის ჰკუას კარგავნო.

ამ საღამოს კიდევ ბონდოსას დიდი ქეიფია, ვილაც ტექნიკოსი ჩამოსულა და იმის გულიზა აწყობენ კამპანიასო. ქვეყნის ხალხი ჰყავთ დამატიკებული, ციციანოც იქ იქნებაო.

ქიონია უდარდელად უყვებოდა ამის შესახებ ჭიშვარდის და თითოეული სიტყვა უკალივით ესობოდა გულში.

კამათლების მღერა



სიპიტოს სახლი სამღვთოში სასტუმროს მოვალეობას ასრულებდა. როგორც კი ვინმე ამოვიდოდა რაიონიდან, ცეკავ მიუღებოდა. სტუმრობის იქნებოდა იგი, აგრონომი თუ ცენტრალური გაზეთის კორესპონდენტი, ემსა და უეპოს, სისხამ დილას თუ შუალამეზე, საბჭოს თავმჯდომარეს სიპიტოს ლურჯად შეღებილი ოდა, უცხო კედლის სარკე და მარმარილოს ხელსაბანი მოაგონდებოდა, — ცდილობდა თავი ესახელებინა და ჩამოსულს სიპიტოსთან გაისტუმრებდა. ბუნებით ხელმავარი სიპიტო კი გულზე ისკდებოდა.

— კაცო, იმის არ იყოს, ყვეს ბარტყი მოუკვდა და ბუს მიუვდო, დიდი თავი გაჭვს და შენ იტირეო, მე რომ მომიდენი ყველა ჩამოსულს, შენსას მუცელკეთილი ხომ არაა ნეტავი, — გაბედა და უთხრა ერთხელ სიპიტომ საბჭოს თავმჯდომარეს. თავმჯდომარეს გაეცინა, სიპიტოს შეპირდა მეტს აღარ შეგაწუხებთო, მაგრამ მეორე დღესვე მოაყენა კარზე სტუმარი.

ახლა კი საბჭოს თავმჯდომარე სახტად დარჩა, როცა გზის ტექნიკოსის ჩამოსვლისა თანავე სიპიტო თემ-საბჭოში გაჩნდა და თვითოხვე შესთავაზა სტუმარს ბინა თავის სახლში.

ჭიონია არ აქარბებდა, როცა ამბობდა სიპიტოსას დიდ ქეიფს აწყობენო. სიპიტომ უჩვეულო პურადობა გამოიჩინა ტექნიკოსის გამასპინძლებაში. მთელი სოფლის ინტელიგენცია დაპატიჟა — ექიმი, ფოსტის გამგე, მასწავლებლები. ახალგაზრდობა მოიწვია სტუმრის ვასართობად. სუფრას არაფერი აკლდა, ჩიტის რძეც კი, როგორც იტყვიან ხოლმე, საცივი იყო და ძუძუთა გოჭი, კეცზე შემწვარი წიწილები და ქაფქაფო საჭაპურები. ესეც არ იკმარა. ქალაქიდან დეკეულის ბეჭი და სამწვადე სუკი ამოატანია, დიდი ხნიდან ვადანახული კონიაკები, ჩხავერის ღვინო და თავლის არაყიც ამოაძვრინა. თითონაც უჩვეულოდ მოილხინა. ბუფეტში ნასწავლ რალაც „თოკუზებს“ უჩვენებდა სტუმრებს. ბონდომ ბუჭნით და მუხლებზე დაცემით ცოტას გაწყდა სახლის იატაკი ჩაანგრია, ქალიშვილები დიდათ გაართო ფანტით და ყარყუმოზის თამაშით.

ჭეიფში შემოათენდათ და როცა მეორე დილას ჭიონიას ნაუბართი გულამღვრეული ქიშვარდი საკაფავში გაემზავრა, სიპიტოს ეზოდან მომავალმა „ვარახელამ“, მთელს სოფელს რომ აყურებდნ, გული შეუკუმშა.

რა სიმძიმელი მოაწვა მას გულზე? ილბად თავის თავსაც ვერ გასცემდა ამ კითხვაზე პასუხს. ნუ თუ ის ღაზოს აეტანა? არა, ეს უფრო შმაფრი და მწველი გრძნობა იყო. ის თითქოს მთელ მის არსებას არღვევდა. ქიშვარდი იმ შასაკში შედიოდა, როცა სახეს ტრფიალების კუჭურებს დააყრის ხოლმე, როცა გული რალაც სიცარიელეს გრძნობს.

თითქოს ერთი ნახევარი ამოსჭრესო. ახალგაზრდა მზადაა მთელი ქვეყანას დაევიდოს და იმავე დროს თავს უსუსურად გრძობს. თავის თავში ეჭვი შესდის, ნაბიჯი არეული აქვს. მას გონია, რომ უნდა დაეხმოს ამ სიცარიელეს, თუ ვინმე განამტკიცებს მის არეულ ნაწიჯს, ეს მს კალიშვილია, რომელსაც იგი თვალს დაადგამს, ციციანოზე კი მთელი სოფლის ბიჭები მღეროდნენ:

მთლად ქვეყანა მოვიარე
ევროპა და აზიაო
შემიყვარდა სეფეს ქალი
დედაც, რა ლამაზიაო!

ამდენ ხანს თითქმის ყოველდღე ხედებოდა ციციანოს, ვერ ატყობდა რომ ციციანო მისთვის ასე აუცილებელი იყო. ახლა კი გულში რაღაც საშინელ სიკალიერეს გრძობდა. თავაუღებლად მიაბიჯებდა ნიაღვრისგან დახრამულ გზაზე. მხარზე გადებულ ცულდის და წალდის ჯახანი აკვიატებულ ფიჭურებს უფრთხობდა. მაინც მას თავიდან არ გამოუდიოდა ფიჭვი იმის შესახებ, რომ მის და ციციანოს ტრფობა საზიარო ყანით დაიწყო და ახლა საზიარო აბრეშუმით სრულდებოდა. ვერც კი შენიშნა, თუ როგორ ჩავიდა სამუშაოზე. საკაფავზე თხუთმეტ კაცამდე შეგროვილიყო.

ნისლი და სინესტე ჩაწოლილიყო დობილოში. წაღები და პაჭიჭები ყველას გალუმპული ჰქონდა. სეფეს რცხილის ალქატი კუნძისთვის ცეცხლი შეენთო. კუნძი აღრჩოლებდა. სეფეს ხელები გადაეწვდინა ზედ, თითქოს ბოლზე ხელს ითბობდა. ბრიგადირი დანიელა გრძელი ქოლოკით ფართობს ზომავდა. დანარჩენები, ზოგი პალოს ჩეკდა, ზოგიც იარაღს უწყობდა პირს.

— სად არიან ახლა ეს ღდინძალები? — ჩახჩახებდა დანიელა. — ტრაქტორი კარზე გვადგია.

სეფე ბოლისაგან აცრემლებულ თვალებს ხუჭავდა, ხელებს კი წინ ხმურდა და ჩახლეჩილი ხმით სიფხიზლეს ქადაგობდა.

— გასკდენ ბატონო, გუშინ სიპიტოსას. ჩეიხჩვენ ფუქკურავით ღვინოში. ზოგი ჯერაც არ წასულა მგონი სახლში. ნამდვილად არ ვარჯა, ბატონო, აი თრობა. დავთვერი, შენ ხარ ჩემი ბატონი, კაი ძმა კაცს უაწყენიე. გამიხდა საქმე საბოდიშოთ, პირი ხისკენ მიქნია და იმისიანეთ დაყრევია, რომ დედოქია არ დამრჩა მუცელში, ავდექი მეორე დღეს. პირი შენაკოლასავით *) მაქვ, ჭამის მადა დამეკარგა. თავი მტკივა, გული მერევა. გულმა აღარ მომითმინა, ისე ჩამოვედი საყარაულოთ, თვარა აღარ ვარ კაცი ერიში. დალიე, ბატონო, კაცის ნიაგაბად, რომ შეგერგება იმდენი. ღვინოს რომ ბაძობა დუუწყო, ღვინო, შენ ხარ ჩემი ბატონი, ბოჭკას ხეთქავს. არა, ძამია, რომ გუუყეთე ჩემ თავს ალანიში, სწორეთ დაერწმუნდი, რომ არ ღირს თრობა.

*) ცერცვის ჯიშია, მეტად მწარე გემოსი.

სეფეს „ანალიზზე“ ახალგაზრდებს სიცილი წასკდათ. ერთ-ერთი ცუდი ჩვეულება ჰქონდა სეფეს, თუ სადმე რაიმე უცხო სიტყვას გაიგონებდა, ესმოდა თუ არა მისი მნიშვნელობა, უთუოდ საუბარში წყვეტდა და ხშირად ერთის მაგიერ სულ სხვა რამ გამოდიოდა. ამას უწოდებდნენ. გადაკრულად დაიწყებდნენ ლაპარაკს „ლოიჯორზე“, „ბენიკინზე“ და სხვაზე, მაგრამ სეფე თავისას არ იშლიდა. ახლაც ახალგაზრდების სიცილზე მიხვდა, რომ რაღაც აურია, მაგრამ არ შეიმჩნია და პირიქით შეუტია აბეზარ ახალგაზრდებს:

— რას იკრიკები, ბიძიავ, ყველის ვაჰარივით! რას აჩენ მაგ თოხნო კბილებს, ძაღლი ძვალს ეძებს!

— არა, ქე არ დაგვწყვიტა სტორეთ მაგ ელიზბარამ ლეინის სმით. — წამოიწყო ისევ სეფემ, რომ რუგორმე თავისი მარცხი მიეფუჩეჩებია. — ახლა დადიანის წვეარივით რომაა გამოწანწვლული წელში, სად ეტევა ნეტაი მაგ გლახას ამდენი ლეინო.

— ლეინის სმის და სიცრუის მეტს რას ისწავლის კაცი ჩალანდრობაში, — ჩაერია საუბარში დანიელა, — მისი დღე და მოსწრება ცხენის ძეხასაა ჩაფრენილი, ზაფხულში ბახმაროს გზაზე დაჩანჩალობს, შემოდგომაზე და ზამთარში ფოთში. მაინც ტილი მეგორდიას უშობა. იგი არ ურჩენია, რომ ამოგვიდგეს მზარში და გააქნიოს პატარა ხელი? ეხლა სხვებსაც რომ ეჩხუბება — აი თქვი შენ. გეოგეთ, წუხელი რა უქნია მაგ შეჩვენებულს?

— რაი, დანიელ? რაი? — მისციევდნენ ყველანი დანიელას ცნობის-მოყვარეობით.

— კომკავშირის მდივნის სილოვანის ქიშკარი ჩამოულია და დაუნტროვია. იქაურობა გადაუყრუებია ყვირალით, მე რომ შემომიჩნდი, კრებაზე რომ დაგვიშვებივარ, დღეები რომ ჩამოგიკლიათ, ამისიანცე რა დავაშავეო. თლათ დავაფილიკებ აქაურობასო. დილას რომ გამოვიარეთ, სილოვანის ეზო სულ ღორებით იყო სავსე. ვერ მორჯულდა, ვერ შეითურგნა მაი კაცი, ვერ გეიგო ამ დროის ამბავი, თუ არ გაქ სხვა საშველი და სახიდებელი, რა უნდა ქნას კაცმა. მეც კი დავდიოდი ფოთში, ხან ნათხოვარი ხარით და ხან ცხენით. რამდენ მამაძაღლობას არ შეიგონებს კაცი ჩალანდრობაში. კაპარტინასთან რომ ჩვეილოდენ ჩალანდრები. წყალნარეგ არაყში პირპილს ჩაყრიდნენ, რომ მეგრელებს მაგარი შოჩენებოდათ. ფოთელებს წითელი ფელამუში უყვარდათ და ტკბილში ჭოფერას ურევდნენ.

ჩალანდრობაზე საუბარში მზე შუბის ტარზე ავიდა. ქალების ჯგუფიც გამოჩნდა ძველ ნაკვეთზე. ტყეჩის დიდრონი კალათებით მკლავზე. ქიშვარდიმ ციცინოს მოპკრა თვალი, საზე მიიბრუნა და პალოს ისე თავგამოდებით დაუწყო ჩეკვა, რომ მალე ხელში ჩაეღია. ქალები ჩაის ბჭჩქებს მოედნენ.

— აბა, რავე ჩოჩვით მოდიხართ თქვენ, ქალიშვილებო. ~~ქალიშვილებო~~ — მა ქვიფმა ხომ არ გაწყინათ. გეინძერით პატარა! გააქანეთ ~~ქვიფები!~~ — კაპასობდა პუპი, ქალების ჯგუფის ხელმძღვანელი. *ქალიშვილებო*

ჩელიაბინსკის ტრაქტორიც გამოჩნდა ლელის ჩამოსხმულ ~~ქალიშვილებო~~ ტრაქტორი თავდაღმართში ყვინთვით ჩამოდიოდა, აკეანივით ირწეოდა და ბობლანებით მიწას მოიხნავდა. წუხელ ნაჭეიფარი ახალგაზრდები უკან მოპყვებოდნენ მაყრიონივით. ბონდო ტრაქტორისტს ეჯდა გვერდით.

ფოლადის ურჩხული შედგა. ტრაქტორისტი ჩამოქვეითდა. ჯაქვები გადმოირო. ხის სათხრელი მანქანის აწყობას შეუდგა. ტრაქტორის ძრავი კი ისევ ქუთქუთებდა. ხელთოფელასავით ფათქა-ფუთქი გაუდიოდა და დამწვარი ნავთის სუნი იელის გამაბრუებელ სუნში ირეოდა.

დანიელამ ხალხი დაანაწილა. დობილოს მტერივით შეესივნენ. ტრაქტორისტმა ნოლა თხმელას სალტეები მოსდო. ჯაქვები დაუბა. ტრაქტორი აგრუხუნდა, გაიწია, ხე ძირფესვიანად ამოთხარა და მიწაზე გამოტა. იტყვი, მოჭიდავემ მოპირისპიოეს მოგვერდი უყოვო. ძირიანად ამოჭრუნებული ხის ლორთქო, გველის ტანივით დაგრებილი ფესვები პაერში გამოეკიდა.

— კაცო, რავე ღჯილივით ამოაძრო ამ წყეულმა. იანგარიშე ახლა, რა შეუძლია კაცის კკუსას! — პათეთიურად სთქვა სეფემ. აგია სტორეთ ტეჭიკა და ნაციონალიზაცია.

ერმილეს „ნაციონალიზაციაზე“ ახალგაზრდებმა ისევ ფხუჯუნი ასტეხეს.

— ახლა, ბიძია, თქვენს მოსაწონს ვერაფერს იტყვის კაცი. თქვენ რა გიჭირთ, ბალნობიდან სწავლაში ხართ. მე აი ორი ღერი ანბანი ნაჩალეეში მაქს ნასტავლი და იმაზეც უბად მიღებთ, — სთქვა სეფემ და გაჯავრებული შეუდგა ტრაქტორის მიერ ამოთხრილ თხმელის ტოტების სხებვას.

ახალგაზრდებსაც შერცხვით და სამუშაოს დაეძალნენ.

ქიშვარდის ჯგუფი ფერდობზე მუშაობს.

— აბა მაგ ფერდში ხეები არ მოთხაროთ! მიწის ზევით გადასქერით, თორქ ღვარი გუმუსოვან ქანს ჩამორეცხავს, — მეცნიერულად მოუქცია სიტყვა აგრონომმა, რომელიც ის იყო ნაკვეთზე ჩამოვიდა და საწვიმარს ხის ტოტზე ჰკიდებდა.

— რაო, კაცო? გულმოსულიაო. ვისზეა გულმოსული? — გაეხუმრა დანიელა აგრონომს. აგრონომი დაიბნა.

— მტერი ჩაუვარდა დანიელას კბილში? — მოუწონეს ხუმრობა ახალგაზრდებმა ბრიგადირს.

იელს და შკერს წალღებთ ცელავენ. ფერდობის ბოლოზე ეკლის ზვინით/გადამარდნილი ფულუროვანი რცხილა დგას. ეკლის ზვინი თითქო ხის ფარიაო. ასეთ ხეს ახლოს ვერ მიუდგები, და ქალები ვაზაფხულ-

ზე კიბეებით ჰკრეფენ ზვინებზე ეკალას ეანგისფერ ეკლებს
 ისეა ერთმანეთში გადახლართული, როგორც კატის მიერ ნაფორები ვორ-
 გალი. ეკლებს გრძელტარიანი წალდებით შორიდან აჩვენებენ
 ძირს და შემდეგ ხელით ძურწავენ. ხის ძირას თავიდანვე დასველი
 ერთ ხანს გინაბა. ჰგონია, მიუვალი ეკლის ზვინი დამიფარავ-
 სო. მაგრამ წალდების ჩახანი ძლიერდება და ისიც გულგახეთქილი ჩა-
 ჩახით ამოვარდება ეკლის ზვინიდან. ასე თითო ღერად აცლიან კუზიან
 რცხილას ეკლების საფარს. რცხილის ფესვები, რომლებსაც მზის შუქი
 თავისდღეში არ მოხვედრია, თავისუფლდება. რცხილის ძირას ტურის
 სორო აღმოაჩინეს. მუშაობას თავი ანებეს და სოროს გარს შემოეხევივნენ.
 ძაღლები წაქეწკავით მიძვრებიან სოროში.

— აბა, ჯაბულია, შენი სახლიკაცია მაქ შემძვრალი, — ეძახის კა-
 პიტონა ჯაბულიას, რომლის გვარს საღალღობოდ ტურიებს ეძახიან.

— შენი სახლიკაცი კიდო წიფლის კატარნია, შე ყვევისქამია! —
 უპასუხებს ჯაბულია.

ტურის ხერელიდან განაბული ზლოკვი ამოაგდეს. ბონდომ ზლოკვი
 მკლავზე დაიხვია და ქალიშვილებისაკენ გაიქცა. ქალიშვილებმა კალათე-
 ბი ძირს დაყარეს და წივილ-კივილით სხვადსხვა მხრისკენ გაიქცნენ.

— მოდი აქ, შე მამზაკუნაე! *) საღ გეცალია ახლა საღლაბუკოთ!
 ისედაც შუადღეზე ჩამოდი. ახლა სხვებსაც გვიცდენ! — დაუყვირა დანი-
 ელამ ბონდოს.

ბონდო მობრუნდა და ერთხანს სულმოუთქმელად დაუშინა ნაჯახი
 მოჭრილ თხმელას. მაგრამ მისი აფეთქება ჩალის ცეცხლივით მალე ჩაი-
 ფერფლა. წელი მოიმტკივანა, ნაჯახი დააგდო, წალდს ხელი წამოავლო
 და ტოტებს დაუწყო სხებვა. ისიც მალე მობეზრდა. მოჭრილ შკერის
 ევერზე წამოწვა.

— აბა, განზე მიდექით! — იძახის სეფე, რომელიც ამოლტილ წიფელს
 გვერდს ახერხავს. — ადექი მაქედან, ბიძია, რამე აბარია არ მოხდეს, —
 მიუბრუნდა ის ნებიერად წამოწოლილ ბონდოს.

წიფელი დაჭრილი კაცივით დაბარბაცდა და გადაიზნიჭა, მაგრამ ზე-
 ზე მდგომ თელას მიეყრდნო. წიფლის ტოტები ისე ჩახლართა თელის
 შტოებს, თითქოს თელას ეხვეწებდა, — მიშველე რამეო. მაგრამ თელაც
 განწირულია. მას ერთის მხრივ ჭიშვარდი მიდგომია ნაჯახით, ხოლო მე-
 ორეს მხრივ დანიელა და სილავანა ბირდაბირით.

— პა!

წამოიძახებს ჭიშვარდს და ხის ქვედა ტანზე სწორი კუთხით ნაჯახს
 დაჰკრავს. შემდეგ კოტა ზემოთ შემოჰკრავს ირიბად და კრიალა თეთ-
 რი ნაფოტი ფიქალივით მოსძვრება ხის ტანს, ციბრუტივით დატრიალდე-

*) ბოლოქანქალას ეძახიან გურიში.

ბა პაერში, და ცისკენ გაეჭანება. ზოგი ისე მაღლა აიჭრება, რომ თვალთაგან დაიკარგება. თითოეულ ნაფოტში რამდენიმე წელია ჩაყვანილი, და ასე ჩადის ნაჯახის პირი ხის გულამდის, მისი ყრმობისგან დაწყებული.

ბირდაბირი ხრიზინით უახლოვდება თელას გულსა და მისი პაერის პირს ხვდება. თელა დაირწევა და რამდენიმე წუთში თელაზე მიყრდნობილი წიფელა თავის მაშველთან ერთად ლაწანს მოადენს მიწაზე, ჩაიხერგება, ტოტები ხელფეხებით დაემსხვრევა. პაერი ხის წვერისა და დასრესილი ყვერის სუნით გაიყლენთება. მალე კუხიანი რცხილაც კუტი კაცივით დაგორდება გაშორილი წიფლისა და თელის გვერდით. ხის ფულუროდან გამოძვრება შშრალი ადგილის ცხრაფეხა და საზარელი გომბეშო. ცხრაფეხა თვალებს ჭოგრივით გარეთ გამოჰყოფს. გომბეშო კი ყელის ბუშტებს ჰბერავს, თვალეები უხამსათ გამოუჰყვეტია, კუშტად იწყებს მზერას. ისინი გაკვირვებით შეჰყურებენ თავიანთი ჩამობნელებული და ნესტიანი საყურდის ამფორაქებლებს, უკვირთ და სწყინთ გომბეშოს და ცხრაფეხას, რომ მათ საყვარელ სიბნელეს და სინესტეს სპობენ.

უცქერის ქიშვარდი და მასაც უკვირს და უხარია თავისი ხელების ნამოქმედარი. განა ისე დიდხანია მას შემდეგ, რაც ის, ჯერ კიდევ უღარღელი ბავშვი, ამ დობილოში გახევებულ გვიმრის ღეროებს ეძებდა, რომ თავის ტოლებს კაულებით შეჯიბრებოდა? იგი უფიქრალად გადაგორდებოდა ზოლმე კაცის სიმაღლე გვიმრაზე. ახლა კი ამ დობილოს ერთი ნაწილი ჩაის ბუჩქებით არის დაფარული... ჩაის პლანტაციის აქეთ, რომელშიაც ქალების ჯგუფი მუშაობს, სამი თვის წინად გადაბარულ ნიადაგში მესამე ბრიგადა ჩაის თესავს. აქ კი, ჯერ გასაკაფავ კოროში მოჭრილი წიფლების ტოტები შხულით ჰკვეთენ პაერს და ზარით და ზათქით დედამიწაზე ლაწანს ადენენ. აქ, ამ დობილოში, სადაც „შაში კურკანტელს ვერ გაიტანდა“, იმ ადგილებზე, რომლებსაც სამღვთოში დაცინვით „ტინტილას“¹⁾ საჩორჩიალას“ ეძახდნენ, უნდა დადგეს და დგება კიდევ სამღვთოს ხეავი და დოვლათი. ეს ნიადაგი, სადაც სიმიინდი ტაროს გამოღებამდე ზეზეულად ჰკნებოდა, წინად ბერწი და უნაყოფო ეწერი, ჩაისა და ნარინჯოვანების გულუხვი მასპინძელი გამოდგა.

ხეები დახერხეს. კუნძებს, გამოუყენებელ ნარჩენებს ერთად აგროვებენ დასაწევადად. ახალგაზრდები კოცონის გაჩაღებას პირველყოფილი ადამიანების სიხარულით მოეციან. ამიტომ ასე ვატაკებით მიაგორებენ ვეებერთელა კუნძებს კოცონისაკენ.

სწორ მორებს აქორთუხებენ. ქორთუხები²⁾ შევაკებამდე მხრით უნდა გაიტანონ. ქიშვარდი გულდაგულ თავში უდგება ქორთუხს ისე მაღლა სწევს ქორთუხს, რომ ტვირთი დანარჩენების მხრებს სცილდება. ბონ-

¹⁾ ხელიის

²⁾ გათხეულებული მორი ანუ კოტი.

დო კი შორიდან უწვდის ქორთუხს ხელს და თითქოს მთელი მისი მას აწვებაო, თავგატეხილივით ყვირის:

— კაცო, რა ტყვიასავითაა ეს შერგენებული! გაეწყვიტე შენ ღელში სხევებს ოფლი წურწურით ჩამოსდიო სახეზე, ის კამსკეჩქრისებამ ღელზე ხელს ისევამს. ზევით, დაეკებაზე ქორთუხს ტრაქტორს მიუბამენ. ტრაქტორი შრიალით მიათრევეს ქორთუხს შკერის ფურცლების საფენელზე.

— ბათომში რომ ვმუშაობდიო, პორტში, — წამოიწყო ძველი ამბავი სეფემ, — იქ იყო, შენ ხარ ჩემი ბატონი, ამისთანა მაშინა. ყვიმბარებს ტვირთავდენ. მაშინას ბატონით გრძელი კისერი პქონდა. აწყობდა და აწყობდა ყვიმბარებს, გორივით დააყენა. ერთი დაბალი თათარი იყო, მეკურნებ მუშა, აილო შეაშვალე ყვიმბარა და ფსკერით დააყენა. მეც ავიღე თექვსმეტ-ფუთიანი ყვიმბარა, გადმოვაბრუნე ვერმუდის ბოთლივით და კუშტულით დავაყენე.

ახალგაზრდებმა კვლავ სკეპტიკურად ჩაიციინეს. დაეკედნენ, რომ ფილენჯი სეფე თექვსმეტფუთიან ყვიმბარას ასე ადვილად ასწევდა.

ბონდო ერთხანს ქალიშვილებს ელლაბუცა. შემდეგ ხავსზე წამოწვა. ოხრავდა, ხენეშოდა. ყველას შესჩიოდა, წელი მტკივა, თაებრუ მესხმისო.

— კაცო, თლათ საპყარი თუ ხარ, წადი ბარემ სახლში. სხვას გულს ნუ უტრუებ მუშაობაზე! — უთხრა დანიელამ.

ბონდოსაც ეს უნდოდა. ქორთუხზე გადაფენილ ხალათს და ფორებიან ქამარს ხელი დაავლო და წელის ზეღვით და ოხვრით სახლისაკენ გასწია.

„მაღალმა სადილობამ“ მოატანა. კაპიტონა მწარე გოგრის თუნგებით წყაროზე წაეიდა. ქიშვარდიმ კი, რომ სადილის დაწყებამდე ციციოს არ შეხვედროდა, კოპერატივში წასვლა იკისრა პურის ჩამოსატანად.

სანამ სხვებთან ერთად მუშაობდა, წინა ღამით აშლილი უსაამოვნო ფიქრები ვერ სძალავდნენ. ახლა კი, თითქოს ადამიანი დაიმარტოხელესო, კრაზანებივით დაეხვივნენ. ქიშვარდი ჩაფიქრებული მიდიოდა და ვერც კი შენიშნა, თუ როგორ გასცდა კოპერატივის შენობას და სიპიტოს ეზოს მიუახლოვდა. კამათლების ხმამ და ნარდის ფიცარზე ჭვიშარის გაცხოველებულმა ცემამ გამოიყვანა ფიქრებიდან. ვილაც თავგამოდებით ახეთქებდა ფიცარზე ნარდის ქვას, თითქოს ნარდის გახეთქა სურსო.

— ერთი კინკილო, შენი ქირიმე! — ევედრებოდა ვილაც კამათელს. მუტაში ახაქუნებდა და ზედ აფურთხებდა. ქიშვარდიმ ბონდოს წვრილო, ქალური ხმა იცნო.

— დუშაში კამათელო! — სუფლიორივით უჩურჩულებდა მეორე ხმა კამათელს.

ქიშვარდი სულგანაბული იდგა და ყურს უფდებდა. სჩანდა, ბონდომ მოწინააღმდეგე ჩიხში მოაჭკია და ალტაცებული ხმით გააკიოლა.

— ახლა რას შობი ახლა რას შობი! მოუტანეთ ვინცხამ გაზეთი.

ქიშვარდის მხოლოდ ხმა მოსდიოდა მაღალ, ტრიფოლიურად გადაზრდილ ყორიდან. მოთამაშეებს კი ვერ ხედავდა. ქიშვარისგან განსხვავებით, შეიკვრიტა. მონარდებს თვალი მოაველო. კურების თქმულებას წყნარად ხის ჩრდილში ჭილოფი გაედინათ. ბონდო თითქო თავის მხარეს მხარეს მხარეს მხარეს. მის მოწინააღმდეგეს გზა შეკრული ჰქონდა. ბონდოს გამოჰქონდა ქვიშარი და თანაც აღრეულ ატამს იღმურძლებოდა. ბონდოს პარტნიორი სოპიტოსას მცხოვრები ტექნიკოსი იყო.

— ძაღლის ძვალია კამათელი. აბა, რა გვეგონა შენ! კილო ერთი ხელი და ვათავდა შენი რეკორდი, — უუბნებოდა ბონდო ტექნიკოსს, რომელიც გამუდმებული წაგებით გულგაწყალებული გაშეშებული შეკყურებდა ბონდოს თვლებში.

ქიშვარდი უსიტყვოდ გამობრუნდა. ისე არეული იყო, რომ ძლივს მოიგონა, თუ რისთვის წამოვიდა აქეთკენ. პური ააწონინა და სატურია-საყენ გასწია. ახლად გამომცხვარი პურები ილლიას სწევავდა. მწვავე ფიქრები კი ტვინს.

— თუ მუდამ ასე წაუწევა სამუშაოს, რა თქმა უნდა, მხიარული იქნება. ცეკვაშიაც აჯობებს ყველას და სიმღერაშიაც. იმიზე შეუძლია მთელი დღე ღლაბუცი. შანციანი ბიჭიანო, რომ ამბობენ გოგოები, მასე ჭილოფზე გორვაში ყველა კაი ვაჯაკაცია.

ქიშვარდი ისე იყო წასული თავის ფიქრებში, რომ ფეხის წვერებს წამდაუწუმ ქვებს წამოჰკრავდა ხოლმე. ფეხის ცერები სულ დაეყევა ორჯერ პურიც დაუგორდა. სუფრა უკვე გაშლილი იყო, როცა სატურიაში ჩავიდა. მომუშავეები ხელს იბანდნენ და ილლიაში იმშრალეზდნენ. გადმოალაგეს ძმრით და ნიგვზით შეკაზმული ეკალი, მწვანე ლობიოს შექამანდი, ყველი, მრგვლად მოხარშული დედლები.


ციცინო და პელო ჩაის წენგოთი გათენგილ ხელებს იჭებდნენ და გუშინდელ ქეიფზე საუბრობდნენ.

— რას უსანსალებდა წუხელ ბონდო ფეხებს! — აღტაცებით ყვებოდა პელო.

ქიშვარდის ბონდოს ქება ლახვარივით მოხვდა გულში და დანოულას გაბრაზებით მიიძახა:

— გაგაცურა ხომ ბონდოიამ! რომ დეისამყრა თავი. ეგერ წყვილის ჩრდილში წამოწოლილა ჭილოფზე და ნარდს აჩხაკუნებს. ჩვენ აქანე ტყლიპი უნდა ჩაგვექცეს მუშაობით!

თითქმის ყველა ჭამას იყო შემდგარი, მაგრამ როგორც კი ნარდის თამაშის ამბავს მოჰკრეს ყური, თითქოს სადმე ხანძარი გაჩენილიყო, ერთბაშად წამოიშალნენ და კოოპერატივისკენ გაიქცნენ. გაშლილ სუფრასთან მარტო პუბი დარჩა, რომ ძაღლებს მრგვლად მოხარშული დედლები არ დაეთრიათ. მთელი ბრიგადა ბონდოს ეზოსკენ გარბოდა. ზოგს ქათმის ფრთა გაჰყვა ხელში, ზოგს ყველის ნაჭერი. გზაში ილუკმებო-

დნენ. ბონდოს ეზოს მიაღწენენ. კისერი წაიგრძელეს.  მოდენა ხალხის მოწოლისაგან კრაქტუნი შექნა და მონარდების ყურადღება მიიპყრო. ბონდო მობრუნდა, გზისკენ გაიხედა. ხელათქმული იყო საქმე. ისე წამოვიარდა ზეზე, თითქოს ქურდობაზე მიუსწორესო, თავის თანამონარდეს არაფერი უთხრა, ეზოს მეორე მხრისკენ გაიქცა და ლაბეზე გადაეშვა. ტექნიკოსი სახტაფ დარჩა. გაკვირებული უყურებდა თუ როგორის ლაწალუწით გადადიოდა ბონდო ლაბეზე.

— ნეტა რა დააშავა ასეთი! — ფიქრობდა იგი.

ბრიგადა სატურიაში ბრუნდებოდა.

— მამამისივით უკმაკური კაცია, — სთქვა დანიელამ.

— მამამისი თავისთვის მაინც ილღიტებოდა, თოხნოსავით

მაინც მიითლიდა. ეს კი არც თავის თავს არგია და არც სხვას, — სთქვა სეფემ.

— დიდი რწყეულია მარა-ძაან შანციანი ბიჭი კია, — გადატლაპარაკა პელომ ციცინოს.

მეორე დღეს, საღამოს, სოფლის საბჭოსთან არსებული ამხანაგური სასამართლოს სხდომა იყო დანიშნული. ბონდოს და ულიზბარას საქმე იჩინოდა. ორივეს კარიკატურა იმ დღეს კედლის გაზეთში — „ჩაის ფრონტში“ — იყო გამოქიმილი. ბონდომ შენიშნა, რომ ჭიშვარდი მთელ დღეს რედაქტორთან ტრიალებდა.

კედლის გაზეთის ირიბი ხელთნაწერი ქარისაგან დაწვენილ ყანას ჰგავდა. სხანდა, რედაქტორს მოეცალა ბონდოსა და ულიზბარასათვის. მთელი ორი სვეტი დაეთმო მათთვის.

„გამოუსწორებელი სიმულიანტი ანუ ნარდის თამაში მაისის ორშაბათს“ — ეწერა კარიკატურას სათაურად. თუმც სამლეთოში კვირა-ორშაბათობით დღეებს აღარ ითვლიდნენ, მაგრამ მკონარეებისა და ზარმაცების შესახურებლად ეს ეპიტეტი ძველი სიტყვიარიდან დაესესხებიათ სათაურის წითელი და შავი მელნით შესრულებული ასოები ერთმანეთს რიგშეცვლით მისდევდნენ. ამას კარიკატურა მოსდევდა.

პირველ პლანზე ბონდო იყო გამოხატული. ბონდო ერთი ადლის სიმალლე, დიდი მორის მსგავს მუთაქაზე იჯდა. ფეხები აღმოსავლური წესით ჰქონდა მორთხმული. ამ სიმალლე მუთაქაზე ჯდომა და იმავე დროს ფეხების მორთხმა ჯამბაზსაც გაუჭირდებოდა, მაგრამ მხატვრის ფანტაზიას ეს სიმძნელე ადვილად გადაელახა. ბონდოს კისერიც უფრო წაგრძელებული ჰქონდა, ვიდრე სინამდვილეში. სახე დაღმეკილი და ჭოჩორი ყალყზე შემდგარი. ხელში ბატის კვერცხისოდენა კამათლები ეჭირა, რომლებზედაც ღუშაში იყო გამოყვანილი. ნარდის მოთამაშეებს წყავის ხე მარაოსავით ადგა თავზე. ლილისფრად შეღებილ ცაზე კი თითფრის ტაშტის ტოლა მზე ყოველი მიმართულებით ისროდა სხივებს, შუბბებივით წამახეული სხივები კოლმურნეების კეთვას ეცემოდა. კოლმურ-

ნეებს ზირდაბირით შორებს ხერხავდნენ და მძიმე ქორთუებს კრებოდნენ. ჭალებიც თავმოდგმულ ვეებერთელა ჩაის კალათებს მიითრევდნენ. მომუშავეებს სახიდან ოფლიო ღერად ჩამოსდიოდათ. ზონდოს სათრეველი ლექსი იყო მიწერილი.

ძაან ცხელი დღე იყო,
 ბრიგადას ვერ ვემსახურე,
 ნარდის თამაშს შეუდექი
 ბრიგადირი გაეცურე.
 ხის ჩრდილში რომ ეგორაობდი
 არ მეგონა საქმე ავი,
 როცა თავზე წამომადგენ,
 დობილოში ვდურთვ თავი.

ზონდოს კარიკატურის ქვეშ ელიზბარა იყო მოთავსებული მასზე სამჯერ უფრო მაღალი ყანწით ხელში. თავზე წარწერა: „ყანწიყლაპია თამადა.“ ქვევით ლექსი რებუსი:

ქეიფში რომ ვიახელი,
 არ დამიჯდა ავი ძვირი,
 ლენო ბერი ველაპე,
 დიდათ ვაღე პირი.
 ზოგმა ჩემი თამადობით
 მოიმტრია ცხვირი, პირი,
 სილოვანის კიშკარს რომ ვებძოლე,
 ამით ვიყავ დიდი...

აქ მოლექსეს მხატვარი მოშველებოდა და ორმარცვლიანი სიტყვის ნაცვლად ერთი დიდყურა ცხოველი დაესატა.

ზონდო მთელ დღეს უტრიალებდა კოლმეურნეობის გამგეობის შენობას, მაგრამ გაზეთს ხალხი ეხვევოდა და ის მწოლოდ შორიდან ათვალეგრებდა საკუთარ დადმეკილ სახეს, გროხა კამათლებს, ზედ ამოკრილი ღუშაშით. ბოლოს, შეადლისას, როცა ხალხი მიმოიფანტა, კოლმეურნეობის წინ აჩქარებული ნაბიჯით ჩაიარა და კედლის გაზეთს მწიფე ოტური*) სთხლიშა. თავის კარიკატურას უმიზნებდა, მაგრამ „თხლოსო“) ოტური მიზანს ასცდა და გვერდით წერილს მოხვდა ბრიგადების შეჯიბრების შესახებ. ზონდოს კარიკატურას მწოლოდ ნაშეფი მისწვდა და თევი ჩამოარეცხა, ხოლო ელიზბარას მთელი ფიგურა ჩამოაცალა. ასე რომ კარიკატურები ძველ დაზიანებულ ფრესკებს დაემსგავსა — ელიზბარასგან ხელი გადარჩა, რომელსაც ვეებერთელა ყანწი ეკირა, ზონდო კი უთაოდ თამაშობდა ნარდს. ეს მკითხველებს უფრო მოეწონათ და „ჩაის ფრონტ“-ს მთელი დღის განმავლობაში ხალხი ბუზივით ეხვეოდა.

*) მფავე ხილია.

**) გადამწიფებული.

ამხანაგური სასამართლოს სხდომას ჩვეულებრივ სხვა მარჯაღის წევრებიც ესწრებოდნენ. ამ დღეს კი შემთხვევით რაიკომის მდივანი ამოვიდა და კლუბის დარბაზში აღარებელმა ხალხმა მოიყარა ერთ-ერთი კომუნურნიების თავმჯდომარემ გახსნა. მდივანმა საბრატნიკის წაიკითხა. ბონდო თავის მართლებას მოჰყვა.

— დასურ ავით ვიყავი, წელი მტკიოდა, სტუმარს ხათრი ვერ გაუტეხე და იმიზე ვთამაშობდი ნარდსო.

— წელი თუ გტკიოდა, ჩემო ბიძია, იი რაფერ იყო, რომ ცვითვ თავი და კურდღელივით გადახტი საფიან ლობეზე, — წამოიძახა დანიელამ.

— მია, ძმაო, გასაჭირი მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, ისეა ახლა, — ჩაილაპარაკა ვილაკამ დარბაზში.

— შენ გგონია ახლა, დიდი ჰეკიანური თქვი, — გაცხარდა დანიელა. — ეფუ მათე ვინ გყავს მტერი, ვინ შეჭამა შენი კვერი. რა გაქ, ძამია, გასაჭირი. თუ კაცი არ ქურდობს და არ შამაძაღლობს, ქე იცხოვრებს სიამტკბილობით ამ დროში. გუშინ ველაპარაკებოდი ჩვენი ბრიგადის ხალხს და ახლა აგერ გიორგიც ბრძანდება, კაცი რაიკომის მდივანია, ქე იცის ჩვენი ძველი ამბები, მარა ჩემსას მაინც ვიტყვი: რა გინდა, ძამია, რა გიჭირს, ძველი დრო არაა, ფოთში არ გინდა ჩალანდრობა, ქერაში არ გჭირია სიარული და სევასტიპოლოში. სამუშაო სახლში გაქ. თქვენ, ახალგაზრდები რომ ხართ, არ გინახავთ ბიძია, გასაჭირი, არ მოგხდენიათ ლაჯებში ტალახი. კურტანით ჩვენ გადამშპარი გვექონდა ზურგზე ტყავი. გვიგო უნდა ამ დროის ამბავი. ამ დროში თუ მიხვედრა და დაჯერება აქ კაცს, არაფერი გუუჭირდება. მომხსენებელი რო მოვიდა და ქადაგობა დეიწყო, ჩაი უნდა ვაეაშენოთო, მანდარინები უნდა დავრგოთო, თვარა თქვენ გაჭირვებას საშველი არ დაადგებაო, ჩემ გულში ვამბობდი, რას ჩივა ამ აბდლურს აი კაცი მეთქი. ახლაა რომ წახდა ჩვენი საქმე თქვა, ჩემ ზღიპარტლებს ერთი გოდორი მანდარინა რომ დუღდგა წინ, მაინც ვერ გააძლებსთქვა. მანდარინა და ფორთოხალი ნაქამადეგსაა კარგი, თვარა ჩემ ბაღებს რო მოშვიდებოდენ, ქადიზა ბუხრის თაროზე მიფორთხავდენ, ჩაი და მანდარინით რაფერ უნდა ვიცხოვროთმეთქი. ზოგიერთები კილონაერობალი ხალხი, გვაქეზებდენ: არ დაუჯეროთ მთავრობას, დაგაფსებს მაგენის ხუთწლიანი და ათწლიანი გეგმებითო. ახლა, ბატონო, აი ჩაი რომ გამრავლდა, იმას ქადიც ქე მოყვა და პურის კაკალიც. ახლა ჩვეიცვით და დევიხურეთ. ჩვენი ქალები ჩითის კაბას აღარ კადრულობენ თუ არა აბრეშუმის. მთავრობასაც უხარია აი ჩაის გაშენება და ჩვენც კარგა გვიშართეთ წელში. გიორგიმ ქე იცის კარგად, როგორ ცხოვრობდა მანამდი ხალხი. ნაგულაით ვიფხანდით ზურგს. რაღათ მინდა, ბატონო, მარტო სიშინდს რომ ვადავეყვე! ქიპი ზომ არ მაქ ზედ მოჭრილი! ლეკიაში რომ ვმუშაობდი, ექვსი თვის საყოფ სიშინდს ამოვიტანდი და ექვსი წლის ციფბას. არა, ბიძია, ამ დროში ვალღეტილობით ვერაფერს ვააკეთებს კაცი.

ხავს, ღმერთო, ნურც ჩემ სიბერეს უჩვენებო, რომ იტყვიან, სწორედ ჩემი საქმე. მარა ისიც გასაკვირია, ასე რაფერ მოვაწიე, ეს ქელი არ დამბრუნებია თავზე, თორემ სხვა არაფერი დამკლებია, თორაზი არ დამკლებია, სტრანეიკების და ყაზახ რუსების, ვეღარც ვიცი, რომ დაგვაგუბაშეს და კაზაკებმა ცბენებით გადაგვიარეს, იქ მაქ ორი ნეკნი ჩამტერეული.

ფარნას სეფეს კვენხაზე გულში ეცინებოდა, რას ჩურჩუტებს აი ბერი კაციო — ბურთის ამოლღეტაშიც პირველი ვიყავი, სირბილში და გადახტომაშიცო. ამა რა დასაჯერებელია, — რა მორბენალი და მხტომელი უნდა ყოფილიყო კაჭა-ფეხება ფილენჯი სეფე. ლაჯებს შორის დაუღლული ღორი გაუძვრებოდაო“, ამბობდნენ მასზე შეზობლები, როცა თემშარაზე მობაჯბაჯეს დაინახავდნენ. მაგრამ ასეთია კაცის ხასიათი — ფიქრობს ფარნა, თუ ახლა არაფერი აქვს სატრაბახო, ახალგაზრდობის ვაჟკაცობას მოიგონებსო. არც ისეში ყოფილხარ დიდი ბარამგურიო, უნდა უთბრას სეფეს, სიტყვა ენის წვერზე უტრიალებს. მაგრამ ვერ გაუმეტებია, ისედაც ძლიერ მოკანტურობს საწყალი ბერიკაცი. მართლაც ძალიან მოუტეხია სიბერეს და ავადმყოფობას. ნაოკებით დასერილ სახეს შაის ფერი გადააკვრია, ამოღამებული თვალები ფოსოებში სადღაც დაპკარგვია, ბერეტის მაგვარი ყაიასნაღით ნაქსოვი ქრელი შალის ქუდი გაფარჩხულ წარბამდე აქვს ჩამოფხატული. ნიკაპთან მოყრილი დაპენტილი მატყლივით რბილი წვერი როგორღაც გვერდზე მოქცევია. უკბილო ზედა ნუნა, რომელშიც ჩამტერეული ჩხირებივით ჩარჩენილა ორი ყუამდე დასული ეშვი, კიდევ უფრო ამძაფრებს ამ უსასოების შთაბეჭდილებას. ტანთ დაბამბული ჯუბა აცვია, წელზე ხელით ნაქსოვი თავშალი აქვს შემოხვეული, ფეხთ ამ პაპანება სიცხეში ქეჩის ყელიანი ჩექმები აცვია. თინც ისე მობუზულა, იტყვიოთ კიდევ სცივაო. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ უკვე ქოშინს იწყებს. კაჭა ფეხებზე დაყრდნობილი მოკლე ზედატანი აკვანივით ირწყვია.

ამ ღონღლით სიბიტოს ეზოს მიღწიეს, საიდანაც ხიდისაკენ მიშავილი ახლად გაფართოებული შარაგზა იწყება. გზა ჯერ დაუმთავრებელია. ღობეებს უკან დაუხევიათ და ვიწრო შუკა, სადაც წინად ორი ჩალით დატვირთული ურემი ერთმანეთს გვერდს ვერ შეუვლიდა, ფართო საავტომობილო გზად ქცეულა. ჯერ ყველაფერს დაუსრულებლობის კვალი აზის. წინად გზისპირად ჩამწყრივებული ტელეგრაფის ბოძები ახლა შუა შარაზე დარჩენილან. გზის ახალი, ჯერ კიდევ დაუბენტავი ზედაპირი საბარგულებისა და ურემების თვლებითაა დასერილი. სათრიელით ნაზიდ მორებს მრგვლად ამოხეწილი კვალი გაუვლიათ გზის შუაგულში. სეფე ქოშინით მოღონდილლებს, ფეხი ხან მანქანის ნაკვალევში ჩაუვარდება, ხან მორისაგან ვავლებულ ქრილში.

— აი ვიდი! ჩიტი უფრინავთ გულში. მაგენისაა დროება! სიძველე სეფემ, რომელიც კინალამ წააქცია ახალგაზრდების მოულოდნელმა ჩაქროლებამ. — სისხლი ერჩით ბატონო, ჩემსავით კი არა აქვს სისხლი გამშრალი. კაი ბიჭია შენი ქიშვარდი, ფარნა, ქაჩუქუქუქუქუქა ზრდა, სწორედ ბედნიერებაა მაგისტანა შეილის ყოლა.

ფარნამ საამოვნებით გაიღიმა, მაგრამ არაფერი უპასუხა. ხილისაკენ მიმავალმა. ქალიშვილებმაც გაუსწრეს ტაატით მიმავალ ფარნას და სეფეს.

შუადღე, გახდა, სანამ ამ ღონილით ნადინების ხიდთან ჩაედიოდნენ. უკვე აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. მთელი სამღვთოს და მელიქაურის თემი იქ იყო. იქაურობას აყრუებდა მხიარული ბრბოს ყვილ-ხვილი. მელიქაურის და სამღვთოს კოლმეურნეობების მომღერალთა გუნდებიც იქ იყვნენ ჩაქურებში გამოწყობილი.

ხიდს საქართველოს ჩაის ტრესტი აგებდა. იგი კანკუთის ჩაის ქარხანას რკინის გზის სადგურთან აერთებდა. მაგრამ ვერც სამღვთო და ვერც მელიქაური გასძლებდნენ უხილოდ, ამიტომ მუშა-ხელს სამღვთოს და მელიქაურის კოლმეურნეობა აშველებდა.

მდინარე ნადინები, როგორც ყოველი მთის მდინარე, კირვეული და ავზნიანი იყო. წყალდიდობის დროს ყოველთვის იცვლიდა კალაპოტს, გაღმა-გამოღმა ბორცვებს შორის მოქცეული ფართო ქალა მის სათარეშო მოედანს წარმოადგენდა. ამიტომ რკინატინობის ბოძებზე შემდგარი ხიდი მთელი ქალის სიგრძეზე იყო გაჭიმული. წინათ ლანქერის და წყალდიდობის დროს სამღვთო მთელი კვირაობით იყო მოწყვეტილი რაიონულ ცენტრს, მაგრამ მაშინ ეს იმდენად საგრძნობი არ იყო. ორიოდუე ურემ თბილს, მსხალს და ვაშლს თუ გაიტანდნენ სოფლიდან. ახლა კი განუწყვეტელ ქარავნად მიედინებოდა ხელოვნური სასუქით, პურის ფქვილით, ჭიმკალიებით, შესაწამლი ნივთიერებით დატვირთული საბარგულები და ურმები. ნედლი ჩაის ფოთლის გადაზიდვის დაყოვნება ხომ ერთი საათითაც არ შეიძლებოდა, მაშინვე შეხურდებოდა და გაოხრდებოდა.

ხიდის მშენებლობა ვადაზე ორი კვირით ადრე დამთავრდა და მოძრაობაც გაიხსნა. დაუსრულებლად მიედინებოდნენ საბარგულები კანკუთის ჩაის ქარხნის მშენებლობისაკენ. უზიდებოდნენ ხე-ტყეს, მჭიდს და კირს, თუნუქს და ეტერნიტს, ტუფს და აგურს, არმატურას და საკანალიზაციო მილებს, ქვანახშირს და მაზეთს, შუშას და ელექტრო-მოწყობილობას. მაგრამ ახლა, საზეიმო ვახსნის წინ, ხიდის ორივე თავში, თალებს შორის, წითელი ბაფთები გაეჭიმათ. სახელურებზედაც წითელი ჩაბარეშები იყო დახვეული. ხიდზე არავის ატარებდნენ და, როგორც ყველაფერი აკრძალული, ეს უფრო ახელებდა პატარა ბიჭებს. ისინი ცდილობდნენ ხიდის თავში მდგომ კოჭლი დარაჯის სიფხიზლე მოეტყვილებიათ. ბოძებზე ამობღებულნი იყვნენ და ხიდზე გასულიყვნენ. კოჭლი დარაჯი ისე-

თის გაშმაგებით დასდევდა აბეზარ ბავშვებს, თითქოს — მათის სიმძიმით ხიდი ჩაინგრევია.

რაიონის ხელმძღვანელ მუშაკების მოლოდინში ცეცხლსა და გაეჩაღებიათ. სკაჩია შემოჯარულ ხალხს წვივებს ამტვრევდა, ცეცხლსა და ცეცხლსა წრე გაეფართოებია. მელიქაძურის მომღერალთა გუნდი საცეკვაოს დასძახოდა. ბონდო დიდ ფაცი-ფუცში იყო. თავის საცეკვაო წრის ხალხს სათამაშოდ იწვევდა. ბრილიანტი და მარგალიტა „არ ვიცი, არ ვიცი“-ს ძაბილით შლიდნენ ხელებს.

შემდეგ ბონდოც გამოვიდა და ციციხო გამოიწვია საცეკვაოდ, სამღვთოში ჯერ უნახავმა მისმა საცეკვაო ილეთებმა ყველა ალტაცებაში მოიყვანა. მის ცეკვაში ყოველნაირი სტილი და ყაიდა იყო არეული. ჩაჩნურს თამაშობდა, მაგრამ ხან სევანურ ცერულსაც ჩურთავდა, ცერებზე მაკრატლისებური შლიფერხილით მიდიოდა წინ. ხან ციციხოს წინ დაუხვდებოდა და მუხლებზე დაცემით გზას გადაუღობავდა. ისეთი ძალით ეხეთქებოდა დედაშიწაზე, რომ მაყურებლებს მის მაგივრად სტკიოდათ მუხლებზე, თან ყურთასმენის წამლებად ჰკიოდა „ოსურ-ასა-ასა“-ს სახეზე ხვითქი გადასდიოდა. აზიური ჩექმების ლეკვერთხების ბალთები ბუქნის დროს ზევით მიხტოდნენ, ჩაჩნური ხალათის ფართო სახელოები ჰაერზე აფრასავით ფრიალებდნენ. სუნთქვა ეკვროდა, მაგრამ დაღლილობას მაინც არ იმჩნევდა, მაყურებლებს ახალ და ახალ ტრიუკებით ანცეფტრებდა. ხან ჰაერგასმას იყენებდა ასკინკილასავით ცალფეხის ჰაერში სავსავით, ხან-სარეცხულა გასმას, ხან ჩაკრულ გასმას. მის მოძრაობას პლასტიური გააზრება აკლდა, მაგრამ ჩაგუნას ცეკვა-შეჩვეულ მაყურებლებში მისი უცხო მოძრაობანი დიდ ალტაცებას იწვევდა. ციციხოს მისი მოულოდნელი მოძრაობა აბნევდა, სახტად რჩებოდა და მხოლოდ ღიმილით უბასუხებდა ბონდოს ქუსლ ჩაგრებით დაელას. ქიშვარდი შურიტ შესცქეროდა მათ ცეკვას.

— სწორედ ერთმანეთის შესაფერი არიან, მაი შეჩვენებულები! — ჩაილაპარაკა ვილაცამ მის გვერდით.

და ეს შეფასება ისე ჩაეჭო მებხიერებაში ქიშვარდის, როგორც ერთდროს სამკითხველოს კედელზე მიწერილი „ქიშვარდი—ციციხოს“. ციციხომ და ბონდომ ცეკვა დაასრულეს. ერთხელ კიდევ დასძახეს მომღერლებმა გურული საცეკვაო ვო-ჩაგუნა. კიდევ ჩამოუარეს მსუბუქი ცანცარიტ მარგალიტამ და ნაპოლეონმა. მაყურებლებს ხელის გულები დაუსკდათ ტაშის ცემით, მომღერლებს ხმა ჩაეხრინწათ, ქიშვარდი კი ისევ გარინდებული შესცქეროდა ბონდოს წრეში მდგომ ციციხოს.

ნუთუ ეს ის ციციხო იყო, რომელიც მას სულთმეწიას აღმართზე თითქმის ატაბებული აპყავდა. ნეტავი დღეს ეჩვენებოდა ასე ლამაზი, თუ მუდამ ასეთი იყო. არა თუ ქიშვარდი, — ყველა მას შესწერებოდა. არა, დღეს მეტად ლამაზი იყო. სადაფივით კრიალა სახის ფერი თითქოს თვალებს ეჯიბრებოდა სიციხეცხალეში. ნესტო-ბაგეტებს ირგვლივ სახე თეთრად

კიაფობდა, დაწვებს კი თითქოს წითელი ყანაოზის ბერეტიდან დასრულებული ღრისფერი ჩრდილი ადგა. მაგრამ მთავარი მაინც ღიმილი იყო, რომელიც ცოცხალ რამე არსებასავით თამაშობდა მის სახეზე. ეს დაუღეპველი ღიმილი კირვეულად ამობურცულ ბაგეებზე ჩაისახებოდა და მისი მხარისაგან ანასხლეტი შეჭვივით თვალეზე გადაფრინდებოდა. ვერ გაიგებდით, რაფერისა იყო თვალეები—მუქი ლურჯი თუ შავი. ეს მზის შეჭვივით ჩამდგარი ღიმილი თვალის უბეებს ავსებდა და თვალის ფერის ჰერეტას არ განებებდათ. ღიმილი მთელ სახეს სცვლიდა. მიჯრით მიწყობილი კბილები თავს თითქოს ვიწროდ გრძობდნენ ბაგეების მიღმა და კიაფით წინ გამოფენებოდნენ. ფიქალი დაწვები თითქოს გაღიმებისას აიბურცებოდნენ და ორგან ჩაიჭუჭკნებოდნენ. მსუბუქად მომშვილდული წარბები სოთი ცხვირის ხაზებს პირდაპირ ავრძელებდნენ, მაგრამ ლაღაც ამობურცული კვინიხის ძვალი წარბებს მიმართულებას უცვლიდნენ. წარბი წამწამების ხაზს შორდებოდა და ზევით მიიკრებოდა, თითქოს თვალეებს ებუტებოდა. წინამოსაკენ მანძილი ნუშის ფორმის თვალის ნახევსა და წარბებს შორის იზრდებოდა. ეს ღიმილი ავსებდა თვალეებს, ბაგეებს და მთელ სახეს ეფინებოდა, როგორც მზის შუქი წვიმით დაბანილ კორდს.

ყველა მას შესცქეროდა და, ალბათ, გაზეთის კორესპონდენტიც ამიტომ აქცევდა მას განსაკუთრებულ ყურადღებას. მან დამკვრელი ქალების სურათი გადაიღო. ციციანო მაინც განსაკუთრებით ამოიჩემა, აგერ მესამედ გადაიღო მისი სურათი და კვლავ შავი ფარდა თავზე გადაიხურა და ციციანოს ეუბნებოდა — აბა მხიარული გამომეტყველება მიიღეო. ციციანოს გაღიმება უნდოდა, მაგრამ ამ დროს მისი თვალეები ნამცეცას და მარგალიტას თვალეებს შეხვდნენ. ციციანოს უცებ გაუჭრა ღიმილი სახეზე. შენიშნა რომ კორესპონდენტის მისადმი გადაქარბებულ ყურადღებას ქალიშვილები შურთან თვალეებით შეპყურებდნენ.

— რა ამბავია, მას რომ სამჯერ გადაართვა სურათი? თუ დამკვრელი ლობაზეა საქმე, ჩვენ მაგზე ნაკლები რითა ვართ. მაგი დიდი-დიდი 25 კილოს თუ მოკრეფს კას მოსულ ჩაიზე, ჩვენ ოცდაათობეტსაც ვკრეფთ და მაგი ნახევარჯერ/საკერავზე მეშაობს.

ქონია კიდეც ცეცხლზე ნავთს ასხამდა. ქალიშვილებს ამბავი მიუტანა — კორესპონდენტმა უთბრა ციციანოს, კინოსთვის გამოდგებო. კორესპონდენტმა ბონდოსაც ჰკითხა ციციანოს რომ არ შორდებოდა და ციციანოშიც რომ თავი გამოიჩინა — თქვენც დამკვრელი ხომ არ ხართო. ბონდომ რაღაც გაურკვეველად ჩაილულლულა. სამაგიეროდ ელიზბარამ გულიანად გადაიხარხარა და ჩაიმღერა.

შენც დამკვრელი, მეც დამკვრელი
ორი კვარტის დადამკვრელი.

ამ დროს ხიდის სახელურზე ამძვრალმა ბიჭებმა ყიყინა დასცეს: მოდიან, მოდიანო. გზაზე გამოჩნდა რაიკომის ლურჯი, გამტვრიანებული



„გაზი“ ქიმზე მოფარფატე პატარა წითელი დროშია, მას მოსდევდნეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურის, რაიადმასკომის თავმჯდომარის მანქანები, შემდეგ — რაიკოოპკავშირის საბარგული სასულე „გაგისტრის“. ატრაქარენის ბოლოში მოდიოდა ხეტყით დატვირთული სამტონიანი საბარგული და ტანმორჩილი მანქანა, რომელიც ჩაის ქარხნის მშენებლობაზე მორებს ეზიდებოდა. ყველა მანქანამ ერთდროულად გაიარა ხიდი, ხიდის მშენებელი ინჟინერი ხიდის თაღებქვეშ დადგა, თითქოს ამით სურდა ინჟინერბია რომ მის მიერ ნაგები ხიდის იმედი ჰქონდა. სასულე ორკესტრი სვლის დროს ტუშს უკრავდა და შვეტროვილი ხალხი „ვაშას“ ძახილით ხედებოდა მოსულეებს.

მშენებელმა ინჟინერმა რაიკომის მდივანს გიორგის ხიდის დასრულება უპატაკა. მიტინგი გაიხსნა. გიორგიმ სამღეთოელებს და მელიქაურელებს ხიდის მშენებლობის დასრულება მოულოცა. ნადინების ხიდი ერთი აგურია სოციალიზმის იმ დიდ შენობაშია, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მშრომელები აგებენო. გიორგიმ სიტყვა მოკლედ მოსჭრა. რაიადმასკომის თავმჯდომარემ დაჯილდოვებულთა სია წაიკითხა, ზოლო რაიკოოპკავშირის თავმჯდომარე აფრასიონ ქანუყვაძე იქვე შეუდგა პატეფონების, გიტარებისა და სახალათე ნაჭრების დარიგებას. ყოველი გვარის ამოკითხვას და ჯილდოს გამოცხადებას ორკესტრი ტუშით ხედებოდა. აფრასიონმა პატეფონებისა და ჯემპერების დარიგება რომ დაასრულა, თითონ ავიდა საბარგულზე სიტყვის წარმოსათქმელად. ყველამ სასოწარკვეთით ამოიხეხეშა. აფრასიონ სიტყვამრავალი ორატორი იყო და პატარა რამეზედაც უყვარდა სიტყვის გაგრძელება. ახლა კი მთელი ქალის სიფართეზე გაქიშული ხიდის შესახებ რამოდენა სიტყვის თქმა შეიძლებოდა. რასთან არ შეიძლებოდა მისი დაკავშირება: რაიონში გაშლილ საგზაო მშენებლობასთან, რომელიც თავის მხრივ ჩაის ქარხნებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობასთან იყო დაკავშირებული, ტვირთზიდვის საერთო ზრდასთან და მთელი რაიონის რეკონსტრუქციასთან. ჩაის კულტურასთან დაკავშირებით. რა მადლიანი თემა იყო აფრასიონის მკურმეტყველობის გასაშლელად, მაგრამ მაგარი ის იყო, რომ ყველა ამ ამბის ერთმანეთთან დაკავშირება აფრასიონს უძნელდებოდა. ამიტომ ამოჩემებული ჰქონდა ორი სიტყვა — „გესმის“ და „გეიგე“. ეს იყო მისი უსაზომოდ გრძელი სიტყვების კირი და დუღაბი. ამ „გესმის“ და „გეიგეს“ ჩაურჭობდა პალოსავით ყოველი წინადადების ბოლოში. მიტინგების ეამიაო, — ამბობდნენ რაიონის მუშაკები აფრასიონზე. მისი გამოჩენა ტრიბუნაზე საქმარისი იყო მიტინგის დასაშლელად. ახლაც აფრასიონი დიდის გატაცებით ლაპარაკობდა, თითონ მსმენელებზე უფრო ღელავდა და არა თუ წინადადების ბოლოში, არამედ ყოველი ორი სიტყვის შემდეგ ჩაურთავდა ხოლმე თავის აკვიტებულ „გესმის“ და „გეიგე“-ს.

ქიშვარდის საბურთაო ტანსაცმელი იღლიაში ჰქონდა ამოწილი და მოუთმენლად მოელოდა მიტინგის დასრულებას. ის უკვე ბურთაობის აზარტს აეტანა. ერთ ადგილას ვერ დგებოდა. თავის ფეხებზე უკვე ლელოსკენ მიჰქროდა და უკან მისდევდა ხალხის წამბლამსკენ. ერთხანა—„წევიდა“, „წევიდა“, „გეიმინდერა“. მის ცნობიერებამდე მხოლოდ აფრასიონის გაუთავებელი „გესმის“ და „გეიგე“ აღწევდა.

ქიშვარდისთვის მეთაურობა არაევის დაუკისრებია. მაგრამ სანამ აფრასიონ იტყვას დაასრულებდა, ის უკვე შეუდგა მობურთავეების განაწილებას.

ქიშვარდი ვარაუდობდა, თუ საით უნდა წასულიყო ბურთი, სად შეექნებოდათ ჯახი და ამის მიხედვით ანაწილებდა ძალებს. როგორც ფეხბურთში, ისე ლელო-ბურთში თითოეული მოთამაშე ცალკე იღებოდა და ხელოვნებული. ბურძღლების გვარი, რომელთაც საღალღობოდ გლეჯიებს ეძახოდნენ, მთელ საღმთოში ცნობილი მობურთავეები იყვნენ, განსაკუთრებით კი დაჯაგულ მუხასავით ჯმუზი და მკერივი სილოვანა ბურძღლა. სილოვანა ბურთის ამოღლეტაში იყო მარჯვე. მასზე ამბობდნენ, ჰქვს-ქნელიდან ამოიტანს ბურთსო. გლახუნა და ნაპოლეონა მებუზღეები ორივე ლარტყასავით აწოწილი, მსუბუქი და მუხლმაგარი, საუკეთესო მორბენალები და მხტომელები იყვნენ.

ლელო-ბურთისთვის ზუსტად განსაზღვრული მოედანი არ არსებობს. მობურთავეს შეუძლია მთელი სოფელი მოიბრინოს, ოღონდ ბურთი თავის ლელოზე მიიტანოს. ხშირად თამაში უკლებსა და ორლობებში გადადის. გლახუნას და ნაპოლეონას ვერც ლობე აკავებდა და ვერც მესერი. თითოეული შესაფერ ადგილას უნდა დაეყენებია.

ქიშვარდი სტრატეგიის თვალთ ზომავდა მდინარისკენ დაქანებულ საბურთაო მოედანს, რომელიც ხავს-ნარევი შავმოლით დაფარულ ზეგანს წარმოადგენდა. მოედანს ურთ ბოლოში, რომელსაც ნარუჯალა ერქვა, წისქვილის არხი ჩაუდიოდა. არხის წყლის ნაპირას საისლე იყო გამწებული საისლეს წყალი ჰქონდა მიგდებული. ნოტიოს სიუხვით ალაღებულ ისლის ნაბარტყი ალის თმასავით იყო გადაშლილი კვლებს შორის და ტბორებულ არხის წყალზე. ზევანი საისლეს ჩამორღვეული ფერდით უერთდებოდა.

ქიშვარდი მამია, კაპიტონა და ყარამანა საისლესთან ჩაასაფრა, უთუოდ აქეთ გადმოვარდება ბურთითო. ნარუჯალასკენ კი მიძინა და ნაპოლეონი დააყენა. თუ მომრეკეებით წამოვიდა ბურთი, თქვენ აქედან შეეგუბეთო. თვითონ ზევით ავიდა, რომ იქ დაეწყო ხალხი, სადაც ბურთი ავარდებოდა.

ლელოს შუა ადგილიდან ხშირი მოსახლეობა იწყებოდა. ეს ადგილი მაღალი ლობეებით იყო შეკრული. ლელოს ერთ კუნძულში ბებერი თხემლები იყო, რომელთა შორის საქანელებივით გაბმული იყო იზაბელას ძი-

რები. თხემლებს კორომს ირიბულად ჩაუდიოდა ძველი ღობე და ტანებული წაფერდებული საღორით. ქიშვარდი ფიქრობდა, აქეთ ჩაშოვალ თუ ბურთი ხელთ ვიგდო.

ერკინული
გინგლიქსუქა

მაგრამ აფრასიონ სიტყვის დასრულებას არ აპირებდა.

ქიშვარდი კი ისე ლელავდა, კაცი იფიქრებდა, ამ ლელოზეა მისი ზედი და იღბალი დამოკიდებულიო. მართლაც სახუმარო საქმე ხომ არ იყო. ხომ თავი მოეჭრებოდათ, მელიქაურელებს რომ სამღვთოელების ეზოშივე ლელო ვაეტანათ. ბურთიც ქიშვარდის ბრიგადამ შეკრა. აბა ასეთ შერცხვენას როგორ მოითმენდნენ!

აფრასიონის სიტყვას კი ბოლო არ უჩნდა. ქიშვარდის მოთმინება ელვოდა. აბა, როგორ შეიძლებოდა ლელო-ბურთის წინ ამდენი ლაპარაკი. — ფიქრობდა ის. მიტინგი ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო, რომ ქიშვარდი უკვე საბურთაო ტანსაცმელში გამოეწყო. საუცხოვო რამ იყო ეს სატომრე ტილოსაგან შეკერილი ხალათ-შარვალი. კბილით რომ ექაჩა კაცს, არ დაიხეოდა, ხორკლიანი იყო და კაცი ადვილად ხელს ვერ მოაჯღებდა. თუ მაინც ვინმე დაეწვოდა და ხალათში ხელს ჩაავლებდა, ქიშვარდი ერთს გაიწევდა და უხეში ქსოვილი მღვეარს ფრჩხილებს მოამტერებდა. ეს საბურთაო ტანსაცმელი რამდენიმე წლის წინათ შეუკერა ესამამ. წინათ წელიწადში ერთხელ, აბრეშუმის ბარკის გაყიდვისას, თუ ეღირსებოდა ხალათ-შარვლის შეკრევას და ისიც რომ ბურთაობაში შემობდდნოდა. მეორე წლამდე კონკრეტში უნდა ევლო.

ქიშვარდის ტანი აეშვა, ამიტომ ხალათი ილღიაში უჭერდა, შარვალაც დამოკლებოდა. შარვლის ტოტები წინდებში ჰქონდა ჩატანებული. ფეხთ მსუბუქი წულეები ეცვა. წინდების თავს წამდაუწუმ ისწორებდა, რომ შიშველი წვივები არ გამოჩენოდა.

აფრასიონის მოხშირებულ „გესმის“ და „გეიგე“-ზე ეტყობოდა, რომ მისი სიტყვა დასასრულს უახლოვდებოდა. გულგაწყალბებულ ქიშვარდის ახლა თავისი საგარეო ტანისამოსი უჭირა ხელში და არ იცოდა, ვისთვის მიებარებინა ის. ლელო-ბურთში ახალგაზრდების საგარეო ტანსაცმელს მუდამ იმ ქალიშვილს მიაბარებენ, ვისაც თავს აწონებენ. აქამდე ყოველთვის ციცირო იყო ქიშვარდის მოაბჯრე. ახლა ციცირო ბონდოს წრეში იღვა და მისი ინდიგოს ჯუბა ჰქონდა კლავზე გადაკიდებული. ნამცეცა, მაგზოლია, კლვობატრი და ქვიჯა ქიონიაც აქ იყვნენ. ქიშვარდი ქალიშვილებს წრეს მიუახლოვდა, ბონდომ დამცინავი თვალით გადმოხედა მას და ქალიშვილებს გადაულაპარაკა:

— ეს კასტუმი ქიშვარდემ ლენინგრადიდან თუ გამოიწერა, უხლა არსად იშოვება ჯვალოს ტილო!

ქალიშვილებმა კისკისი ასტეხეს. ქიშვარდი მიხედა, რომ ბონდომ მის შესახებ რალაც იოხუნჯა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და საგარეო ტანსაც-

მელი ქიონიას შიაჩენა, რომელსაც ცეკვის დროს ცალ ფეხსაცმელზე ქუსლი მოსტებოდა და კოკლობით დადიოდა.

როგორც იყო დასრულდა მიტინგი. აფრასიონ საბარეულოებზე მივიდა.

— აბა, როგორ გავყოთ ხალხი, — იკითხა გიორგიმ გიორგისძეს.

— მოდი ძველებურად, ცოლიანი და უცოლო, — წამოიძახა ვილაყამ.

— ცოლიანი და უცოლო კი არა, თლათ ძველებურად გავყოთ ახლი-წვერიანი და უწვერო. წვერი ახლა ხუცესსაც აღარ შერია და ყველა ერთ მხარეზე იქნება, — ჩაერია ლაპარაკში სეფე, რომელიც კორესპონდენტს მოჯდომოდა და გურული ლელო-ბურთის წესებს უხსნიდა.

— ინდი-მინდი და კოლმეურნეები, — წამოიძახა სკაჩიამ.

ყველას გაეცინა.

— ინდივიდებს ბურთის მაგიერად წაეიღებთო, — სთქვა დანელიამ.

— კოლმეურნეებისა და ინდივიდების ლელო დიდი ხანია გატანილიაო.

— მაშ ზედოური და ქვედოური, — სთქვა შერმანდიამ.

— ზედოური და ქვედოური რომ თამაშობდა ძველად, ხშირად ჩხუბი მოაქცებოდა ლელო-ბურთს — უამბობდა სეფე კორესპონდენტს, — ცოლიანი და უცოლო უფრო სამშვიდობო თამაში იყო. სიტყვაზე, მე რომ ცოლიანებში ვთამაშობდი, ჩემი შვილი უცოლოებთან თამაშობდა და ჩხუბი არ ატყდებოდა. ფოთში კი მეგრელები ერთ მხარეზე თამაშობდნენ და გურულები მეორე მხარეზე. მეგრელები მეტი იყვნენ, მაგრამ მაინც გურულები უჯობნიდით, იყო ერთი ცხენით ბურთის გატაცება, ცურვით გატანა რიონზე, თოფის სროლა. ლელოს რომ გვეცანდით, ერთი საშედღულო სროლა ატყდებოდა. — განაგრძობდა სეფე, კმაყოფილი ამ გულისხმიერ თანამოსაუბრით, მის ნალაპარაკეც უბის წიგნში რომ იწერდა.

მობურთავეები კი ისევ კამათობდნენ, თუ როგორ გაყოფილიყვნენ. დავა გიორგიმ გადასჭრა:

— მოდი ვალმა-ვამოლმამ ვითამაშოთ, ერთ მხარეზე სამღვთოს კოლმეურნეობა იყოს, მეორეზე კი მელიქაურის. ისედაც ქე ხართ დაჯიბრებული ვარდამავალ დროშაზე. ახლა ბურთში სცადეთ ერთმანეთი.

— ჩვენ ცოტანი ვართ! — ისულეს მელიქაურლებმა. ჩვენ მერიკი-ფეებადაც¹⁾ არ ვეყოფით სამღვთოელებს. ჩვენი მეოთხე და მეშვიდე ბრიგადა სასტუქის გადმოტვირთვაზეა. აბა ვინ გვეყავს ან გამჭტევი, ან ამომღლეტიო.

— ნუ მოგვეჯაყეთ ამ ქვეყნის ხალხში. ჩამოგვისწრებენ აწი ჩვენები. ახლა მანქანა უკვე შეკეთებული ექნებათ! — შეუტია თავისიანებს მელიქაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ფორე ქანუყვადემ. — საყ-

¹⁾ მწდა.

ვალა და სარდიონა ხომ აქაა? მარტო საყვალა რათ ღირს ბუთასავი-
თაა, ოცი კაცი ვერ დააკავენს.



მელიქაურლები შაინც უარობდენ.

ერკინული

ისევ გიორგი ჩაერია დავაში. შერმადიას უთხრა, გუბერნი ჩაღვქვიან-
ველე მელიქაურლებს, მათი ლელოც ნარუჯალასკენ იყოს, იქით თავ-
დაღმართიანო. რაიონიდან ჩამოსული ხალხიც თქვენ მხარეზე იყოს.

მანვე იკისრა მელიქაურლებისათვის ასაბიების გამოყოფა, და გამო-
აცხადა:

— აბა ვის უნდა მელიქაურლების მხარეზე თამაში?.

მოხალისე ცოტა აღმოჩნდა. არავის უნდოდა თავისი კოლმეურნეობის
წინააღმდეგ თამაში. პირველად ბონდო გადავიდა მელიქაურლების მხა-
რეზე, თავის ბრიგადაზე უმძრახად იყო კედლის ვახეთში გამოქვიმვის-
თვის. ბონდოს ელიზბარა და სეფერა გადაჰყვნენ. ქიშვარდის სიხარულის
შუქი გადაეფინა სახეზე — იმედი მიეცა, რომ სადმე ბონდოს შეხედე-
ბოდა, ცეცვაში მართლა ეარგებულა, გაიფიქრა მან, მაგრამ ახლა ენა-
ხოთ, ბურთში რა ბიჭიანო.

— ეჰ, ვინმე ვაჟაკებს მოგვაშველებდით გვეგონა, თორემ ასეთ ნა-
ეუნტალებს პირიქითაც ვადმოვასესხებდით, — ჩაიხორხორცა ჯორბენაძემ.

ელიზბარა და სეფენა ჯორბენაძის ლალობაზე გაწყურნენ, უკან გაბ-
რუნება დააპირეს, მაგრამ ამ დროს გიორგიმ ბურთი ჰაერში შეაგდო.

— აბა, ბიჭებო, ლელოს ვატანით ვერ გავიტანთ, მაგრამ ჩვენების
ჩამოსვლამდე ბურთი შევკრათ და სამღეთოელებს ლელო არ გავატანი-
ოთო, — არიგებდა თავისიანებს ჯორბენაძე. — ღმერთი არ გავიწყრეთ,
ბურთი შორს არავის გადაუგდოთ, ხელიდან ხელში გადაეცით, ერთმა-
ნეთს, მანამდე ჩვენებიც ჩამოვგვისწრებენო.

ქიშვარდი დაძაბული ელოდა, თუ როდის ჩაუვარდებოდა ხელში ბურ-
თი. როცა გიორგიმ ბურთი ჰაერში შეისროლა, ელიშულა შეხტა, მთე-
ლი, ზედატანით ასცილდა შემოჯარულ ხალხს და ბურთი ჰაერში დაი-
ქირა.

— არიჭა, აქეთ ვადმოვადე! — მიაყვირა ქიშვარდიმ ელიშულას,
რომელიც მელიქაურლების წრეში იყო მომწყვდეული.

მაგრამ ელიშულამ შემობრუნებაც ვერ მოასწრო, რომ მელიქაურე-
ლი საყვალა ჭორივით ჩაუხტა წინ გაწვდილი ხელებით და მკლავებს
შორის დაბლუჯული ბურთი ხელიდან გამოვლიჯა. საყვალას სილოვანა
დაეძგერა მხრის თავით და ბურთიანად მიწაზე დასცა. ბურთი მოღზე
გაგორდა. მელიქაურლები დაეხვივნენ. მათ სამღეთოელები მიეღწნენ.
შეიქნა გირგლი. საყვალამ კვლავ გაარღვია მელიქაურლების წრე და ბურ-
თი ხელთ იგდო. ველაზივით დატრიალდა. მელიქაურლებს მთელი ძა-
ლები აქ ჰყავდათ თავმოყრილი. მათ საყვალა შუაში მოიქციეს. სამღეთო-
ელები ცდილობდნენ მათი წრის გარღვევას, და ბურთთან მისვლას, მაგ-

რამ მელიქაურელები სალტესავია, უემოტ ტყმოდნენ საყვალს, სამღვთო-
 ელები ყოველი მხრიდან განორბოდნენ თავისიანების, მისეველებლად-
 დაგუბებულნი ხალხი ორლობეში ვერ ეტეოდა და ლეგვლა იქნებოდა
 ეფინებოდა მიწაზე. ქიშვარდიმ ნარუჯალასა და საისლეში ჩასაფრებულ-
 ლი ძალა აქეთკენ მოზიდა. სხვა მხრიდანაც გამოობოდნენ სამღვთოე-
 ლები. ისინი რიცხვით სკარბოდნენ მელიქაურელებს, მაგრამ ორლობეში
 გახერგილებს სამოქმედო ასპარეზი არ ჰქონდათ. მელიქაურელებმა ისე
 შეკრეს ბურთი რომ მათი წრის გარდევვა შეუძლებელი იყო. საყვალა
 ხომ თავის მოვლევას უმაღ დაანებებდა კაცს, ვიდრე ბურთის ამოვლე-
 ჯას. დიდხანს ირწეოდა ორლობეში მობურთავეების ბრბო. მელიქაურე-
 ლები მაშველებს ელოდნენ და მხოლოდ თავს იცავდნენ. ეს გიოგლო
 სალამომდე გასტანდა.

— მოდი მივაწვეთ ზევით, გავაშოროთ ამ ლობეებს, — უთხრა ქიშ-
 ვარდიმ სილოვანას.

ქიშვარდი, სილოვანა, შამია და ყარამანა მთელი ძალით მიაწვნენ საყ-
 ვალას ირგვლივ შემოჯარულ მელიქაურელებს და ადგილიდან დასძრეს.
 ცივ-ცივად ასწიეს და თავის ლელოსკენ გააქანეს. იგრძნეს მელიქაურე-
 ლებმა, რომ სქმე ცუდად იყო, ბურთი ხელში ჰქონდათ და სამღვთოს ლე-
 ლოსკენ კი მიდიოდნენ. ზესადგარივით შლიდნენ ფეხებს, მაგრამ სამ-
 ლვთოელების მოწოლას შაინც ვერ უძლებდნენ. ასე ხომ ზეზუელად
 აიყვანდნენ მათ სამღვთოელები თავიანთ ლელოზე — ლაშეში.

— დაგორგოსიალდით ბიქებო! — დაუძახა მელიქაურელებს ჯორბე-
 ნაძემ, რომელიც მშვერავეით გზას გაჰყურებდა. ის მანქანის გამოჩენას
 ელოდა.

დაეცა საყვალა მიწაზე და მთელი ტანით გადაეფარა ბურთს. შეგრო-
 ვილი ხალხი ისე დაეხვია თავზე, როგორც ფუტკრის ნაყარი დაეხუნძე-
 ბა ხის ტოტს. დომხალივით აირივნენ მელიქაურელები და სამღვთოელები.
 შეიქნა ბდღენა. ბურთს რამდენიმე კაცი გლეჯდა ერთმანეთს ხელიდან.
 დანარჩენები კი მათ გარს ეხვეოდნენ, და ეს კალოდ შეზენიული სხეუ-
 ლების მასა მთიდან დაგორებულნი თოვლის ზეავეით იზრდებოდა. აღარ
 სჩანდა, სად იყო თავი, ხელი, ფეხი. ამ გორგალის დაშლა შეუძლებელი
 იყო. ახლად მოსულები მოშულართა მხრებზე მიბობლავდნენ, რომ კა-
 ლოს შუაგულში ჩამძვრალიყვნენ.

სილოვანამ სცადა მხრით გაერღვია ეს ერთმანეთზე გადაჭდობილი
 სხეულების მურგვი, მაგრამ ვერაფერს გახდა. მაშინ თავის ნაცად ხერბს
 მიმართა: შეზენიულ სხეულებზე ამობლდა და თავით კალოში ჩაეშვა.
 მისი ლახანა კომბოსტოს მსგავსი თავი, მორგვეით მსხვილი კისერი და
 განიერი ბეჭები ამ სხეულის კალოში ჩაიძირა, ფეხები კი ჰაერში საყსა-

ვებდნენ. ამ მდგომარეობაში სილოვანა თონეში ჩაყვლილ მკურეს ჰგავდა. ასე ყვინიასავით იყო ერთხანს ჰაერში ფეხებ-სფეხილი.

— უნათოდ ამოღლეს ბურთის სილოვანა! — უმჯობესად იმსახოდნენ სამღვთოელები.

საყვალა კი კალოს ძირში ეგდო და სასოწარკვეთილებით ყვიროდა. ვიდრეჩვენებო. გარს შელიჭურელები ეხვეოდნენ. ამ დროს კი ბურთი ხელიდან ხელში გადადიოდა და როცა სილოვანა კალოს ძირამდი ჩაიძირა, თხემლების კორომთან კიყინი შეიქნა: წავიდა, გაიმინდვრაო — აღმოჩნდა, რომ შელიჭურელებს ამ ბღღენასა და გლეჯაში ბურთი გაეპარებოდათ. როგორც კი ეს გამოაშკარავდა, მურგვი იმ წუთშივე თავის თავად დაიშალა, ყველა დაფეთებული წამოგარდა ზეზე, იტყოდით — თავზე ცივი წყალი გადაასხესო. სილოვანა უკანსკნელი წამოდგა გაგუდული, სახე გაქარბალებული. თმა ზღარბივით ედგა თავზე. ოფლის ისეთი ობზივარი ასდიოდა, თითქოს ეხლა ამოიყვანეს მდინარეიდანო.

— რა გამოიტანე სილოვანა? — მიაძახა სკაჩიამ.

— რა და ბუს კვერცხები! — შეუღრინა გაბრაზებულმა სილოვანამ და თხემლების კორომისკენ გაიქცა.

იქ წამოეწივნენ ბურთის გამტაცებლებს გლახუნა და ელიშულა. დაეწივნენ, შეაჩერეს. ხალხი მოზვავდა და ბურთი ისევე შეიკრა. იქ მეტი გასაქანი იყო, ვიდრე ორლობეში და მთელი ხალხი ბურთს დაეხვია. საყვალამ ისევე მოახერხა თავისიანების წრეში შექრა, მაგრამ სილოვანა და ელიშულამაც შესძლეს შუაგულში მოხვედრა. ერთმანეთზე გადახლართული სხეულების მასა ისევე კალოდ დადგა. ბონდო და ელიზბარა განზე იდგნენ და მოსთერებებით უყურებდნენ ამ ბღღენას. ქიშვარდის ისევე მოუთმენლობა დაეტყო.

— მოდი მივაწვეთ „ნაერა“, — უთხრა მან ყარამანას — ან დაიშლება ეს მურგვი, ან ავიტანთ გორავით ლაშეში, თორემ ამ გლეჯაში ქე დაღამდება.

— აბა, ბიჭებო, ვირა! — დაიძახა მან, ფეხები გაფარჩხა და მხრით კამეჩივით მიაწვა მურგვს.

— ვირა, ვირა! — იხუვლეს სამღვთოელებმა და მურგვს მიაწვენენ „ვირას“ ყიჭინით. ზოგი მხრით, ზოგი მკერდით.

ეს ფეხის შესაწყობი „ვირას“ ყიჭინი ნავთსადგურში ნამუშევარმა ხალხმა ჩამოიტანა სოფელში.

„ვირას“ ყიჭინაზე ერთ ადგილზე მოხუროდლავე ადამიანთა მურგვი აღმართის მიუხედავად სამღვთოელების ლელოსაკენ აგორდა. სხეულები, თითქოს ქარის წისკვილის ფრთებზე ჰკიდიაო, ხან მურგვის ქიშზე მოექცვოდნენ, ხან ფრთებზე. კაცი ვერ გაარჩევდა, ვისი ფეხები ადიოდა ზევით და ვისი ეშვებოდა ძირს.

— მელიქაურელებს გავატანიებთ ჩვენ ლელოს? — უკვირდა სკაჩია, რომელიც ამ კორიანტელს არ ერიდებოდა და დაგუბა შეშფული ხალხის ირგვლივ ფრთამოტეხილ კაქკაქივით დაბტოდა. მელქაურელებს მარქაფი და მორბენალები, გიორგი და აფრასიონი ხევიდან დაუხვდნენ მურგვს, მაგრამ აღამიანების ტალღამ ისინი გადალექა და აიყოლია. მანძილი ლელომდე თანდათან მოკლდებოდა. ჭიშვარდიც იმე გულდაგულ მიაწვა, რომ ისიც დაგორებულმა მურგვმა აიყოლია და ორჯერ ყირაზე გადაიყვანა, როცა მეორე წრე მოხაზა და გვერდებ-დაღეწილი კალოდან გამოძვრა, მოტორის გუგუნი და ყიფინა მოესმა —

— მოდიან, მოდიან! — სიხარულით შეჰყვირეს მელიქაურელებმა. — ამირანაც მოდის. ზაქარიაც.

რამდენიმე წუთში ხალხით დახუნძული მელიქაურელების საბარგული ხიღზე შემოდგა. მანქანა ხალხით იყო გაქედილი. ორი კაცი მანქანის ხორთუმზე იჯდა რადიატორის ორთქლში გახვეული. შოფერმა მანქანა ზედ მობურთავეებთან მოაგელვა. მელიქაურელები გაქანებული მანქანიდან ყირამალა გადმოდიოდნენ. ისინი სამღვთოელების ლელოსკენ დაძრულ გორგალს საგორავივით დაუდგნენ და დაამუხრუჭეს. ორმოცი დასვენებული მობურთავეის მომატებამ ძალთა შეფარდება ერთბაშად შესცვალა. მურგვი ერთი წუთით შედგა, ადგილზე გლინვა იწყო, შემდეგ კი საწინააღმდეგო მიმართულებით — მელიქაურელების ლელოსკენ დაიძრა.

— ელესა! — დაიძახა ამირანამ და ზაქარიამ. — ელესა! — იხუტლეს მელიქაურელებმა და ქვევითკენ მიაწვნენ შეკრულ ბურთს.

— „ელესას“ ტყიდან საწნახლის გამოტანის დროს მღეროდნენ, — უხსნიდა სეფე კორესპოდენტს. — კაცის სიმაღლე საწნახელს ყვეარი კამეჩი ვაკეზეც რომ ვერ დასძრავდა, ელესას სიმაღერით მზრით გამოგვეკონდა უღრან ტყიდან. საწნახლის ხეს განზე წნელებით სამკლავის ხეებს გავაკრავდით, სიგრძეზე ელესას ხეს მოვაბამდით და შევეუდგებოდით ცერად დაკიდებულ აღმართს. ვინმეს რომ ფეხი შეშლოდა და წაფორბილებულიყო, ყველა წაიქცეოდა და დიდი მარცხი მოხდებოდა. მივათრევდით საწნახელს დაღმართში და დავძახოდით ელესა ვიო, ელესა ვიო. — უამბობდა სეფე.

ნარუჯალასკენ დაგორებულ მურგვს კი სისწრაფე ემატებოდა. ფერდობზე შეფენილი მაყურებლები ტალღასავით მისდევდნენ ამ მურგვს: სამღვთოელების მომხრეები — გულისწუხილით, მელიქაურელებისა — სიხარულის ყიფინით. ჭიშვარდიმ მთელი მარქაფი მოზიდა, საისლისა და ნარუჯალას გუნდებს თავი მოუყარა. სამღვთოელები მთელი ძალით აწვევდნენ ქვევიდან მათ ლელოსკენ მიმავალ შეკრულ ბურთს. მაგრამ ამ თავდაღმართში ზეავივით დაგორებული გორგალის შეჩერება შეუძლებელი გახდა. მურგვი კოდმის პირას ჩაგორდა, სადაც საისლეზე დაშ-

გებული მორღვეული ფერდო იწყებოდა. ბონდო, სეფერა და ელიზბარა წინანდებურად გვერდ-გვერდ მისდევდნენ აგორებულ მურგვს, მაშინ სამღვთოელებმა ხერხის შეცვლა გადასწყვიტეს. ქიშვირთუ მთავარი იანებს მივიარდა:

გ. ი. ბ. ლ. ი. ქ. ვ. ი. ა. ა.

— გაჩერებით ვერ გაეაჩერებთ და მოდი ამ ფერდისაკენ მივაწვეთ. ფერდზე დაევაფროთ და მურგვი თავისით დაიშლება.

ქიშვირდის გუნდი გვერდიდან მიუდგა მურგვს. შერმანდია და ეპიფანეც ჩაერვივნენ. აღამიანთა დაგუნდავებული მასკა კოდმეზე შედგა და მორღვეულ ფერდოზე რბილად დაეშვა. ფერდოს ქვევით წყალმიგდებული საისლე იწყებოდა, და თუმცა მურგვში ისეთი სიცხე იყო, როგორც თივის შეხურებულ ზეინში, გაუხდელად ბანაობა მაინც არავინ ისურვა. ფერდოზე მურგვი ისე დაიშალა, როგორც კლდე დაჯახებული თოვლის გუნდა. მხოლოდ საყვალა და ამირანა ჩაჰყენენ გუნდს საისლემდე.

ქიშვირდომ თავის ხალხს უკან დაახვეინა და შესახვედრად მოემზადა. კოდმესთან მთელ მელიქაურს მოეყარა თავი და მათთან იქ შებმა უაზრო იქნებოდა. საყვალამ და ამირანამ ქოშინით ამოიბრინეს აღმართი და ბურთი ბონდოს ჯგუფს გადაუგდეს. ბონდომ ელიზბარა, სეფენა და ხუთიოდე სხვა, მელიქაურელი მობურთავე აიყოლია და მარგვეებით გარშემორტყმული ნარუჯალასაკენ წავიდა.

ჯორბენადემ ტყუილად დაიწუნა ბონდო, ელიზბარა და სეფერა. ბონდო ბათომში ფეხბურთელთა გუნდში იყო ნამყოფი და მწვეარივით მსუბუქი. კარგი მორბენალი იყო. ხტომით და ლივლივით მიდიოდა. ელიზბარა, სეფერა და სხვა მელიქაურელები წრედ შემორტყმოდნენ და მასთან ერთად მიბზოდნენ. ეს მორეკეების წრე ფარევით იცავდა ბონდოს და დამხდურებს მასთან მისვლის საშუალებას არ აძლევდა. წრის გარეთ ამირანა მიბზოდა, როგორც მარქაფი. კაპიტონა, მამია და ბიძინა შეეგებნენ ბონდოს, მაგრამ მარეკეებმა ისინი განზე გაისროლეს.

ნარუჯალას გუნდმა — გლახუნამ, ნაბალეონმა და ქიშვირდომ — მაინც გაარღვიეს წრე. და ქიშვირდი ნარღვევში შეიჭრა. შურდულივით გაეჭანა ბონდოსკენ, მაგრამ ბონდომ თითქოს იგრძნო, რომ ქიშვირდი რალაც გაწიწმატებული მიეჭანებოდა მისკენ, ნირი შეიცვალა და ბურთი ამირანას გადაუგდო. ქიშვირდის გული დასწყდა. რომ ბონდოს ვერ შეხვდა პირისპირ.

მელიქაურელების მეორე ფალავანი ამირანა, მეტ სახელად კუროტანა, გრივალივით წამოვიდა. მას კაცი ისე ადვილად ვერ დაუხვდებოდა წინ. მარტო მისი ყოფინა მოჰკვეთდა დამხვდურს მუხლებს.

ბურთი მარცხენა ილღიაში ჰქონდა ამოჩრილი და მარჯვენა იდაყვს ისე ხმარობდა, როგორც ბერძენი მეომრები ორთველაზე დამავრჯულ დაშნას. შემხვედრს საშინელი ძალით სცემდა იდაყვით მუჯლუგუნს. ვასაც მისი იდაყვი მოხვდებოდა, მოცელილი ბალახივით ვარდებოდა მიწა-

ზე. ზოგიერთს გული უღონდებოდა. წამქეზებული ყოფილიყო დასტევდნენ უკან მელიქაურელები ამირანას. ამირანამ ათიოდე დამხდურნი გააწვია. ზოგი ძირს დასცა, ზოგმა კიდევ ვერ შებედა და ზურგი წაქეზდნენ. მზე შეგროვილმა მელიქაურელებმა უკვე საზეიმო ყოფინა დასცეს — წვეიდა, წვეიდა, გაიმინდვრაო. ამირანა სამღვთოელების ზღუდეს — ნარუჯალას უახლოვდებოდა.

სამღვთოელები გულის ლევით უცქეროდნენ, თუ როგორ თხელდებოდა დამხდურთა რიგები. ნარუჯალას ლელოსთან სანაპირო რაზმივით მხოლოდ ქიშვარდი, სილოვანა და ელიშულა იდგნენ. ისინი გაიშალნენ და ამირანას შესახვედრად წამოვიდნენ. მელიქაურელების სახეკაო ყოფინას — „წვეიდა, გაიმინდვრეს“ ქიშვარდის ყოფინა შეეგება — ვერ წახვალ, ვერ წახვალო. ამირანას აღარავეინ მისდევდა, მას ლელო გატანილი შიანჩნდა. სილოვანა და ელიშულა მძიმე მორბენალები იყვნენ, ამირანა მათ ადგალად ჩაუსწრებდა თუ ადამართში და ბურთის ლელოსე ვადასროლას მოასწრებდა. მაგრამ ქიშვარდი შურდულივით წაეიდა ამირანასკენ. ამირანა ქვედა ტუჩზე კბილებ-დაჭლობილი, მორქენალი ხარკით თავდახრილი მიჰქროდა იდაყვი მოემზადებია მუჯღუგუნის უაქვერისათვის. მაგრამ ქიშვარდიმ ფანდი გაუცრუა. დაიხარა და წელში ეცა. გამ.იკანებულმა ამირანამ თავი ვერ შეიმაგრა და ორივენი დაეცნენ. ბურთი მიწაზე დაგორდა. სილოვანა წამოეწია ბურთს, ხელი დაავლო და მელიქაურელების ლელოსკენ გაექანა. ქიშვარდი ამირანას ქვეშიდან გამოძვრა და სილოვანას გვერდ-გვერდ აედევნა. სილოვანამ იცოდა, რომ აღმართში დიდხანს ვერ ირბენდა და როცა სუნთქვა შეეკრა, ბურთი ქიშვარდს გადაუგდო. თითონაც უკან გაპყვა ძუნძულით.

ისინი მარცხენა ფრთაზე მირბოდნენ. მელიქაურელების უმრავლესობა საიხლის მხარეზე იყო თავმოყრილი. მარჯვენა ფრთაზე მობურთავები მეჩხრად იყვნენ.

ქიშვარდის ბურთი მარცხენა ხელის ილღიაში ჰქონდა ამოჩრილი, ზამბარასავით დაჭიმული მარჯვენა კი იდაყვში ჰქონდა მოხრილი. როცა დამხედური შემოეგებებოდა, მარჯვენა ხელს ფიწალივით წამოისროდა წინ და მოწინააღმდეგეს მკერდში დაკვრით ააყირავებდა. თავისიანებიდან მას მხოლოდ სილოვანა მისდევდა. მელიქაურელები ცოტანი იყვნენ ამ მხარეზე. საიდანღაც ბონდოც გაჩნდა იქ. გულნატკენი იყო, რომ ქიშვარდის ყოფინამ — ვერ წახვალ, ვერ წახვალო, ამას წინად ბურთი ხელიდან გაავდებინა. ის ხტომით მოდიოდა ქიშვარდის შესახვედრად, მაგრამ როცა დაინახა, რომ ქიშვარდიმ მკერდში ხელის კვრით ოთხი დამხედური გადააყირავა და განზრახ მისკენ წამოვიდა, ფერი ეცვალა. ბონდომ ქიშვარდის გაუსწრო და ლობეზე გადაეშვა. იქ გადასწყვიტა დახვედროდა ქიშვარდს. იქვე ელოდებოდნენ ქიშვარდს ლობეზე მომდგარი ჯორბენაძე

და მელიქაურელი შოფერი. უკან კი ქიშვარდს უკვე ქსეცაღილი სილ-
ვანა მისდევდა მაშველად. ქიშვარდი აღმართის მიუხედავად სწრაფეს-
უმეტებდა, უნდოდა საისლიდან წამოსული ხალხის ფეხსაცმელსა და
ბესთან ჩასაფრებულ ხალხს კი სულ არ მოელოდა, უცებ გზა შეკრული
აღმოჩნდა, ერთად-ერთი ადგილი, სადაც არაფერი იდგა, ლობნის დატანე-
ბული საღორე იყო. მაგრამ მას მოფიქრების დროც აღარ ჰქონდა, ბურ-
თი ლელოსკენ გადაისროლა და თითონაც გადაეცლო საღორეს. თითონაც
არ იცოდა, რა ძალა ჩაუდგა მუხლებში, რამ ააშორა დედამიწას ისე
გადააფრონდა ამ საღორეს. ბავშვობისას სიზმარში ენახა გადმოფრენა
ნაღის სახურავიდან და ეს გადახტომაც გაფრენას ჰგავდა. სამღვთოელები
მის გადახტომას „ეაშას“ ყოვნიით შეხედნენ, ლობნისთან შემოჯარუ-
ლი მელიქაურელები კი ისე სახტად დარჩნენ, რომ ბურთისთვის გამო-
დევნება ვერავინ მოისაზრა.

ქიშვარდიმ დაეარდნილ ბურთს ხელი დაავლო და ლელოსკენ გაეჭა-
ნა. ლობნისთან მდგომი ხალხიდან მხოლოდ ბონდო გამოუდგა. ქიშვარდი
ფიქრობდა, რომ იგი უკვე სამშვიდობოს იყო გასული. მას ქოშინი ჰქონ-
და ავარდნილი. ფეხის კუნთებში წიწკნას გრძობდა, თითქოს ფეხები
უბრუნდებოდა. ხანგრძლივი რბენისგან სუნთქვა ეკვროდა, მაგრამ ლელო
ახლო იყო, უკანასკნელ ძალღონეს იკრებდა და შეუწელებლად გარბო-
და. ბონდო კი დასვენებული იყო, მსუბუქი ნახტომებით მისდევდა. ქიშ-
ვარდიმ მხოლოდ მაშინ მოჰკრა მას თვალი, როცა ბონდოს ჩრდილი თავს
წამოადგა. ქიშვარდს ეგონა, რომ ბონდო ხალათში წააეღებდა ხელს და
თავის დასაღწევად სირბილის შეუჩერებლად ნახევარ წრედ სწრაფად
შემობრუნდა. მაგრამ ბონდომ წინ ფეხი გადაუდო. გაქანებულმა ქიშვარ-
დიმ თავი ვერ შეიმავრა და მიწაზე გვერდით დაენარცხა. ბურთი ხელი-
დან გაუვარდა და სამღვთოელების ლელოსკენ დაგორდა. ბონდო ბურთის
აედევნა. ქიშვარდიმ დაცემისას თხმელას ძირს დაჰკრა გვერდი და ტკივი-
ლისაგან თვალი დაუბნელდა. მაგრამ მელიქაურელების ყოვნიამ — წევი-
და, წევიდაო, გონს მოიყვანა. ზეზე წამოვარდა. ამ დროს ბონდომ გვერ-
დით ჩაუჭროლა. ბონდოს შესახვედრად უკვე მიემართებოდა ჯორბენაძე
და მელიქაურელი შოფერი, რომელიც ქიშვარდიმ ლობნისთან გააეღრა.
ბონდო იმ მხრით წავიდა, სადაც ამფითეატრად შემოზღუდულ ფერდოზე
მომღერალი გუნდის ჩაჭურებით. მობურთავეების ჯუბებით და ხალათე-
ბით დახუნძული ქალები იდგნენ. ქიშვარდი ამან კიდევ უფრო გააცეცხ-
ლა. ციციოც იმათ წრეში იყო. ალბათ, თავი უნდა მოაწონოსო, ვაი-
ფიქრა. ორი ნახტომით ბონდოს დაეწია სწორედ იმ დროს, როცა ის იზა-
ბელის ლერწმით გადახლართულ თხემლების კორომს უახლოვდებოდა.
სწვდა ზოლებიან პერანგში და გვერდზე გასტყორცნა. ქვესავით გასრო-
ლილი ბონდო თხმელებს შორის გაბმული ვაზის ძირს შეეღწა. დაძვე-

რების ძალისაგან ვაზის ძირი ზამზარასავეით გაიჭიმა და ბონდო ყირამა-
ლა ბუჩქნარში გადაისროლა.

მაგრამ ქიშვარდის უკან მიხედვის თავი აღარა ჰქონდა. ქვეყნის სა-
შინელ ტყვიელს გრძნობდა. უკან მდევრის ყიყინა მუხდევდა მის უკვდავ
და შოფერი მხოლოდ ხუთიოდე ნაბიჯით იყვნენ მას დაშორებული. ქიშ-
ვარდის ფერდობზე დაგორებულ ბურთს ხელი დაავლო. უკანასკნელი ძა-
ლა მოიკრიბა და ლელოსკენ გაექანა. გული უკვე ამოვარდნაზე ჰქონდა.
როცა ლელოს მიაწყდა და ბურთი ზევით შეისროლა.

ჰაერი შეარყია სამღვთოელების აღტაცებულმა ყიყინამ — „ვაშა ლე-
ლო“-ო. ბურთის მოსატანად პატარა ბიჭები გაიქცნენ.

ქიშვარდი კი გამობრუნდა. მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ იმ ადგილას,
სადაც ბონდო დაეცა, ხალხი შეგროვილიყო.

(შემდეგი იქნება)





ეროვნული
წიგნიერება

ბიციან ბაბიძე

ღექსის დაბადება

არც ერთი სიტყვა არ დამცდენია,
მხოლოდ იმისთვის, ლექსი რომ მეთქვა,
როცა ბწყარები ბწყარებს სდევნიან
საკუთარ გულს მაშინებს ფეთქვა.

სანამ წარმოსთქვამ ლექსი შენია,
იტყვი და ხალხი მას დაიტაცებს,
და თუ ვაჟკაცის ხელი სჩენია,
მაშინ სხვის ხელშიც ის ივაჟკაცებს.

ლექსი ლექსია, მაგრამ 'იმატებს,
თუ სიყვარულის ბოლმა გამურა,
მაშინ უყურე შენ ბაიათებს,
დაუტაცია ხალხს სალამურად.

და გერვენება, რომ ლექსის ძაფი
უძილო ღამის ხელში ირთება,
მოსკდება წვიმა თქემით და ქაფით
ლექსი წელკავად დაგაფრინდება.

გაითარეშებს მთაში და ველად
როგორც კალია გათელავს ყანას
და დაენთება თაფლის სანთელად
რომ გაანათოს მთელი ქვეყანა!..

1936 წ.



როდინს ძოგშია

დედა პრინციპი

ისტორიული ნარკვევი

1. ვერა ლომჯარია.

1901 წელს, ნოემბრის ერთ წვიმიანსა და ბნელ ღამეს ბათუმის განაპირა უბანში—გოროდოკში როტშილდის ქარხნის მომუშავეის სილიბისტრო ლომჯარიას სახლს სამი კაცი შიადგა. ერთს პირი ახვეული ჰქონდა ყაბალახით.

— მყუდრო ადგილია, — უთხრა ერთმა პირახვეულს. — შეხედე: ცალმხარეს ტყე და მთებია, მეორე მხარეს ბაღები და მინდვრები.

— ადგილი მართლაც მყუდროა, — დაუდასტურა პირახვეულმა.

ფრთხილად ავიდნენ კიბეზე და ერთმა ფრთხილად დააკაკუნა. სახლში სინათლემ იელვა და ახალგაზრდა ქალმა კარი გააღო.

— სილიბისტრო ხარ? — მიეგება ახალგაზრდა ქალი და სტუმრებრივად დაინახა, ოდნავ თავი დახარა. სტუმრებმა უხმო სალაშით ჩაუარეს და ოთახში შევიდნენ.

— ეს ჩემი დაა, — უთხრა სილიბისტრომ სტუმრებს. შემდეგ მიუბრუნდა ქალს და ღიმილით უთხრა: — აბა, ვერა, დატრიალდი, ვახშამი გამოგვიტანე. გაქვს რამე?

— როგორ არა გვაქვს? — უპასუხა ვერამ.

— განათლებული კაციი. საპატიო. კარგი სუფრა გაგვიშალე, — ჩაულაპარაკა ვერას სილიბისტრომ და თვალით ერთი სტუმარი გამოჰყო. ვერამ თავი დაუქნია და ცქრილა თვალი იმ სტუმარს გაუმიზნა. სტუმარი ხმელ-ხმელი კაცი იყო, წვერულვაშებიანი. გრუზა თმა ხშირად ჩამოუცოცდებოდა ხოლმე შეკრულ შუბლზე და მაშინ სტუმარი ხელს აიჭნევდა და თმას აიწვედა. ვერამ შენიშნა, რომ ხელის აჭნევისას სტუმარი თითებს არ ლუნავდა. სტუმარს მტკიცე ნიკაბი ჰქონდა და ჭკვიანი, მოცინარო, მიშვიდველი თვალები, — თითქოს დიდი ხნის ნაცნობის თვალენიყო. ვერამ ისიც შენიშნა, რომ სტუმარს სადათ ეცვა; უბრალო ხალათი და შარვალი, მოშავო გრძელი პალტო და ყაბალახი. მეორე სტუმარს, ვერა იცნობდა. ბათომელი მუშა იყო. სახელიც კი იცოდა მისი: კოწია.

„უცნაური სტუმარია, თუ საპატიოა“, — გაიფიქრა ევრამ, რომ სტუმარზე და სუფრა რომ გაშალა, თავაზიანად მიუბრუნდა. — მოლოძენდითო.

— მოიწიეთ, სოსო! — მიმართა სილიბისტრომ უცნაურ სტუმარს. ხოლო მეორეს უთხრა: — აბა, კოწია შენ ხომ სტუმარი ხარ?

„სოსო! რა რბილი სახელია, ეს კაცი კი თითქოს კლდიდან გამოკვეთილი იყოს“, — გაიფიქრა ევრამ.

იმ ღამეს სოსოსა, კოწიასა და სილიბისტროს არ დაუძინიათ. დილაღედ იხსდნენ, რაღაცას ჩურჩულდებდნენ.

— ევრა, — უთხრა მეორე დილას სილიბისტრომ ევრას, ჩვენი სტუმარი მოსარიდებელი კაცია. მთავარი პროპაგანდისტია. ჩვენი ხელმძღვანელი. უნდა დაეშალოთ. მას უნდა დაეუძახოთ წინამძღვარი. სხვა შენ იცი.

— დარდი ნუ გაქვს, ისე მოუვლი, როგორც შენ, — უპასუხა ევრამ. და როდესაც სილიბისტრო ქარხანაში წავიდა სამუშაოდ, სტუმარმა აუხსნა ევრას, რომ ქალიც ისეთივე მებრძოლი უნდა იყოს მეფის მთავრობისა და უსამართლობის წინააღმდეგ, როგორც მამაკაცი, რომ ქალიც სრულუფლებიანი წევრი უნდა იყოს იდამიანთა საზოგადოებისა, რომ ქალიც მონაწილეობას უნდა იღებდეს საზოგადო მუშაობაში.

ევრა სულგანაბული უსმენდა სტუმარს.

— ხოლო ამისთვის საჭიროა სიმტკიცე* და გამბედაობა, ლაჩარი ჩვენს საქმეში არ გამოდგება, — დაასკვნა სტუმარმა და ჰკითხა მასპინძელს: — გაქვს შენი თავის იმედი?

— მაქვს! — მტკიცედ უპასუხა ევრამ.

— მაშ შეადგინე ქალთა წრე.

და ევრამ შეადგინა ქალთა წრე. ეს წრე დიდ დახმარებას უწევდა ბათუმის რევოლუციურ მუშაობას. წრე სდგამდა წარმოდგენებს, აგროვებდა ფულს პატიმართა დასახმარებლად ამზადებდა საკმელს და გზავნიდა ციხეში, რეცხავდა საცვალს და აწვდიდა ტუსალებს, იხანავდა სამუშაოდან დათხოვნილ მუშებს. ამ წრეში სულ მუშების ცოლები იყვნენ: სალომე დარჯანია, მინადორა გორგოლაძე, ნინო ქორიძე, ოლიკო მანჯგალაძე, ნარგიზა გორდელაძე.

ლომჯარიას ბინაზე სტუმარმა მოძრავი სტამბა გამართა. იქ იბეჭდებოდა პროკლამაციები. პროკლამაციებს ევრა გიდელში ჩააწყობდა. ზევით ან ხილს დააწყობდა, ან ნემოს და ისე შეკრავდა გიდელის თავს. ეს გიდელები მიჰქონდათ პორფილე ლომჯარიას, ნოე იმედაშვილს და სხვებს.

— აგრე, ევრა, აგრე! — აქეზებდნენ ევრას ძმები სილიბისტრო და პორფილე.

ვერას მუშაობა შეუმჩნეველი არ დარჩა პოლიციას. ვა, არ, ვერა დაიბარა გურიელების უკანასკნელმა ნაშიერმა, ბათომის მუშების ჯალათმა ლევან გურიელმა.

— რაზე დამიბარე? — შეეკითხა ვერა გურიელს.

— ქალო, ძმები გიყვარს? — შეეკითხა გურიელი.

— იმათ შემოვევლე, როგორ არ მიყვარს! — უპასუხა ვერამ გურიელს.

— გინდა კარგად იცხოვრო, კარგად ჩაიცვა, კარგად დაიხურო? — ისევ შეეკითხა გურიელი.

— კარგი ცხოვრება ვის მოძულდება? — გაიკვირვა ვერამ.

— პო და შენი ძმები გასაჭირშია, დღეს თუ ზვალ დავაპატიმრებთ. მხოლოდ შენ შეგიძლია მათი ხსნა. გინდა იხსნა ძმები? — და გურიელი ადგა, მიუახლოვდა ვერას.

— როგორ? — ჰკითხა ელდანაცემმა ვერამ.

— სთქვი, სადაა თქვენი ორგანიზაცია, სად იკრიბება... — და ლევან გურიელმა გველის თვალები გაუყარა ვერას ცისფერ ცქრილა თვალებს.

— ორგანიზაციისა მე რა ვიცი, — ცივად უპასუხა ვერამ.

— მე ვიცი ჩემი ბაღა და ჩემი ოჯახი.

— არ იცი? — და ბრაზმორეულმა გურიელმა დაწნული მათრახი მოუჭია..

— არა! — მიახალა ვერამ და გავარდა გარეთ.

ამის შემდეგ ლევან გურიელი ლომჯარიების ხშირი და მოულოდნელი სტუმარი გახდა. ხშირად მიდიოდა საჩხრეკად, მაგრამ ვერა შინს ვერ გასტეხა.

— მტკიცე და მაგარი ვიყავი ჩემი ძმებივით. წინამძღვრის — დარიგებასაც უბე-კალთით ვატარებდი, — ამბობს ვერა.

ვერა ლომჯარია დღესაც მაგარი ქალია. წარსულ ბრძოლათა ცოცხალი მატრიანია.

2. გაიანე ჩხაიძე.

1902 წლის დამდეგს მანთაშევის ქარხნის მუშამ ნოე ჩხაიძემ ვილაც სტუმარი მიიყვანა თავის სახლში.

— როგორია შენი ცოლი? — ჰკითხა სტუმარმა ნოეს და ახედ-დახედა მის ცოლს.

— გაიანე სანდო ქალია, ამხანაგო სოსო, — უპასუხა ნოემ სტუმარს. სტუმარმა ერთხელ კიდევ შეხედა გაიანეს, და სთქვა:

— სანდო იქნება.

მართლაც... ამ დღის შემდეგ სიცოცხლით სავსეს და მკვირცხლ გაიანეს ხშირად ნახავდით ბათომის გარეუბნებში, ცენტრში, ქარხნების მახლობლად. მაგრამ ამ სეირნობის დროს გაიანეს ერთი უცნაურობა დაე-

ტყო: დადიოდა დინჯად, გაზომილი ნაბიჯით. წინაღ კი მუშტოქი და ჩქარი ნაბიჯი იყოდა. ნაბიჯი სოსოს ჩამოსვლის შემდეგ დაუდინჯდა. ახლა გაიანეს სოსოს პროკლამაციები, სტამბის შრიფტები, ბარათები და წიგნები დაჰქონდა.

გაიანე მრეცხავი ქალი იყო. მუშებს მასთან დაჰქონდათ საცვალი სარეცხად. ბევრი მუშა დადიოდა გაიანესას, მაგრამ ყველას საცვალი როდი მიჰქონდა. წინამძღვარი არალეგალურ კრებებს აწყობდა გაიანესას, სარეცხის გაფენა და გატან-გამოტანა თვალის ასახვევად ჰქონდათ გამოყენებული.

— ამ მულრეგებს რა რეცხვის ფინი აუფარდათ! უკვირდა ზოქაულ ჩხიკვაძეს, მაგრამ ვერ უშლიდა, რადგან საცვლის რეცხვა აკრძალული არ იყო.

გაიანე გაბედული და მტკიცე ქალი იყო. ერთხელ ბათომში ჩასულმა ქუთათისის გუბერნატორმა კანცელარიაში დაიბარა.

— რა უნდა ნეტავი?— შეეშინდა ქმარს.— ვაი, თუ გაიგო!

— ხომ არ შემეჭამს!— დაამშვიდა ქმარი გაიანემ— მაგას შევეშინდები?

და გამოცხადდა გუბერნატორთან.

— დაბრძანდი, გაიანე!— უთხრა გუბერნატორმა თავაზიანად.

„საიდან იცის ჩემი სახელი?— გაუკვირდა გაიანეს— რა ზრდილობიანი ყოფილა“.

გაიანე არ დაჯდა.

— როგორა ხარ, გაიანე?— ლომილით შეეკითხა გუბერნატორი.

გაიანე ნაკითხი ქალი იყო და გაახსენდა, რომ გველმა ევა ტაბილი სიტყვით შეაცდინა და მკვახედ მიახალა გუბერნატორს:

— მე მრეცხავი ქალი ვარ, თქვენ გუბერნატორი. რაში გინდებათ ჩემი კარგად ყოფნა?

და გაიხურა კარები.

წინამძღვარმა თვითმპყრობელობა და კაპიტალისტებს მაგრა შეუტია. შეინძრა ძველი ბათომი. დაჰკრა ახალმა სიომ. გაიფიცნენ მანთაშევის მუშები, — და მოიგეს. გაიფიცნენ როტშილდის მუშები. გამწვავდა საჭმე. ბევრი მუშა დააპატიმრეს. რამდენიმე ასეულს ვადასახლებით დაემუქრნენ.

9 მარტს, 1902 წელს, წინამძღვარმა ბათომის მუშები პირველად და პირველმა გამოიყვანა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. კაპიტანმა ანთაძემ უბრძანა ჯარს, ესროლა მუშათა დემონსტრაციისათვის. მშვიდობიან და უიარაღო ხალხს სროლა აუტყუეს. თოთბეთი მუშა მოჰკლეს და ორმოცდა ორი დასჭრეს. სისხლი მოედო ქუჩას და აკვნესდნენ ქარხნები.

გაიანე დემონსტრაციაში იყო. მოკლულები რომ დაინახა, ჩისხლი თავში აუვარდა, ეცა ანთაძეს და შეჰკივლა:

— შენი სისხლი დალიეს ძაღლებმა! ეს რა ჰქენი? **მარტოვანი**

უნდოდა თვალები ამოეთხარა მისთვის. გააშორეს. **მარტოვანი**.

შემდეგ ნატალია კირთაძე, ლიზა სადრაძე, ფეფოია, დესპინე შამათავა და გაიანე მივარდნენ დაჰრილებს, დაუწყეს შეხვევა.

გაიანემ თვალი მოჰკრა—წინამძღვარმა ერთი დაჰრილი ხელში აიტაცა და სამშვიდობოს გაიყვანა.

შინ რომ დაბრუნდა გაიანე, თავის მეგობრებსა და მეზობლებს ასე ეუბნებოდა:

— დღეს თვალი გავახილეთ. დღეს ნამდვილად გავიგეთ, რომ თვითმპყრობელური მთაერობა კაპიტალისტების ინტერესებს იცავს.

იმ ღამესვე შესდგა იმ წრის კრება, სადაც გაიანე წევრად იყო. კრებაზე გაიანემ სიტყვა ასე დაამთავრა:

— რასაც წინამძღვარი სიტყვით გვეუბნებოდა მეფის მთაერობაზე, ის თვით მთაერობამ საჭმით დაგვიმტკიცა. ბრძოლა დაწყებულია. განეაგრძოთ ძმებო! არ შეშინდეთ! მე რომ ქალი ვარ, პირველი ვეცემი მტერს...

რამდენიმე ხნის შემდეგ გაიანე პოლიცემისტრის სამმართველოში დაიბარეს.

პოლიცემისტერმა ჩიჭოვანმა რიხით ჰკითხა:

— შენ ხარ სოციალისტების ეირისუფალი?

— რა სოციალისტებო? მე ჩემიანების ქირისუფალი ვარ. — გაკვირვებით უპასუხა გაიანემ.

— შენ ციხეში დადიხარ, საჭმელი დაგაქვს, მოჯანყე მუშებს ურეცხავ, მართალია?

— მართალია! ციხეში ქმარი მიზის. საჭმელიც მისთვის და მისი ამხანაგებისათვის დამაქვს, — უპასუხა გაიანემ. — მუშებსაც ეურეცხავ მაგრამ მოჯანყეა თუ არა, ეს არ ვიცი.

— როგორ თუ არ იცი? — გაბრაზდა ჩიჭოვანი.

— აბა საიდან მეცოდინება? მე ერთი საწყალი ქალი ვარ და გამოკითხვა რომ დავუწყო, მოჯანყეა თუ არა, ხომ არავინ მომიტანს მერე სარეცხს? — უპასუხა გაიანემ.

— შენ ავინებ მთაერობას ქუჩაში, მართალია?

— აბა რავე, როგორ არ ვავინო? რამდენი ხალხი ჩაყარა ციხეში, ყველას ჩემი ვალი მართებს. თქვენ ხომ თქვენი ჯამაგირით ცხოვრობთ, მეც რეცხვით ვცხოვრობ. თქვენ კი ციხეში უკარით თავი ჩემს მოვალეებს, ვინ გადამიხდის ფულს?

პოლიცემისტერს ჩაეციხა და უთხრა:

— შენ, გაიანე, შენს ჭეყანაში უნდა წახვიდე.



— ჩემი ქვეყანა აქაა, სად უნდა წავიდე?

— შიატოვე ციხე.

— არ შიატოვეებ, იქაა ჩემი ქმარი, იქ არიან ჩემი ძმები და ძმისძალები, როგორ მივატოვეებ?

გინგლიჩიშვილი

ჩიჭოვანმა ვერაფერი გააწყო და გაბედული ქალი გაუშვა.

დრო ვადიოდა, ბრძოლა მწვავედებოდა. გაიანეც უფრო და უფრო ღრმად უბმებოდა რევოლუციის საქმეში. ახლა გაიანეს ბინა ბომბების საწყობად გადაიქცა. ეს საწყობი გაიანემ თავისი ოთახის იატაკქვეშ მოაწყო და სამტრედიიდან ჩამოტანილ ბომბებს იქ ინახავდა. ბომბები გერონტი კალაძეს მოჰქონდა.

— აბა, გაიანე, ვაშლი მოგიტანე, ვაშლი! იტყოდა ხოლმე გერონტი სიცილით.

— ამაზე უკეთესი ვაშლი არ უქამია მეფის მთავრობას!—სიცილითვე უპასუხებდა გაიანე.

ორგანიზაციის დაეალებით ეს ბომბები გაიანეს დანიშნულ ალავას მოჰქონდა.

— ქალო, არ ვასქდეს და არ აგაფეთქოს.—იტყოდა ქმარი.

— არა, კარგად შეტქეს შებმული წელზე. უბეშიაც კარგად მიძვეს.—უპასუხებდა გაიანე.

1905 წელს გაიანე ბარკადებს აგებდა. საკუთარი საწოლიც კი გაიტანა ბარკადებზე. შეაგროვა ბოთლები და ბარკადების წინ დაამსხვრია.

— ბოთლებს რას ამტვრევ?—კითხა ერთმა ახალგაზრდა მუშამ გაიანეს.

— რომ ყაზახების ცხენებს ფლოქვი გაუფუჭდეთ იერიშის დროს.

ბრძოლის დროს გაიანე მტკიცედ იდგა ბარკადებზე და ბომბები ეჭირა ხელში.

— ფრთხილად, გაიანე! შენ გგონია, სიკვდილი არ მოგერევა?—ეუბნებოდნენ გაიანეს.

— სიკვდილი როგორ მომერევა?—იცნოდა გაიანე და მისი სიცილი თითო რაზმის ძალას მატებდა მებრძოლთ.

სილიბისტრო ლომჯარიას ვასვენებაზე ბათუმის მუშებმა დიდი დემონსტრაცია მოაწყეს. გოროდოკიდან გამოსვენებისას ხუცესი ჩხიკვაძე და ლევან გურიელი თავიანთი რაზმით დახედნენ მუშებს და არ გაუშვეს.

— რა ნება გაქვს მიცვალებული შეაჩერო?—მივარდა გაიანე ხუცესს და ქოლგა გადაამტვრია თავზე...

ვნახე გაიანე.

ერთი თვალი დაზიანებული აქვს და ოთხი კბილი ჩამტვრეული.

— დემონსტრაციაზე მკემეს ყაზახებმა. — ამბობს ~~გაიჩი~~ შატი-ლოვმა ხამი წელი მიაქიმა. სამაგიერო იმით გადაეუხადე მათეორიას, რომ გოროდოვოი მივედრუხე შამფურით.

— როგორ?

— მომეწარდა ბინახე. წყადს ვწვავდი. უხეშად დამავლო ხელი და შიბრძანა: წამო, პოლიციაში გეძახიანო. დავეშინე და დავეშინე ცხელი შამფური ცხვირ-პირში. მოგვეცა სიკეთე ის ვალრიალე.

და გაიანემ გაიცინა.

გაიანე ახლაც ყოჩაღადაა. იგი 75 წლისაა. მხნე და გამრჯეა. მოხუცი არწივის კლანჭები დღესაც მაგარია.

3. დესპინე შაფათავა.

ენდარმთა ოფიცერი შაბელსკი გაბრაზებული დადის თავის კაბინეტში და ზიზლით ეუბნება თავის თანამშრომლებს:

— ერთი ქალი ვერ გასტეხეთ; რა ხალხი ხართ!

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, — გამოეჭიმა ერთ-ერთი თანამშრომელი, — ის ქალი კი არა ნამდვილი ციხეა.

— რკინისაგანაა ჩამოსხმული. — ჩაურთო მეორემ, — მამაკაცი რომ იყოს, ყაჩაღების ატამანი იქნება. აი, თითონ ნახეთ.

ამ დროს კარები გაიღო და ორმა ენდარმმა მტკიცე გამომეტყველების ქალი შეიყვანა. ქალი მრისხანე არწივს ვაგდა.

შაბელსკი მიაჩერდა ქალს. შეხედა თვალებში და დაიხია უკან ჯერ არ ენახა ასეთი მრისხანე თვალებიანი ქალი.

— შენა ხარ დესპინე შაფათავა? — ჰკითხა შაბელსკიმ.

— მე ვარ.

— სად არის თქვენი ორგანიზაციის სტამბა? — ჰკითხა შაბელსკიმ.

— არ ვიცი.

შაბელსკიმ სტეკი მოუქნია. დესპინეს წარბიც არ შეუხრია.

— გკემთ, თუ არ იტყვი! — შაბელსკიმ ვერ გაბედა „შენობით“ მიემართა.

— მკემეთ!

— გაიყვანეთ და მოარჯულეთ! — გასცა განკარგულება შაბელსკიმ.

დესპინეს სტაცეს ხელი, ქალმა გაიბრძოლა და უთხრა ჯალათებს:

— გამიძებნით! ხომ არ მივბრძვიარ?

განის კარები გააღეს და შეიყვანეს. კაბინეტში მარტო შაბელსკი და მისი თანაშემწე დარჩნენ.

— ძლიერი ქალია. — სთქვა თანაშემწემ. — განვითარებულიც. იცის ენები რუსული, სომხური, ბერძნული, თურქული.

— ნუთუ ვერაფერი დაუჭირეთ ხელმოსაკიდებელი? ბრაზით იკითხა შაბელსკიმ.

— ვერაფერი, — მოკრძალებით უპასუხა თანაშემწემ.
ოთახიდან ყრუ კენესა მოისმა. ოფიცრები ფრთხილად მრევლენ კართან. ყური მიუგდეს.

— სცემენ, — სთქვა შაბელსკიმ. — არა ყვირის. ერქვენული

— მხოლოდ ყრუდ გმინავს, — სთქვა მეორემ და დაუძახა სტამბის
კვალს მივაგენით. მაგრამ თუ ეს ქალი არ გამოტყდა, ვერ ვიპოვნით.

დესპინე არ გამოტყდა და არ გასცა სტამბა.

კიბეზე რომ ჩამოდიოდა, კარიბჭეზე ფრთებგაშლილი და ბასრკლანჭე-
ბიან ორთავიან არწივს შეავლო თვალი. დესპინე შეაჩერდა. შემდეგ მუ-
შტი შეკუმშა და დაემუქრა.

— მოიცა, დაგამტკრევთ მაგ ფრთებს! დაგაძრობთ მაგ კლანჭებს!..

ნაცემ-ნაგვეში დესპინე რომ შინ დაბრუნდა, ქმარს ჰკითხა:

— წინამძღვარი ხომ არ ჩავარდნილა?

— არა, კარგად არის.

— სად არის სტამბა?

— ლომჯარიასას დავებრუნეთ, იქ საშიში შეიქნა და სოფელ ფე-
რიაში წავიღეთ ილარიონ კაჭუყმაძის ბინაზე. გზაზე ყაზახები გამოუდ-
გნენ სტამბას, მაგრამ მოვასწარიოთ და სასაფლაოზე დავევალეთ. იქედან
სოფელ მახმუდუში გადავიტანეთ მოხუც აფხაზ ხაშიმასთან სილიბის-
ტრომ, პორფილემ და ილარიონმა.

დესპინეს თვალები გაუბრწყინდა და ნაცემ გვერდზე ხელი მიიღო.
სტამბის ვადარჩენა უხაროდა, მაგრამ სტკიოდა ძუძუები.

დესპინეს თვალები გაუბრწყინდა და ნაცემ გვერდზე ხელი მიიღო.
პროკლამაციები გამოდიოდა. დესპინეს რომ სტამბა გაეცა, პროკლამა-
ციებიც არ იქნებოდაო, — მსჯელობდა პოლიცია.

და დესპინეს ისევ დაეცნენ თავს.

— სადაა პროკლამაციები? — ჰკითხა ბოჭაულმა ჩხიკვაძემ მრისხანედ.
დესპინემ გამოუტანა ღამის ქოთანის და დაუდგა წინ.

— აქაა პროკლამაციები, — უთხრა დესპინემ.

ბოჭაული იძულებული გახდა ჩაეხედა ქოთანში.

ბოჭაული გაბრაზდა და დაემუქრა:

— თუ ახლავე არ მოგიცია პროკლამაციები, უარესს გიზამენ!
ძუძუ ისევ ასტკივდა დესპინეს, ვაფითრდა და წიბარბაცდა.

— ნუ გეშინია! გვაჩვენე პროკლამაციები და არაფერს გიზამთ! —
დაამშვიდა ბოჭაულმა.

დესპინემ ღონე მოიკრიფა. თვალებმა უცნაურად გაუელვეს. კამოლი
გაალო ყურის ბალიში გამოიტანა, გაუწოდა ბოჭაულს და უთხრა:

— აი, აქაა.

გახარებულმა ბოჭაულმა ხელი დასტაცა ბალიშს, მაგრამ ჩაბლუჯა, და...

— ააი! — დაიღრიალა.

ყურის ბალიში ნემსებით იყო საფეხ. ნემსები ხელში ჩაიკრკო და მოკაულს და აღრიალდა.

ბათომის ორგანიზაციის დროშას დესპინე ინახავდა. მისი გეგმები დაუთბია ნაცემ გვერდზე დროშა დესპინეს. ბევრი უძველესი მეთოდი მთავრობას, მაგრამ დესპინე ვერ გატეხეს, ვერ მოსდრიკეს, ვერ ათქმევინეს, სად ინახებოდა დროშა. დესპინესას ინახებოდა არალეგალური ლიტერატურა, იქ ანაწილებდნენ. დესპინე ისე იცავდა ლიტერატურას, რომ მთავრობამ ვერაფერი უნახა.

დესპინესას ხშირად იმართებოდა არალეგალური კრებებიც. ჩინებულიად ჰქონდათ განაწილებული როლები დესპინესა და მის ქმარს ივლიანეს. ივლიანე მშვენივრად უკრავდა დოლს. დაიწყებდა დაკვრას. მოგროვდებოდა ხალხი, იწყებოდა ცეკვა-თამაში. შიგნით კი, სახლში, არალეგალური კრება იმართებოდა. დესპინე გულგაგონდა კრებას და იცავდა უცხოთაგან.

1902 წლის 9 მარტს თვითმპყრობელმა რომ მუშათა დემონსტრაციადახვრიტა, დესპინე შეფათავა მუშებთან იყო. დაჭრილებს უვლიდა, ჭრილობას უხვევდა. როცა დაჭრილები წაიყვანეს, დესპინემ მეზობელი სახლებიდან წყალი გამოიტანა და ქუჩის მორეცხვა დაიწყო. „რომ ძაღლებმა არ ალოკონ ძმების სისხლი“, — სთქვა დესპინემ.

დესპინე გარდაიცვალა 1903 წელს. ნაცემი ძუძუები დაუავადდა. ერთი ძუძუ მოსჭრეს. დესპინემ ვერ აიტანა ფიზიკური ტანჯვა და გარდაიცვალა.

მეფის მთავრობას მიცვალებული დესპინესიკ ეშინოდა და რაცა ბათომის რევოლუციონერმა ქალებმა დესპინეს კუბო ზევით ასწიეს, ღვეან გურიელის ჩაფრები ეცნენ კუბოს და დაამტვრიეს. ცხედარს გულმკერდი გაუშისვლდა.

მოჭრილ ძუძუზე წითელი არშია ჰქონდა გადაფარებული.

გურიელი ვაცოფდა. ისევ ეცა კუბოს.

— რა გინდათ მიცვალებულთან? — დაუყვირეს მუშებმა გურიელს. — ნუთუ არ შეიძლება მიცვალებულის გასვენება?

და ასწიეს მაღლა დამტვრეული კუბო. უამრავი გვირგვინი, წითელი ლენტები, ზღვა ხალხი მიჰყვებოდა კუბოს.

გურიელი განაპირდა და გაჰყვა დემონსტრაციას.

დესპინე შეფათავა დასაფლავეს სოუჟ-სუში, იქ, სადაც 9 მარტის ვპირები ემარხენ.

ბათომის ქარხნების წარმომადგენლებმა ისეთი სიტყვები უთხრეს, რომ ვაეკაცებსაც დაედინათ ცრემლი. ერთმა მუშამ უთხრა:

— შენ იცავდი ჩვენს სტამბას. შენ ატარებდი ჩვენს პროკლამაციებს. აჰა, წაიღე ერთი! — და პროკლამაცია თეთრი ჩიტვიით ჩაფრინდა სამარეში.

ჩაფრები ეცნენ სამარეს. მაგრამ გაიანე ჩხაიძემ და სხვამ ქალებმა წრე შექარეს და კუბო სამარეში ჩაუშვეს:

აფრიალდა წითელი დროშა და მოისმა ძლიერი კამკოვნიკი:
„თქვენ მსხვერპლად დაეცით ბრძოლისა ველზე“
ტიროდნენ და მღეროდნენ.

— ვადავუხდით თვითმპყრობელობას! — ჩასძახეს დესპინეს.

დესპინე შაფათაეა თავისი დიდი მასწავლებლის ღირსეული მოწაფე იყო.

არ დასცალდა მას თვითმპყრობელობის ორთავიანი არწივისათვის ფრთების დამტვრევა და კლანჭების დაძრობა.

ე...ეხ!..

4. ნატალია კირთაძე.

ბავშვობისას ბევრი ლოცვა შეასწავლა დედამ ნატალიას. ნატალიაც ლოცულობდა, სწამდა დედის სიტყვები:

— სიღარიბემ გული არ გაგიტეხოს. მოითმინე. ღმერთი გვიხსნის სიღარიბისაგან.

ნატალიაც გულს არ იტეხდა. თუმცა თავისი ცხოვრების გაუმჯობესებაში ღმერთს ვერ ხედავდა.

სწამდა სიზმარი და ვატაცებით კითხულობდა „სიზმრის ახსნას“. რაც სიტყაღეში აკლდა სიზმარში ელანდებოდა. თეთრი ტანისამოსის ჩაცმა კარგია. — ეწერა „სიზმრის ახსნაში“. ნატალია სიზმარში თუ ჩაიკვამდა თეთრ აბრეშუმს, თორემ ცხადლივ არ მართლდებოდა სიზმარი. არ მოდიოდა კარგი ცხოვრება. ჩქარა მამაც მოუკვდა და ნატალიას სიტყბუკე სევდამ მოიცვა.

სოფელში ხელთ ჩაუვარდა ყაზბეგის მოთხრობები. წაიკითხა, ჩაუკვირდა. ღვთის სამართლიანობაში ეჭვი შეეპარა.

— რამდენ უსამართლობას სჩადის მთავრობის ხალხი... რატომ სდუმს ღმერთი? — ჩაფიქრდა ნატალია.

მაგრამ ფიქრს დრო უნდოდა, დრო კი არ იყო: საჭირო შეიქნა არსებობაზე ზრუნვა.

და ახალგაზრდა ნატალია გურიიდან ბათუმს გაემგზავრა. თან წაიღო ღვთისმშობლის ხატი, დედის ნახუქარი. ერთ ნაცნობ ქალს შეეკედლა. დაიწყო შრომა: ხან კერავდა, ხან ქსოვდა. კითხულობდა ვატაცებით. მსახიობის ნიჭი აღმოაჩნდა, თეატრს დაუახლოვდა, სცენაზე დაიწყო მუშაობა. ასე მოატანა ცხრაას პირველმა წელმა.

ერთ დღეს ბათუმის მოწინავე მუშამ მიხაკო კალანდაძემ ნატალიან „ოთხი ძმა“ მისცა. წაიკითხე და დაუფიქრდით უთხრა.

ნატალიამ წიგნი წაიკითხა და დაუფიქრდა. შემდეგ მიუახლოვდა კუთხეში დაკიდებულ ღვთისმშობლის ხატს. ჩამოიღო და უთხრა:

— შენ შენი თავისთვის ვერ გიშველია და მე მიშველი! — დაიკო, სტუი!

მოიქნია და გადააგდო.

„ოთხი ძმის“ შემდეგ ნატალიას „გლეხი კაცის ისტორია“ ჩაუვარდა ხელთ. მოეწონა.

როცა ნატალია მუშათა არალეგალური წრის წევრი გახდა, თავის ახალ ამბანაგებს ასე ეუბნებოდა:

— „გლეხი კაცის ისტორიაში“ ერთმა ადგილმა მომზიბლა. იქ ქალები ეუბნებიან ქმრებსა და ძმებს: წადით, იბრძოლეთ და ჩვენც თქვენთან ვიქნებითო. თუ იარაღს ვერ ვიხმართ, მანდილს წამოვიღებთ და პრილობებს შევიხვევთო. მაშასადამე, ქალებსაც შეჩაღებიათ დახმარება. და აი, მეც თქვენთანა ვარ.

მართლაც, ნატალიას დახმარება ჩქარა საჭირო შეიქნა. როტშილდის და მანთაშევის ქარხნების მოწინავე მუშებისაგან ნატალიამ შეიტყო, რომ ტფილისიდან ჩამოსულა „მთავარი პროპაგანდისტი“ მუშების მოსამზადებლად. ნატალიას ძალიან სურდა „მთავარი პროპაგანდისტის“ ნახვა, მაგრამ უთხრეს:

— ჯერ იმუშავე. მერე ენახოთ.

ნატალიაც მიხვდა და მუშაობას უმატა.



მალე ნატალია არალეგალური წრის აქტიური წევრი გახდა. ნატალია მშვენივრად ასრულებდა კავშირის მოვალეობას, და ალექსი გოგიბერიძე ხშირად ეტყოდა:

— ნატალო, შენ გამიმართლებ იმედებს. ტყუილა როდი ვარ შენი მიმრქმელი არალეგალურ წრეში.

ერთხელ ალექსიმ ნატალიას გრძელი ქალაღდების შეყვრა მისცა და უთხრა:

— როტშილდის ქარხანაში გაიარე. კარებთან ამხანაგი შეგხედება და თუ უღვაშზე მარცხენა ხელი ჩამოისვა, გადაეცი.

ნატალია მიხვდა, რომ ეს იყო ნიშანი, რადგან ვაჟაკი უღვაშზე მხოლოდ მარჯვენა ხელს ისვამს.

— მთავარი პროპაგანდისტის დაწერილია? — იკითხა ნატალიამ.

— პო...პო... იმისია. — უპასუხა ალექსიმ.

1901 წლის მიწურულს ბათუმის მუშებმა თავი მალა აწიეს, წელში გაიმართნენ და 1902 წლის დასაწყისს კაპიტალისტებსა და თვითმპყრობელობას შეუტრეეს. პირველი შეტევა მანთაშოვის მუშებისა — გამარჯვებით დამთავრდა. მაშინ როტშილდის მუშები გადავიდნენ შეტევაზე.

თვითმპყრობელობამ იგრძნო, რომ მუშათა მოძრაობას ხელმძღვანელობს ძლიერი ხელი. ძალას ძალა დაუპირდაპირა და 7 მარტს 32 მოწი-

ნაგე მუშა დააპატიმრა. 8 მარტს ამით 348 მუშა მიუმატა, ბათომი/ ყალ-
ბზე შედგა. თვითმპყრობელობამ იარაღი მოიღერა, მუშათა კლასმა—
მთლიანობა. ერქვენული

— 9 მარტს შევეუტიოთ თვითმპყრობელობას!—სტევენ ბათომის მუ-
შებმა.—დაეიხსნათ დაპატიმრებულები.

და 9 მარტს ბათომის მუშები პირველად გამოვიდნენ თვითმპყრო-
ბელობის წინააღმდეგ.

ნატალია დილიდანვე ქუჩაში იყო. ელოდა დემონსტრაციას. უამრავი
ხალხი შეიკრიბა ტროტურუარებზე, როცა ხმა დაირხა—დემონსტრაცია მო-
დისო. ნატალიამ თვალი მოჰკრა გაიანეს, დესპინეს, ვერას. ერთი თავისი
მახლობელი ახალგაზრდა ქალი, ლიზა სადრადე, რომ ნახა, გაუხარდა და
მივარდა:

— ლიზა, შენც?

ლიზამ გაუცინა, გრძელი ნაწნავები დაარხია და თავის მხრივ შეე-
კითხა:

— ნატო, შენც?

— მოდიან! მოდიან!—გაისმა აქეთ-იქიდან.

მთავრობამ დემონსტრაციას ტყვია დაუშინა. ქუჩა მოკლულ-დაჭრი-
ლებით მოიფინა, და ნატალია შევარდა წინა რიგებში და შესძახა:

— ნუ გეშინიათ, ძმებო! თქვენ პირველი მსხვერპლი ხართ რევო-
ლუციის!

ნატალიამ თვალი მოჰკრა ახალგაზრდა კაცს. მას უჯრედიანი კაშნი
ჰქონდა შემოხვეული, წინ მყოფთა შორის იყო და რიგებს აწყობდა.
ტყვიის დაშენის შემდეგ ამ კაცმა დაჭრილი მუშა აიყვანა და გაიტანა.

— წყალი! წყალი! ითხოვდნენ დაჭრილები.

ახლო-მახლო მცხოვრებმა ბერძნის ქალებმა წყლით სავსე თუნგები
მოარბენინეს. ნატალია მივარდა, გადაუყარა თუნგები: ნატალიას ვაგო-
ნილი ჰქონდა, რომ დაჭრილებს წყალი არ მოუხდებათ.

ქალები ეცნენ დაჭრილებს. დაუწყეს შეხვევა.

ერთი მძიმედ დაჭრილი ნატალიამ ხელზე აიყვანა და ლობესთან მიი-
ტანა. უბნის ზედამხედველი არსენიძე მივარდა ნატალიას, იშიშვლა ხმა-
ლი, ბრტყლად დაარტყა დნ დაუყვირა:

— შე როსკიპო, რას შევები? ვაგათავებ ამ საათში!

ნატალიამ დაჭრილი დაასვენა, მესერს მივარდა, მოგლიჯა და პო-
ლიციელ არსენიძეს დასარტყამად მოუღერა.

მოქნეული და მოზომილი ვის გაუგონია? ნატალია არ დაზოგავდა
ბოლიციელს, მაგრამ ამ დროს მკლავებში ეცა ვილაკ ოფიცერი. ნატა-
ლიამ მიიხედა, იცნო დავით კლდიაშვილი.

— რას შვრები, ქალო—უთხრა კლდიაშვილმა.—არ დაარტყა, თო-
რემ მოგკლავს.

— მომშორდი!— შეპყვირა ნატალიამ.— შენც მაგისტანა ხარ, /თორემ ამ ძაღლებთან არ იქნებოდი!

დავითი აკანკალდა, დაიგმინა, თითქოს ჯალათის, ^{ერქიხული} ^{მსახურის} ტყვიამოხვდა გულში, და გამოტანჯულად უპასუხა:

— შე უღმერთო, ერთი ჩემს გულშიაც ჩაიხედე და მაშინ მითხარი ეგ სიტყვები!..

თვალეებში ჩახედეს ურთმანეთს. ღრმა ტანჯვა და აღშფოთება ამოიკრახეს თვალეებში. ოღონდ დავითი კანკალებდა და ცდილობდა თავის შეკავებას, ხოლო ნატალია ბორგავდა და ზღვასავით ღელავდა.

ვაი, მოკვდი!— მოისმა ერთერთი დაჭრილის ხმა.

ქალები ვერ აუდიოდნენ შეხვევას: ორმოცდა ორი კაცი იყო დაჭრილი, ხოლო თორმეტი მოკლული.

ამ დროს ქალაქის კომენდანტი გამოჩნდა, ეტლში გამოჯგვიმული.

ნატალია მივარდა კომენდანტს და შეპყვილა:

— ჩამოდი ეტლიდან! ახლავე ჩამოდი! ეტლი დაჭრილებისთვის მინდა! კომენდანტი დაიბნა და ჩამოვიდა. დაჭრილები ეტლში ჩასვეს და წაიყვანეს.

ხალხი დაიშალა. სისხლიან ქუჩაზე სევდა ჩამოწვა.

ნატალია ვერ დაიძრა ადგილიდან. გამწარებული თვალეებით დაპყურებდა სისხლიან ქუჩას. უცებ ლობიდან ერთი შავი ძაღლი გადმოხტა, მივიდა სისხლიან ქვასთან, დასუნა.

— ააჰ!— აღმოხდა ნატალიას და შეპყვილა. ეცა ძაღლს. ძაღლი გაიქცა, ლობესთან შეჩერდა, მობრუნდა და დაიღრინა.

ნატალია დასწვდა ქვას. ქვა სველი იყო. ცრემლები ჩამოუცვივდა. ხელი დაუშვა.

— რას დგებარ, ნატალია, მოერეცხოთ სისხლი!— მოესმა ნატალიას, მიიხედა. დესპინე შაფათავა იდგა კასრით ხელში. ორმა ქალმა სისხლის მორეცხვა დაიწყო. უცებ ყაზარმებიდან ძლიერი გუგუნე მოისმა.

— ჩვენები მღერიან!— სთქვა ნატალიამ. გაიმართა წელში და შესძახა პატიმრებს:— აგრე, ძმებო, აგრე თქვენი ჭირივე! უჩვენეთ თვითმპყრობელობას, რომ არა ვართ დამარცხებული.

შავი ძაღლი კი სისხლიანი თვალეებით იყურებოდა.



იმ წელს ნატალია საავადმყოფოს ხშირი სტუმარი იყო. თითო შაურობით აგროვებდა ფულს, ყიდულობდა საკმელს და უგზავნიდა დაჭრილებს.

იმ წელს ციხის კარებთანაც ხშირად ნახავდით ნატალიას. ეკიოა ხელში კალათი და აწვდიდა საკმელს ტუსაღებს.

— კარგი ქალია. მაგრამ რატომ დასდევს მამაკაცებს? — იკითხნენ ხოლმე ჭორიკანები. — ძმა არა ჰყავს დაჭრილი და ქმარი.

მაგრამ ნატალიამ ჭორებს უფრადღება არ მიაჭიქინა და მათ უფრადღებას გაჰყვა. გაჰყვა და ჩქარა ციხეში ამოჰყო თავი. ნატალიამ ციხეში ყამერაში ჩასვეს.

ერთ დღეს ნატალიას ხუთი ამხანაგი წარუდგინეს, ხუთივე არალეგალური მომუშავე.

— თუ იცნობ? — ჰკითხეს.

— არ ვიცნობ, — უპასუხა ნატალიამ.

ნატალია ხუთივეს იცნობდა.

მეორე დღეს ნატალიას საკანს ვილაცამ დაუჯაკუნა და „სოსო გეძახის“.

— ვინაა სოსო? — გაბრაზდა ნატალია.

ამ დროს ნატალიამ უკვე იცოდა, რომ მთავარი პროპაგანდისტები, წინამძღვარი და სოსო ერთი და იგივე პირი იყო. იცოდა ისიც, რომ წინამძღვარი იქვე იჯდა ციხეში. კარზე მოკაკუნე ციხის ადმინისტრაციის მოგზავნილი ეგონა ნატალიას და ამიტომ უპასუხა მეკახედ.

მოკაკუნის ფეხის ხმა რომ მისწყდა, ნატალიას მოესმა:

— არ მენდო, სოსო!

ფეხის ხმა ისევე მოახლოვდა. ახლა ეს სხვა ნაბიჯები იყო, რაღაც მტკიცე და მოურიდებელი. საკანში გამოჭრილ ვიწრო ფანჯარაში იმან შემოიხედა, ვისაც სოსოს ეძახდნენ. მოცინარი, ანთებული თვალები ჰქონდა. მტკიცე ნიკაბი. ყელზე კაშნე ჰქონდა შემოხვეული. უცნობი დააკვირდა ნატალიას და ისე შესძახა, თითქოს ფოლადმა დაიწკრილაო:

— ეაშა! გაუმარჯოს ჩვენს მებრძოლ დებს!

და გაახსენდა ნატალიას 9 იანვარი. იქ ნახა ეს ამხანაგი.

ნატალიამ სიზარულისაგან ვერაფერი უპასუხა, ჩაილაპარაკა მხოლოდ:

— მაშ, ესაა წინამძღვარი? აი, როგორი ყოფილა!

ასე გაიწხო ნატალიამ წინამძღვარი.

წინამძღვარს რომ სასეირნოდ გამოიყვანდნენ, ნატალია შესძახებდა:

— მაშ გაუმარჯოს!

— ათაშჯერ გაუმარჯოს! — უპასუხებდა წინამძღვარი.

ბათომიდან რომ ქუთაისის ციხეში გადასაყვანად გაამწკრივეს პოლიტიკურები, წინამძღვარმა მტკიცედ უთხრა ეანდარმებს:

— ქალს ეტლი მოართვით, ისე ფეხს არ გავადგამთ აქედან.

ეტლი მოიყვანეს.

ქუთაისის სადგურზე წინამძღვარმა ასე სთქვა:

— წინ ქალი გაუშვით! დაინახოს ყველამ, რომ ქალებიც ჩვენთან იბრძვიან.

ქუთაისის ციხეში ნატალია სევდამ შეიპყრო. წარმოიდგინა კისამართლება, შორეული ციხშირი, ბორკილების ელარუნი და ატირდა. ეს დაინახა სოსომ.

და იმავე დღეს ნატალიამ „გოგრა“ პური მიიღო. მისი პური იმდენად მძღვრისაგან. ნატალია მიხვდა, რომ პური ტყუილად როდი იყო გამოგზავნილი. დაფშენა პური და ასანთის ღეროზე დახვეული ქაღალდის ნახვეი აღმოაჩინა. ნახვეში ასე დაეწერა სოსოს:

რას ნიშნავს, დედა არწივო, შენი ცრემლები? ნუთუ გაგტეხა ციხემ?

ნატალია გამხნევედა და მეორე დღეს, წინამძღვარი რომ დაინახა, შესძახა:

— მაშ გაუმარჯოს!

— ათასჯერ გაუმარჯოს! უპასუხა მან და დაუმატა: არ გაგტეხოს ციხემ! არ მოიწყინო!

— ნუ გეშინია, ვერ გამტეხს,— მტკიცედ უპასუხა ნატალიამ.

ნატალიამ გადასწყვიტა ციხის ადმინისტრაციის ვაზიბარუება. მოიგონა სილენჩე. დაიკავებდა ხელში მაკტოვრის ხატს, დაუწყებდა კოცნას და ეტყოდა ზედამხედველს:

— თქვენ არ იცნობთ ამ ყმაწვილს? ჩემი ძმაა.

— რას ამბობ? ღმერთს როგორ უბედავ მაგას?!— გაბრაზდებოდა ზედამხედველი.

— ღმერთით? აბა რას ამბობ? ღმერთი კი არა, ჩემი საქმროა,— გაუცინებდა ნატალია,— როგორ დაშვენდებოდა ჩოხა-ახალუხი? რა ბიჭია, რა ბიჭი!

და კოცნიდა იესო ქრისტეს.

— საწყალი, შერყეულა, — დაასვენა ზედამხედველმა.

ნატალიას დაუწყეს დაკვირვება. ნატალია გადაჭრით ამტკიცებდა, რომ იცნობს იესო ქრისტეს, რომ საცოლოა მისი და ჩქარა ქორწილიც გაიმართებაო. ციხის ადმინისტრაციამ გადასწყვიტა, ქრისტე არ ჩარეულიყო ციხის საქმეებში და თავიდან მოეშორებინა ნატალია, როგორც შეშლილი. ნატალია დააბრუნეს ბათომში და მიუსაჯეს ხუთი წლით ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა. წინამძღვარს გადასახლება მიუსაჯეს. ნატალიამ ბათომში მისგან წერილი მიიღო: მასახლებენ, დამხვდით.

მართლაც, გაგზავნის დღეს ნატალია ციხის კარებთან დახვდა. საქორი ნიეთები და სანოვაგე გადასცა.



გავიდა ერთი წელი. ერთხელ ღამით ნატალიას კარები ვილაყამ დააკაკუნა. გვიან იყო.

— ვინა ხარ?—ჰკითხა ნატალიამ.

— სოსო ვარ,—მოესმა პასუხი.

ნატალია შეკრთა.

„სოსო ციმბირშია. ალბათ, ჯაშუშია გამოგზავნილი.“ — გადასწევითა ნატალიამ და უცემხად უპასუხა მოკაყუნეს:

— არავითარ სოსოს მე არ ვიცნობ და არც ვისმე ველი.

— სოსო ვარ!—კვლავ მოისმა კარებს იქიდან.

ხმა ნაცნობი იყო. მაგრამ სოსო ხომ შორსაა? აქ რამ მოიყვანა?

— გამოლე, ნატაშა!—კვლავ გაისმა.

— მისი ხმაა,—გაიფიქრა ნატალიამ, მაგრამ კარი მაინც არ გაუღო: ვაი თუ ვტყუვდებო.

სიჩუმე ჩამოდგა. გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა.

„თუ ისაა, ჩვენი პაროლი უკოდინება“:

— მაშ გაუმარჯოს!—დაუძახა შიგნიდან.

— ათასჯერ გაუმარჯოს!—მოისმა პასუხად.

და იმ წამსვე კარები გაიღო.

ოთახში შევიდა ის, ვისაც ბათომის მუშები წინამძღვარს და მასწავლებელს ეძახდნენ.

წინამძღვარმა ერთხანს დაჰყო ბათომში და გაწყვეტილ ძაფებს დაუწყო თავის მოხმა. მის მიერ გამოწრთობილი მუშების ნაწილი ციხეში იჯდა. ნაწილი გადასახლებული იყო. მთავრობა გამალეებით ეძებდა მას. ამ დროს წინამძღვარი ნატალიას ბინაზე მუშაობდა და ნატალია უშიშრად ეხმარებოდა.

ერთ დღეს წინამძღვარმა განაცხადა—ტფილისს მივდივარ. ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები იწვევენ.

ლამე მოაწვა ფანჯრებს და სოსოც მოემზადა წასასვლელად. თავი აიჩნია და შუბლზე ჩამოყრილი თმა უკან გადაიკეცა. ყაბალახი ჩამოიფარა. ნატალიას გული აუჩუყდა.

— სად მიდიხარ, სოსო? რომ ჩავარდე მტრის ხელში, ხომ დავიღუპებით?

წინამძღვარმა ნატალიას თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— არა, ნატო! ჩვენი დამარცხება შეუძლებელია. მე მუშა ხალხს მალამოდ დავედები და გავიმარჯვებთ.

ყაბალახი აიკეცა და გაჰქრა.

რამდენიმე დღის შემდეგ ნატალიამ ტფილისიდან ასეთი წერილი მიიღო:

დაიკო, მანდაური ექიმების გამოწერილი წამალი აქაურ ექიმებს ნასაცილოდ არ ჰყოფნით. თუ შენი ავადმყოფობა გართულდეს აქ ამოდი?

ექიმებად წინამძღვარი ბათომის მენშევიკების ხელმძღვანელებს გულისხმობდა, ხოლო ავადმყოფად იმ დევნას, *რეპრესიული ნატალიას მოუწყეს.*

მას შემდეგ ნატალიამ ერთხელ კიდევ ნახა წინამძღვარი. ეს იყო 1905 წლის დასაწყისს, ბარცხანაში, სადაც წინამძღვარი მენშევიკების ბელადებს ანადგურებდა. წინამძღვარი მაშინ კავკასიის სოც.-დემოკრატიული კავშირის წარმომადგენელი იყო.

მას შემდეგ ნატალიას წინამძღვარი აღარ უნახავს. მაგრამ ნატალიას, მის ნამოწაფარს, იარალი არ დაუყრია. მუშაობდა სცენაზე და იატაკქვეშ.

1905 წელს ნატალია წითელი რაზმის წევრი იყო.

1908 წელს კიათურის რკინის გზაზე შტრეიკბრეხერთა ორგანიზაცია ჩაშალა.

სასცენო მუშაობას მუდამ უთავსებდა არალეგალურ მუშაობას, ჰყავდა ქალთა წრეები და ხელმძღვანელობდა მათ.

1930 წელს ნატალიას სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილე გადაუხადეს და საბჭოთა ხელისუფლებამ მას რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის სახელწოდება მიანიჭა.

ნატალია ახლაც მხნე და სიცოცხლით სავსე ქალია.



გიორგი კახაიძე

ჭონქაძე ბაღში

ვუმზერთ ბალიდან მშობლიურ ქალაქს
მოსასვენებლად მოსულნი ადრე.
უკვე გრილა და დაჰყურებს მკრთალად
მზე შემოდგომის ტანდაბალ ქანდრებს.
ხშირი შრიალით ალვის ხე ორი
ყრმობის დღეებზე გვაფიქრებს ოდნავ...
უცებ ლაღლაჟა ყვავილთა შორის
თვალი მოგტაცა საფლავის ლოდმა.
მწოლარე იგი გიბრწყინებს სახეს,
შენს ალუღვებას ვერაფრით ზღუდავ:
უკვე იმ კაცის საფლავი ნახე,
ვინც ნუგეშივით გიყვარდა მუდამ.
დულილი შენი ჩემს გულშიც შეგაქვს,
ხმა შორეული ჭონქაძის ისმის...
ო, განგვიცდია თვითეულ ჩვენგანს
გაუხარელი ცხოვრება მისი.
რა დაგვავიწყებს ამ ჭკვიან ლარიბს,
თავადთა მკერდზე მოქნულ ხანჯალს;
ვინც ხალხის გულთან იყო და არის
და ვინც შრომისთვის იგემა ტანჯვა.
იმ სასტიკ დროში მწერალი იგი
გაელვებაა მოღრუბლულ ცაზე.
ნერგავდა კალმით ჭოხების ირგვლივ
ადამიანურ გრძნობას და აზრებს.
აამეტყველა სიმართლის მცველი
ხალხის სევდამ და გრძნობათა ჯანყმა...
როცა დაეცა,—მკვდარს ხალხის ცრემლი
და სიყვარული საფლავში ჩაჰყვა.
ის აქ დამარხეს, დროდადრო სადაც
მარხავდენ მრავალს მრავალთა გვერდით.

წავიდა აღრე და გაჰყვა დარდად
მწუხარე ყმების მწუხარე ბედი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გავცქერით ბალს, და ყვავილთა მტვერი
ქარს მიაქვს სადღაც მდინარის ვალმა.
როგორ ვიზარდეთ. ვიცვალეთ ფერი,
აქ სასაფლაოს ბალახი გახმა;
გადაივიწყეს საფლავი ბევრი,
მაგრამ ქონჭაძე დატოვა ხალხმა.

მზე ჩაჰქრა. მოდის სიშავე ღამის,
იწყება ცაში ვარსკვლავთა ცვენა.
ქალაქიც ხანძრად აინთოს ღამის
ჩუზად მომავალ სიბნელის მწველად.
ლოდს ეპყურება ყვავილთა ნამი
და უბრუნდება სიცოცხლე მწერალს.

დამძიმებული ქვეყნიურ ფიქრით
მორთულ ყვავილებს ღებულობს ღებად.
ჯერ ახალგაზრდა, შემკრთალი თითქმის
ოდნაე მოხრილი მათ შორის ჯდება.
თვალეებით ეძებს ვიღაცებს ირგვლივ,
სდუმს და იგონებს შეხვედრებს ყმებთან;
ვინმე თავადი, მწერლით და წიგნით
შეშინებული თუ როგორ ყფდა.
კბენს სადღაც გულში წარსული ისევ, —
დგება და უმზერს გარემოს გაშლილს;
ქალაქის შუქით ინთება მზისებრ
და აღელვებით იჭრება ხალხში.

1937 წ.



თარას შავჩინაძე

გ ა მ ა ლ ი ა

„ეჰ, ქარი არა ჰქრის აქ უკრაინული
და ტალღებს არ გვესვრის,
იქნება იქ ბჭობენ ოსმალზე ლაშქრობას,
მაგრამ ჩვენ რა გვესმის!
დაჰბერე ქარო და მოვარდი ზღვაური,
ველებს რომ ველები.
ჩაჰკალი გაყინულ ბორკილთა ხმაური.
შეგვიშრე ცრემლები.
დაძარ ზღვაო და გასწიე კედლები,
გამოჩნდნენ ნავები,
მოდიან, მოჰჭრიან კაზახი მხედრები
აწვედილი მკლავებით.

ღმერთო, შენ უშველე, იხსენი კიდევაც,
მოგმართავთ ლოცვებით,
ან ვნახავთ კაზახთა ვაეკაცურ დიდებას,
ან დავიხოცებით“.

„ასე მღეროდნენ კაზახნი“ სევდას,
სკუტარში ერთად და ცრემლებს ღვრიდნენ,
ცრემლს ისევ ცრემლი და კენესა სდევდა.

არა სმენია ტირილი გმირთა
და ძლივს შეირბა ბოსფორი ფართო,
წაილა ტალღა ბლავილით მარტო
და დაანარცხა კლდეების პირთან.
ზღვამაც გაიგო წუხილი სხვისა,
რაც მორევებში უენოთ ითქვა,
ლიმანს მოსწმინდა ცრემლები ზღვისა
და დნებრს გადასცა ბოსფორის სიტყვა.

გადიხარხარა მდინარის ტალღამ,
 და უღვაშებზე მოიგდო ქაფი:
 — „გესმის ხარტიცა? ხომ არა გძინავს? **ქაქვი ნუღი**
 ხარტიცამ ვასცა პასუხი სწრაფი: **ბიზაზიქისეჲსა**
 — „გესმის“, — და დნებრზე კაზახთა
 რაზმმა,
 გადაიარა ტალღების კაფით:

„ოსმლო ქალს ამ ზღვას იქით,
 ჭობი უღვას მწირო.
 ზღვაო, კლდეებს დაჰკარ რიხით,
 შეუნგრე ძირი,
 ჩვენც მოვდივართ იქით.

ოსმლო ქალს ფარჩის კალთა,
 აესილი აქვს ვერცხლით,
 რა ხელი გვაქვს ლამაზ ქალთან
 მახვილით და ცეცხლით.
 საკუთარი სისხლით,
 ჩვენს მოძმეებს ვიხსნით.

ოსმლო ქალს გრძელი წვერით
 ფაშა უზის გვერდით.
 ჩვენი მტერი, როგორც მტვერი
 გავიტანოთ მკერდით,
 მოსისხარი მტერი!“
 მისცურავენ, ფრთამალია
 ქარის ჭროლა ზღვაზე,
 წინ მოუძღვის გამალია,
 ამართული ნავზე.

გამალია, ასწი აფრას,
 მკერდი კედელს გიგავს!
 და მოჰფარდნენ ზღვაზე მძაფრად
 მოთარეშე გრივალს.

პარამხანაში სთვლემს ბიზანტია,
 სძინავს სკუტარსაც და ზღვის ბიძგებმა
 აუფრიალეს შავი მანტია,
 რომ შესძლონ მისი გამოლვიძება.

— დადექ, ბოსფორო, გაგლესავ ქვიშით,
 ხედავ, სულთანთან სტუმრებში მომყავს,
 კიოდა ზღვა და ვაით და ვიშით
 კლდეს უკაწრავდა ამოკმულ ლოყას.



ერქონეული
 გიგზლირთხეა

ასე იცავდა ზღვა თავის მკერდით
 უცხო სტუმრებს და ქარის ნანაში,
 ლამაზ გოგონას ხულთანის გვერდით,
 ისევე ეძინა ჰარამზანაში.

მხოლოდ არ სთვლემდნენ სკუტარის ტყვენი,
 ღმერთს ლოცულობდნენ ბორკილით ხელში,
 ზღვა კლდეს ლოკავდა ქაფიან ენით
 და ოსმალურ ხმალს იქნევდა ბნელში.

„ჰე, დიდო ღმერთო უკრაინისა,
 აქ ნუ გაგეწირავ უცხო მხარეში,
 ნუ გვაკმევ სირცხვილს, იქაც და აქაც —
 ჩვენი მშობელი ქვეყნის გარეშე.“

რომ ვით მონები შენს წინ არ წარვსდგეთ,
 და განკითხვის ეამს, ქვეყნის წინაშე
 კვლავ ბორკილები არ გვედოს მკლავზე
 და არა გვეჭონდეს მკერდი რკინაში“.

სთქვეს და გაისმა: „დაჰკარ, აკაფე“, —
 და ცეცხლის შუქი მოადგა თვალებს,
 „დაჰკარ ურჯულოს!“ გილაც კიოდა
 და მკერდით გლეჯდა სკუტარის კარებს.

გამალია სკუტარს ანგრევს,
 ერჩის მკლავიც, გულიც —
 და მიუვალ ციხის სანგრებს
 გრიგალივით უვლის.

სკუტარის თავზე ჰქუხს ზარბაზანები.
 მტრის ჯარის ახალი გუნდები სცვლიან
 დ. კაზახების მწყობრი რაზმები,
 იანიჩარებს ტყვსავეით სჭრიან.

გამალია ხმლითა სცელავს.
ჯოჯობხეთის ბუღეს.
ხან ბურჯებზე მტერსა სთელავს
ხან ალაყაფს უტევს.



— „ამოფრინდით არწივებო,
მტერი მოვსპოთ უნდა“.
გაიგონეს შევარდნებმა
ამოფრინდნენ გუნდათ.
და ბრძოლაში ჩაბმულ მხედარს,
მხარი მისცეს ძმებმა,
არ უნახავს მოხუც დედას
კანახური შებმა.

ნუ შეკრთები, მოდი ნახე
ჩვენებური ლხინი,
შავი ღამე, როგორც მახე
ჩაღობილა რკინით.

გამალია წინ მიუძღვის
განა ქურდბაცაცებს,
მოჰკივის და მოუძღვება
ხმალშიშველა კაცებს.

და სკუტარი ღრუბლებამდე
ცეცხლის ალით ქშინავს,
ცეცხლი წივის ხომალდებზე,
გარეთაც და შინაც.

შეტორტმანდა ბიზანტია,
ბრაზით თვალებს სჩაჩხავს
და კბილებით ეზიდება
კახახების ჩაჩქანს.

ბღაეის მხეცივით და როგორც ნისლი,
ზღვის კიდევებზე მტერი ქუჩდება,
ფრანგულის პირზე იფეთქებს სისხლი,
შემდეგ დაცხრება და მიუჭრდება.

იწვის სკუტარი და ცეცხლი მალა
უვლის სართულებს, კედლებსა კაწრავს

და კვლავ იქებებს ბოსფორის ტალღა,
რომ სისხლის ღვარი მეორედ დაძრას.



კაზახთა რაზმი ციხეზე ფრინავს,
თითქო შევარდნის გუნდი უვლიდეს,
რომ დნებრის პირას გაღვსილ რკინას,
ცოცხლად ვერავენ ვერ წაუვიდეს.

ცეცხლში დგანან და არა სწვავთ ცეცხლი,
კაზახთა გულშიც ცეცხლი იალებს.
და ოსმალური ოჭრო და ვერცხლით,
ნავებს ტვირთავენ იალქნიანებს.

დაცხრა სკუტარი, გათავდა ჯაფა,
ბიჭებს — ბიჭები მიუღვნენ გვერდით,
ლურჯი აფრები აშალეს სწრაფად
და ქაფმორეულ ტალღების ფაფარს,
ახალ ბრძოლაში შეებმენ მკერდით.

მისცურავენ და დიდიხნის ნატრულს,
სამშობლო მიწის ნაპირს ელიან,
სკრიან მორევებს და როგორც მაყრულს,
თავის საყვარელ ლაშქრულს მღერიან:

„ჩვენმა გმირმა გამალიამ,
გ'ზა გალია ბიჯებით,
ზღვა შეხვდა და ზღვაც დალია
თავდადებულ ბიჭებით.

ზღვა შეხვდა და ზღვას იქითაც
გაიარა ტყეები,
რომ დაეხსნა ოსმალეთში
დაკარგული ტყვეები.

არ დაზოგა არც მოსისხლე,
არც მკლავი საკუთარი,
შელეწა და შეანგრია
მიუვალი სკუტარი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მოძნეებს შეუძახა:
„ღმერთი არის მოწყალე,
ისევე ვართ ცოცხალი.
ღვინო ესვით და ნაფოტ-ნაფოტ
მტერი ვჭრათ და მტერი ვკაფოთ,
და კარვები ხალებით და
ხავერდებით მოვიხატოთ“.

ამოფრინდნენ კაზახები,
ყანა სჭრეს და თივა ცელეს,
ძნებად დადგეს, ძნაც გათჭერეს
და უმღერეს თავის მხსნელებს.

„დიდება შენ, გამალია,
გზა მიგიძღვის დიად მზისკენ,

რომ მოძმენი ტყვეობიდან
ვაქეცური მკლავით იხსენ“.

შიმღეროიან და გმირის თვალი
თავის არწივებს გარს დასტრიალებს,
ღარდანელიდან წამოვა ქარი
და იალქნების ტყეში შრიალებს.

არა სჩანს მტერი უკან მღვეარი
გეტმან ივანე პოდკოვას შიშით,
რომ სტამბოლს ისევ არ მისცეს ცეცხლა
და არ წალეკოს ბოხფორის ქვიშით.

ზღვას მიაპობენ, ზღვა ხან დაცხრება,
მიინაბება და ძილს აპირებს,
ხან კი უეცრად ისევ გაწყურება
და ეკვეთება კლდიან ნაპირებს.

გამალია, ქარმა დაჰკრა,
თითქო ქარიც ჰკვირობს,
და დაეცა შშვიდად აფრა
შშობელ სანაპიროს.

სთარგმნა ილო მოსაფვილმა.



სანაწილ პირველ

ს ზ ა ლ ი ნ ი

სტალინი ცხოვრობს იქ, სადაც თოვლის
ზეავებს ვერ აღნობს ზაფხული ცხელი.
სტალინი ამბობს: ბაღნარებს მოვლილს
მხოლოდ მშრომელის აყვავებს ხელი.

სურს და ბავშვების სიხარულს ხედავს,
ხალხს მოუტანა ცხოვრება წყნარი.
მე კი თოვს ვიღებ და ვეტყვი დედას.
„სტალინი“ — ძვირფასი სახელი არის.

ესმის უსწავლელ და მოხუც დედას
„სტალინი“ — ოცნების მოძმეა მარად,
აწ „ამხანაგი“ მას ესმის მეტად,
„შენ“ — მეგობრული და ხალხთა „მამა“.

თუ დავეცემი ბრძოლაში ჩქარა,
შენ დაგიტოვებ, ძმაო, იარაღს!
გამარჯვებისთვის მზად იყავ მარად,
ვერ შეგაშინებ მწველი იარა!

სტალინს მოსკოვში ფიქრი მოიცავს
მე ჩემს ქვეყანას დავიცავ მკეროთით
ჩვენ ერთი გვიყვარს ორივეს მიწა
და გამარჯვება გვერგება ერთი.



რაფაელ ალბერტი

რომანსეჲო ჰეკსოგ ალბაზე

შენი ბაბუა ომის დროს სიცილს
კარლოს მეზუთეს აყრიდა ალბად:
რეიტუზები გახერხა მისი
მაშინ პირველმა ჰერცოგმა ალბამ.

შენ კი ჰერცოგი უკანასკნელი
სულ სხვანაირად გამოჩნდი ბოლოს:
და შეუყარი იგი გახსნილი
შენ უკანასკნელ ესპანელ კოროლს.

შენს სასახლეს კი, სადაც დიდების
ძველი ნიეთები სცვლიან ერთმანეთს,
ახლა იცავენ კომუნისტები,
ვინც სიამაყედ უჩანს ესპანეთს.



ლუის დე ტაპია

საბჭოთა ქაღებს

სთელი ოდესელად, ლენინგრადადელად —
ან სხვად—საბჭოთა კავშირის ქაღებს
მუზავ, შენ უნდა ჰკოცნიდე ყველას,
შენ იმათ უნდა ჰკოცნიდე თვალებს.

მნიშვნელოვანებს ამ დღეებს მეტად
გაკვეთილები შოაქეთ თავისი,
და ამ სტრიქონებს ველარც კი ვხედავთ
მე და შენ ღელვით ისე ავივსეთ.

და არავისთვის არის ფარული,
რომ ქალი მუდამ ასეთი უნდა,
საესე აღზნებით და სიყვარულით
როგორც შენ, ლალო ქვეყანავ, მუდამ.

ღიახ, მივიღებთ ჩვენ ამ საჩუქრებს
და სიხარულით იტყვის ეს გული:
+ვეტყვი ჩვენ ქალებს, ბავშვებს, კაბუტებს,
რომ ქვეყნად ცოცხლობს კვლავ სიყვარული.“

როს გამარჯვების ერეოლა მოგვედო,
ან დამარცხების გვეწვავდა ალები,
როცა ქუჩებში ჰქუხდა ტოლედო —
ჩვენ მეომარი ვნახეთ ქალები.

ჯერ ესპანეთი უბყრია სევდას,
ჯერ ვერ შევძელით ფაშიზმის ძლევა,
მაგრამ მე მაინც აშკარად ვხედავ,
როგორ ბრუნდება საბჭოთა „ნევა“.

კვლავ სიხარულით შეხვდება მაშინ
მას ესპანელი მებრძოლი ქალი.
ჩვენთვის შავი ზღვა ანათებს მასში
ნაზად გამთბარი გულების ალით.



ლუის დე ტაკია

პოეზის გახსნა ღოგას ხსოვნას

მე არა მჯერა ჭორების ბორცვა.
ეგ სიცრუეა, ცრემლები გაშრა:
ალარ არისო გარსია ლორკა,
მოხვდაო პოეტს ტყვია თუ დაშნა.
გულს სტკივა უცხო ამბით დადაგულს,
რომ კვლავ ვერასდროს ვერ გაიგონებს
შენს ვერცხლის სიცილს, როგორც ნაკადულს,
შენი ნაზი ზმით ნაკითხ სტრიქონებს.
რომ ყოფილიყავ ჩვენს შორის ახლა
სუნ შემოქმედი, როგორც არც ურთი,
განრისხებული ლექსებით ალბათ
დღეა შენს დახვრეტას თვითონ აღწერდი!
ცვი ბინდისი და მუნდირები,
ფოლადი, ყვითელ თასმების რიგი,
კედლის ნახვრეტთა ღია პირები
და ტყვიამფრქვევთა ცეცხლები ირგვლივ.
მიწას კივილად შემოევლება
შენი სიკვდილი, შეარყევს შავად,
და, ფედერიკო, ჩვენი ცრემლები
სითხედ კი არა, ტყვიებად წავა.
ჩვენ შურის გებას ცეცხლის ენათა
მკაცრი გრიგალით მარადის ვფიცავთ.
შენ დაგიტირა შენმა გრენადამ
და ესპანეთის მშობელმა მიწამ.



მანუელ ალბოლაგიძე

ციხე ედ კარპიო

შენი მერცხლები გაფრინდნენ, ციხე,
შემოგესივნენ ყორნები ძალად,
კოშკებში მღვდლები და მტრები ისხდნენ
და ტყვიამფრქვევით ესროდნენ ქალაქს.

ყორნების ტყვია ხედებოდა ბავშვებს,
ქალებსაც — ტყვია გულშემზარავი,
და გარინდებულ ქუჩებში მაშინ
ცოცხალი სჩანდა კვლავ აღარავინ.

თეთრ სახლებამდე გზა დაპყრობილი
თეთრ ქალაქამდე თეთრი გზა მიდის.
იმ გზით მოვიდა ავტომობილი
შავი მუშებით და დინამიტით.

მემალაროვე მოვიდა სამი,
ძმადნაფიცები შესვრილნი მუქად,
ეს გზა ყოფილა ბევრის მოწამე,
მაგრამ არავინ წასულა უკან.

ძმადნაფიცებმა კლდეები დახრეს,
ამოითხარეს მიწა ხელებით,
და ელ კარპიოს მოგენგრა სახე
და შემოცვივდნენ შიგ რაზმელები.

აიღეს ციხე კვლავ რაზმელებმა
ჩამოეცალა მკვდარ ქუჩებს თალხი.
იმ ვაეკაცობას და-გახელებას
არ დაიფიწყებს არასდროს ხალხი.

ლექსები სთარგმნა გივი გაჩეჩილაძემ





ქართული
ენების ცენტრი



დოლორეს იბარუბი (პასიონარია)



ქართული
 ენციკლოპედია

პროსპერ მერიჟო

ნაჩიღები ესპანეთიდან

(მიმართული „Revue de Paris“ რედაქტორისადმი).

მადრიდი, 25 ოქტომბერი, 1830 წ.

მოწყალეო ხელმწიფევე! ხარების ბრძოლას ჯერ კიდევ დიდი მოწონება აქვს ესპანეთში, მაგრამ მალალი კლასების წარმომადგენელთა შორის იშვიათია ადამიანი, რომელსაც ერთგვარი სირცხვილი არ განეცადოს ამგვარ არსებითად რასაკვირველია, ძალიან შეაკრ სანახაობისადმი სრყვარულის გამოჩენისათვის. აი რატომ ცდილობენ ესპანელები მას სხვა დასხვა გასამართლებელი საბუთი გამოუნახონ. პირველი ის, რომ ეს სანახაობა ნაციონალურია. მხოლოდ ეს სიტყვა ნაციონალური სრულიად საკმარისი იქნებოდა, რადგანაც ლაქეური პატრიოტიზმი ესპანეთშიც ისევე ძლიერადაა გავრცელებული, როგორც საფრანგეთში. შემდეგ, განაგრძობენ ისინი, რომელები კიდევ უფრო მეტ ბარბაროსობას იჩენდნენ, ვიდრე ჩვენ, როდესაც ადამიანებს აიძულებდნენ ერთმანეთთან ებრძოლათო. გარდა ამისა, დასძენენ ეკონომისტები, სოფლის მეურნეობა სარგებელს პოულობს ამ ჩვეულებიანაგანო: მოჭიდავე ხარების მალალი ფასები აიძულებს მებატონეებს უშველებელი ნახირი გააშენონო. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ ხარს როდი აქვს თვისება ეცეს ადამიანს და ცხენს, და ოც ცალში ძლივს მოიპოვება ერთი, საკმაოდ გულადი, რომ არენაზე გამოვიდეს; დანარჩენებს ყანის მუშაობაზე ხმარობენ. ერთადერთი საბუთი, რომლის აღიარებასაც ვერავინ ბედავს, თუმცა იგი სრულიად უდავო იქნებოდა, მდგომარეობს იმაში, რომ, მიუხედავად თავისი სიმკაცრისა, ეს სანახაობა ისე საინტერესოა, ისე წარმტაცია და ისეთ მძლავრ გრძნობებს იწვევს, რომ არც ერთ ადამიანს, რომელიც კი აიტანს პირველი ბრძოლის ცდუნებას, არ ძალუძს უარი სთქვას მასზე. თვით უცხოელებიც კი, რომელთაც პირველად შესდგეს ფეხი ცირკში. (რასაკვირველია, დიდის შეძრწუნებით და მხოლოდ იმ მიზნით, რომ კეთილსინდისიერად შეასრულონ მოგზაურის მოვალეობა), თვით უცხოელებიც კი, ვამბობ შე, მალე იწყებენ გატაცებას ხარების ბრძოლით არა ნაკლებ, ვიდრე თვით ესპანიის მკვიდრი მცხოვრებლები. კაცობრიობის სა-

მარცხენოდ უნდა ვალიაოთ, რომ ომი მთელი თავისი შემადარსებლობით არაჩვეულებრივად წარმოტაცია, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც მას მყუდრო კუთხიდან უყვირდება.

წმინდა ავგუსტინე მოგვითხრობს, რომ ახალგაზრდობაში სამწილად მძულდა გლადიატორების ბრძოლა, რომელიც ვერ არასოდეს არ მენახაო. იძულებული ერთ-ერთი მეგობრის მიერ დაესწრებოდი მასთან ერთად ამ ბრწყინვალე სასაჯლოს, მე ფიცი დავდე არ გამეხილა თვალი მთელი წარმოდგენის განმავლობაშიო. თავდაპირველად პირნათლად ვასრულებდი ჩემს დაპირებას და ვცდილობდი ვარეშე საგნებზე მეფიქრა; მაგრამ შეძახილზე რომელიც ხალხს აღმოხდა სახელოვანი გლადიატორის დაცემის გამო, თვალი გაეახილე. — გაეახილე და შერე ველარ დავხუჭეო. ამიერიდან ვიდრე მოქცევამდე მე ცირკის სანახაობათა ვნებიანი თავყანისმცემელი დავჩიო.

ესოდენ დიდი წმინდანის შემდეგ მე მეკრძალება საკუთარი თავი დავიმოწმო, მაგრამ თქვენ მოგუხსენებათ, რომ მე არ ვავეირჩევი ანტროპოფაგის გემოვნებით. როდესაც პირველად მადრიდის ცირკში შევედი, ვშიშობდი, რომ ვერ ავიტანდი ასე უხვად დაღვრილი სისხლის სანახაობას; ვშიშობდი, რომ გული ამიჩუყდებოდა (მე ვერ ვუთავდებებდი ჩემს თავს), და სასაცილოდ ვეჩვენებოდი ამ სანახაობის მუდმივ სტუმრებს, რომლებმაც ადგილი დამითმეს ლოჯაში. არაფერი ამის მსგავსი არ მოხდა. პირველი ხარი უკვე მოკლული იყო, და მე არ მიფიქრია წასვლა. განვლო ორმა საათმა, რომელიც არ შეწყვეტილა არც ერთი ანტრაქტით, და მე მაინც არ მიგრძენია დაღლილობა. არც ერთ ტრაგედიას მსოფლიოში არ გაუტაცივარ ასე ძლიერად. ესპანიაში ყოფნის დროს არ გამომიტოვებია ხარების არც ერთი ბრძოლა, და ჩემდა სამარცხენოდ უნდა გამოვტყდე, რომ ბრძოლანი სასიკვდილო შედეგით ყოველთვის მერჩია იმათ, როცა მხოლოდ აღიზიანებენ ხარებს, რომელთაც უხიფათო რგოლები ჰქონდათ რქებზე. განსხვავება აქ იგივეა, რაც სამკედრო-სასიცოცხლო შეტაკებასა და ჩლუნგთაგვებიანი შუბებით გამართულ ტურნირს შორის. მიუხედავად ამისა, ორივე სახის ბრძოლა ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მხოლოდ მეორე შემთხვევაში ხიფათი ადამიანისათვის თითქმის არარას უდრის.

შეჯიბრის წინა დღე უკვე დღესასწაულს წარმოადგენს. უბედური შემთხვევის თავიდან ასაცდენად ხარებს ცირკის ბოსელში (encierro) მხოლოდ ღამით მიერეკებიან; ბრძოლისათვის დანიშნულ წინა დღეს სინი საძოვრებზე ბალახობენ მადრიდის ახლოს (el arroyo — აროიო). იმართება განსაკუთრებული სეირნობა ხარების სანახავად, რომლებსაც ხშირად შორიდან მოერეკებიან. მთელი მწკრივი ეტლებისა, ცხენოსნებისა და ქვეითებისა აროიოსკენ მიემგზავრება. მრავალი ახალგაზრდა

ვაჟი იმ შემთხვევისათვის ანადლუზიის მახოს *) მოხდენილ მოსაწყმელს იცვამს და ბრწყინავს ჩვენი ჩვეულებრივი სადა ტანსაცმელს, მერ ალკრძალული სიმდიდრით და მოკაზმულობით. უნდა ვთქვათ, ესეთი სეირნობა არც ისე უზიფათოა: ხარები თავისუფლად არიან, გამყოლები ვერც ისე ადვილად ათვინიერებენ მათ, და ცნობისმოყვარენი თვით უნდა გაუფრთხილდნენ მათ რქებს.

ცირკი Cplazas არსებობს ესპანეთის თითქმის ყოველ მნიშვნელოვან ქალაქში. ჩვეულებრივ ეს არის დიდი ფიცრული ალაჩოხი, და ქალაქრონდას ამფითეატრი რაღაც საოცრებად მიაჩნიათ მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქვითაა აშენებული. ეს ყველაზე უფრო ლამაზი ცირკია ესპანეთში, ისევე, როგორც ტუნდურ-ცენტრონკის ციხე-დარბაზი ულამაზესად ითვლებოდა ვესტფალიაში მხოლოდ იმიტომ, რომ მას ფანჯრები და კარები ჰქონდა. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს თეატრის მორთულობას, თუ კი თვით წარმოდგენა საუცხოვოა? მადრიდის თეატრი იტევს შვიდი-ათას მაყურებელს. რომლებიც თავისუფლად გადიან და შემოდიან მრავალ კარიდან, სხედან აქ ფიცრის ან ქვის მერხებზე; **) არის რამდენიმე ლოჯა სკამებით. მხოლოდ მისი კათოლიკური უდიდებულესობის ლოჯის მორთულობას ერთგვარი სილანაზე ეტყობა. არენა შემოფარგლულია შტაკიცე ბარიერით, დაახლოვებით ხუთნახევარი ფუტის სიმაღლეზე. მიწიდან ორი ფუტის მანძილზე ბარიერის ირგვლივ ორივე მხარეს მისდევს კარნიზი, თავისებური საფეხური ანუ დასაყრდნობი, რომელიც დევნილ ტორეროს ხელს უწყობს ადვილად გადაახტეს ზღუდეს.

ვიწრო გასავალი ჰყოფს მას ამფითეატრის საფეხურებისაგან, რომლებსაც ბარიერის სიმაღლე აქვთ. ვარდა ამისა, ისინი დაცულნი არიან, მაგარ ბოძებზე ორმწკრივად გაბმული თოკით. ეს სიფრთხილის ღონისძიება შემოღებულია მხოლოდ უკანასკნელ წლებში. ერთხელ ხარა არა თუ გადაახტა ბარიერს (რაც საერთოდ საკმაოდ ხშირად ხდება), არამედ ეცა კიდევ საფეხურებს, სადაც მრავალი დამსწრეთაგანი მოჰკლა და დაასახინრა. ფიქრობენ, რომ გაბმული თოკი საკმაოდ იცავს ამგვარი უბედურების განმეორებისაგან.

არენაზე გამოდის ოთხი კარი. ერთ მათგანს მიეყავართ ხარების ბავაში (toril) მეორეს — სასაკლაოში (matadero), სადაც მოკლულ ხარებს ატყავებენ და ბალთავენ, დანარჩენი ორი კარი დანიშნულია ამ ტრაგედიის ადამიანური პერსონაჟებისათვის.

წარმოდგენის წინ ტორეროები იკრიბებიან ოთახში, რომელიც უშუალოდ ცირკს აკრავს. იქვე გვერდით მოწყობილია თავლები, ცოტა დამო-

*) მხო — დარდიმანდი საზოგადოების დახალი კლასებიდან.

**) უკანასკნელ წლებში ამფითეატრის საფეხურები გადაკეთებულია ქვის საფეხურებად.

რებით მოთავსებულია ჰოსპიტალი. ქირურგი და მღვდელი კოველიძის მახლობლად იყოფებიან.

ოთახი, რომელიც ფოიეს დანიშნულებას ასრულებს, მოთავსებულია უწოდ ვაფერადებული მადონათი, რომლის წინ რამდენიმე სახითელი აფთია; შორიახლოს სდვას მაგიდა პატარა მაყალით, სადაც ნალევრდალი ღვივის. ყოველი ახლად შემოსული ტორერო ჯერ ქედს იხდის ქანდაკების წინ, საჩქაროდ ლოცვის ნაწყვეტს ბუტბუტებს, შემდეგ სიგარს იღებს. მას ნალევრდალზე უკიდებს, სწევს და ებაასება ამხანაგებს და მუდმივ დამსწრეთ, რომლებიც იკრიფებიან აქ, რათა ბრძოლისათვის დანიშნული ხარების ღირსებანი განსაჯონ.

ამ დროს შიდა ეზოში მხედრები, რომლებიც ცხენებით იბრძვიან, შეტაკებისათვის ემზადებიან და თავიანთ ცხენებს შინჯავენ, ამისათვის ისინი ცხენს ჭენებით პირდაპირ კედელზე უშვებენ და მას გრძელ ლატანს ატაკებენ, რომელიც შუშის მაგივრობას უწყევთ; ამ დასაბჯენ წერტილზე დაყრდნობილი ისინი თავიანთ ცხენებს ავარჯიშებენ, რათა ისინი უეცრად და რაც შეიძლება კედელთან ახლოს მოტრიალებას შეეჩვიონ. შემდეგ თქვენ დაინახავთ, რომ ეს ვარჯიში სრულიადაც ზედმეტი არაა. ცხენები, რომლებსაც ამ მიზნით ხმარობენ, თითქმის მუქთად შესყიდული წუნდადებული ჯაგლაგები არიან. ვიდრე არენაზე გამოუშვებდნენ, მათ თვალებს უფარებენ და ყურებს სველი ბულულით უტენავენ: შიშობენ უამისოდ ხალხის ყვირილი და ხარის დანახვა დააფრთხობთ.

ცოკი ცოცხალ და მოძრავ სურათს წარმოადგენს. ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, ვიდრე ბრძოლა დაიწყებოდა, არენა გაჭედლია ხალხით; საფეხურები და ლოკები სახეების მთლიან ბუნდოვან მასას წარმოადგენენ. ადგილები ორ ხარისხად იყოფება: დაჩრდილულ მხარეზე მოთავსებულია ყველაზე უფრო ძვირი და მოხერხებული ადგილები, მაგრამ შუის მხარეც ყოველთვის სავსეა შეუდრეკელი „მოყვარულებით“. ქალები უფრო ნაკლები არიან, ვიდრე მამაკაცები, და მათი უმრავლესობა manolas (გრიზეტ ქალები) კატეგორიას ეკუთვნის. საქმე ისაა, რომ ფრანგულმა და ინგლისურმა რომანებმა ამ ბოლო ხანებში წაახდინეს ესპანელი ქალები და მათ ძველებურ ზნე-ჩვეულებისადმი პატივისცემა მოუსპეს. მართალია, შეიძლება ლოკაში ზოგჯერ რამდენიმე მოხდენილი ტანსაცმელი დაინახოთ, მაგრამ ახალგაზრდა ქალი ძალიან იშვიათია. რამდენადაც მე ვიცი, სასულიერო წოდების პირთათვის ამ სანახაობის დასწრება აკრძალული არ არის, მაგრამ მიუხედავად ამისა, მე მხოლოდ ერთხელ (სევილიაში) ვნახე მღვდელი სასულიერო ტანსაცმელში. მითხრეს, ბევრი მათგანი გადაცმული დაიარება იქაო.

კორრიდას პრეზიდენტის მიერ მიცემული ნიშნის მიღებისთანავე, უფროსი ალგვასისი და ორიც სხვა, რომელთაც კრისპენის მსგავსად აცვიათ—სამივე ცხენებით—მხედრების მცირეოდენ ჯგუფის სათავეში ხალ-

ხისაგან ანთაეისუფლებენ არენას და ვიწრო დერეფანს, რომელიც არენასა და საფეხურებს შუა მიჰყვება. როდესაც ალგვასილები და მათი აშალა დასტოვებენ არენას, განსაკუთრებული ჰეროლდი სასამართლოს ბოქაულთან და ქვეითად მყოფ ალგვასილებთან ერთად შემოდის შუა მოედანზე და კითხულობს განკარგულებას, რომლის ძალითაც აკომალუ-ლია არენაზე რაიმეს გადაგდება, ყვირილით ანუ მოძრაობით მებრძოლთა შეკრობა და სხვა და სხვა. მიუხედავად დარბაისლური ფორმული-სა: „სახელით მეფისა, ჩვენი ბრძანებლისა, რომელსაც ღმერთი ჰფარავ-დეს მრავალჯამიერ და სხ.“, — როგორც კი იგი გამოჩნდება, ყოველს მშრიდან გრიგალივით სტვენა ასტყდება და არა სწყდება არც ერთი წუ-თით, ვიდრე კითხულობენ დეკრეტს, რომელსაც არსებითაც არასოდეს არ იცავენ. ცირკში და მხოლოდ ცირკში ხალხი თვითნებურად განიგებს თავისთავს, ამბობს და სჩადის ყველაფერს, რასაც მოისურვებს. *)

ტორეროები ორ მთავარ კლასად იყოფებიან: პიკადორები, რომ-ლებიც ცხენებზე იბრძვიან შუბით ხელში და ქვეითი ჩულოები, რომ-ლებიც ალიზიანებენ ხარს ღია ფერების ჭაოვილების ქნევით. უკანას-კნელთა კატეგორიას ეკუთვნიან ბანდერილიერები და მატა-დორები. მათ შესახებ მე კიდევ ქვევით მოგახსენებთ. ტანთ ყველას ანდალუსიური ტანისამოსი აცვია, თითქმის ისეთივე, როგორც ფიგაროს „სევილიელ დალაქში“. მაგრამ პიკადორების მოკლე შარვლე-ბისა და აბრეშუმის წინდების მაგივრად ხმარობენ ფიცარ და რკინა-ჩა-ტანებულ სქელი ტყავის შარვალს, რითაც მუხლებს და თეძოებს ხარის რქებისაგან იცავენ. ქვეითად ისინი ცირკულისებურად ფართოდ გადგმუ-ლი ფეხებით მოძრაობენ, ხოლო როდესაც მათ ცხენები გადმოაგდებენ, თუ ჩულოები არ დაეხმარნენ, ვერ აღგებიან. მათ თურქული ყაიდის უნა-გირი აქვთ, რკინის უზანგოებით, რომლებიც ჩვენებურ საბოს **) ჰგვა-ნიან და შთლად ჰფარავენ ფეხს.

ჯაგლაგი ცხენის დასამორჩილებლად პიკადორები ხმარობენ ორ-დიუმიანი მახვილი წვეტით აღჭურვილ დეზებს. მათი შუბი დიდია, გამ-ძლე და თავდება არაჩვეულებრივად მახვილი რკინის წვეტით, მაგრამ რადგანაც აუცილებლად საჭიროა, რომ სიამოვნება გავრძელდეს, ამი-ტომ წვეტზე თოკის რგოლია ჩამოცმული, რომელიც რკინას ხარის სხე-ულში არ უშვებს ერთ დიუიმზე უფრო ღრმად.

ერთ-ერთი ცხენოსანი ალგვასილი ქუდით იჭერს ვასალებს, რომელ-საც ბრძოლის პრეზიდენტი ისერის ხელზე. ეს ვასალები არაფერს არ ალუბს, მიუხედავად იმისა, მხედარი მას აძლევს კაცს, რომელიც ვალ-

*) კონსტიტუციის აღდგენის შემდეგ „მეფე - ბრძანებლის“ დეკრეტი აღარ ჰქაყნდება.

**) საბო — ერთგვარი ოზოფეხებია, რომელთაც ფრანგი გლეხები ხმარობენ.

დებულაია ბოსელი გაალოს; მხედარი იმავ წუთში უკანვე აქენს ცხენს, ნას ხალხი ყიჟინას აყრის, უფვირიან, ხარი განთავისუფლებულია და მოვდევსო. ეს ხუმრობა მეორდება ყოველი ახალი ბრძოლის წინ.

ამასობაში პიკადორები თავიანთ ადგილებს იკავებენ. მხედარიც არენაზე ორი მათგანი გამოდის; შიგნით შენობაში იმყოფება კიდევ ორისამი პიკადორი, გამზადებული ამხანაგების შესაცვლელად ისეთ უზედურ შემთხვევაში, როგორცაა სიკვდილი, საჭიფათო დასახიჩრება და სხვა. თორმეტამდე ქვეითი ჩულო არენაზეა განაწილებული ისეთ მახილზე, რომ ადვილად დაეხმარონ ერთმანეთს.

ხარი, რომელსაც წინდაწინ აღიზიანებენ ვალიაში, ცოფმორეულივით გამოვარდება. ხშირად ის ერთის დაკვრით შუა არენას მიალწევს და სწრაფად შესდგება, ხმაურით და მის გარემომცველი სანახაობით განცვიფრებული. ქედზე მას ლენტების ბანტი აქვს, პატარა კაუჭით პირდაპირ კანში ჩარჭობილი. ამ ლენტების ფერი ანიშნებს, რომელ ნახირშია (vacada) იგი გამოყვებილი, მაგრამ გამოცდილი მაყურებლები თვით პირუტყვის პირველი შეხედვით სცნობენ, რომელ მხარიდან არის იგი და რომელ ჯიშს ეკუთვნის.

მოირბენენ ჩულოები ღია ფერის წამოსასხამების ქნევით და სცდილობენ ხარი ერთ-ერთ პიკადორთან მიიტყონ. თუ ხარი გულადია, ის უყოყმანოდ ეცემა მტერს. პიკადორს ცხენი მზად უჭირავს, შუბს ილლიაში იღებს და სწორედ ხარის პირდაპირ ჩერდება; ის ირჩევს დროს, როდესაც ხარი თავს დალუნავს, რათა მოწინააღმდეგე რქებით განგმიროს, და ამ დროს ეძგერება მას შუბით ზუთუოდ ქედში და არა რომელიმე სხვა ადგილში. *) მთელი სხეულის სიმძიმით ის აწეება შუბს, იმავ დროს ცხენს მარცხნივ უშვებს და სცდილობს ხარი მარჯვენა მხარეზე მოიქციოს. თუ ყოველი ხერხი მოხდენილად შესრულებულია, თუ პიკადორი ძლიერია და ცხენი თვინიერი, ხარი, საკუთარი იერიშით ვატაცებული, გვერდზე გაუქროლებს ისე, რომ არც კი შეეხება მხედარს. ამ შემთხვევაში ჩულო ვალდებულია ხარის ყურადღება მიიბყროს, რათა პიკადორს საშუალება მისცეს განშორდეს მას; მაგრამ ხშირად პირუტყვი მშვენიერად ისაზრებს, ვინ დასჭრა იგი: სწრაფად მოტრიალდება. ეწევა ცხენს, ოქებით ფატრავს მის მუცელს და მხედართან ერთად ძირს ამხობს. მაშინვე ჩულოები მოირბენენ: ზოგი მათგანი მხედარს აყენებს, დანარჩენები ხარს თვალწინ ფერად წამოსასხამებს უქნევენ, თავიანთ თავისკენ იტყუებენ პირუტყვს და შემდეგ იპარებიან. ისინი სირბილით მი-

*) ერთხელ დაინახე, რომ გადაყირავებულ პიკადორს აუცილებლად დადებია მოელოდა, თუ ის არ ეხსნა ამხანაგს, რომელმაც ხარს ცხვირში შუბი ჩასცა და უკან დაახვეინა. გარემოება თითქოს ამართლებდა ამ ყოფაქცევას. მაგრამ, „მოუხედავად ამისა, მე გავიგონე მკვიდრი მაყურებლების შეძახილი: „სირცხვილია! შუბით ცხვირში ცემა! ეს ადამიანი უნდა გაავდოთ არენიდან“.

ეშურებიან ბარიერისაკენ, რომელსაც საუცხოვოდ მარჯვენა ახტე-
ბიან, ესპანელი ხარები ისევე მარდად დარბიან, როგორც ცხენები,
და თუ ჩულო ბარიერისაგან შორს აღმოჩნდა, ის ძნელად ვადარჩება, აი
რატომაა, რომ მხედარი, რომლის სიცოცხლესაც მუდამ უნდა იცავდნენ, ახ-
ზეა დამოკიდებული, იშვიათად ბედავს შუა არენაზე გასვლას: როდესაც
ისინი ამას სჩადიან, მათ არაჩვეულებრივ გულადებად სთვლიან.

როგორც კი პიკადორი ფეხზე წამოდგება, ის მაშინვე ცხენზე შეჯ-
დება, თუ კი მის აყენებას მოახერხებს, რა უშავს, თუ საცოდავი ცხოვე-
ლი სისხლის ღვრად იცლება, თუ მისი შიგნით მიწაზე ეთრევა და ფე-
ხებზე ეხლართება მას: ვიდრე ცხენი ცოცხალია, მან უნდა სდიოს ხარს! თუ
ის მოკვდა, პიკადორი სტოვებს არენას და იმავ წუთში ისევ გამოდის ახალ
ცხენზე.

უკვე მოგახსენეთ, რომ შუბის დარტყმა სრულიად მსუბუქ კრი-
ლობებს იწვევს და მხოლოდ ხარის გალიზიანებას ემსახურება. მაგრამ
მხედართან და ცხენთან შეტაკებისაგან, მრისხანებისაგან, რომელსაც
იგი განიცდის, და, უმთავრესად, უეცარი გაჩერებისა და მუხლების სახს-
რებზე დაჩოქებისაგან ხარი ძალიან მალე იღლება. ხშირად ხდება, რომ
ტკივილი კრილობისაგან მას სრულიად თავგზას უკარგავს და მაშინ იგი
ვეღარ ბედავს ცხენზე თავდასხმას ანუ, ტავრომანიის ენით რომ ვთქვათ,
უარს ამბობს შესვლაზე. თუმცა, თუ ხარი საერთოდ ძლიერია, ამ
დრომდის ის ასწრობს ოთხიდან ხუთამდე ცხენის მოკვლას. მაშინ პი-
კადორები ცოტას შეისვენებენ და აძლევენ ნიშანს ბანდერილიებს
ჩასარკობად. ეს არის დაახლოებით ორი ფუტ ნახევრის სიგრძის ჯოხი,
ფესტონებად დაჭრილი ქალაღით შეხვეული. ის კბილებიანი მახვილია
მთავრდება და ადვილად იჭედება კრილობაში. ჩულოს ორივე ხელში
თითო ამისთანა ხელშუბი უჭირავს. მათი ხმარების ყველაზე უფრო
საიმედო წესად შემდეგი ითვლება. ადამიანი ხარს უკანიდან ფრთხილად
უახლოვდება და უეცრად იწყებს მის გაბრაზებას ბანდერილიების ერთი
მეორეზე ხმამალა დარტყმით. ხარი გაოცებული მოტრიალდება და და-
უყონებლივ იერიშს მიიტანს მტერზე. იმ წამს, როდესაც პირუტყვი დაე-
წყება მას და თავს დალუნავს დასარტყმელად, ჩულო მას თითო ბანდერი-
ლის შეუსობს, კისრის ორივე მხარეზე, რაც შესაძლებელია მხოლოდ შა-
შინ, თუ ადამიანი ერთი წამით პირუტყვის ცხვირლამის წინ, თითქმის
რქებზე შუა აღმოჩნდება, ჩულო იმწამსვე უკან დაიხვეს, გაატარებს ხარს
და გაეჭანება ბარიერისაკენ, საიმედო ადგილზე თავის სახსნელად. დაბ-
ნეულობა, ერთი მერყევი, მხდალი მოძრაობა—და ის დაღუპულია. თუმ-
ცა უნდა ითქვას, რომ მცოდნეებს ბანდერილიერის მოვალეობა თითქმის
უზიფათოდ შიამნიათ. თუ ჩულო ბანდერილიის ჩარკობის დროს გაუ-
ფრთხილებლობის გამო წაიქცა, ის არც კი ფიქრობს ადგომას და გაუშ-
ძრევლად წევს იქვე, სადაც დაეცა. ხარი თითქმის არასოდეს არ დასჭრის

მწოლიარეს, რასაკვირველია, არა დიდსულოვნობის გამო, არამედ იმიტომ, რომ იერიშის დროს ის თვალებს ხუჭავს და ისე მიჰქრის ადამიანის გვერდით, რომ ვერაფერს ვერ ხედავს. მაგრამ ზოგჯერ ის შეწყვეტდება, დასუნავს მწოლიარეს, რათა დარწმუნდეს მართლაც შეწყვეტისას თუ არა, შემდეგ რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხევს და თავს დააღუნავს იმ განზრახვით, რომ იგი რქებზე ააგოს; მაგრამ ამ შემთხვევაში ხარს ბანდერილიერის ამხანაგები შემოესევნიან და ისე გულმოდგინეთ იტყუებენ თავიანთ თავისკენ, რომ იგი იძულებული ხდება ცრუ მკვდარი დასტოვოს.

თუ ხარმა სიმბდალე გამოიჩინა, სხვანიირად რომ ეთქვათ, თუ მან ოთხი ლახვარის ატანა ვერ შესძლო,—ეს რიცხვი სავალდებულოდ ითვლება,—მაცურებელნი უზენაეს მსაჯულთა მსგავსად მას ერთგვარ წამებას მიუტჯიან, რომელიც ერთსა და იმავე დროს სასჯელიც არის და ხერხიც მრისხანების გასაღვივებლად. ყოველი მხრიდან ისმის ძახილი, „Tuego! Tuego!“ (ცეცხლი!, ცეცხლი!) და მაშინ ქვეით ჩულოებს ჩვეულებრივი იარაღის მაგივრად უძლევათ ბანდერილიები, რომელთა ტარს პიროტექნიკური პატრონები ახვევია, ხოლო წვეტზე ანთებული აბედის ნაჭერი მიმაგრებული. როგორც კი წვეტი ტყავში შედის, აბედი ეხება რაკეტის პატრუქს და ენთება; ხარისაკენ მიმართული ალი სწევს მას და აძულებს იხტუნოს და გააყეთოს პირუტები, რომელნიც არაჩვეულებრივად ამზიარულბენ ხალხს. მართლაც, რა საუცხოვო სანახაობას წარმოადგენს ეს უშველებელი პირუტყვი, რომელიც მრისხანებისაგან დობლად იღევა, ანთებულ ბანდერილიებს არხევს და გაშმაგებული ბორგავს ვეამლსა და ცეცხლს შუა. ბატონ პოეტების საწყენად უნდა განვაცხადო, რომ არც ერთ ჩემს მიერ ოდესმე ნახული პირუტყვის თვალეი ისე მოკლებული არ ყოფილა გამომეტყველებას, როგორც ხარის, ანუ უფრო სწორედ რომ ეთქვათ, არც ერთ მათგანს ეს გამომეტყველება ასე სუსტად არ შესცვლია: ხარი თითქმის უცვლელად მხოლოდ მკაცრ მბეტურ სიჩლუნგეს გამოსახავს. იშვიათ შემთხვევაში მისი ტანჯვა ღმუილში გამოიხატება; კრილობა ან ალიზიანებს მას, ან აშინებს, მაგრამ მას არასოდეს არა აქვს ისეთი შეხედულება,—გთხოვთ მამატიოთ ეს გაშოთქმა, თითქოს თავის ბედზე ფიქრობდეს. ის არასოდეს არ სტირის ირემივით. ამიტომ სიბრაღულს მხოლოდ მაშინ იწვევს, როდესაც თავისი გამბედაობით იპყრობს ყურადღებას. *)

როდესაც ხარის კისერში ჩარქობილია სამი ან ოთხი წყვილი ბანდერილია, დგება წუთი მისი აღსასრულისა. გაისმის დოლის კვრა და იმავე

*) ზოგიერთ დღეებში და აგრეთვე საზეიმო შემთხვევებში ბანდერილის ტარს გარშემო ახვევენ გრძელ აბრეშუმის ბადეს, რომელშიც პატარა ცოცხალი ჩიტები სხედან. როდესაც ბანდერილის წვეტი ხარის კისერში შედის, იგი სჭრის კენამს, რომელსაც ბადე უჭირავს და ჩიტები გარეთ გამოფრინდებიან ხოლმე, მხოლოდ წინასწარ კარგა ხანს პირუტყვის ყურბთან ფართხალობენ.

წუთში ერთ-ერთი წინდაწინვე დანიშნული ჩულო, ვგუფობა და მატადორი, გამოეყოფება თავის ამხანაგთა ჯგუფს, ის მტკიცედ დააჩაქმული, ოქროთი და აბრეშუმითაა შემოსილი; ხელში გრძელ დაშნა და ჯოხზე გაბმული ალისფერი წამოსასხამი აქვს. მისი მოხერხებულად იხმაროს იგი; ეს არის მულეტა. ჩულო მდიის პრეზიდენტის ლოჯასთან, თავდახრით მიესალმება, და ხარის მოკვლის ნებართვას სთხოვს. ეს უბრალო ფორმალობაა, რომელსაც ჩვეულებრივად მხოლოდ ერთხელ აქვს ადგილი მთელი ბრძოლის განმავლობაში. თავის თავად ცხადია, პრეზიდენტი თანხმობის ნიშნით უპასუხებს. მაშინ მატადორი შესძახებს „ვივატ“, პიორეტს გააკეთებს, ქუდს მიწაზე ისვრის და ხარს მიეგება.

ხარების ბრძოლას თავისი კანონები აქვს, სრულიად ისევე, როგორც დუელს. მათი დარღვევა ისევე სამარცხვინოა, როგორც მოწინააღმდეგის მუხანათური მკვლელობა. ასე, მაგალითად, მატადორი ვალდებულია ხარი სწორედ იმ ადგილში განგმიროს, სადაც კისერი ზურგს უერთდება (ესპანელები მას ქედს უძახიან). დარტყმა ხდება ზევიდან ქვევით, ისევე, როგორც, ვთქვათ, მეორე პოზიციაში *) და არავითარ შემთხვევაში არა ქვევიდან. სჯობს მატადორი ათჯერ მოკვდეს, ვიდრე ხარს ქვეიდან, გვერდიდან, უკანიდან დაარტყას. დაშნა, რომელსაც მატადორი ხმარობს, გრძელი ბრტყელი და ორღესულია. ვადა ძალიან მოკლე აქვს და თავდება რგოლით, რომელსაც უთუოდ ხელის ნებით უნდა დააწვე. ამ იარაღის ხმარება მოითხოვს ზედმიწევნით დახელოვნებას და არაჩვეულებრივ სიმარჯვეს.

იმისათვის, რომ კაცმა ხარი კარგად მოკლას, ზედმიწევნით უნდა იცნობდეს მის ხასიათს. ამ ცოდნისაგან დამოკიდებულია არა მხოლოდ მატადორის სახელი, არამედ თვით სიცოცხლეც. ადვილად გასაგებია, რომ ხარები ხასიათით არა ნაკლებ განსხვავდებიან ურთიერთშორის. ვიდრე ადამიანები. მიუხედავად ამისა, ისინი ორ მკაფიოდ გარკვეულ კატეგორიად იყოფიან, ნათელ და, ბნელ ხარებათ (მე ეხლა ცირკის ენით ვმეტყველობ). „ნათელი“ ხარები ალაღმართლად გადადიან იერიშზე, იმ დროს, როდესაც „ბნელნი“ მოხანათობენ და ცდილობენ ვერაგულად დაეცნენ ადამიანს. ეს უკანასკნელი არაჩვეულებრივ სახიფათონი არიან.

ვიდრე მატადორი დარტყმას გაბედავდეს, ის ხარს მულეტას გაუწოდებს, აღიზიანებს და გულდასმით უთვალყურებს, ეცემა ხარი მას აშკარად დანახვისთანავე, თუ ნელა უახლოვდება მტერს, ცდილობს მანძილის მოგებას და იერიშის მიტანას ისეთ დროს, როდესაც იგი, მისი აზრით, სიახლოვის გამო ველარ აიკდენს დარტყმას. ხშირად ხდება, რომ ხარი მრისხანედ აქნევს თავს, ჩლიქებით მიწასა სთხრის, და არ ამვლავ-

*) იგულისხმება ფარიკაობის ხერხები — მთარგმ.

ნებს შეტყვის სურვილს, ხან უკანაც კი იხევს მიძიმე ნაბიჯით კედლობს ადამიანი შუა არენაზე გაიტყუოს, სადაც იგი ველარ-გადარჩება. ზოგიერთი ხარი გაურბის შეტყვას სწორი ხაზით, ის აუჩქარებლად, თითქოს თაღლითობას ჩემობდეს, მოვლით უახლოვდება ადამიანს, რომელიც მანძილს სათანადოდ გამოიანგარიშებს, შურდულივით გაუქანება შისკენ.

ადამიანისათვის, რომელსაც ცოტაოდენი მაინც გაეგება ტავრომანია, ძალიან საინტერესოა თვალყურის დევნება, თუ როგორ უახლოვდებიან ერთმანეთს ხარი და მატადორი; როგორც ორი დახელოვნებული სარდალი, ისინი, თითქოს გრძნობენ ერთმანეთის განზრახვას და ყოველწუთში სცვლიან ტაქტიკას. თავის ერთი მიზრუნება, ალმაცერი გამოხედვა, დაშვებული ყური გამობრძმედილი მატადორისათვის მტრის განზრახვის უტყუარ მითითებას წარმოადგენს უეცრად მოუთმენელი ხარი ეცემა წითელ ქსოვილს, რომელსაც მატადორი შეგნებულად აიფარებს. პირუტყვის ღონე ისეთია, რომ რქების დარტყმით იგი მთელ კედელს წააქცევდა, ადამიანი კი სხეულის მსუბუქი მოძრაობით იცილებს მას, თითქოს რაღაცა მისნობით უსხლტება და სტოვებს მხოლოდ მსუბუქ ქსოვილს, რომელსაც ხარის რქებზე აფრიალებს მისი სიშმაგის გამოსახობად. სიმძრაფე ხარს აიძულებს დიდ მანძილზე ჩაურბინოს მოწინააღმდეგეს; ამ შემთხვევაში ის უეცრად ჩერდება და მუხლებზე იჩოქებს; ამ მძაფრი და მწლავრი მოძრაობისაგან ცხოველი ისე იღლება, რომ ამნაირი მანევრის გაგრძელება საკმარისი იქნებოდა მის მოსაკვდინებლად. აი რად ამბობს სახელგანთქმული მანეტრო რომერო, რომ კარგ მატადორს შვიდი დაშინის დარტყმით რვა ხარის მოკვლა უნდა შეეძლოსო. ერთი მათგანი დალილობისა და სიშმაგისაგან კედება.

როდესაც შუღეტის მთელი რიგი მოძრაობის შემდეგ მატადორი ხედავს, რომ საკმაოდ შეისწავლა მტერი, ის უკანასკნელი დარტყმისათვის ემზადება. ფეხებზე მკვიდრად დაბჯენილი, ის სწორედ პირდაპირ თავსდება და ქვეედება ერთგვარ მანძილზე ხარის მოლოდინში. დაშნით შეიარაღებული მარჯვენა ხელი თავის სიმაღლეზე აქვს მოხრილი, იმ დროს, როდესაც მარცხენა ხელი წინ აქვს გაშვებული და იმით თითქმის მიწამდე ჩამოშვებული მულეტა უჭირავს, რათა ხარს თავი ძირს დააღუნოს. მხოლოდ ეხლა აკეთებს მატადორი სასიკვდილო დარტყმას, მთელი ხელის ღონით, რომელიც სხეულის სიშიძით და თვით ხარის შეტყვის ძალითაა გამძაფრებული. სამი ფუტის სიგრძის დაშნა ხშირად ტარამდე შედის სხეულში; თუ დარტყმა მარჯვეა, ადამიანს საშიში აღარაფერი აქვს; ხარი უეცრივ ჩერდება, სისხლი თითქმის არა სდის, თავი უკან ეხრება, ფეხები უკანკალებს და მიძიმედ ეშვება მიწაზე. მყისვე ყველა საფეხურიდან გაისმის გამაყრუებელი „ვივატ“, ყველა ცხვირსახოცს აჭნებს, მახლები არენაზე ქუდებს ისერიან, ხოლო გამარჯვებული გმირი მოკრძალებით კოცნას გზავნის ყოველ მხრივ.

ამბობენ, რომ წინათ იშვიათად კეთდებოდა ერთი დარტყმის მეტით; მაგრამ ამ ქვეყნად ყოველივე დაქვეითების გზაზე სდგას, და ჩვენს ციროში ხარი პირველი დარტყმით იშვიათად წაიჭევა. თუ წერილობა მომაკვდინებელის შთაბეჭდილებას ახდენს, მატადორი თავს რჩენს და მალე იერიშისაგან; ჩულოს დახმარებით ის ხარს აიძულებს წარიტყვას. მატადორი გვაკეთოს და ილაჯს უწყვეტს წამოსასხამის გამაბეზრებელი ქნევით. როდესაც ხარი ეცემა, ერთ-ერთი ჩულო ხანჯალს პირდაპირ კეფაში სცემს და ბოლოს უღებს მას; პირუტყვი იმწამსვე კვდება.

არაერთხელ შეუმჩნევიათ, რომ თითქმის ყოველი ხარი ცირკში განსაკუთრებულ ადგილს ირჩევს, რომელსაც იგი მუდამ უბრუნდება. ამ ადგილს ჰქვიათ „კერენსია“. *) ჩვეულებრივად ეს ის კარია, რომელიდანაც ხარები არენაზე გამოდიან.

ხშირად შაყურებელი ხედავს, რომ ხარს ქედით საბედისწერო დაშნა მიაქვს, რომლის ვადაც ბუკიდანაა გამოშვებული, მძიმე ნაბიჯით სჭრის არენას და არაერთხელ ყურადღებას არ აქცევს არც ჩულოს და არც თავისი მდევნელების წამოსასხამებს. ის მხოლოდ იმას ფიქრობს, რომ სადმე წყნარად დალიოს სული. შესაფერ ადგილს რომ გამოხატავს, ის მუხლებზე ეშვება, შემდეგ დაწევა, თავს მიწაზე სდრეკს და მშვიდად კვდება, თუ ხანჯლის დარტყმამ არ აუჩქარა ბოლო.

თუ ხარს არა სურს იერიშის მიტანა, მატადორი თვით გაეჭანება მისკენ და მიღებული წესის მიხედვით, როგორც კი ხარი თავს დალუნავს, იმ წამსვე განგმირავს ხმლით (estocada de volapié); თუ პირუტყვის თავი არ დაიხარა, ან თუ ის სულ გაურბის მტერს, მომაკვდინებელ შედეგს ერთი ძალიან მკაცრი საშუალების შემწეობით აღწევს. ადამიანი, შეიარაღებული გრძელი ლატანით, რომელიც ნამგლისებური ბიჭტაკით (media luna) თავდება, მუხანათურად გადაუტრის მას მუხლის კუნთებს და როდესაც ხარი მიწაზე დაეცემა, ხანჯალს ჩასცემენ. ეს არის ბრძოლის ერთად-ერთი ეპიზოდი, რომელიც ყველას და თვითუღეს ზიზლსა ჰვერის. ეს თავისებური მიპარვით მკვლევლობაა. საბედნიეროდ შემთხვევები, როდესაც ამნაირ საშუალებას უნდა მიმართონ, საკმაოდ იშვიათია.

დაფდაფები იუწყებიან ხარის სიკვდილს. დაუყოვნებლივ სამი შებმული ჯორი ჩორთით შემოირბენს ცირკში; ხარის რქებს თოკით ნასკვს გაუკეთებენ, ნასკვში კაუჭს გაუყრიან, და ჯორები ჰენებით გაათრევენ მას მიწაზე. ორ წუთში ცხენების და ხარის ლეში ჰქრება არენიდან.

ყოველი შეტაკება დაახლოვებით ოც წუთამდე გრძელდება, ხოლო წარმოდგენის განმავლობაში ჩვეულებრივად რვა ხარს ჰკლავენ. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენა ნაკლებ დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, კო-

*) მოწონებული, გამორჩეული ადგილი. — მთარგმნ.

რიდას პრეზიდენტი მაყურებელთა სურვილისამებრ თანხმობას აძლევს ერთ-ორ დამატებით შეტაკებაზე.

თქვენ ხედავთ, რომ ტორეროს ხელობა საკმაოდ ^{საინტერესო} ერთი წლის განმავლობაში მთელს ესპანეთში ორი ანუ სამი მათგანი კვდება. ძალიან იშვიათია რომელიმე სიბერეს მიაღწიოს. თუ ისინი არენაზე არ ეხოცებიან, ძველი ქრილობები მათ აღრე აიძულებენ კარიერაზე უარი სთქვან. სახელოვანმა პეპე ილიომ მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში ოცდაექვსი რქის ქრილობა მიიღო. უკანასკნელისაგან იგი დაიღუპა. მარტოოდენ მაღალი შემოსავალი როდი აგულიანებთ ამ სახიფათო პროფესიის არჩევაში. ტაშისცემა და სახელი მათ აიძულებს სიკვდილი ათვალისწინონ. რა სასიამოვნოა გამარჯვების მოპოვება ხუთი თუ ექვსი ათასი მაყურებლის თვალთა წინ, აი რისთვის ხდება ხშირად, რომ კარგი ოჯახებიდან გამოსული მოხალისეები პროფესიულ ტორეროებს ეცილებიან ხიფათსა და სახელის მოხვეჭაში. სევილიაში ენახე ერთი მარკიზი და ერთი გრაფი, რომელნიც საჯარო კორიდაზე გამოვიდნენ პიკადორებად.

უნდა მოგახსენოთ, რომ ხალხი არავითარ შეწყალებას არ იჩენს ტორეროსადმი. მცირეოდენი შიშის გამოაშკარაებდა ყიყინით და სტვენით ისჯება. უმკაცრესი გინება ისმის მაშინ ყოველი მხრიდან, ზოგჯერ მაყურებელთა დაეინებით.—ეს კი მისი აღშფოთების უმკაცრესი გამოხატულებაა — ტორეროს აღგვასილი უახლოვდება, ემუქრება დაგატყსაღებო და მოითხოვს დაუყოვნებლივ ხარს შეუტოს.

ერთხელ მსახიობი მაიკესი, აღშფოთებული მატადორით რომელიც გაუბედავად იდგა ერთ-ერთი ყველაზე უფრო ბნელი ხარის წინ, უშვერად აგინებდა მას. „სენიორ მაიკეს, — უბასუხა მას მატადორმა — გაიხსენეთ, რომ ჩვენს საქმეში არასოდეს არ ხდება მოტყუება, როგორც თქვენს სცენაზე“.

ტაშისცემისადმი სიხარბე, სურვილი რეპუტაციის მოხვეჭვისა ან მოხვეჭილი სახელის შენარჩუნებისა აიძულებს ტორეროებს ყოველნაირად გააძლიერონ ხიფათი, რომელიც მათ ბუნებრივად ხდება. პეპე ილიო და მის შემდეგ რომეროც ფეხებში ხუნდებ გაყრილი გამოდიოდნენ ხარის წინააღმდეგ. ამ ადამიანების გულგრილობა უსასტიკესი საშიშროების წინ რალაცა ზებუნებრივს შეიცავს.

ამ ცოტა ხნის წინად ერთი პიკადორი, სახელად ფრანსისკო სევილია, პირქვე დაემხო იმის შემდეგ, რაც მის ცხენს მუცელი გაუფატრა სრულიად შესაზარი ძალის და სიმარჯვის ანდალუზიურმა ხარმა. იმის მაგივრად, რომ გაპყოლოდა ჩულოს მაცდურ მანევრებს, ხარი პიკადორს ეცა, ჩლიქებით თელვა დაუწყო, ხოლო რქებს გამალებით ფეხებში ურტყამდა; მან შეამჩნია, რომ რკინით შემოჭედილი ტყავის შარვალი ჩინებულად იფარავდა მათ, მობრუნდა, თავი დახარა და გადასწყვიტა, რქ-

ბით პიკადორის მკერდი გაეგმირა. დაუჯერებელი ძალღატაკებით სველიამ ზევით წამოიწია, ერთი ხელით ხარს ყურში მისწვდა, მეორე ნესტოებში ჩასჩარა და გაშმაგებულ პირუტყვს ლაშის ქუჩის მთელს ამოდ ანჯღრევდა მას ხარი, სთელავდა ფეხებით, მიწას ანთქებდა: ვერაფერი გააწყო მის წინააღმდეგ. სულგანაბული ვუტკეროდით უთანაბრო ბრძოლას. არსებითად ეს მამაციის აგონია იყო, და თითქო გენანებოდა, რომ ის ასე გრძელდებოდა; არაფერ არ შეეძლო არც დაეყვირა, არც სული მოეთქვა, არც თვალი მოეცილებია ამ საშინელი სანახაობისათვის, რომელიც თითქმის ორ წუთს გაგრძელდა. ბოლოს ადამიანის მიერ პირისპირ დამარცხებულმა ხარმა მიატოვა იგი და ჩულოს გაეკიდა. ყველა მოელოდა, რომ სველიას ხელით გაიტანდნენ არენიდან. ის ააყენეს, მაგრამ როგორც კი ფეხზე წამოდგა, მან მყისვე ხელი სტაცა წამოსასხამს და ხარს მოხშობა დაუწყო; არ უფიქრია არც უშველებელ ჩექმებზე, არც აჩხორვილ ჯაგშანზე, რომელიც ფეხებს უფარავდა. წამოსასხამი ძალით წაართვეს, ვინაიდან ეხლა ის ველარ გაეჭკოდა სიკვდილს. ცხენი მოუყვანეს, მას შეახტა და გაშმაგებით შეუტია ხარს შუა არენაზე. მამაცი მოწინააღმდეგენი ისე საზარლად შეეტაკნენ ერთმანეთს, რომ ცხენიც და ხარიც ერთად დაეცნენ მუხლებზე. თქვენ რომ გაგეგონებიათ ყვირილი „ვივატ“, დაგენახათ ასეთი გულადობით და ასეთი გამარჯვებით მოხბლული ხალხის გაშმაგებული სიხარული, თქვენც ჩემებრ შეგშურდებოდით სველიას ბედი! ეს კაცი მადრიდისთვის უკვდავი გახდა.

ინესი, 1842

P. S. ეჰ, რა ამბავი შემატყობინეს ეს არის! ფრანსისკო სველია შარშან გარდაცვლილა. ის მომკვდარა არა ცირკში, სადაც მას შეეფერებოდა დაღუბვა, არამედ ღვიძლის ავადმყოფობით, ის მომკვდარა კარავანჩელში, საუცხოვო ხეების ახლოს, რომლებიც მე ასე მიყვარს, დაშორებული ხალხისაგან, რომლის გულისათვისაც მას ასე ხშირად ჩაუგდია თავისი სიცოცხლე ხიფათში.

მე კვლავ ვნახე იგი მადრიდში 1840 წელს, აღსავსე მხნეობით და სიგიჟეებით, როგორც იმ დღეებში, როდესაც თქვენ მიერ წაკითხულ წერილს გწერდით. კიდევ ოცჯერ მაინც მინახავს, თუ როგორ ჩავარდნილა მუცელ გაფატრული ცხენის ქვეშ მტვერში, მინახავს, როგორ გაუტეხია მას შუბი გავირას საზარელ ხარებთან შეჯიბრებაში. „ფრანსისკო სველიას რომ რქები ჰქონდეს, იტყოდნენ ხოლმე ცირკში, — ვერც ერთი ტორერო ვერ გაბედავდა მასთან შებრძოლებას“. ის შეეჩვივა გამარჯვებას. ეს გარემოება გაუგონარ გამბედაობას უნერგავდა მას. როდესაც ხარს შეუტევდა, გულის წყრომას განიცდიდა იმის გამო, რომ ხარს არ ეშინია მისი. „მაშ შენ ვერ მიცნობ?“ — ბრანზმორეული შესძახებ-

და პიკადორი. და, რასაკვირველია, მალე ხარს უჩვენებდა, თუ ვისთანა ჰქონდა საქმე.

ერთხელ მეგობრებმა, რათა ჩემთვის ესია მოეწოდებინათ, მძალიად მიმპატივებს სევილიას დასწრებით. ის სევამდა და სკამზე, როგორც კომიროსის გმირი და ერთ-ერთი უმხიარულესი მეინახე აღმოჩნდა, რომელიც კი ოდესმე შემხვედრია. ანდალუზიური მიმოხვრა, გულმხიარული ხასიათი და მხატვრული მეტაფორებით გაფერადებული სამხრეთის ენა არაჩვეულებრივად წარმატა კი გეჩვენებოდათ ამ ბუმბერაზში, რომელიც თითქოს ბუნებით შექმნილი იყო იმისათვის, რომ ყველაფერი შეემუსრა.

ერთი ესპანელი მანდილოსანი, მადრიდში გავრცელებულ ხოლერას გაქცევია ბარსელონაში, გამგზავრებულა დილიყანსით, რომელშიც სევილიაც აღმოჩენილა. ისიც თურმე იმავე ქალაქში მიემგზავრებოდა ვადამდე რამდენიმე დღით ადრე გამოცხადებულ კორიდაზე. გზაში სევილიას თავაზიანობა, დარდიმანდობა და მოწიწება არც ერთი წუთით არ შენელებულა. ბარსელონის ახლოს უტყინო სანიტარულ კორდონს მგზავრათათვის შეუტყობინებია, ათი დღე კარანტინში დაყოვნება დაგვირდებათო. გამოწინაქლისი მხოლოდ სევილიასათვის დაუშვიათ, მისი მისვლა იმდენად სასურველი იყო, რომ სანიტარული კანონების იმაზე გავრცელება ზედმეტი იქნებოდა; მაგრამ კეთილშობილმა პიკადორმა ვადაჭრით უარი სთქვა ასეთ ხელსაყრელ უპირატესობაზე: „თუ სინიორას და ჩემ თანამგზავრებს ქალაქში შესვლის ნება არ დართესო, მე უარს ვამბობ განგმირვაზე“.

ვადამდები სენის გავრცელების ხიფათსა და ბრწყინვალე კორიდას გამოტოვების შიშს შორის მერყეობას ადგილი არ ექნებოდა.

კორდონმა უკან დაიხია და მართებულადაც მოიქცა: ვინაიდან თუ გაჯიუტდებოდა, ხალხი უთუოდ დასწვავდა ლაზარეთსაც და კარანტინის მსახურებსაც.

ამნაირად მიუძღვენი რა ქებისა და სინანულის ხარკი სევილიას ნეშტს, მე უნდა მოგახსენოთ კიდევ ერთი სახელოვანი პირის შესახებ, რომელიც ეხლა განუსაზღვრელად ბატონობს არენას. ფრანგები ისე ნაკლებად იცნობენ ესპანეთის ცხოვრებას, რომ პირენეების იქით უეჭველად აღმოჩნდებიან ადამიანები რომელთაც ჯერ კიდევ არ გაუგონიათ მონტესის სახელი.

ყოველივე ჭეშმარიტს და შეთხზულს, რაც კი საქვეყნოდ განთქმულია ისეთი კლასიკური მატადორების შესახებ, როგორც იყვნენ პეპე ილიო და პაბლო რომერო, მონტესი ყოველ ორშაბათს ადასტურებს. — როგორც ეხლა იტყვიან, — ნაციონალური ცირკის არენაზე, მასში შეერთებულია ყველაფერი: გაბედულება, მოხდენილობა, გულგრილობა და ვასაოცარი სიმარჯვე. მისი დასწრება მთელ ცირკს ამხნევებს, მონაწილეებსაც იტაცებს და მაყურებლებსაც. მისი გამოსვლის დროს ცუდი

მხარეები არ არსებობენ, არ არსებობენ არც მხდარი წყურბლები—ყველა ცდილობს თავის თავს გადააჭარბოს. სრულიად საეჭვო ვაქცინაციის ტორეადორები გმირებად იქცევიან, როდესაც მათ მონტესის მუცელმკვანელობს: ყველამ მშვენიერად იცის, რომ მის გვერდამსწვლამს პრაქტიკური ხიფათი არ მოეღის. მისი ერთი მოძრაობა საკმარისია, რომ განზე გაიტყუოს გაშმაგებული ხარი, სწორედ იმ წუთში, როდესაც იგი გადაყირვებულ პიკადორს გაგმირვას უპირებს. **ნამგალა მთვარე** ჯერ არასოდეს არ გამოჩენილა არენაზე, სადაც მონტესი იბრძვის. ყოველი ხარი—„ნათელი“ და „ბნელი“—მისთვის ერთნაირად კარგია: ის მათ მოხიბლავს, გარდაქმნის და მოჰკლავს, როგორც და როდესაც სურს. ჩემს მიერ ნახულ ტორეროთა შორის ეს პირველია, რომელსაც შეუძლია galcar el toro, ე. ი. ზურგით მოუბრუნდეს გააფთრებულ პირუტყვს და შემდეგ ხელის ქვეშ გაატაროს იგი. ის მხოლოდ ოდნავ მოაბრუნებს თავს, როდესაც ხარი ეცემა მას. ხანდისხან ის წამოსასხამს მხარზე გადაიდებს და არენას გადაირბენს, როდესაც ხარი კვალდაკვალ მისდევს მას; გაცოფებული პირუტყვი მისდევს და ვერ დასწევია, მიუხედავად იმისა, რომ სულ ახლოს არის მონტესისაგან და რქების ყოველ გაჭნევაზე ეხება მისი წამოსასხამის კალთას. მონტესის მიერ შთაგონებული რწმენა იმდენად დიდია, რომ მაყურებელს ეკარგება ხიფათის ყოველივე გრძობა, და მხოლოდ აღტაცებას განიცდის.

ამბობენ, მონტესი ნაკლებ სიმატაის გრძობს არსებულ რეჟიმისადმი. ამტკიცებენ, რომ ის მოხალისედ იყო როიალისტებთან, და რომ ის არსებითად congrejo, „კიბო“, სხვანაირად რომ ეთქვათ, ლიბერალიაო. თუმცა ქეშმარიტ პატრიოტებს ეს საწყენად აქვთ, მიუხედავად ამისა, ისინი წინააღმდეგობას ვერ უწყევენ საყოველთაო აღტაცებას. მე თვითონ ვნახე, როგორ გაშმაგებით ესროდნენ მას თავიანთ ქულებს descaltos (სანკიულოტები) და სთხოვდნენ ერთი წუთით მჯინც დაეხურა ის თავზე: აი აშკარად მეთექვსმეტე საუკუნის ზნეჩვეულებანი. ბრანტონი ერთ ადგილას სწერს: „მე ვიცნობდი მრავალ ახალგაზრდა აზნაურს, რომელნიც ვიდრე აბრეშუმის წინდებს ჩაიცვამდნენ, სთხოვდნენ თავიანთ დიუფალთ და სატრფოთ გაესინჯათ ისინი და ეხმარათ, სადაც კი მოხერხდებოდა, რვა ან ათი დღის განმავლობაში ყველას დასანახავად, და შემდეგ თვითონ იცვამდნენ დიდის პატივისცემით, სხეულისა და სულის სალხენად“.

მონტეს ზრდილობიანი ადამიანის შეხედულება აქვს. მისი სახლი დიდკაცურადაა მოწყობილი და ის სრულიად ერთგულია თავისი ოჯახის, რომლის მომავალიც უზრუნველყოფილია მისი ტალანტით. ზოგიერთი ტორერო, რომელსაც შურით უცქერის მას, იწუნებს მის დიდკაცურ მანერებს. მახსოვს, მან უარი განაცხადა ჩვენთან ესადილნა, როდესაც სევილია დაეპატივეთ. სევილიამ ჩვეულებრივი გულახდილობით გამოსთქვა თავისი აზრი მონტესის შესახებ: „მონტესი არასოდეს არ ყოფილა

როიალისტი, ის ჩინებული ამხანაგი, ბრწყინვალე მატადორი ყოველთვის ზრუნავს პიკადორებზე, მაგრამ ის....“.

ეს იმას ნიშნავს, რომ ცირკს გარეთ ის ფრაკსა ხმარობდა, არ დაიარება ტავერნებში და მას მეტად დარდიმანდობდა. სევილია ტავრომახის მარიუსია, მონტესი კი მისი კეისარია.

II

ვალენსია, 18 ნოემბერი 1830.

მოწყალეო ხელმწიფევე, მას შემდეგ, რაც ხარების ბრძოლა ავიწყრეთ, ის ლა დამრჩენია, რომ ტიკინების თეატრის უბაღლო წესს მივბაძო. „ძლიერისაგან უძლიერესზე“ გადავიდე. მე ისღა დამრჩენია, რომ სიკვდილის დასჯაზე მოგიტხოვროთ. მე ის ამ ცოტა ხნის წინად ვნახე და მზად ვარ იმასზე გესაუბროთ, თუ თქვენ სიმამაცე შეგწყვეთ წასაკითხავად.

უპირველეს ყოვლისა უნდა ავიხსნათ, რად დავესწარი სიკვდილით დასჯას. უცხო ქვეყანაში თითოეული ჩვენგანი ვალდებულია ყოველივე ნახოს, ამიტომ ადამიანი ყოველთვის ერთგვარ შიშს განიცდი, ვაი თუ ხიზარმაცისა ან ზიზლის გამო ზნე-ჩვეულების თვალსაჩინო მხარე გამომჩნესო. ამასთანვე უბედური დამნაშავეის ისტორიამ დამაინტერესა: მინდოდა მისი სახე მენახა, ბოლოს ჩემი ნერვების ძალაც გამეხსნჯა.

აი ჩემი ჩამოღრჩობილის ამბავი (მისი გვარის გაგება დამავიწყდა). ეს გლეხი ვალენსიის მიდამოებიდან თავისი ვაგაკური და მტკიცე ხასიათით პატივისცემასა და შიშს იწვევდა. სოფელში ის პირველი დარდიმანდი იყო. ვერავენ ვერ ცეკვავდა მასზე უკეთესად, ვერავენ ვერ ისროდა მასზე შორს მანას, არავის არ ახსოვდა იმდენი ძველი რომანსები. ის სრულიადაც ჭირვეული არ იყო. მაგრამ ყველამ კარგად იცოდა, რომ უბრალო რამეზე ხელები ადვილად აუქავდებოდა.

როდესაც ის მხარზე თოფგადებული მგზავრებს ახლდა, ვერც ერთი ყაჩაღი ვერ გაბედავდა დაცემას, თუნდაც რომ მათ ზანდუკები ღუბლონებით ჰქონოდათ გატენილი. თვალს ესიამოვნებოდა, როდესაც ეს ვაგაკი, მხარზე ხავერდის ჭურთუკ-გადადებული, ზღაზნით დასეირნობდა ქუჩებში უზომოდ ზვიადი სახით. ერთი სიტყვით, ის მახო (maio) იყო — ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით. მახო საზოგადოების ქვედა კლასების ღენდის და ამასთან პატიოსნების საკითხში მეტად მგრძნობიარე ადამიანს ნიშნავს.

კასტილიელებს ვალენსიელებისათვის ერთი შეურაცხყოფელი ანდაზა აქვთ, — ანდაზა, ჩემის აზრით, სრულიად უმართებულო. იგი ამბობს: „ვალენსიაში ხორცი ბალახია, ბალახი თითქო წყალია; მათი მამაკაცები დიაცები არიან, დიაცები კი არარაები“. მე შემძლიან დავიმოწმობთ, რომ საქმელი ვალენსიაში ჩინებულია, ქალები არაჩვეულებრივად ლა-

მავები და ისეთი თეთრი ტანისა არიან, რომ მათ მსგავს ქალების დანარჩენ სამფლობელოებში ვერსად ვერ აღმოაჩენთ, ხოლო რაც შეეხება ადგილობრივ მამაკაცებს, იმათ თქვენ თითონ მალე ნახავთ.

ერთხელ ხარების ბრძოლა მოეწყო. ჩვენმა ძაბუნმა მოიხსურვა, მაგრამ სარტყელში არცერთი რეალი არ აღმოაჩნდა. იმედი ჰქონდა, რომ ნაცნობი როიალისტი-მოხალისე, რომელიც იმ დღეს დრაჯად იდგა, შეუშვებდა. იმედი გაუცრუვდა. მოხალისემ ერთი ბეწოც არ გადაუხვია ბრძანებას. მახო დაეინებით თავისას მოითხოვდა, მოხალისე გაჯიუტდა, ასტყდა ლანძღვა-გინება. ბოლოს მოხალისემ უხეშად კონდახი ჰკრა მუცელში. მახო გაშორდა, მაგრამ ყველამ, ვინც კი მისი გუფითრებული სახე, მაგრად შეკუმშული მუშტები, გაფართოებული ნესტოები და თვალების გამომეტყველება შეამჩნია, გაიგო, რომ მალე უხედურება მოხდებოდა.

ორი კვირის შემდეგ უხეში მოხალისე რაზმთან ერთად გაგზავნილ იქნა კონტრაბანდისტების ჯგუფების სადევნელად. ღამე მან განმარტოებულ ფუნდუკში (venta) გაათია. ღამით ხმა მოესმა, ვილაცამ დაუყვირა: „კარი გააღეთ, მე თქვენი ცოლის მიერ ვარ გამოგზავნილი“. მოხალისე ნახევარი ჩაცმული გამოვიდა. ძლივს მოასწრო კარის გაღება, და იმ წამსვე მისი პერანგი სროლისაგან აენტო და გულში თორმეტოდე ტყვია მოხვდა. მკვლელი მიიმალა. ვის შეეძლო ამის ჩადენა? ვერავის ვერ გამოუცვნია. თავის თავად ცხადია, რომ ეს მახოს ჩადენილი არ არის, ვინაიდან ყოველთვის მოიპოვება ათეული ღვთისმოსავი და ერთგული როიალისტი ქალი, რომელიც მხად არის შეპყვიცოს თავისი წმინდანის სახელით და ემთხვეოს (ერს*) იმის დასადასტურებლად, რომ თითოეულმა მათგანმა სწორედ იმ საათს და იმ წუთს, როდესაც ბოროტმოქმედება მოხდა, ჩვენი გმირი თავის სოფელში ნახა. მახო კვლავ გამოჩნდა ხალხში იმ ადამიანის ნათელი და დამშვიდებული სახით, რომელმაც ეს არის თავიდან რალაცა მოსაწყენი ზრუნვა მოიშორა. პარიზში ამისთანა სახით სალამოს, დუელის შემდეგ ტორტონისთან გამოჩნდება კაცი, რომელმაც ვინმე თავხედს მარჯვედ დაუმსხვრია ხელი. მოგვხსენებთ, რომ მკვლელობა ამ მხარეში თავისებური დუელია ღარიბებისათვის, და ამასთანავე გაცოლებით უფრო სერიოზული ჩვენს დუელთან შედარებით, ვინაიდან ჩვეულებრივ აქ ორი ადამიანი იღუპება, იმ დროს, როდესაც ჩვენი ზრდილი ვაჟაკები უფრო ხშირად კაწრავენ ერთმანეთს, ვიდრე ჰკლავენ.

ყველაფერი რიგზე იყო, ვიდრე ერთმა ალგეასილმა**) შედმეტი გულმოდგინება არ გამოიჩინა (ერთი ვარიანტის მიხედვით, მიტომ, რომ სასხა-

*) ფიცის გამძლიერებელი ეესტი — შთარგნ.

**) ალგეასილი — პოლიციის და სასამართლოს უმცროსი მოხელე

სურში ახლად შესული იყო, ხოლო მეორე ვარიანტით — იმეტომ, რომ ერტოდოდა ქალს, რომელიც უპირატესობას მახოს აძლევდა) და ჩვენი სიმპატიური ქაბუკის დაპატიმრება არ განიზრახა.

ვიდრე საქმე მუქარით განისაზღვრებოდა, მისი ეჭვი უფრო მეტად იცინოდა, მაგრამ როდესაც ალგვასილმა კისერში ხეობის წყარო ვანიზრახა, მახომ მას ხარის ენა ჩააყლაპინა. ასეთია ადგილობრივი გამოთქმა, რომელიც დანის დარტყმას ნიშნავს. მაგრამ რამდენად დასაშვებია, რომ კანონიერი თავდაცვის გამო ალგვასილის ადგილზე ვაკანსია განთავისუფლდეს?

ესპანიაში ალგვასილებს თითქმის ისევე ღრმად სცემენ პატივს, როგორც კონსტაბლებს ინგლისში. მათი შეურაცყოფისთვის ადამიანს აღრჩობენ. ამიტომ მახო დაპატიმრეს, ციხეში ჩასვეს, სასამართლოს გადასცეს და განაჩენი ძალიან ხანგრძლივი პროცესის შემდეგ გამოუტანეს, ვინაიდან სასამართლოში საქმის გარჩევა აქ უფრო კიანურდება, ვიდრე ჩვენში.

თუ კეთილს ინებებთ, ადვილად დამეთანხმებით, რომ ამ ადამიანს ასეთი ხვედრი არ დაუმსახურებია, რომ ის უბრალოდ უბედური შემთხვევის მსხვერპლი შეიქნა, და მსაჯულთ სინდისის შეუბღალავად შეეძლოთ იგი დაებრუნებიათ საზოგადოებისათვის, რომლის სამკაულსაც იგი მართებულად წარმოადგენდა (როგორც ადვოკატები იტყვიან ხოლმე). მაგრამ მსაჯულნი არასოდეს არ ხელმძღვანელობენ ასეთი მაღალი და პოეტური მოსაზრებებით, და მას ერთხმად სიკვდილი მიუსაჯეს.

ერთ საღამოს ბაზრის მოედანზე მივიღიოდი და დავინახე მუშები, რომელნიც ჩირაღდნების სინათლეზე ერთგვარი ხერხით შეკრულ მანებს ამავრებდნენ, ეს მანები ასო II მოგაგონებდათ. ჯარისკაცებს წრე შემოერთყათ მათთვის და ცნობისმოყვარეებს იგერიებდნენ. საქმე შემდეგში მდგომარეობდა. სახრჩობელა (სწორედ ამაზე მოგახსენებდით) ბეგარის სახით შენდება და ამ მიზნით გამოწვეულ მუშებს ნება არა აქვთ უარი განაცხადონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მემამბოხეებად გამოაცხადებენ. თავისებური კომპენსაციის მისაცემად ხელისუფლება ზრუნავს, რომ ამ მოვალეობის შესრულება, რომელიც ხალხში თითქმის უპატროსნებად ითვლება, ფარულად ხდებოდეს. ამიტომ მათ გარს არტყია ჯარისკაცები, რომელნიც ხალხს ერეკებიან, ხოლო თვით მუშაობა ღამე სწარომებს: ამნაირად მათ ვერაინ ვერ იცნობს და მეორე დღეს მათ ხიფათი აღარ მოელოთ, რომ შეტსახელად სახრჩობელას დურგლებს დაუშახებენ. საპრობილე ვალენსიაში მოთავსებულთა საცამოდ კობტა არქიტექტურის (განსაკუთრებით მდინარის პირა ფასადის მხრივ) ძველებურ გოთიკურ კოშკში. იგი ქალაქის გარეუბანშია და მისი ალაყაფის კარები ქალაქის ერთ-ერთ მთავარ შესავალს წარმოადგენს. მას Puerta de los Serranos ქვიან. მისი მაღალი აივნისგან გვადა-

ლავიარას ტალღები, მდინარეზე გადებული ხუთი ხიდი, ვალენსიის ხეივანები და ქალაქის გარშემო გაშლილი მზიარული ველი. ოთხკუთხედს შუა დამწყვედული ადამიანისათვის მიხედვების ცქერა საკმაოდ ნათელიანი სიამოვნებაა, მაგრამ მაინც სიამოვნებაა, ამიტომ შეუძლებელია ცხელმა მადლობა არ უძღვნას მეციხოვნეს, რომელიც პატიმართ აივანზე გასვლის ნებას დართავს. სრულიად უმნიშვნელო ნუგეშიც პატიმრისათვის ყოველთვის ღირებულებას წარმოადგენს.

სწორედ ამ საპყრობილიდან უნდა გამოეყვანათ პატიმარი და შემდეგ ვირზე მკდომარე ქალაქის უფრო მჭიდროდ დასახლებული ქუჩებით გაეტარებიათ ბაზრის მოედნისაკენ, სადაც ის ამ ქვეყანას უნდა გამოსალმებოდა.

დილა ადრიან მე უკვე Puerta de los Serranos ახლოს ვიყავი ერთ ნაცნობ ესპანელთან ერთად, რომელიც თავაზიანად დათანხმდა თან მხლებოდა. მოველოდი უთენლივ შეგროვილი დიდძალი ხალხის შეხვედრას, მაგრამ შეეცდი. ხელოსნები მშვიდად მუშაობდნენ თავიანთ საბუღოსნოებში, გლეხებს გაეყიდათ ბოსტნეული და ქალაქ გარეთ მიემგზავრებოდნენ. მხოლოდ საპყრობილის შესავალთან გამწყრივებული თორმეტრიოდე დრაგუნი განიშნებდათ, რომ ეხლა რალაცა არაჩვეულებრივი უნდა მოხდესო. სიკვდილის დასჯის სანახაობისადმი ასეთი გულგრილობა, ჩემი აზრით, ვალენსიელების ზედმეტი გულწვილობით როდი აიხსნება; მაგრამ მე არც ჩემი გილის აზრს ვიზიარებ, ეს სანახაობა ვალენსიელებს ისე მოაბეზრდათ, რომ არავითარ ინტერესს აღარ წარმოადგენს მათთვისო. შესაძლებელია ეს გულგრილობა ვალენსიელების შრომისმოყვარეობით აიხსნებოდეს. (შრომისა) და მონაგარისადმი სიყვარულით ისინი არა მარტო ესპანეთის ყველა დანარჩენ მკვიდრს, არამედ, ვგონებ, საერთოდ ყველა ევროპელსაც სჯობნიან.

თერთმეტ საათზე საპყრობილის კარი გაიღო. იმავე წუთში იქიდან ფრანცისკელების საკმაოდ მრავალრიცხოვანი პროცესია გამოჩნდა. წინ დიდი ჯვარცმა მოუძლოდა, რომელიც მომნანიებელს მოჰქონდა ორი საეკლესიო მსახურის თანხლებით: ამ უკანასკნელთ ხელში ჯობებზე ჩამოცმული ფანრები ეჭირათ.

ადამიანის სიმაღლის ტოლა ჯვარცმა სრულიად არაჩვეულებრივი იმიტაციის ნიჭით იყო შესრულებული გაფერადებულ მუყაოდან. ესპანელები, რომლებიც სარწმუნოებით ხალხის დაშინებას ლამობენ დიდად დახელოვნებულნი არიან წყლულების, კონტუზიის და მათ წამებულთა მიერ გადატანილი ტანჯვის ნიშნების გადმოცემაში. ჯვარცმისთვის, რომელიც სიკვდილით დასჯის დროს გამოაქვთ, არც სისხლი, არც ზარწყალი და არც ლურჯი სიმსიენე არ დაუზოგავთ. ეს ყველაზე უფრო საზიზღარი ანატომიური პრეპარატი იყო ადამიანის მიერ ოდესმე ნახულთა, შორის. ადამიანი, რომელსაც საზარელი ხატი მოჰქონდა, გა-

ჩერდა კარების წინ. ჯარისკაცებმა ცოტა უფრო წინ გაიჭრეს. ასიოდგ ცნობისმოყვარე მოთავსდა უკან ისეთ მანძილზე, რომ დაენახათ და გაეგონათ ყველაფერი, რაც ხდებოდა. იმავ წუთს გამოჩნდა პატიმარიც მოძღვრის თანხლებით.

არასოდეს არ დამავეიწყებდა მისი სახე. ის ძალიან მაღალი და გამბადარი, შესახებდავად დაახლოვებით ოცდაათი წლისა იყო. მაღალი შებლი, კუპრივით შავი და ჯაგარივით სწორი, ხშირი თმა ჰქონდა; დიდი ღრმად ჩაცვივებული თვალები თითქოს ენთებოდნენ. ფეხშიშველა იყო. ხოლო ტანთ გრძელი შავი სამოსელი ეცვა, რომელსაც სწორედ გულის პირისპირ ლურჯ-წითელი ჯვარი ეკერა. ეს სიკვდილით დასასჯელთა ნიშანია. პერანგის საყელო, მთლად ნაკეცებიანი, თითქოს დანაოჭებულაო, მხრებზე და მკერდზე გადმოშლოდა. წვრილი მოთეთრო თოკი მკვეთრად მოსჩანდა სამოსლის შავ ქსოვილზე, ის რაღაცა ეშმაკურ, ნასკვებით რამდენიმეჯერ შემოხვეული ჰქონდა სხეულის ირგვლივ და ხელებს იმ მდგომარეობაში აკავებდა, რომელსაც ლოცვის დროს ღებულობენ ხოლმე. ხელში მომცრო ჯვარცმის და ქალწულის ხატი ეჭირა. მსუქანი, მოკლე, ჩასკენილი, დაეღაეა ლოყებიანი მოძღვარი ეტყობა. კარგი გულის კაცი იყო; მაგრამ ის ალბად, დიდი ხანია ამ საქმეს მისდევდა, და ბევრი რამის მომსწრე იყო ცხოვრებაში.

მოძღვარს მოკვებოდა სუსტი, სათუთი ფერმკრთალი არსება, ჩვილი და გაუბედავი სახით. მას მიხაეისფერი ხალათი, მოკლე შარვალი და შავი წინდები ეცვა. მე მას ადვილად ნოტარიუსად ან აგვასილად მივიჩნევდი, თუ რომ თავზე ნაცრისფერი განიერი ქუდი არ ხურებოდეს, იმგვარი, როგორსაც პიკადორები არენაზე ხმარობენ. ჯვარცმის შეხედვაზე მან მოწიწებით მოიხადა ქუდი და მაშინ მის ყალიბზე კოკარდასავით მიმაგრებული სპილოს ძვლის პატარა კიბე შეეამჩნეე. ეს ჯალათი იყო. მსჯავრდებულმა, რომელიც დაიღუნა, რათა კარნაგელს არ მოხვედროდა, თავი გამოჰყო კარებში, წელში გაიმართა, არაჩვეულებრივ ფართოდ გაახილა თვალები, სწრაფად მოავლო თვალი ხალხს და ღრმად ამოიხენემა. მომეჩვენა, რომ მან იმ სიამოვნებით შეისუნთქა ჰაერი, რომელსაც გრძნობს ვიწრო და შეხუთულ სარდაფში დიდხანს ნაჯდომი ადამიანი. მას უცნაური გამომეტყველება ჰქონდა: შიში კი არა, რაღაც მოუსვენრობა ეტყობოდა. შეხედულება მორჩილი ჰქონდა. არ ეტყობოდა არც ზღვაობა, არც მოჩვენებითი მხნეობა. გავიფიქრე, რომ წინააღმდეგი არ ვიქნებოდი მსგავს პირობებში ასეთი თავდაპერილობა გამომეჩინა.

მოძღვარმა უბრძანა, მუხლი მოედრიკა ჯვარცმის წინაშე: მან ვაუგონა და ფეხით ემთხვია საზიზღარ ხატს. ამ წუთში ყველა დამსწრე აღელვებული იყო და ღრმა დუმილს იცავდა. მოძღვარმა ეს შეამჩნია, ხელები ასწია, რათა ისინი მის ორატორული ეესტების შემადგენლებ-

ლი ფართო სახელოებიდან გაენთავისუფლებინა, და წარმოისწავლა სიტყვა, რომელიც მას, ეტყობა, პირველად როდი უთქვამსა. ის ლაპარაკობდა მალალი ხმით, ხაზგასმით და ამასთან მონოტონურად უთქვამდა რეგულარულად ერთსა და იმავე ინტონაციებს იმეორებდა: *¡No se puede!* ულად და სრულიად ზუსტად გამოსთქვამდა თითოეულ სიტყვას მშვენიერ კასტილიურ დიალექტზე, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, ნაკლებად გასაგები იყო მსჯავრდებულისათვის. ყოველ წინადადებას ის ჯვვითინა კილოთი იწყებდა, შემდეგ ფალცეტამდე უწევდა და ღრმა და დაბალი ნოტებით ამთავრებდა.

საერთოდ, მსჯავრდებულს, რომელსაც ის თავის ძმას უძახობდა, შემდეგს ეუბნებოდა: „ქეშმარიტად თქვენ სიკვდილი დაიშახტურეთ, თქვენდამი წყალობაც კი გამოიჩინეს, საღრჩობელა რომ მოგისაჯენ, ვინაიდან თქვენ უზომო ბოროტმოქმედებანი ჩაიდინეთ“. მან დაურთო რამდენიმე სიტყვა ჩადენილი მკვლელობის შესახებ და ძალიან ვრცლად შეჩერდა უსჯულოებზე, რომელმაც მსჯავრდებული სიკვამლეში მოიცილა და იგი დაღუპვამდე მიიყვანა. შემდეგ თანდათან უფრო აღფრთოვანებულ მოძღვარი განაგრძობდა: „მაგრამ რა არის ეს თქვენ მიერ სამართლიანად დამსახურებული სიკვდილით დასჯა რომელიც თქვენ გელით, იმ წარმოუდგენელ წამებასთან შედარებით, რომელიც თქვენი გულისთვის თქვენმა ღვთაებრივმა მაცხოვარმა გადაიტანა? შეხედეთ ამ სისხლს, ამ წყლულებს“. და სხვა. ამას ჯვარცმის ენებათა ვრცელი ღრცხვა მოჰყვა, გამოცემული ესპანური ენისთვის ჩვეული გაზვიადებით და აშკარად დასურათებული საზიზღარი გამოხატულებით, რაზედაც უკვე მოგახსენეთ. სიტყვის დასასრული გაცილებით უფრო მოსწრებული იყო დასაწყისზე. თუმცა ნამეტანი ვრცლად, ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ღვთის მოწყალება დაუსრულებელია და გულწრფელი მონანიება გააქარწყლებს მის რისხვას.

მსჯავრდებული წამოდგა, საკმაოდ პირქუშად შეხედა მღვდელს და სთქვა: „მამაო, საკმარისი იყო გეთქვათ, რომ მე ზეტაზე მივემგზავრები. წავიდეთ!“

მოძღვარი საპყრობილეში დაბრუნდა მეტად კმაყოფილი თავისი ქადაგებით. მისი ადგილი დასასჯელის გვერდით ორმა ფრანკისკელმა დაიკავა, ისინი უკანასკნელ წუთამდე უნდა დარჩენილიყვნენ მასთან.

ჯერ ის დააწვინეს ქილობზე, რომელიც ჯალათმა ოდნავ თავისკენ მისწია. სულ სუსტად, თითქოს მასა და დამნაშავეს შორის უსიტყვო შეთანხმება ყოფილიყოს. ეს წმინდა ფორმლობაა, ვითომდა იმ განაჩენის ზუსტად შესასრულებლად, რომელიც იუწყება: „მოიშთოს წინასწარ ძაძაზე გათრევით“.

ამის შემდეგ საცოდავი ვირზე შესევს, რომელიც ჯალათმა ავშაჩით წაიყვანა: ორივე მხარეზე ფრანკისკელები მიჰყვებოდნენ, ხოლო მათ წინ

მიუძღოდნენ ამ ორდენის ბერების გრძელი რიგები და გრისკა (რომლებიც შობა Desampara dos*) წვერებად ითვლებიან. არ დაევიწყათ არც ბაირაღები, არც ჯვრები. ვირს ნოტარიუსი და აჩრჩან ნაშტისილის მისდევდა, ისინი ჯავლაგ ცხენებზე ისხდნენ და ფრანგულსა და ესპანურს ფრაკებში, მოკლე შარვლებში, აბრეშუმის წინდებში იყვნენ გამოწყობილი. პროცესიას მხედართა პიკეტი ასრულებდა. იმ დროს, როდესაც პროცესია წყნარად მიდიოდა, ბერები ყრუ ხმით ლიტანიებს მღეროდნენ, ხოლო ვილაცა წამოსასხამებიანი კაცები გარს უვლიდნენ ხალხს, დამსწრეთ ვერცხლის სინებს უწვდიდნენ და ბედშავისათვის (por el pohre) მოწყალებას აგროვებდნენ. ეს ფული სულის შესანდობარ წირვაზე იხარჯება.

ყოველ ღმერთის მოსავეი კათოლიკე, რომელიც საღრჩობელაზე მიდის ალბად დიდი ნუგეზით ხედავს, რომ სინები შედარებით ჩქარა ივსება მსხვილი გროშებით. ყველა იძლევა. მიუხედავად მთელი ჩემი უსჯულოებისა, მეც მოწიწების გრძნობით ჩემი წვლილი შევიტანე.

მართალი მოგახსენოთ, მე მიყვარს კათოლიკური ცერემონიები და სიამოვნებით ვიწამებდი მათ. ამგვარ გარემოებაში მათ ის უპირატესობა აქვთ, რომ გაცილებით უფრო ძლიერად მოქმედებენ ხალხზე, ვიდრე ჩვენი ურიკები, ეანდარმები და უხამსი, საზიზღარი პროცესია, რომელიც საფრანგეთში ყოველ სიკვდილით დასჯას თან ახლავს. გარდა ამისა (და ამისათვის მე განსაკუთრებით მომწონს ჯვრები და პროცესები), ისინი ყველაზე უკეთეს შესაძლებლობას იძლევიან დაამშვენონ განწირულის უკანასკნელი წუთები. დაეწყოს იქიდან, რომ დასამარების ბრწყინვალეობა ესალბუნება ადამიანის პატივმოყვარეობას, — გრძნობას, რომელიც ყველა დანარჩენზე უფრო გვიან გეტოვებს. შემდეგ, ბავშვობიდანვე პატივცემული ბერები, რომლებიც ლოცულობენ მისოვის, წირვისთვის ფულის შემგროვებელი ადამიანების ხმები, — ყოველივე ეს უთუოდ აყრუებს მას, ართობს, ნებას არ აძლევს იფიქროს თავის ხვედრზე. საკმარისია მან თავი მარჯვნივ მიიბრუნოს. — ფრანცისკელი მას ღვთის დაუსრულებელ მოწყალებაზე უჩიჩინებს; მარცხნივ შორე ფრანცისკელი ყოველ წუთში მზად არის ჩვენი უფალი წმ. ფრანცისკის მძლავრი შუამდგომლობა აღიდოს. ის მიდის სასიკვდილოდ როგორც რეკრუტი ორ ოფიცერს შუა, რომლებიც იცავენ და ამხნეებენ მას „მაგრამ მას არც ერთი წუთით არ ასვენებენ“, წამოიძახებს ფილოსოფოსი. მით უკეთესი. განუწყვეტლივ გაღიზიანებული აღვზნება ნებას არ აძლევს მიეცეს თავის ფიქრებს, რომელნიც გაცილებით უფრო ძალიან დასტანჯავდნენ.

*) უმწყო, უსახლკარო. — მთარგ.

მხოლოდ ეხლა მივხედი, თუ რატომ აქვთ ასეთი გავლენა მთაბიო ხალხზე ბერმონაზნებს, განსაკუთრებით იმათ, რომელნიც ენოვართა ორდენებს ეკუთვნიან. მე პატიებას ვთხოვ ჩვენს უფმყოფელ დღეებრალეებს, მაგრამ ეს ბერმონაზნები უბედურთა ნუგეშს და გულგრილმად გენენ აკენიდან ვიდრე სიკვდილამდე. რა უნდა იყოს ასეთი კატორგაზე უარესი: ზედიზედ სამი დღის განმავლობაში მუსაიფით გაართო ადამიანი, რომელსაც სასიკვდილოდ გზავნიან! ვფიქრობ, მე რომ სახრჩობელა მომელოდეს, უარს არ ვიტყოდი ორ ფრანცისკელთან მუსაიფზე.

მარშრუტი, რომელსაც პროცესია მისდევდა, საკმაოდ დაკლანკილი იყო, ვინაიდან ყველაზე უფრო ფართო ქუჩები უნდა ამორჩეულიყო. მე ჩემს გამძღოლს უფრო მოკლე გზით გავყევი იმ ანგარიშით, რომ დასასჯელს კიდევ ერთხელ შევხვდებოდი პირისპირ.

შევამჩნიე, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ ვიდრე იმ ქუჩაზე გამოჩნდებოდა, სადაც იგი კვლავ დავინახე, საბრალოს სხეული ძალიან მოხრილიყო. ის თანდათან მხნეობას ჰკარგავდა: თავი ხელ მკერდზე ღამოშვებოდა და თითქოს მხოლოდ კისრის კანზე ლა ეკიდა. მაგრამ მის სახეზე შიშის გამომეტყველება მაინც ვერ აღმოვაჩინე. ის ჩაშტერებოდა პატარა ხატს, რომელიც ხელში ეკავა: ხოლო როდესაც ხატს თვალს აცილებდა, ორ ფრანცისკანელს შესცქეროდა და აშკარა ყურადღებით უსმენდა.

კარგი იყო ამის შემდეგ უკან დამეხია, მაგრამ მთხოვეს, დიდ მოედანზე წავსულიყავი ვილაკა ვაქრის ბინაზე, სადაც თავისუფლად შემეძლო აივნიდან სიკვდილით დასჯა დამენახა ან სურვილისამებრ ამ სანახაობისათვის თვალი ამერიადებინა და ოთახში თავი შემეფარებინა. მე გავემგზავრე.

მოედანზე არავითარი ქედვა არ იყო. ხილულობით და ბოსტნეულობით მოვაჭრე ქალებს არ დაუტოვებიათ თავიანთი ადგილები. ყველგან თავისუფლად შეიძლებოდა გავლა. არაგონის გერბით მორთული საღრჩობელა მავრიტანული სტილის მოხდენილი შენობის, (აბრეშუმის ბირვის (la Lonja de Seda) პირდაპირ იდგა. საბაზრო მოედანი აქ გრძელია. ირგვლივ მდგომარე სახლები მომცრონი არიან, მაგრამ მათ მრავალი საართული აქვთ, და ფანჯრების თითოეულ რიგს რკინის აივანი ამკობს. შორიდან ისინი დიდ გალიებად მოგეჩვენებათ. შრავალი აივანი სრულიად უმაყურებლოდ დარჩა.

იმ აივანზე, სადაც მე ადგილი მქონდა, ორი ახალგაზრდა, თექვსმეტწერამეტი წლის ქალი დამხვდა; სრულიად მშვიდად მოთავსებულიყვნენ სკამებზე და მოხდენილად მარაოს იქნევდნენ. ორივე მეტად ტურფა იყო; მათი შავი აბრეშუმის ფაქიზი კაბების, სატინის ფეხსაცმელებისა და არაშიით მორთული მანტილების მიხედვით მე მივხედი, რომ ისინი რომელიმე შეძლებული ბურჟუას ქალიშვილები იყვნენ. ჩემი დასკვნა

საესებით დადასტურდა, ვინაიდან თუმცა ერთმანეთს ისინი ვერ უნდასწავლიან, დიალექტზე ემუსაიფებოდნენ, მათ ესმოდათ და საკმაოდ სწორად შეეძლოთ ლაპარაკი ესპანურ ენაზეც.

მოედნის ერთ კუთხეში პატარა სამლოცველო იყო, სადა სამლოცველოს და საბრძოლელას, რომელიც აქვე ახლოს იდგა, შიშაღისე რომაელების და სამწყობრო ნაწილების დიდი კორდონი ერთჯერად გარს.

იმის შემდეგ, რაც ჯარისკაცებმა პროცესია გაატარეს და კვლავ დაირაზმნენ, მსჯავრდებული ვირიდან მოხსნეს და იმ სამლოცველოს საკუთხეველთან მიიყვანეს, რომლის შესახებაც ეს არის მოგახსენეთ. ბერები შემოეხვივნენ, ის დაიოქილი იყო და ხშირად ემთხვეოდა საკურთხეველის საფეხურებს. მე არ ვიცი, რას ეუბნებოდნენ მას ბერები. ამასობაში ჯალათმა თოკი და კიბე დაშინჯა, ხოლო ამ შემოწმების დასრულებისთანავე მივიდა მსჯავრდებულთან, რომელიც ჯერ ისევ მიწაზე იყო განართხული, ხელი მხარზე დაადო და ჩვეულების თანახმად უთხრა:

— ძმაო, უკვე დროა.

ბერები, ერთის გარდა, განზე ვადგნენ, და ჯალათი, აშკარად, თავის მსხვერპლს დაეუფლა. როცა ის კიბესთან (ანუ უფრო სწორედ ფიცრულ საფეხურებთან) მიჰყავდა, ჯალათი ცდილობდა მის თვალთა წინ თავისი ქული დაეჭირა და ამით მისგან სარჩობელა დაეფარა, მაგრამ მსჯავრდებულმა თავის ქნევით ქული მოიშორა, რათა ეჩვენებინა, საკმაოდ გულადობა შემწყვეს, რომ სიკვდილით დასჯის იარაღს ეუყურო.

საათმა შეადლის ფაში დარეკა იმ დროს, როდესაც ჯალათი საფეხურებზე აღიოდა და მიათრევედა დასჯილს, რომელიც ძლივს მისდევდა, რადგანაც საფეხურებისაკენ ზურგით იყო მიჭედილი. კიბე განიერი იყო და მოაჯირი მხოლოდ ერთ კიდეზე ჰქონდა. ბერი მოაჯირს მიჰყვებოდა, ხოლო ჯალათი და მისი მსხვერპლი მეორე მხარეზე მიდიოდნენ. ბერი შეუჩერებლივ ლაპარაკობდა და ხელებს აწევდა. როდესაც მათ ფიცრულს მიაღწიეს, და ჯალათმა არაჩვეულებრივ მარად დასასჯელს კისერზე ხლართი მოსდო, მითხრეს, რომ ბერმა მას უბრძანა „მ რ წ ა მ ს უ ფ ა ლ ო“ წაიკითხო. შემდეგ მან ხმას აუწია და შესძახა:

— ძმებო, შეუერთეთ თქვენი ლოცვები საბრალო ცოდვილის ლოცვას...

მე ვაგიჟონე ნაზი ხმა, რომელმაც ჩემს გვერდით მღელვარედ „ამინ“ წარმოსთქვა, თავი მივაბრუნე და დავინახე, რომ ამას ერთ-ერთი ტურფა ვალენსიელი ქალი ამბობდა, რომელსაც ლაწვები ოდნავ შეწითლებოდა და დაჩქარებით აწევდა მარაოს. ის დიდი ყურადღებით იცქირებოდა სარჩობელისაკენ. მეც მივაბრუნე თვალები: ბერი კიბეზე ჩაშლიოდა, მსჯავრდებული ჰაერში ეკიდა, მის მხრებზე ჯალათი იყო დაყრდნობილი, ხოლო ამ უკანასკნელის თანაშემწე მსხვერპლს ფეხებით ეწეოდა.

P. S. არ ვიცი, მაპატიებთ თუ არა თქვენ. მიუხედავად ჩვენი პატრიოტიზმისა, ჩემს მივერძობებს ესპანეთისადმი, რაკი ხეცვლად დასჯაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ვიტყვი კიდევ, რომ არა თუ ესპანური დასჯა მირჩევნია ჩვენ დასჯას სიკვდილით, არამედ ავღივებ მათი კატორგაც მირჩევნია იმას, სადაც ჩვენ ყოველწლიურად თითქმის ათას ორას ოინბაზს ვგზავნი. თავის თავად ცხადია, მე არ ვლაპარაკობ აფრიკის კატორგაზე, რომელიც არ მინახავს. სამაგიეროდ, ტოლედოსა, სევილიასა, გრანადასა და კალიქსში მე მინახავს მრავალი pres idi arios (კატორგელი), რომელნიც სრულიად განუსაზღვრელად უბედურნი არ მჩვენებიან. ისინი გზების გაჭრაზე და შეკეთებაზე მუშაობდნენ. მეტად მდარე ტანისამოსი ეცვათ, მაგრამ მათ სახეზე ვერ აღმოაჩენდით იმ პირქუშ სასოწარკვეთილებას, რომელიც ჩვენ კატორგელებს ატყვიათ. ისინი სჭამდნენ დიდი ქვაბებიდან თავიანთ puchero-ს (წვნიანს), თითქმის ისეთს, როგორსაც მათი მცველი ჯარისკაცები, და ჩრდილში სიგარებს ეწეოდნენ. განსაკუთრებით კი მე ის მომეწონა, რომ ხალხი მათ ისე არ ერიდება, როგორც საფრანგეთში. ეს სრულიად უბრალოდ აიხსნება. საფრანგეთში კატორგაში გაგზავნილი ადამიანი ქურდია, ან ხშირად იმაზედაც უარესი. ესპანიაში სხვაა: აქ სულ სხვადასხვა ეპოქებში სრულიად პატიოსან ხალხს გზავნიდნენ კატორგაში მხოლოდ იმიტომ, რომ მათი რწმენა მმართველთა რწმენას არ შეეფერებოდა; თუმცა პოლიტიკურ მსხვერპლთა რიცხვი უმნიშვნელოა, ის მაინც საკმაო აღმოჩნდა იმისთვის, რომ საზოგადოების შეხედულება გაძევებულლებზე შეცვლილიყო. ვაცილებით სჯობია თავაზიანად მოექცე ვინმე ოინბაზს, ვიდრე რიგიანი კაცი შეურაცხყო. აი რისთვის არის, რომ ყველა მათ ცეცხლს აწვდის სიგარის მოსაკიდებლად და „ჩემო მეგობაროს“ ანუ „ამხანაგოს“ ეძახის. არც მცველები აგრძნობინებენ, რომ ისინი რაღაცა სხვა ჯიშის ადამიანები არიან.

თუ ეს წერილი საშინლად გრძელი არ მოგეჩვენათ, მე მოგიბორობთ კიდევ ერთ შეხვედრაზე, რათა წარმოდგენა იქონიოთ, თუ როგორ ეპყრობა ხალხი კატორგელებს.

გრანადიდან ბაილენში მივემგზავრებოდი. გზაში ერთი მაღალი ახალგაზრდა დავინახე, ფეხზე თოკის სანდლები ეცვა და ნამდვილი სამხედრო ნაბიჯით მიდიოდა. მას კვალდაკვალ ბატარა პუდელი მისდევდა. თავისებური ტანსაცმელი ეცვა. ჩემს მიერ გზად შეხვედრილ გლეხების სამოსელს არ ჰგავდა. თუმცა ჩემი ცხენი ჩორთით მიდიოდა, ის ადვილად მოამყებოდა და ლაპარაკი გამიბა. ჩვენ მალე დავმეგობრდით. ჩემი გამყოლი მას ბატონობით მიმართავდა. ისინი საუბრობდნენ ერთი გრანადელი ბატონის, ადგილობრივი კატორგის კომენდანტზე, რომელსაც ორივენი იცნობდნენ. როდესაც საუბრის დრო მოვიდა, გავჩერდით ერთ სახლთან, საიდანაც ლენო გამოგვიტანეს. ძალიანმა კაცმა ჩან-

თიდან ხმელი თევზის ნაჭერი ამოიღო და შემომთავაზა. მე კი თავი და-
ვისი მარაგი ჩვენი საუზმისთვის დაემატებინა, და სამივე გემოვნად დაე-
ნაყრდით. უნდა მოგახსენოთ, რომ სამივე ერთი ბოთლიდან ესვამდით,
რადგანაც ჭიქა ერთი მილის მანძილზედაც არ მოიპოვებოდა. ვეკითხე,
თავს რად იწუხებთ ასეთ პატარა ლეკვთან მოგზაურობით მეთქი. მან
მიპასუხა, ჩემი მოგზაურობა ამ ძაღლით არის გამოწვეული, ვინაიდან
კომენდანტი ხაენში გამგზავნა, რათა ეს ცხოველი მის ერთ ნაცნობს
გადაეცო. ვინაიდან მან კომენდანტი ახსენა, ფორმის ტანისამოსს კი მას-
ზე ვერ ვხედავდი, დავეკითხე, მილიციის ხომ არ მსახურობ მეთქი.

— არა, მე გადასახლებული ვარ.

— კოტა არ იყოს გავეოცდი.

— როგორ არ შეამჩნიეთ, რა ტანსაცმელი აცვია? — გაუკვირდა ჩემს
გამყოლს.

საერთოდ კი ჩემი გიღის, ჯორების კეთილსინდისიერი გამყოლის,
ქცევა სრულიადაც არ შეცვლილა. ის ჯერ მე მაწოდებდა ბოთლს, ვი-
ნაიდან მე ბატონი ვიყავი, შემდეგ გადასახლებულს აწვდიდა და
მხოლოდ ბოლოს თითონ სვამდა; ის ექცეოდა ჩვენს თანამგზავრს იმ ნა-
ტიფი თავაზიანობით, რომელსაც ესპანელი მდაბიო ხალხი ურთიერთ შო-
რის იცავს.

— რისთვის მოხვდით კატორგაში? — ვეკითხე მე ჩემს თანამგზავრს.

— ეჰ, ბატონო, უბედურება შემემთხვა! მე რამდენიმე სიკვდილის თა-
ნაზიარი აღმოვჩნდი.

— როგორ?

— აი როგორ მოხდა ეს. მე კარაბინერად ვმსახურობდი. ოცამდე
ამხანაგი და მე გადასახლებულთა პარტიას შივედვდით ვალენსიიდან.
გზაში მათმა მეგობრებმა მათი განთავისუფლება სცადეს, და იმავე წუთ-
ში კატორგელები აჯანყდნენ. ჩვენი კაპიტანი მთლად დაიბნა. გადასახ-
ლებულები რომ განთავისუფლებულიყვნენ, ის პასუხს აგებდა ყველა იმ
უწესობისათვის, რომელიც შესაძლოა იმათ ჩაედინათ. ბოლოს მან გარ-
დაწყვეტილება მიიღო და ბრძანება გასცა: „ესროლეთ ტყვეებს!“ ჩვენ
ვისროლეთ, მოვკალით 15 კაცი და შემდეგ მათი ამხანაგები გავდევნეთ.
ყოველივე ეს ჩვენი ყბადაღებული კონსტიტუციის დროს მოხდა, რო-
დესაც ფრანგები კვლავ დაბრუნდნენ და იგი მოსპეს, ჩვენ წინააღმდეგ,
პროკესი დაიწყეს, ვინაიდან მოკლულთა შორის რამდენიმე ბატონი
(caballero) რიილისტი აღმოჩნდა, რომელნიც თავის დროზე კონსტი-
ტუციონალების მიერ გაძევებულ იყვნენ. კაპიტანი ცოცხალი აღარ
იყო, და ამიტომ ჩვენ მოგვადგნენ. ჩემი ვადა უკვე სრულდება, და რად-
განაც კომენდანტი, კარგი ყოფაქცევის გამო მენდობა, მან გამგზავნა
ხაენში, რათა იქაური კატორგის კომენდანტს წერილი და ლეკვი ჩა-
ვაბარო.

ჩემი გამყოლი როიალისტი იყო, გადასახლებული კორტიტუციის მომხრე; მიუხედავად ამისა, ისინი ერთმანეთს მეგობრულად ექცეოდნენ. როდესაც ჩვენ კვლავ გზას გავუდევით, ლეკვი იმდენჯერ მხმარებდა, რომ კატორგელი იძულებული გახდა ის კურტაკში შეეხებინა მისი მხრისკენ. ამ კაცის საუბარი ძალიან მართობდა, ხოლო რაც შეეხება თვით მას, სივარებმა, რომლებითაც მე ვუმასპინძლდებოდი და საუბრემ, რომელიც ჩვენ გავიყავით. ის იმდენად მოისყიდეს ჩემს სასარგებლოდ, რომ მან ბაილენამდე მოისურვა ჩემი გაცილება.

— აქეთ გზა მშვიდობიანი არ არის, — მაცნობა მან: — ხანში ჩემს ნაცნობს თოფს გამოვართმევ, და ხუთი-ექვსი ყაჩაღიც რომ დაგხედეს, ერთ ცხვირსახოცსაც ვერ წაგართმევენ.

— მაგრამ თუ თქვენ კომენდანტთან დროზე არ დაბრუნდით, — ეუბასუხე მე, — შესაძლოა ვადა მოგიმატონ და კიდევ ერთი წლით გაგიგრძელონ.

— რა უშავს მერე, თქვენ დამიწერთ ქალაქს, რომელიც დაამოწყებებს, რომ მე მართლა გაგაცილებთ. სხვაფრივ მე ვერ დავმშვიდდებო, თუ თქვენ ზარტო გავიშვით ამ გზაზე.

შე, უეჭველია, დავთანხმდებოდი გაცილებას, თუ რომ ის ჩემს გამყოლს არ წაჩხუბებოდა. აი როგორ მოხდა ეს. მას უკვე დაახლოვებით რვა ესპანური მილის მანძილი ჰქონდა გავლილი ჩვენ კვლავ კვლავ, მიუხედავად იმისა, რომ სადაც კი გზა ნებას გვაძლევდა, ცხენები სულ ჩორთით მიგყავდა. უცბად გამოაცხადა: არ ჩამოგჩებით თუნდაც ცხენები ქენებით გაუშვათო. ჩემმა გამყოლმა ის მასხარად აიგდო. ჩვენი ცხენები სრულიადაც ჯაგლაგები არ იყვნენ. კიდევ თითქმის ერთი მეოთხედი მილი ვაკე გზა გვქონდა გასავლელი, გადასახლებულს კი ზურგზე ძალი ეკიდა. დავნაძლევდით. ჩვენ ცხენები გავაჭენეთ, მაგრამ ამ შეჩვენებულ ადამიანს მართლაც კარაბინერის ფეხები აღმოაჩნდა, და ჩვენმა ცხენებმა ვერ გაუსწრეს. თავმოყვარე პატრონს იმდენი სულგრძელობა არ აღმოაჩნდა, რომ გადასახლებულისათვის ეს შერცხვენა ეპატიებინა. მან დამდურებულივით შესწყვიტა მასთან ლაპარაკი. როდესაც კამპილო დე არენას მივალწვიეთ, გამყოლმა ისე დაიჭირა თავი, რომ გადასახლებულმა ესპანელისათვის ჩვეული ფაქტით თავი ზედმეტად იცნო და გაგვიცოლა.

თარგმანი ზეზონტი ძიმოძინა

(დასასრული შემდეგ ნომერში)





ეროვნული
გრაზდირთქვა

ალ. ზაიზვილი

ესპანეთის თანამედროვე რეპორაჟიჟი ღიზარაკაჟი

ესპანეთის ხალხის გმირული ბრძოლა ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ მთელი ქვეყნის მშრომელთა ყურადღებას იპყრობს. გერმანიისა და იტალიის ფაშიზმი ფაშისტ ესპანელ გენერლებთან ერთად ცდილობს დაიშინოს ესპანეთის ხალხი. მას სურს გადააქციოს პირინეის ნახევარკუნძული პლაცდარმად ახალი სისხლისმღვრელი იმპერიალისტური ომის გასაჩაღებლად. მსოფლიო რეაქციის მეფროშეები, გერმანელი ფაშისტები მთელი წლების განმავლობაში ამზადებდნენ აგრესიას ესპანეთის ხალხის წინააღმდეგ. გერმანელი ფაშიზმი ესპანეთში გზავნიდა თავის აგენტებს როგორც სამხედრო თავდასხმის მოსაწყობად, ისე ესპანეთის ხალხის დასამონებლად კულტურის დარგში. გერმანული თვითმფრინავების, ტანკებისა და რეიხსვერის ნაწილების შეჭრას ესპანეთში წინ უძღოდა ფაშისტ კრემლენიერთა და ლიტერატორთა ცდა — გაბატონებულიყვნენ ესპანეთის მწერლობაში. ფაშიზმის სამსახურში მყოფი გერმანელი „მეცნიერები“ მთელი წლების განმავლობაში ევლინებოდნენ ესპანეთს, როგორც ფაშისტური იდეოლოგიის მქადაგებელნი. გერმანული ფაშიზმი, რომელმაც თავის მხრივ ბევრი რამ ისესხა ესპანური ინკვიზიციის ეპოქისაგან, ცდილობდა გაეგატონებია ფაშისტური იდეოლოგია ესპანურ ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

ამ ფაშისტური რეაქციის შეჭრის თვალსაჩინო მაგალითს იძლევა მიუნხენის უნივერსიტეტის რექტორის, გერმანელი ფილოლოგის ფოსლერის „მოღვაწეობა“ ესპანეთში. ფოსლერი უკანასკნელი წლების განმავლობაში მადრიდის კლუბში ატენეოში კითხულობდა ლექციებს ესპანეთის ლიტერატურის შესახებ. იგი ამტკიცებდა, რომ ესპანეთის მწერლობაში მოცემულ გმირისთვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო პასივიზმი, ქრისტიანული სტოიციზმი, ტრაგიკული უნარი ტანჯვის ხამამოუღებლად გადატანისა. ასეთივე სულისკვეთებით აშუქებს ესპანეთის ხალხის ისტორიას ფაშისტი ფილოსოფოსი კაიზერლინგი. ამავც პანგზე მღეროიან მათ მიერ აღზრდილი ესპანელი ფაშისტი ფილოლოგები, რომელნიც სერვანტესს

და XVII საუკუნის სახელგანთქმულ მწერალს კევედოს ესპანეთის ხალხის მტრად აცხადებენ, რადგან ამ უკანასკნელთ დასთვის უნდოდათ, რომ საშუალო საუკუნეების ესპანეთისადმიო. ისინი ებრძვიან ყრველმეპროგრესიულის გამოვლინებას, ესპანურ ლიტერატურაში. მათი მიზანმიმართული კამპანია და კეისრის" ესპანეთი. სერვანტესს და კევედოს ისინი უპირობაპირებენ იეზუიტების ორდენის დამაარსებელს ეგნატე ლოიოლას. ისინი აცხადებენ, რომ ესპანეთი კულტურის დარგში ინკვიზიციის ეპოქიდან მეოცე საუკუნემდე თანდათან უკან მიდიოდაო, და მოითხოვენ საშუალო საუკუნეებისაკენ დაბრუნებას.

ამ ფაშისტური რეაქციის მოციქულებს ღირსეული პასუხი ვასცა რევოლუციურმა მწერალმა რამონ ხოზე სედერმა თავის წერილში „ესპანეთის ლიტერატურა იატაკქვეშ“. წერილი დაიბეჭდა ჟურნალ „ოქტობრეს“-ში 1935 წელს. რამონ ხოზე სედერი სწერდა:

„აზრისა და კალმის პოზიცია ესპანეთში ყოველთვის ბრძოლისა და პროტესტის პოზიცია იყო. ყველა, ვინც თვალსაჩინო კვალი დასტოვა ჩვენს კულტურაში, ვისაც წილად ხვდა ციხე, საბრძოლელა და საჯაროდ დაწვა, ასე თუ ისე დაკავშირებული იყო ხალხთან. მის მარად ცოცხალ, უკვდავ კულტურასთან. აი, ამიტომ სმაგდა და ეზიზღებოდა ყოველთვის ესპანეთის გაბატონებულ კლასს ხალხის წრიდან გამოსული მწერლები და მეცნიერები. იგი წინასწარვე გულისხმობდა მათში იდეური მემკობის ელემენტს. მწერლობა, გაბატონებული კლასის თვალსაზრისით, ნებადართული იყო მხოლოდ სამღვდელო პირთათვის, კანონიკებისა და ჰერცოგებისთვის. მზავრელთა კლასი ახლა ცდილობს მოგვამყენოს, თითქოს მის მიერ იყო შექმნილი ესპანეთის ხალხის კულტურული სიმდიდრენი. ნამდვილად კი ამ სიმდიდრის წყაროს ესპანელი ხალხის მშრომელთა მასები შეადგენენ. ესპანელმა ხალხმა თავისი სისხლით მოიპოვა იგი. საუკუნეთა განმავლობაში გზავნიდა იგი თავის საუკეთესო წარმომადგენლებს მეცნიერებისა და ხელოვნების ფრონტზე, რომ გაბედულად ებრძოლათ ახალი, ნათელი იდეალების მისაღწევად“.

ესპანეთის მწერლობას რომ პასივიზმი და მოძალადის წინაშე ჭედის მოხრა არ ახასიათებს, რომ ესპანეთის ხალხი მიუხედავად საუკუნებრივი ჩავრისა საერთო და კასულიერო დესპოტიზმის მიერ, სრულიად არ არის განწყობილი უსიტყვო მონობისათვის, ეს გვიჩვენა ესპანეთის ხალხის გამირულმა ბრძოლამ, თუნდაც უკანასკნელი წლების განმავლობაში, ბრძოლამ, რომელსაც ის აწარმოებს შინაურ და საერთაშორისო კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, ესპანური და გერმანულ-იტალიური ფაშისტების წინააღმდეგ. ამას გვიჩვენებს ესპანეთის ლიტერატურის განვითარება როგორც წარსულში, ისე მეოცე საუკუნეში.



1898 წელი, როდესაც ესპანეთმა სასტყეო დამარცხება განიკეთა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ომში, გარდაიქცა დიდი გარდაიქმნა მოწინააღმდეგეად ესპანური ლიტერატურის განვითარებაში. მწერალთა ის თაობა, რომელიც იმ დროს გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე, „1898 წლის კატასტროფის თაობის“ სახელითაა ცნობილი. ამ კატასტროფამ მათთვის ნათელი გახადა, თუ რა ჩიხში მოექცა ესპანეთის ხალხი გაბატონებული კლასების პოლიტიკის წყალობით. ამ თაობის მწერლებისათვის პირველ ხანებში დამახასიათებელი იყო დაბნეულობა და უიმედობა, მაგრამ საუკეთესოებმა მათ შორის მალე მონახეს თავიანთი ადგილი ესპანეთის ხალხის საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლაში. მათი შემოქმედება რევოლუციური სულისკვეთებითაა გაელენთილი.

სოციალური უკულმართობის წინააღმდეგ მებრძოლ, ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენელნი არიან საქვეყნოდ ცნობილი მწერლები ბლასკო იბანიესი და ვალენტიანო კლანი.

ვაკრული წრიდან გამოსული ბლასკო იბანიესი უარყოფს მშობლების მიერ მისთვის გამზადებულ სავაჭრო კარიერას. 17 წლის ახალგაზრდა უბმება პოლიტიკურ ცხოვრებაში. მას მრავალჯერ მოუხდა შეჯახება მონარქიულ რეჟიმთან, ბევრჯერ იქნა დაპატიმრებული, ხოლო 1890 წელს განიდევნა ესპანეთიდან. ორმოცი წლის განმავლობაში იბრძოდა ბლასკო იბანიესი როგორც პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე და მწერალი ალფონს XIII-ის მონარქიის წინააღმდეგ. იბრძოდა ფეოდალურ-კლერიკალური ზედაფენის და ესპანეთის უხერხემლო ბურჟუაზიის წინააღმდეგ — ბურჟუაზიის, რომელიც მშრომელი მასების რევოლუციური მოძრაობის გაძლიერების შიშით ყოველ გადაწყვეტ მომენტში თავისი უფლებისათვის ბრძოლას მემამულეებთან და ეკლესიასთან კომპრომისს არჩევდა. ყველაზე მტკივნეული საკითხი ბლასკო იბანიესისათვის იყო ეკლესიის ბატონობა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ადამიანის პირად ყოფაში.

ბლასკო იბანიესი იბრძოდა „შავი ადამიანის“ — ზუცესის, ბერის, ეკლესიის — წინააღმდეგ, რომელიც მახრჩობელა გველივით შემოქობობდა ესპანეთის ხალხს, რომელიც იჭრებოდა ყველგან — სასახლეში, პარლამენტში, ოჯახში, რომელიც ცდილობდა გაბატონებულიყო სააქციო საზოგადოებაში, ბანკში, სკოლაში. ეკლესიის ბატონობა, ბლასკო იბანიესის აზრით, უდიდეს დაბრკოლებას უქმნიდა ესპანეთის ხალხის წინსვლას. რომანში „ტოლედოს ტაძარი“ იბანიესი არკვევს ეკლესიის, კლერიკალიზმის ძლიერების ისტორიულ ძირებს ესპანეთში. მწერალი ებრძვის საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებულ რელიგიურ ცრუმორწმუნეობას.

მეორე რომანში — „მამა იესუიტები“ იგი ილაშქრებს ეკლესიის გავლენის წინააღმდეგ ახალგაზრდობის აღზრდაზე, ებრძვის „მებრძოლ ეკლე-

სიას „იეზუიტებს, რომელთაც ის „შავ პანტერებს“ ეძახის. „შავ პანტერა“ არაფრის წინაშე არ იხევს, ოღონდ თავისი ანგარა, უფლები მრავალე მისწრაფებანი ვანახორციელოს. „შავი პანტერა“ უნდა მოქალაქეებს, — ამბობს იბანიესი. მაგრამ ეს შეუძლებელია, ამიტომ, უნდა დავამწყვდიოთ რკინის მაგარ გალიაში, ჩაუღებოთ კბილები, დავაჭრათ ბრკყალები.

რომანში „ღვინის სარდაფი“ იბანიესი გვიჩვენებს, თუ როგორ ებრძვიან დილბაოს მახლობლდ მდებარე მალარობის მუშები იეზუიტების გამანადგურებელ ვაფლენას. რომანში „მკედრები ბატონობენ“ მწერალი იბრძვის დრომოკმული ტრადიციების წინააღმდეგ ადამიანის ცხოვრებაში. იგი ილაშქრებს კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი უკუღმართობის, ერთი მუჟა მუჟთახორების მიერ მშრომელი მასების ყვლეფისა და დამონების წინააღმდეგ. რომანში „ორდა“ იბანიესი ასახავს მალარიდის „ფსკერს“ კაპიტალისტური საზოგადოების მიერ გარიყულს, თითქმის კანონს გარეშე გამოცხადებული ელემენტების ცხოვრებას.

იმ რომანების ციკლში, რომლებიც სოფელს ასახავენ, მწერალი გვიხატავს ესპანელი ვლეხოზის სავალალო მდგომარეობას — მის უმიწაწყლობას და აქედან გამომდინარე ვაჭირვება-ტანჯვას. გლეხი იჯარით იღებს მიწას მემამულისა და მონასტრისაგან. იგი იძულებულია თავისი შრომის ნაყოფის დიდი ნაწილი მისცეს მიწათმფლობელს ათასნაირი ბეგარისა, ნატურალური და ფულადი ვადასახადის სახით. მისი ოჯახი ქრონიკული შიმშილობის მსხვერპლი ხდება. ამ პრობლემას კვლავ უბრუნდება მოხუცი ბლასკო იბანიესი 1922 წელს დაწერილ რომანში „მიწა ყველასთვის“.

როცა 1923 წელს ესპანეთში დამყარდა პრიმო დე-რივერას დიქტატურა, რომელმაც იტალიის ფაშიზმისაგან ისწავლა მშრომელთა წინააღმდეგ სისხლიანი ტერორით ბრძოლის მეთოდები, ბლასკო იბანიესი სამუდამოდ გაძევებულ იქნა ესპანეთიდან. პარიზში იბანიესმა გამოაქვეყნა მძაფრი პამფლეტი: „ნიღაბ-ახილი ალფონს მეცამეტე“. მან განაცხადა, არ დაუბრუნდები ესპანეთში, სანამ იქ არ მოისპობა მონარქია და ფაშისტურა დიქტატურა. ესპანეთიდან გაძევებულ სხვა რევოლუციურ მწერლებთან ერთად იბანიესი იბრძოდა ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ ესპანეთში.

იბანიესი გარდაიცვალა 1928 წელს, ემიგრაციაში, პარიზში. ბლასკო იბანიესი ერთი პირველთაგანი იყო იმ მოწინავე ინტელიგენციის რიგებიდან, რომელთაც ანრი ბარბიუსისა და რომენ როლანის თაოსნობით გამოაქვეყნეს მოწოდება საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად.

ასეთსავე პროტესტანტულ, სულისკვეთებას ამჟღავნებს თავის რომანში „ტირანი ბანდერასი“ (1927 წელი) მეორე ცნობილი ესპანელი მწერალი, იმავე თაობის წარმომადგენელი, ბრწყინვალე სტილისტი ვალიე ინკლარი. მისი აღნიშნული რომანი — „ტირანი ბანდერასი“ გესლიან პამფლეტს წარმოადგენს. ამ რომანში ინკლარი ილაშქრებს პრიმო დე-რი-

ვერას სამხედრო დიქტატურის წინააღმდეგ. პრიმო დე-რევერას რევოლუციონარული ინკლარი ისეთსავე დევნასა და პატიმრობას განიცდიდა, როგორც სხვა რევოლუციური მწერლები — ხოაკინ არდერიუსი და რამონ ხო-ზე სენდერი.

ოქტომბრის რევოლუცია უდიდეს გავლენას ახდენს უკრაინის შემოქმედებაზე. 1925 წელს ინკლარი სწერს პიესას „ბოჰემის მნათობნი“. ამ პიესის ერთი გმირი მუშა რევოლუციონერი ამბობს: „ჩვენი რევოლუციის იდეალი უნდა იყოს კერძო პირთა სიმდიდრის მოსპობა, როგორც ეს რუსეთში მოხდა. შეუძლებელი უნდა გავხადოთ ძველი წყობის დაბრუნება“.

1931 წელს ვალიე ინკლარი იწყებს მუშაობას რომანების ციკლზე — „იბერიის ცირკის არენა“. ამ ციკლიდან მან მხოლოდ ორი რომანის დამთავრება მოასწრო. ამ რომანებში ასახულია ესპანეთის ისტორია 1868 წლის რევოლუციიდან ესპანია-ამერიკის 1898 წლის ომამდე. მძაფრი სატირისა და გროტესკის ხაზებში იგი გამანადგურებელ კრიტიკას იძლევა ესპანეთის სამეფო კარისა, სადაც მეფობს კორუპცია, გამყიდველობა. ინკლარი ასახავს იმ საშინელ ჩაგვრასა და ექსპლოატაციას, რომელსაც ესპანელი ხალხი განიცდის. 1934 წლის ოქტომბრის ბრძოლამ დიდი გავლენა მოახდინა მოხუც მწერალზე. იგი აქტიური ანტიფაშისტი ხდება. მზურვალე მონაწილეობას იღებდა ინკლარი კულტურის დაცვის პარიზის კონგრესის (1935 წ.) ორგანიზაციაში. ინკლარი საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობარი იყო. სიკვდილის წინ განაცხადა: ძალიან ვწუხებარ, რომ ვერ მოვაიწარი რუსეთში — მშრომელთა ქვეყანაში — ყოფნა და მაქსიმ გორკისთვის ხელის ჩამორთმევა.

ძველი თაობის მწერლებიდან მხოლოდ რამდენიმე კაცი გადავიდა ფაშისტიზმის მხარეზე და მათ შორის ცნობილი მწერალი მიგუელ დე-უნამუნო. მიგუელ დე-უნამუნო 1931 წლის აპრილის გადატრიალების შემდეგ მიემხრო ბურჟუაზიული რესპუბლიკის ხელისუფლებას, რომელიც იცავდა მემამულეებისა და საფინანსო-სამრეწველო მაგნატების ინტერესებს და რომელიც სისხლში აბრჩობდა მშრომელი მასების რევოლუციურ გამოსვლებს. ფაშისტური ამბოხების დაწყებისათვის, 1936 წლის ივლისში უნამუნო ფაშისტ მეამბოხეთა ბანაკში აღმოჩნდა. მან ზურგი შეაქცია იმ პრინციპებს, რომლებსთვისაც ახალგაზრდობაში იბრძოდა. გენერალმა ფრანკომ უნამუნო სალამანკის უნივერსიტეტის რექტორად დანიშნა, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოიჩვენა, უნამუნო მალე დარწმუნდა თავის შეცდომაში და მალე ჩამოშორდა ფაშისტებს. უნამუნო სალამანკაში დარჩა, როგორც ფაშისტების ტყვე.

უნამუნო ამას წინათ გარდაიცვალა. ერთმა უცხოელმა ჟურნალისტმა, რომელიც მეამბოხეთა მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე იმყოფებოდა, პარიზის პრესაში გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც აწერილია უნამუნოს

უკანასკნელი დღეები, მისი მდგომარეობა ფაშისტ მემბროსებთანაა. სხვათა შორის ეურნალისტი დასწრებია სალამანკის უნივერსიტეტის საზიგმო სხდომას, რომელიც 1936 წლის 1-ლ ოქტომბერს გაიმართა. ამ სხდომაზე ლიტერატურის რეაქციურმა პროფესორმა მანტუალონისმა გაილაშქრა ბასკებისა და კატალონელების ნაციონალ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. უნამუნომ, რომელიც ეროვნებით ბასკი იყო, ვერ დაჰფარა თავისი აღშფოთება, და თავის მხრივ გაილაშქრა ფაშისტების ნაციონალური პოლიტიკისა და საერთოდ ფაშიზმის არაადამიანური სისასტიკის, აუტანელი რეპრესიების წინააღმდეგ. — ფაშიზმის, რომელიც არ ინდობს სრულიად უდანაშაულო ადამიანებსაც კი — ქალებსა და ბავშვებს. უნამუნოს გამოსვლამ დიდი აღშფოთება გამოიწვია კრებაზე დამსწრე ფაშისტურ ზედაფენაში. იქ მყოფმა გენერალმა ასტრიამ დაიღრიალა თურმე — სიკვდილი ინტელიგენციასო. პროფესორმა ბერმეხომ გაუბედავად შენიშნა გენერალს, რომ ის „ინტელიგენციის სახლში“ იმყოფება. გამხეცებული გენერალი მოჰყვა უწმაწურ ლანძღვა-გინებას. ამ სკანდალის შემდეგ, რომლის შესახებაც ფაშისტურ პრესას კრინტიც არ დაუძრავს, უნამუნო გადააყენეს რექტორის თანამდებობიდან. მოხუცი მწერალი პოლიციის სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ დააყენეს. მას მუდამ უკან დასდევდა პოლიციელი, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა, ესროლა უნამუნოსთვის, თუ იგი გაქცევას განიზრახავდა.

უფრო მკვეთრად ამგლავნებს რევოლუციურ სულისკვეთებას ახალგაზრდა მწერალთა თაობა, რომელიც 1925 — 1927 წელს შემოდის ლიტერატურაში და რომელიც ამჟამად ესპანეთის რევოლუციური მწერლობის ბირთვს შეადგეს. ამ თაობას შიშიმე პოლიტიკურ პირობებში მოუხდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა. 1923 წელს დამყარებული პრიმიტურივერას სამხედრო დიქტატურა, რომელიც გამოხატავდა მემამულეთა, გლეხის, ფინანსიური და სამრეწველო მაგნატების ბლოკს, მიმართულს ესპანეთის მშრომელთა წინააღმდეგ, დაუნდობლად სდევნიდა რევოლუციურად გაწყობილ ინტელიგენციასაც. ბევრი მწერალი იმ დროს ციხეში მოხვდა, ბევრი იძულებული გახდა ემიგრაციაში გადახვეწილიყო. მაგრამ დევნამ და რეპრესიებმა ვერ ვასტებეს მწერლობის რევოლუციური ფრონტი. 1925-27 წლების ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი და უმუშევრობა აძლიერებდნენ ამ ახალი თაობის მწერალთა გარეოლუციურობის პროცესს. ამ პროცესზე დიდ გავლენას ახდენს საბჭოთა ლიტერატურის ნაწარმოებთა თარგმნა.

აი, ამ ახალი ტენდენციების გამოშატველია ხოაკინ არდერიუსის „დუზი“ (1927 წ.), ხოზე დიას ფერნანდეს „მექანიკური ვენერა“ (1929 წ.), ალბერტინსუას „მოჯადოვებული გემი“ (1929 წ.), ანტონ ბალბონტინის „თავად არიელის თვითმკვლელობა“ (1929 წ.), სესარ მარია არკონადას „ტურბინი“ (1929 წ.), ისი-

ღორე ასევე დეს „თხუნელები“ (1930 წ.), როსა და მანეგას დინამო“, რამონ ხოზე სენდერიის „მაგნიტი“ შანც ამ ახალგაზრდა, რევოლუციური თაობის მწერლებს იმ ხანად ახასიათებდა ვაუბედავი მისვლა კლასობრივი ბრძოლის საკითხებზე.

1931 წლის აპრილის გადატრიალებამ უფრო გააძლიერა გარეო-ლუციურობის პროცესი. 1932 წლის დეკემბერს მადრიდში დაარსდა ესპა-ნეთის რევოლუციური მწერლებისა და მხატვრების ასოციაცია. რევო-ლუციურმა მწერლებმა რაფაელ ალბერტიმ, რამონ ხოზე სენდერმა, სესარ მარია არკონადამ 1933 წელს და-არსეს ეურნალი „ოქტუბრე“, ასოციაციის ორგანო, რომელმაც, პოლიციის დევნისა და კონფისკაციის და ფაშისტ „პისტოლეროსების“ (მედამზაფე-ების) მიერ აწიოკების მიუხედავად უდიდესი როლი ითამაშა რევოლუ-ციური ფრონტის ჩამოყალიბებაში.

ამ თაობის მწერლებიდან ყველაზე შესანიშნავი ფიგურაა რამონ ხოზე სენდერი. პირველი თელსაჩინო ნაწარმოები, რომლითაც მან საზოგადოე-ბის ყურადღება მიიქცია, იყო ანტიმილიტარისტული რომანი „მაგნიტი“. ამ რომანში ასახულია ესპანელი იმპერიალისტების ბრძოლა აჯანყებულ რიფების წინააღმდეგ.—აჯანყება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობი-ლი ბელადი ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ მოძრაობისა მარკოში აბდულ ქერიმი. რამონ ხოზე სენდერი თითონ იღებდა მონაწილეობას ამ ბრძოლაში, როგორც ჯარისკაცი. დიდის ოსტატობით ასახავს მწერალი ეს საშინელ ტანჯვა-წამებას, რომელსაც ესპანელი მუშები და გლეხები განიცდიან იმპერიალისტ-ყაჩაღთა ჯიბის გასასქელებლად. ამ რომანის სათაურს — მაგნიტს სიმბოლიური მნიშვნელობა აქვს. მაგნიტი არის რო-მანის მთავარი გმირის, ჯარის-კაცის ვიანსეს ზედმეტი სახელი. ვიანსე ჯარში გაწვევამდე მქედლის შევირდი იყო. ოსტატი, სამქედლოს პატრო-ნი, დასციინის ვიანსეს, რომ ის, როგორც მაგნიტი, ყოველგვარ უბედურე-ბას იზიდავს. გრდემლიდან გადმოვარდნილი შანთი თუ მარწუხი, ან მოჭ-ნეული ჩაქჩი უსათუოდ მას უნდა მოხედეს.

„დიდება შენდა ღმერთო! შენ ნამდვილი მაგნიტი ხარ! — ამბობს ოსტატი.

„ვიანსე როგორღაც ჩაუფიქრდა ამ სიტყვებს და მასში ღრმა აზრი ჰპოვა. ვიანსე თავისკენ იზიდავდა რკინას, უბედურებას, ძალმომრეობას, და არა მარტო ის, არა-მედ სხვა გლეხები, მუშები, მისი კლასობრივი ძმები. ის აძლევს საიჯარო გადასა-ხდს პერცოვს, ჯამაგირიდან გადაიჩენილ ფულს უზხავნის მამას, მაგრამ ეს ოდნავად ვერ ამსუბუქებს ვიანსეს ოჯახის მდგომარეობას. ეს არ იძლევა საშუალებას, რომ შეიძინონ სათესლე მასალა ან საიჯარო გადასახადი შეიტანონ მოსავლიან წელი-წადში. ეს არ აძლევს მამას და ძმას საშუალებას, რომ მაშლრად ჰკაონ; მათ საბლშე ცეცხლის გასაჩაღებელი შეშაც არ არის“.

ვიანსეს უბედურება გაორკვეცდება, როცა მას ჯარში წაიყვანენ. ვიან-სეს უშუალო მეთაური, ლეტენანტი დიას ურენია საცოლეს ართმევს ვი-ანსეს. ის ათასგვარ დამპირებას განიცდის—ცემა-ტყეპას, უდიერ მოპყრო-

ბას. დახმარებას მოკლებული მისი ოჯახი სოფლად ინგრედას და დღეს მის მამას ყანაში იპოვიან შიმშილისაგან მკვდარს. ყველა ამ უბედურებას ვიანსე იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ სიცოცხლე ქვეყნისთვის უკომფორტულია.

გინგლირუსენა

„და იგი განსაკუთრებული ტონით წარმოსთქვა მსამ სიტყვებს, თითქოს ეს იყო საიდუმლოება, რომელიც მან აღმოაჩინა“, — ამბობს ავტორი.

ვიანსეს ჯერ კიდევ ვერ შეუფხვია, თუ რა ხდის მშრომელი ადამიანის ცხოვრებას „სულელურ კომედიად“ ან, უფრო სწორად — მძიმე ტრაგედიად. როცა ომში გამოვლილი ტანჯვა-წვალებისაგან ინვალიდად ქცეული ვიანსე სახლში ბრუნდება მენდალით მკერდზე, მას სასაცილოდ იგდებენ. ყავახანაში მოჭიფვენი მენდალს მკერდიდან ააგლეჯენ და პროსტიტუტ ქალს ჩამოჰკიდებენ. ვიანსე ფიზიკურად და სულიერად გაჩანაგებულია. იგი ფეითმკვლელობით ათავებს ცხოვრებას.

ამ პერიოდში რამო ხოზე სენდერს ჯერ კიდევ სავსებით არ ჰქონდა შეცნობილი ომის კლასობრივი ბუნება და რიფების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აზრი.

1927 წელს რამონ ხოზე სენდერი პრიმო დე-რივერას დიქტატორის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ციხეში მოხვდა. თავის ავტობიოგრაფიაში სენდერი სწერს, რომ პატიმრობის დროს დამებადა აზრი დამეწერა „წიგნი საპატიმროზე“. „მე ვლაპარაკობ, — ამბობს იგი, — იმ საპატიმროზე, რომელსაც ვხედავდი შიგნიდან და ვხედავდი საპატიმროს კედლებს გარეთ“. ეს წიგნი მან გამოაქვეყნა „სახოვადობრივი წესრიგის“ სახელწოდებით.

ამ პერიოდში მე ანარქისტ ვიყავი, — სწერს სენდერი, — მაგრამ არასდროს, ანარქისტით უდიდესი გატაცების დროსაც კი მე ნებას არ ვაძლევდი რომელიმე ანარქისტს ჩემს წინაშე საპუტოა კავშირის აუცილებელი ვიქცეო. ანარქისტ-სინდიკალისტების ცენტრალური კომიტეტის კრებაზე ყოველთვის ვიყავი „შეიარაღებულ აჯანყებას“, სახალხო ძალა-უფლების ორგანიზაციებს (საბჭოებს ან მათ ანალოგიურ ფორმებს) და პროლეტარიატის დიქტატორებს“.

1931 წლის აპრილის გადატრიალების შემდეგ მშრომელი მასების რევოლუციური ბრძოლაში აქტიურმა მონაწილეობამ სენდერი დაარწმუნა ანარქო-სინდიკალიზმის თეორიისა და პრაქტიკის მანებლობაში მშრომელთათვის. 1932 წელს გამოქვეყნებულ რომანში იგი ანარქო-სინდიკალიზმის მძაფრ კრიტიკას იძლევა. ამ რომანის წინასიტყვაობაში სენდერი სწერს: „მე ვფიქრობ, რომ ამ წიგნით დავეხმარე დაბადების პროცესში მყოფ კომუნისმს ესპანეთში, დავეხმარე მას მძიმე ბრძოლაში წვრილ-ბურჟუაზიული ანარქიზმის ლიკვიდაციისათვის, რომელიც ჯერ კიდევ საგრძნობ ძალას წარმოადგენს ესპანელ მუშებსა და გლეხებს შორის.“

როგორც „საზოგადოებრივ წესრიგში“, ისე „შვიდ წითელ კვირაში“ მთავარი გმირი თითქოს ერთი და იგივე პიროვნებაა. პირველი რომანის გმირად გამოყვანილია ჟურნალისტი, მეორისა — ინტელექტუალური ციონერი ლუკა სამარი. „საზოგადოებრივ წესრიგში“ კონტაქტს მასებთან. „შვიდ წითელ კვირაში“ რომანის გმირი უკვე შტაბ-როდაა დაკავშირებული მასების ბრძოლასთან. „საზოგადოებრივი წესრიგი“ და „შვიდი წითელი კვირა“ მნიშვნელოვანი მხატვრული დოკუმენტებია ესპანეთის ისტორიის შესასწავლად უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე 1933 წელს რამონ სენდერი აქვეყნებს წიგნს „ქარიშხალი სამხრეთში“. ნარკვევების ამ წიგნში სენდერი სამარცხვინო ბოძზე აკრავს 1931 წლის ვადატრიალების შედეგად წარმოშობილ ლერუსის ხელისუფლებას, რომელიც „მშრომელთა რესპუბლიკის“ აბრას ატარებს, ნამდვილად კი სამრეწველო-საფინანსო მაგნატებისა და მემამულეების დიქტატურას წარმოადგენს. დამსჯელმა ექსპედიციებმა 1933 წელს სოფელ კასას ფესაში ინკვიზიციის ეპოქის მსგავსად ცოცხლად დასწვეს გლეხები, რომელთაც სცადეს მემამულეთა მიწის ხელში ჩაგდება. სენდერის ამ მამხილებელმა წიგნმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა ესპანეთში და საზღვარგარეთაც. სენდერი აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციონერი მწერლებისა და მხატვრების ასოციაციის ჩამოყალიბებაში, ჟურნალების „ოქტუბრეს“ და „უნსორის“ დაარსებაში. ეს უკანასკნელი სენდერის თაოსნობითაა შექმნილი.

მძაფრ მამხილებელ პამფლეტს ლერუსის რესპუბლიკაზე, რომელმაც სისხლის მორევში ჩაახრჩო ასტურიის მალაროელების აჯანყება 1934 წლის ოქტომბერში, წარმოადგენს ნიჭიერი მწერლის მანუელ ბენავიდესის რომანი „ხმელთაშუა ზღვის უკანასკნელი მეკობრე“, რომელიც გამოქვეყნდა 1934 წლის ზაფხულს. დოკუმენტალურ მასალაზე აგებულ ამ რომანში ბენავიდესს დღის სინათლეზე გამოაქვს აღნიშნული რეჟიმის მთელი ვახრწნილება. რომანის მთავარი გმირი — სისხლის სამართლის ტიპი, საჭკვენოდ ცნობილი კონტრაბანდისტი, კოლონიური ბანდიტი, მილიონერი ზუან მარჩი რომანში გამოყვანილია ზუან ალბერტის სახელწოდებით. ეს ბნელი პიროვნება უდიდესი გავლენით სარგებლობდა ესპანეთის ცხოვრებაში მრავალი წლის მძილზე. ის მეგობარია მეფე ალფონს მეცამეტისა, დიქტატორის ბრიშო დე-რივერასი, პრეზიდენტის ზამორასი, პრემიერის ლერუსისა, ფაშისტის ხილ რობლესისა. ამეამად ზუან მარჩი მარჯვენა ხელია შეამბოხე ფაშისტ-გენერლების ფრანკოს და მოლასი. ის უდიდეს ფინანსიურ დახმარებას უწევს ამ გენერლებს. როგორც მონარქის, ისე ლერუსისა და ხილ რობლესის რესპუბლიკების დროს ესპანეთის ხელისუფლება მის ხელში ტყინების თეატრს წარმოადგენდა. იგი წარმართავდა ესპანეთის ეკანომიკას, მისგან იყრ დამოკიდებული მაღალი თანამდებობის პირთა დანიშვნა და გადაყენება. ესპანეთის კოლონიები



მის სათარეშო ასპარეზს წარმოადგენდნენ და წარმოადგენენ. მკვლევლობა, მოსყიდვა, შანტაჟი, აფერისტული მაქინაციები მისი მსხვერპლის ნეთოდებია.

ამ რომანისტის ბენავიდესი დააბატომრეს და შემდეგ ესპანეთიდან გააძევეს. მაგრამ მისი წიგნის გამოცემას განაგრძობდნენ არალეგალური გამომცემლები და არალეგალურად ავრცელებდნენ ქალაქად მუშები, ხოლო სოფლად მასწავლებლები.

„უკანასკნელი მეკობრის“ რუსული გამოცემისთვის დაწერილ წინასიტყვაობაში ბენავიდესი სწერს:

„ამხანაგო საბჭოთა მკითხველო! მასალა, რომელსაც მე ამ წიგნში გაწვდი, ადვილად გასაგები არ იქნება შენთვის, ახალი ქვეყნის ადამიანისათვის, რომელიც თვალახდელი სკვრატ შენი ქვეყნის ბრწყინვალე მომავლს, სადაც შენ გამარჯვებით დაგვეგორვინე ის საქმე, რისთვისაც ვიბრძვით ჩვენ მუშათა სისხლით მოწვეულ ესპანეთში. შენ, გიმეორებ, შეუძლებლად მოგეჩვენება არსებობა რესპუბლიკისა, რომლის ბედსაც აეახავთა ხროვა განაგებს. წარმოიდგინე, მკითხველო, ქვეყანა ოცმილიონიანი მოსახლეობით. მისი დიდი ნაწილი შიმშილობს, მოკლებულია წერა-კითხვის ცოდნას, რათა დავედგნო ეს ხელისუფლება, მოვაწყუთ ამოხება. „მეკობრისთვის“ მე ციხეში მოვხვდი. შემდეგ გააძევეს ესპანეთიდან. მაგრამ ესპანეთის ციხეში ახლა ჩემს წიგნს კითხულობენ ესპანეთის ოქტომბრის რევოლუციური მებრძოლი, და იბედა მაქვს, რომ მის ფურცლებს სიმზნევე შეაქვს მათში. იგი ამხნევეს მათ ახალი ბრძოლებისათვის, ამ რეჟიმის წინააღმდეგ, რომელმაც გააბატონა ისეთი ხალხი, რომელიც არის ხუნ მარჩი, ალესანდრო ლერუსი, ალკარა ზამორა“.

1935 წელს პარიზში ბენავიდესი აქვეყნებს ახალ ნაწარმოებს — „ასე მოხდა რევოლუცია“, რომელშიაც იგი აღადგენს ასტურიელ მემლაროელთა გმირულ ბრძოლას 1934 წლის ოქტომბერში. წიგნი გვიხატავს შემზარავ სიმხეცეს და ბარბაროსობას, რომლითაც ლერუსის „მშრომელთა რესპუბლიკა“ მემლაროელთა აჯანყებას აქრობდა.

კომუნისტ მწერლის ს ეს ა რ მ ა რ ი ა ა რ კ ა ნ ა დ ა ს ნაწერებს ახსიათებს სოციალ-პოლიტიკური პრობლემების მკვეთრად დასმა. მისი მთავარი თემაა კლასობრივი ბრძოლა ესპანეთის სოფელში. 1929 წელს მან დასწერა რომანი „ტურბინი“, რომელშიაც მოცემულია კრიზისის შედეგად გამოღვიძებული ესპანეთის სოფლის სინამდვილე. ეს რომანი დაწერილია ალფონს მეცამეტის ტაბტის დამხობის წინ.

არკონადის მეორე რომანი „ღარიბები მდიდრების წინააღმდეგ“ (1932 წ.) ასახავს კლასობრივი ბრძოლის განვითარების შემდგომ საფეხურს ესპანეთის სოფელში. აქ თვით სათაურშია მოცემული მწავრულთა და ჩაგრულთა ბანაკების დაპირისპირება. ერთის მხრივ დგას მემამულე ღონ ანასარიო, რომელიც გლეხებისაგან გამოწოვილი სისხლით და ოფლით ვანცხრომილ ცხოვრებას ატარებს მადრიდში. მის ინტერესებს ერთგული ნაგაზივით დარაჯობს ჟანდარმთა ოფიცერი ხუნ რამოსი. მწავრულთა ბანაკს უპირისპირდება რევოლუციურად განწყობილი ღარიბი

გლენის აიუკის ოჯახი. შეჯახება ამ ორ ბანაკს შორის — ბო-
განო გლენების გაფიცვა — გლენთა დამარცხებით თავდობა. მაგრამ, ამ
დროებითი დამარცხების მიუხედავად, რომანი მაინც უძლიერესად ახა-
ლი ბრძოლისაკენ მომწოდებელი სიტყვებით სრულდება: „ღამე გაივლის,
ღარიბების თავზე ამოვა ახალი, გამარჯვების დღის გარიჟრაჟი, თავი
მალლა, ამხანაგებო“!

არკონადას შესამე რომანი „მიწის განაწილება აგრონომის დაუხმარებ-
ლად“ (1935 წ.) ასახავს ესტრამადურის ღარიბი გლენობის ბრძოლას მი-
წისათვის. რესპუბლიკისაგან იმედ-გაცრუებული გლენები ეუფლებიან
მემამულის მიწას, იყოფენ მას, სთესენ და ჰფიქრობენ, რომ შიმშილის საფ-
რთბეს თავი დაახწიეს. მაგრამ მემამულეები პოლიციის დახმარებით ართ-
მევენ გლენებს ნათესის მთელ მოსავალს. რომანში მკვეთრად არის მო-
ცემული სოფლის კლასობრივი დიფერენციაცია. კულაკობა ამ ბრძოლაში
მემამულეების მხარეზე დგას.

არკონადის რომანები, გაელენთილი კლასობრივი მძულეარებით შჩაგ-
ვრელთა წინააღმდეგ, დიდა პოპულარობით სარგებლობენ ესპანეთის მშრო-
მელ მასებში. ჭაღაქად და სოფლად ხდება მათი საჯარო გარჩევა, მათ
გარშემო იმართება დისკუსიები. არკონადა ამავე დროს რევოლუციური
კინო-მოძრაობის ხელმძღვანელია ესპანეთში.

შებრძოლი რევოლუციური სულისკვეთებითაა გაელენთილი პოეტ რა-
ფაელ ალბერტიის პოეზია. ალბერტი თვით ბურჟუაზიული კრი-
ტიკის მიერ აღიარებულია ახალი თაობის „პოეტების მეფედ“. 1925 წელს
ნაციონალურ ლიტერატურულ კონკურსზე მან პირველი პრემია მიიღო
წიგნისათვის „მეზღვაური ხმელეთზე“. რაფაელ ალბერტი, ისევე, როგორც
რევოლუციური ფრონტის სხვა პოეტები, პლაიბელტრანი, ლუის-
დუტაპია, სანჩო პერესი და სხვები, სრულიად ახალი ფორ-
მაციის პოეტია. ამავე პლედას ეკუთვნოდა მემამობეების მიერ გრენადაში
დაბერტილი პოეტი ფედერიკო გარსია ლორკა. რევოლუციური ფრონ-
ტის ეს პოეტები იბრძვიან ფორმალური, ცხოვრებას მოწყვეტილი, არის-
ტოკრატიული („სენიორული“) პოეზიის წინააღმდეგ.

რაფაელ ალბერტი, რომელსაც ლექსის მაღალი ოქტავობა ახასიათებს,
გამოდის ესპანური ხალხური სასიმღერო ლექსის ტრადიციებიდან. ხალ-
ხური გმირები მის ლექსს მასებისათვის ადვილად მისაწვდომს ხდის. რაფა-
ელ ალბერტი რევოლუციური ცეცხლით აღვზნებულ თავის ლექსებს
ხშირად კითხულობს მრავალრცხოვან მიტინგებზე, დემონსტრაციების
დროს. ალბერტი სწერს საავიტაციო ლექსებს საარჩევნო კამპანიებთან
დაკავშირებით. ალბერტი, ისევე, როგორც რევოლუციური ფრონტის
სხვა პოეტები, აქტიურ მონაწილეობას იღებს ესპანეთის მშრომელთა
ბრძოლაში ფაშიზმის წინააღმდეგ. ის აქტიურად იბრძოდა ასტურიელ
მემალაროელებთან ერთად და ამ ბრძოლას მან ლექსების მთელი ციკლი

უძღვნა. რაფაელ ალბერტის ლექსების ამ რკალში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლექსები კომკავშირელი ქალის აიდა დელა ფუენტეს შესახებ. ფუენტე დაიღუპა ოქტომბრის ბრძოლების დროს ასტურიაში. **ერქონეული**

მადრიდელი მხატვრის ფუენტეს ქალიშვილი, გვირგვინი **ბლანკა** დაიღუპული აიდა დელა თითქმის ლეგენდარულ პიროვნებად გადაიქცა ესპანეთში. მხოლოდ სამი წლის წინად მომხდარი მისი გვირგვინი სიკვდილის შესახებ უკვე სხვადასხვა ვადმოცემა არსებობს. ზოგიერთის სიტყვით, ის დაიღუპა ოვიედოს ხიდთან თავისი განუყრელი ტყვიამფრქვევით ხელში. სხვების ვადმოცემით, ის მოჰკლეს ორთქლმავალთა დეპოსთან, ზოგა თქმით კი — მთის ქიმზე ოვიედოს მიდამოებში, სადაც მან თავისი ტყვიამფრქვევის ცეცხლით შეაჩერა დამსჯელი რაზმის შეტევა და თავისი სიკვდილით პარტიზანების უკანასკნელ რაზმს ოვიედოდან გასვლის საშუალება მისცა. აიდა დელა ფუენტე ახალი კომუნისტური თაობის გვირგვინის სიმბოლოდ გადაიქცა.

რაფაელ ალბერტი ორჯერ იყო საბჭოთა კავშირში — 1932 და 1934 წელს, უკანასკნელად — როგორც საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველი ყრილობის სტუმარი. მაშინ ის მწერალ ქალ მარია ტერეზა ერეონთან ერთად საქართველოშიც იყო. ეხლახანაც იყო იგი საბჭოთა კავშირის სტუმარი.

ასტურიელი მემდაროელების გვირგვინი ბრძოლამ 1934 წლის ოქტომბერში დიდი გამოხმაურება ჰპოვა ესპანეთის ლიტერატურაში. ამ ბრძოლის ირგვლივ პოეტო პლაია ბერტრანი სწერს ლექსების წიგნს — „მიწის ხმას“. მწერალი ქალი მარგარიტა ნელკანი ნარკვევების წიგნს — „რად მოვახდინეთ რევოლუცია“. ამ ბრძოლამ ლიტერატურას შესძინა ახალი ძალები მუშათა წრიდან. ასტურიელი მემდაროელი, კომუნისტი მარკსიზმილიანე ალვარეს სუარესი სწერს წიგნს „ოქტომბრის სისხლი“; კომუნისტი, მუშა ალვანდრო ვალესი სწერს მოთხრობას „ოქტომბრის აჯანყების დროს განცდების შესახებ“.

1935 წელს რამონ ხოზე სენდერი საბჭოთა კავშირში იყო. თავისი შთაბეჭდილებები, სოციალისტური მშენებლობის პროცესის ვაცნობიდან გამოტანილი, მან ასახა წიგნში „მოსკოვი — მადრიდი“. საბჭოთა კავშირიდან წასვლისას სენდერი სწერდა:

„მას შემდეგ, რაც მე აქ ვნახე, ადგილი აღარა რჩება ინტელიგენტური ეჭვებისათვის. სანგრებს ერთი ფარაჯოსანი მოემატა. როცა თქვენთან მოვდიოდი, მე ინტელიგენტი ვიყავი, დღეს კი თქვენგან მიღის სოციალისტური ბრძოლისა და მშენებლობის ფრონტის ჯარისკაცი“.

დღეს, როცა ესპანეთის ხალხი გმირულად ებრძვის ფაშისტთა/გამხეცებულ ბანდებს, ესპანეთის მოწინავე მწერლები მართლაც უნდა იყვნენ „სოციალისტური ბრძოლის ფრონტის ჯარისკაცებად“. ფაშისტური მმართველის პირველ დღესვე, თოფის პირველ გასროლისთანავე მადრიდისა და ვალენსიის მწერალთა ასოციაციამ განცხადება წარუდგინა მთავრობას — შეადგინეთ ჩვენგან განსაკუთრებული რაზმი ფაშისტ მემბოხეთა წინააღმდეგ საბრძოლველადო. ესპანეთის რევოლუციური მწერლები თავდადებით იბრძვიან ცეცხლის პირველ ხაზზე. ამ ბრძოლაში დაიღუპა ახალი თაობის ერთ-ერთი საუკეთესო პოეტი — ფედერიკო გარსია ლორკა.

თუ, ერთის მხრით, რეაქციონერი ფაშისტური მწერლები და ლიტერატორები, ფოსლერისა და კაიზერლინგის ტიპის ცრუ მეცნიერნი ესპანეთსა თუ სხვა ქვეყნებში ყოველნაირად ეხმარებიან გერმანიისა და იტალიის ფაშისტურ მმართველთა ხელის დახმარებაში, მეორეს მხრით საერთაშორისო ინტელექტუალური მოწინავე პროგრესიული ბანაკი თავდადებით იბრძვის ესპანეთის ხალხთან ერთად ესპანეთისა და საერთაშორისო ფაშისტურ წინააღმდეგ, ესპანეთისაკენ მიუზღვრებიან საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ბელგიის და სხვა ქვეყნების მოწინავე მწერლები, მეცნიერები, მხატვრები, ზოგი იმისთვის, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს ესპანეთის ხალხის გმირულ ბრძოლაში, ზოგი კიდევ იმისთვის, რომ გაეცნოს ესპანეთის ხალხის გმირულ ბრძოლას და ამცნოს სიმართლე მთელ ქვეყანას. ანდრე მალრო, პოლ ნიზანი, ჟან რიშარ ბლოკი, ანდრე ვიოლისი, გერმანიიდან განდევნილი ანტი-ფაშისტური მწერლები ესპანეთში ჩავიდნენ არა როგორც გულგრილი მაყურებელნი ესპანელი ხალხის გმირული ბრძოლისა, არამედ, როგორც თავდადებული მებრძოლნი რევოლუციის ფრონტზე.

ჟან რიშარ ბლოკმა თავის რევოლუციური ალტყინებით აღსაქვს წიგნში „ესპანია, ესპანია!“ გვიჩვენა ესპანეთის ხალხის უდრეკი ნებისყოფი თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მან მხატვრულ რეპორტაჟში ასახა ესპანეთის მშრომელთა გმირული ბრძოლა ფაშისტური ამბოხების პირველ დღიდანვე.

მწერლების საერთაშორისო რევოლუციური ფრონტი ამ ბრძოლაში აღაფრთოვანა საერთაშორისო პროლეტარიატისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სიტყვებში: „ესპანეთის განთავსუფლება ფაშისტ რეაქციონერების უღლიდან არის არა კერძო საქმე ესპანელებისა, არამედ საერთო საქმე, მთელ მოწინავე და პროგრესიული კაცობრიობისა!“ *).



* ამ წერილის დამუშავების დროს ესარგებლებოდა ვერნალ „ინტერნაციონალური ლიტერატურა“-ში გამოქვეყნებული მასალით.



ზოთა ძიებური

საქართველო და ესპანეთის იბერია

ოცი საუკუნეა კაცობრიობის ისტორიაში ტრიალებს აზრი, რომ ესპანეთის პირვანდელი ძირითადი მოსახლეობა ქართველებს ენათესავება. ამ პრე-ესპანური ეთნიურა ერთეულის ტომური სახელწოდება ი ბ ე რ ი ა ა. ისტორიულ ვითარებაში იბერიელები გადაშენდნენ, დარჩათ მათ მემკვიდრეებად ბ ა ს კ ე ბ ი, რომელნიც „თანამედროვე იბერიელებადაც“ იწოდებიან. დღევანდელი ბასკების ისტორია აღსაესება სისხლიანი ბრძოლებითა და განადგურებით. ევროპის ფეოდალებისა და მეფეების მიერ დამკორებული ბასკეთი გაპარტახდა, სისხლისაგან დაიწრიტა, მაგრამ ნაციონალური განთავისუფლებისა და მთლიანობის შეგნება არასოდეს არ აღმოფხვრილა გარემოც ამ ისტორიულად დანაგრულ ხალხში. ხოლო ფაშისტების რისხვა, რომელიც ამჟამად ეროვნულ შეგინებასა და დაკნინებას უქადის ბასკებს და საზოგადოდ მთელ ესპანეთს, ამ ხალხისადმი ისტორიულ წარსულში ბარბაროსული დამოკიდებულების ახალი, უსაშინლესი ფორმაა, რის წინააღმდეგაც მამაცურად იბრძვიან მთელი ესპანეთის თავდადებული გმირები — რესპუბლიკანელები.

ამ მცირე მიმოხილვის მიზანია — მოკლედ შეაჯამოს ყოველივე ის, რაც დაწერილა ესპანეთისა და საქართველოს თანამიმართების ირგვლივ. ცნობილია, რომ კლასიკური მწერლები ძველი საქართველოს უერთერთ ტერიტორიას ი ბ ე რ ი ა ს უწოდებდნენ. იბერიის საზღვრებს შეადგენდა: აღმოსავლეთით მდინარე ალაზანი და ალბანია, დასავლეთით ლიხის მთა, ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი, ხოლო სამხრეთით მდინარე მტკვარი*). გეოგრაფიული და ენათმეცნიერული საბუთებით ამტკიცებენ, რომ იბერია იგივე პერუთია.**)

*) შეიქ. ს ტ რ ა ბ ო ნ ი: „დასავლეთის იბერები გადავიდნენ პონტოსსა და კოლხიდის ზემოთ მდებარე ქვეყანაში... რომელიც განიყოფება არმენიისაგან... მტკვარით და შესხთა მთებით“ (Geographica. I, 3, § 2).

**) კ. კ ე ე ლ ი ძ ე: „ქართველთა მოტყვევის მთავარი საკითხები“. „მიმოხილველი“, I, 1926. გვ. 16: ამოსავლად მიღებულია ტერმინის „იბერია“-ს პროტოტიპი. მერ, შვერ, ჰიპოთეზურად აღდგენილი ნ. მარის მიერ. იხ. აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი — „ქართველი ერის ისტორია“, II, გვ. 297 — 300. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე — „საქართველოს უძველეს ტომონიმიტიდან“. „საისტორიო მოამბე“, II, 1925 წ.

ანუ ივერიას დასავლეთ საქართველოზე ავრცელებს და მიუთითებს თანამედროვე სამეგრელოზე.*)

რა წარმოშობისაა ტერმინი იბერია—ივერია? რატომ უწოდებენ ივერიაში იბერიებს? ამ საგანზე ერთმანეთის გამომრიცხველი სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. სახელოვანი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი შენიშნავდა: „...ხოლო მეორე სახელი, ივერია, ენითავე ქართულითა მიეცა, რამეთუ იი არს ზორიყრილი, რომელი არს სასიხარულო ხმა ზახილისა; ხოლო ვერ იე რამეთუ ი მეფემან მოკლა არშაკ, მეფე ქართლისა, გოლიათობითა თვისითა, მაშინ აღუტევა ხმა სპათა მიმართ თვისთა: „იი, ვერია“, და გახდა ხმა ესე და იტყოდინა ყოველნი, სიმშინისა მისათვის, ამის გამო იწოდა ივერია**).

აკადემიკოსს მ. ბროსეს ეტიმოლოგიით, ივერია წარმომდგარია სომხური სიტყვიდან ვერ, რაც ნიშნავს ზე, ზემოთ (შდრ. ვირქ). და მართლაც: ქართველები გეოგრაფიულად „ზემოურები“ არიან ანუ ცხოვრობენ სომხეთის ჩრდილოეთით, დასკვნის ცნობილი მეცნიერი***).

მ. ჯანაშვილის აზრით, იბერია ქართული წარმოშობისაა და მომდინარეობს ძირიდან ბირება (შეადარე „გადაბირება“- აქედან იბერია ანუ ივერია ნიშნავს „მოკავშირე რესპუბლიკას“****). იგივე ჯანაშვილი სხვა ნაშრომში*****) ამ ტერმინს საგვარეულო სახელიდან ბირიან წარმომდგარად რაცხს; ზოგიერთმა მკვლევარმა იბერიადარაულ სიტყვას ივერეიონს დაუკავშირა და სხვა.*****).

აკადემიკოსმა ნ. მარშამ ამ ეთნიური სახელწოდებიდან დასავლეთ საქართველოს ტომობრივი სახელები გამოიყვანა (იმერეთი, გურია, სამეგრელო). ს. კაკაბაძე იბერიას მდინარე შიზერის სახელწოდებას უკავშირებს.*****).

იხილეთ ცნობილია, რომ იბერია მარტოოდენ ქართველი ტომის სახელი არ არის, იბერია ეწოდებოდა აგრეთვე უძველეს ესპანეთს. იბერიელები გარკვეულ ეპოქაში გალიამდისაც აღწევდნენ. დღეს იბერიელები წარმოდგენილი არიან მცირე რიცხოვანი ეთნიური ერთეულით. ზოგიერთის აზრით, ესპანეთის იბერია მდინარე ებროს სახელწოდებიდან

*) Н. Марр, „Крещение армян, грузин, абхазцев и аланов св. Григорием“ стр. 170 — 174.

**) „საქართველოს გეოგრაფია“, მ. ჯანაშვილის რედ., 1904, გვ. 30 — 31.

***) Histoire de la Géorgie, I, 1849, გვ. 15 — 16.

****) „Этимология картвельских этнографических и географических названий“, „Сб. зап. матер. для опис. местн. и племен. К. вказа“, 27, 1900, განვ. IV.

*****) „ქართული მწერლობა“, II, 1909, გვ. 82.

*****) Л. М. Мелисет-Беков — „Родство грузин с исландцами по др. источ.“, 911, Тифлис.

*****) „საქართველო, უძველესი ტომონიმიკიდან“. „საისტ. მოამბე“, II.

მომდინარეობს. ზოგიც ფიქრობს, რომ ეს ტომობრივი ტერმინი უკრძო-
ქნა უბრაული ძირიდან ქაბარ, რაც ნიშნავს ვაელას, ვაელსელას.

უნდა დავასკვნათ, რომ ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული ტერმინი იბერია — ივერია ეტიმოლოგიურად დადგენილია იბერის, ხოლო ფაქტი სიმპტომატურია: ერთისა და იმავე ტომობრივი ტერმინითაა იბერია (მონათლული ტერიტორიულად საქმაოდ დაშორებული ორი ეთნიური ერთეული. მაშასადამე, ერთის მხრით გვაქვს „საქართველოს იბერია“ ანუ „კავკასიის იბერია“, ხოლო მეორე მხრით — „ესპანეთის იბერია“.

ჯერ კიდევ ძველ დროში დაიბადა კითხვა: რა თანამიმართება უნდა არსებობდეს ამ იბერიელებს შორის? ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ტერმინოლოგიური ერთგვარობა შემთხვევითი შეხვედრის შედეგი იყოს. — სჯიან პირველი საუკუნეების ბერძენი, რომელი, სომეხი და ქართველი ავტორები და აქ თავს იჩენს თვალსაზრისთა სხვადასხვაობა. ამაზე გარკვევით ლაპარაკობს II საუკუნის (ჩვენი წელთაღრიცხვით) ბერძენი მწერალი აპიანი (*). ერთი მიმდინარეობა გულისხმობს, რომ დასავლეთ ევროპის იბერიელები გადასახლდნენ საქართველოდან, ე. ი. აზიის იბერიიდან. ამ აზრს პირველად დაადგა გრამატიკოსი ვარონი (I საუკ.). V-VI საუკ. რომელი მწერალი და გრამატიკოსი პრისციანიუს თავის თხზულებაში — „გრამატიკის სახელმძღვანელოში“ ამტკიცებს, რომ ევროპელი იბერიელები კავკასიიდან მომდინარეობენ. ამავე მიმართულებას ეკუთვნის VII საუკუნის ქართველი მწერალი მაქსიმე აღმსარებელი. (**). ხოლო გიორგი მთაწმინდელის თხზულებაში: „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთჳმესი და უწყება ღირსისა მისმოქალაქეობისა“ გვხვდება შემდეგი საგულისხმო სიტყვები: „შემდგომად თორნიკის მიცვალებისა განიზრახა ნეტარმან მამამან ჩუენმან იოანე, რათა აღიღოს ძე თჳსი და რადენნიმე მოწაფენი იელტოდეს სპანიაღ: რამეთუ პირველთაგანე უძნდა შულლიანობა და შფოთი. გარნა თავს ედებუნ ეამამდე თორნიკის აშენებისათჳს და რათა შეიძინოს სული მისი. რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არა მციოდნთ ნათესავნი და ერნი მკევდრ არიან მუნ და ამის პირისათვის წარვიდა ვიდრე ავიდოსადმე, რათა მიერ პოვოს ნავი, კერძოთა სპანიისათა მიმავალი და წარვიდეს მუნ“ (***)).

მეორე ბანაკი გვარწმუნებს, რომ, პირიქით, კავკასიის იბერიელები წარმომდგარნი არიან დასავლეთის იბერიელთაგან, ოღონდ მიგრაციის მოტივაცია სხვადასხვაგვარია. ძველი მწერლების ერთი ჯგუფი იბერიელ

*) Латышев. „Изв. др. писателей о Скифии и Кавказе“. т. 1. 1893 — 1900, გვ. 529.

**) ლ. მელიქსეთ-ბეგო, დასახელ. შ., გვ. 16.

***) ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი, გვ. 19.

თა ესპანეთის საზღვრებიდან კავკასიაში გადმოსახლებას ხსნი დიდი მიწისძვრით დასავლეთში. ამ მიმდინარეობას ვეცნობით სტრაბონის მიხედვით. მთელი რიგი მწერლები მიგრაციის მიზეზს ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსარის, დაპყრობითს პოლიტეკრატორების ავტორები ვერ იძლევიან გადასახლების ფაქტის ვარკვეულ დასაბუთებას. პოლოს, მოიპოვებთან ისეთი მწერლებიც, რომელნიც ვერავითარ ნათესაობას ვერ პოვებენ დასავლელ და აღმოსავლელ იბერიელთა შორის. ამ მხრივ საგულისხმოა სტრაბონის მოსაზრება. გამოჩენილი გეოგრაფი გადმოგვცემს, რომ იმ ადგილებში, სადაც ქართველები ცხოვრობენ, ჩანს ქერებს ოქრო მოპყვება; ბარბაროსები ჩამოზიდულ ოქროს აგროვებენ გობებითა და ბანჯკვლიანი ტყავებით (აქედან მომდინარეობს მითი ოქროს ვერძზე), ხოლო რადგან დასავლეთის იბერიაშიც მოიპოვება ოქროს ქვიშარი, სახელწოდებათა იდენტობის სათავეც აქ არისო.

შედარებით გვიანდელ ავტორთაგან, რომელნიც უხებთან საქართველოსა და ესპანეთის ურთიერთდამოკიდებულებას, უნდა დავასახელოთ მტრიტერი და შარდენი.

ცნობილი კომპილატორი შრომის *Memoriae popularum* ავტორი მტრიტერი თავისი თხზულების იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია ზემოიბერიის მეზობლად ბინადარ ალანებზე, კატეგორიული და სრული გვე-პიუტანლობის კილოთი აცხადებს, რომ ესენიც იბერიელები არიანო. ხოლო რა მანქანებით მოხედნენ ისინი ამ მხარეში, ე.ი დასავლეთ იბერიელთაგან მომდინარეობენ თუ სხვა მიდამოებიდან არიან გადმოსული, ამ საგანზე ვერაფერს ვიტყვიო, დასძენს ავტორი.

სახელგანთქმული მოგზაური **ჟ. შარდენი** (XVII საუკუნე). თავის ნარკვევში — „მოგზაურობა სპარსეთში“ საგულისხმო ამბავს მოგვითხრობს. საქართველოში ყოფნის დროს იგი მიჰყვითეს ნადიმზე მეფესთან. ამ უკანასკნელმა მოიკითხა ესპანეთის მეფე და შესვა ძვირფასი ქვებით მოოქვილი სასმისით მისი სადღეგრძელო. როდესაც ქართველი მეფე შეუხო იბერიელთა ნათესაობას, შარდენს მოაგონდა, რომ მართლაც მრავალი ავტორი აღნიშნავს ესპანელთა წარმოშობას ქართველთაგან, და დაინტერესებულმა, თუ როგორ ესმის მეფეს ეს ნათესაობა, ასეთი პასუხი მიიღო: კლიმენტი მერვემ (რომის პაპმა) თეიმურაზისადმი, მიწერილ წერილში ქართველი მეფე ფილოპე მეორის (ესპანეთის მეფის) ნათესავად მოიხსენია, ხოლო ქართველები და ესპანელები ძმებად დასახა. ამის შემდეგ თეიმურაზი და მისი შემკვიდრეები ამაყობდნენ და კვლავაც იამაყებენ ამ ნათესაობითო. *).

რა ავტობიოგრაფიისა იყო მაშინდელი დასავლური იბერიული ენა, ჩვენ არ ვიცით. ჩვენამდის მოღწეული იბერიული ძეგლები მეტად მცირერიც-

*) მისე ბარდენილის თა სხვა სომეხ ავტორთა ცნობები იხ. ლ. მელიქსეთ-სევეციის დისპელ. შრომაში.

ხოვანია. ჩვენს ხელთაა, ერთის მხრით, მედალები და წარწერები, ხოლო მეორე მხრით—საკუთარი სახელები და ტოპონიმიკური ტერიტორიები, შენახული ბერძენ-რომაელ ავტორთა თხზულებებში. ამ წერილებზე ძველებიდან ჩანს, რომ იბერიელების აღფაბეტური სისტემა ზუსტად შეესაბამება თანამედროვეობას შეუძლია ამოიცნოს იმ ენობრივი სისტემის საფუძველზე, რომლის მატარებლებიც ძველ იბერიელთა ტერიტორიაზე ბინადრობენ ამჟამად და მათ ჩამომავლებად ითვლებიან. ამ არაინდოევროპული და არასემიტური მოდგმის ხალხის სამკვიდრებელია არა მარტო ესპანეთი, არამედ საფრანგეთიც. ამ ხალხის მცირე ნაწილი არგენტინაშიც გადასახლებულა. ისტორიულად მათი ძირითადი ტერიტორია ესპანეთია. საფრანგეთის ემიგრანტები ესპანიიდან არიან გადასახლებულნი, ოღონდ უფრო ძველად, ვიდრე ამერიკაში. ეს თანამედროვე იბერიელები 800.000 სულამდის აღწევენ და ბასკებად იწოდებიან.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ბასკები განსაკუთრებულ გულისყურს იხევენ თავიანთი წარსულის შესწავლისადმი. კულტურულ დაწესებულებათაგან პირველ რიგში ჩვენ ყურადღებას იპყრობს ბასკური ენის აკადემია, ამ ავტორიტეტული ორგანიზაციის მიზანია—მაღალ მეცნიერულ საფეხურზე აიყვანოს დედაენის დამუშავების საქმე და სათავეში ჩაუდგას ენობრივი მშენებლობის ინტენსიურ პროცესს. *) ფართო ამოცანები ეყისრება „ბასკთა შემსწავლელ საზოგადოებას“, რომელიც თავის ირგვლივ იკრებს ცნობილ მკვლევარებს შოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. ხოლო ცნობილი საერთაშორისო ორგანო Revue Internationale des Etudes Basques თავისთავად მერყეელებს, თუ რა მკვიდრ აკადემიურ ნიადაგზე დგას ბასკოლოგიური დისციპლინა სამეცნიერო შოფლიოში.

ბასკური ენა არა ჰგავს ადგილობრივ ენებს, იგი „არაღაც საკვირველო და გამოუცნობი ფენომენია“—ხალხის წარმოდგენით. ეს ენობრივი განკერძოება ათქანაირი მითებისა და ზღაპრების წყაროდ გადაიქცა მთელს ესპანეთში. ასე, მაგალითად, იესუიტის დარამენტის თავის სენსაციურ წიგნში, რომლის სათაურია „ძველი შეუძლებლობა“; გვამცნობს, რომ ბასკური ენიდან წარმოიშვნენ მთელი შოფლიოს ენებიო. ავტორი „გვარწმუნებს“, რომ ბასკური ანბანის ყოველი ასო მისტიურ საიდუმლოებას შეიცავს. ხოლო აბატი დარიგოლი ბასკურის მარადიულ სრულყოფილებასე მიგვიითხებს. ჩრდილოეთ ესპანეთში ასეთი აზრია გავრცელებული, რომ „თვით ეშმაკი ცხოვრობდა ბასკეთში შვიდ წელიწადს და ვერც ერთი სიტყვა ბასკური ვერ შეისწავლა“-ო. უაღრესად დამახასიათებელია ბასკური ენის განმარტება ერთ ძველ ესპანურ ლექსიკონში: „ბასკური—ის, რაც იმდენად აღრეულია და ბუნდოვანი, რომ გავება შეუძლებელია“. არც მეტი, არც ნაკლები!

*) საბჭოთა მეცნიერთაგან ბასკური ენის აკადემიის საპატიო წევრად ითვლებოდა ნ. მარი.

რომანული ენების გარემოცვაში ბასკური მეტყველება მათგანაც თავისებურ ენობრივ კუთხულს წარმოადგენს. მართალია, მასში შეხვედრად გვხვდება რომანული ელემენტები (ლათინურ-ფრანგულ-კელტურ-ქანური), მაგრამ ეს მეტყველებითი ფენა არ არის ორგანიზებული ენობრივი ორგანიზმისათვის, იგი „შემოტანილია“ კულტურულ-ისტორიული ზეგავლენის შედეგად. ბასკურის აგებულება სრულიად თავისებურია, იგი ტიპოლოგიურად სხვა ლინგვისტური მიდგომისაა, არაინდოევროპიული ოჯახისაა. ასეთი აზრი შემუშავდა მეცნიერთა შორის როდესაც ისინი რომანული ენების კვლევის პროცესში პირისპირ წაადგნენ ბასკურის პროფილის გარკვევის აუცილებლობას.


გენეტიკური ძიება ბასკური ენისა ძალიან შორს მიდის. არ არის მხოლოდში ენობრივი ტიპი, რომელთანაც ეს საოცარი ენა არ დაეკავშირებინოთ. ასე გასინჯეთ, ჩინურსა და ამერიკულ ენებსაც გადასწვდნენ და იქ ეძიებდნენ ევროპაში ობლად შეთნილი ეთნიური კრებადობის თვისტომთ. შეკვლევართა დიდი ნაწილი იმ დასკვნამდის მივიდა, რომ ბასკური ენა სრულიად განსაკუთრებული რასის ტიპური წარმომადგენელია და დღესდღეობით იზოლირებულია და უნათესაო, როგორც ვადანაშთი გარდასულ საუკუნეთა ეთნოლოგიური ტიპებისა. ფიქრობენ, რომ ბასკები დასაუღეთ ევროპის ემველესი ცივილიზაციის წარმომადგენლები არიან და, მაშასადამე, მათი დამსახურება საკაცობრიო ცივილიზაციის ისტორიაში უდაოა. ევროპელთა შესევის შედეგად ეს უძველესი კულტურა აღიგავა და გაჩანავდა, ხოლო „ევროპული ცივილიზაცია“ ამ ნგრევისა და გაპარტახების შემდეგ პერიოდში ჩამოიქნა, როგორც სხვა ყალიბისა და სხვა შინაარსის კულტურა. ზოგი მეცნიერი, აღზავებული კულტურის ისტორიაში „არიული რასის“ პრიორიტეტობით და ინდოევროპული გედმადლობით, არა სთვლის ბასკებს ასეთი პრეტენციოზული კულტურის წარმომადგენლებად და ცდილობს დაგვაჯეროს, რომ ბასკთა ტომის თანამედროვე კულტურა ლათინური ცივილიზაციის ბრწყინვალე ტრადიციების გავლენის შედეგია.

კარგა ხანა წამოყენებულია ბასკურისა და ქართველური ენების *) გენეტიკური ურთიერთობის იდეა. ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში ჰერცოგის ამტკიცებდა, რომ ბასკები ვადასახლებული არიან საქართველოდან. გამოჩენილი ორიენტალისტი პენრიხ კლაპოტრი რუსეთის სამეცნიერო აკადემიის ადიუნქტი და შემდეგ პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი, თავის ცნობილ „მოგზაურობაში“, სადაც, სხვათა შორის, მოკმულია ქართველი ერის ისტორია უძველესი დროიდან რუ-

*) მეცნიერებაში „ქართველურ ენებად“ (Kartvelische Sprachen, Die Kharthwiesische Sprachen) იწოდებიან: საქთრივ ქართული, მეგრულ-ქანური, სვანური (ტერმინი დამკვიდრებულია შუბართის მიერ).

სეთთან შეერთებამდის, იძლევა ბასკურ-ქართულ ლექსიკონს შესატყვისობებს. ანალოგიური ხასიათისაა ანტ. აბადის დამკვირვებელი მოცემული „ბასკური გრამატიკის შესავალში“. ესპანელი ფილოლოგი და ისტორიკოსი ფიტა ზმნის ფორმათა და თელის სისტემის შესახებ საფუძველზე აყენებს საკითხს ბასკურ-ქართულის გენეტიკის შესახებ. ხოლო ცნობილი გერმანელი ორიენტალისტი ფ. პომელი გამოსათქვამს აზრს ე.წ. მიდიური ენის (აწინდელი ტერმინოლოგიით. ახალ-ელამური) ქართველურ უნებთან ნათესაობის შესახებ. ამის შემდეგ პომელმა თავისი პიპოთეზა უფრო გააღრმავა. მისი თეორიით, არსებობდა არაინდოევროპული და არასემიტური წარმოშობის ხალხთა და ენათა დიდი ჯგუფი წინა აზიაში და ხმელთაშუაზღვაზე. ამ ენებს მან „ალაროდული ჯგუფი“ უწოდა. მასში შედიან: ელამიტური, მიტანიური, წინარევროპული სომხური, ხეტური, ლიკიური, ეტრუსკული, იბერიული, ლიბიური და სხვა. წამოწყებულ იქნა ელამიტურ-ქართულის ურთიერთობის ახალი საბუთები...

ინდოევროპული ენათმეცნიერების კორიფე, გენიალური ლინგვისტი ჰუგო შუბარტი, რომლის „მეცნიერული პორიზონტის სიფართოვეს მისივე აზროვნების სიღრმე თუ შეედრება“, რომანული უნების კელევის პროცესში დაინტერესდა ბასკოლოგიური პრობლემით და ამ მიზნით მან სპეციალურად შეისწავლა ქართული ენა და მოკლე ხანში შეიქმნა ცნობილი ქართველთმეტყველი. თავის წიგნში „Über das Georgische (1855)“ შუბარტი აღნიშნავს, რომ ქართულ ენას „შინაგანი ნათესაობა“ აქვს ბასკურთან. ამ თეზისის განვრცობა და დეტალიზაცია თავს იღვა აგრეთვე ლამაზი იტალიელმა ენათმეცნიერმა ალფრედო ტრომბეტიმ. შრომაში „წერილები პროფესორ ჰუგო შუბარტისადმი“ (1902) ტრომბეტი ქართველურ ენებს ერთ სიბრტყეზე ათავსებს სემიტურ-ჰამიტურ და ბასკურ უნებთან. სახელოვანი მეცნიერი თავის თეორიას აღრმავებს რამდენიმე სპეციალურ შრომაში და საბოლოოდ იმუშავებს გარკვეული წრის ენების გენეალოგიურ სქემას:



ბასკურ-ქართულის პარალელებზე მსჯელო ბდა აგრეთვე პ. ვინკლერი—მოზოლოგიური მოვლენების ერთგვარობის კვალობაზე.

ბასკური და ქართველური ენების დამოკიდებულებას რამდენიმე ნაშრომი უძღვნა აკადემიკოსმა ნ. მარმა. განსვენებულმა ქართველმეტყველ-

მა რამდენჯერმე იმოგზაურა ბასკეთში, და იქაური ყოფის ნაწილები-
ანთოპოლოგიური ტიპები და, ასე ვასინჯეთ, ფლორა და ფაუნა მას
აგონებდა თავის სამშობლოს, საქართველოს, კერძოდ გურჯისტანს მიე-
ცემ ჩემ თავს მოვიყვანო რამდენიმე გრძელი ამონაწერი მათგან:
„Из пиренейской Гурнии“ (1927). ავტორის მიერ ბასკეთში შილებული
შთაბეჭდილებებისა და განაცადის გათვალისწინებას მრავალმხრივი მნი-
შვნელობა აქვს, როგორც სათაურადანვე ჩანს, ლაპარაკია პირენეულ გუ-
რიაზე. აქ იგულისხმება ერთ-ერთი ბასკური ტომის უთნიური სახელი
„ლი-გურია“ რომელშიაც „ლი“ სვანური თავსართია, გამოყენებული გეო-
გრაფიულ ტერმინების საწარმოებლად ხოლო „გურია“ იგივეა, რაც
ჩვენი „გურია“.

„Я никак не верил, — ამბობს მარი, — что в наши дни могут происходить чу-
д-са. А оно произошло, одно такое чудо. С вечерним поездом выехали мы из
Парижа на место моей командировки по лингвистической проблеме, поставлен-
ной как конкретная задача и разрабатываемой материалистически «фетиической
теорией. . . . Выехав из Парижа на юг Франции к Пиренеям и достигнув утром
после Молеона Седа Тардеи, мы оказались перед чудом . . . мы оказались на Кав-
казе в Гурнии, я, следовательно у себя на родине . . . и мы переживали . . . эти
первые впечатления от окружающей природы и материального быта. Маленькая
гурня по разнообразию физической природы велика. Кругом родная раститель-
ность, но не забудем, что мы находимся в Гурнии, где не только т. и. до исто-
рии человеческой речи, но и средневековье с христианским культом дает гром-
мадный действительно непочатый материал для отождествлений. Вот хотя бы оби-
тель S-te Eglise, с архитектурным памятником X века. Ведь в Пиренейской
Гурнии (не уступит она Кавказской) христианское строительство датируется
временем до—панской Галлии. История основания здешних христианских свя-
тынь столь похожа на историю построений или позднейших переживаний цер-
квей в Грузии, напр.: в Моцамете, или в самой Гурийской ее части, например,
в Шемокмедском монастыре, что существование одного общего
источника этих легенд не может подлежать никакому
сомнению и источник этот не всегда христианская легенда в основе, а ее
звический прообраз“ (გვ. 1, 3, 5)

ავტორს მოჰყავს ბასკი პოეტის ანობიას ლექსებიდან ერთი სტროფი:

„ესტის ესტეცო,
ესკოს არგიცეო,
ესკეარა გურეა,
ესკეარა მატეა“.

რაც ქართულად ასე იქნება:

„თაფლზე უტკბესო,
თაფლის სანთელზე უბრწყინვალესო,
ჩვენი ვესკურო,
სავეარელო ვესკურო“ *).

*) „ესკეარა“ სინონიზია ტერმინის „ბასკეთი“-ს.

სამშობლო მხარის ამ მშვენიერი ხოტბის მოტივი ნ. შარის ხელნაწილით აგონებს 1905 წლის რევოლუციის დროინდელ ხალხურ სიმღერას: „საქართველო ჩვენია, ჩვენია“ (გვ. 6). ავტორი შენიშნავს: ს. შარის ხელნაწილი

„Я имею ввиду близость смысла, а не созвучий слов, поскольку например, „მატია“, диалектически „მატია“ значит буквально тоже, что груз. საფარელი — любимый, но в смысле „дорогого“ или „восковая свеча“, как предмет сравнения яркости и чарующего света, а в грузинском переводе больше сохраняет силу не говоря о не возможности в русском передать особой формой..... (გვ. 7). ცოტა ქვემოთ ავტორი განაცხობს: Мы же чувствуем себя не в Баскии а в Гурии. Это чувство, или пожалуй, и осознание факта, в нас усилилось, когда за обедом в гостинице у наших хозяев, называемых басками, выявился и вкус гурийский. Особенно нас поразило гурийское приготовление «урицы». Со вкусом общим с гурийцами пошли бы и далее не только по части пищи, да напитка, но и забав в первую голову, игры в мяч, затем также пения, но и хозяйственных построек, архитектуры: по местам нынче то в Имерхеве, не то скорее в Свании, по настоящим баскским церквам, двускатным, мы точно в Имерхеве. Но здесь дело более сложное, как и в вопросе о самотическом виде: паразитный подбор красивых, именно статных женщин, но женский тип склада не только гурийского, но мегрельского. Вопросы эти сложны по скрещению подсудного материала, да они и не круга моих сейчас интересов, а мне хотелось бы хоть набросать в общих чертах, почему лингвистически также мне могло показаться основательно и без чуда, что выехав из Парижа скорым поездом попали мы в прямо в Гурию... (გვ. 8). ავტორი დაასკვნის: „Разве это не чудо, действительно поразительное явление, когда среди говорящих на, казалось-бы, чужом мне языке, я чувствую себя точно в окружении родной гурийской речи“ (გვ. 8).

შარის თეორიით, ბასკური იაფეტური სისტემის ენაა. განსაკუთრებით ზღვრი აქვს ბასკურს შეხვედრის წერტილები ქართველურ ენებთან. მსგავსება თავს იჩენს როგორც ფონეტიკაში, ისე მორფოლოგიასა და სინტაქსში. ძირითადად კი საზოგადო ლინგვისტური ფონდი მელავნდება ლექსიკაში და სემანტიკის პრინციპებში. ამ მხრივ უპირველეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ ქვის კულტის სიტყვები, ლითონის აღმნიშვნელი და მიწათმოქმედების ტერმინები, საკულტო ცნებები და სხვა. ვაქრობის ტერმინებში ბასკური შორდება ქართველურ ენებს. ეს განმარტება უნდა მომხდარიყო იმ სტადიაზე, როდესაც იაფეტელნი ჯერ კიდევ არ იცნობდნენ ლენოს. ქართული სიტყვა ღვინო გადასულია მთელი ევროპისა და წინააზიის ენებშიც. გვარწმუნებს შარა. იაფეტილოლოგიით, ბასკები წარმოადგენენ იმ იაფეტელთა ნაშთს, რომელთაც შექმნეს კაცობრიობის პირვანდელი ცივილიზაცია. იაფეტელთა მიგრაცია დასავლეთის მიმართულებით ორი გზითაა ნაგარაულები: ერთი — ზღვაზე სამხრეთით, მკორე აზიისა და ხმელთაშუაზღვის კუნძულების მიმართულებით, ხოლო მეორე — ჩრდილოეთით მატერიკზე, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროებზე და ევროპის სამხრეთით. ბასკები კავკასიის ეთნოგენებიან პონტოს აღმოსავ-

ლეთ სანაპიროების გზით და საბოლოოდ მოემწყვდევიან პირობების ნახევარკუნძულზე ერთ-ერთი ადრე გადასახლებული იაფეტური ტომის შემოხლად. დასავლეთში კვლავ მოხდა შინაგანი ეთნოგრაფიული შეჯვარედინება და ისტორიულ ვითარებაში იბერიელთა სუბსტრატული ინტერაქციის ევროპა, ხოლო ბასკები რჩებიან კაცობრიობის, როგორც გადაშენებული იბერიელების მემკვიდრენი. *)

ასეთია ბასკ-იბერიელთა და ქართველთა თანმიმდევრობის შესწავლის სქემატიური სურათი.

მაგრამ ვიდრე არ იქნება დადგენილი ქართველური ენების სუბსტრატი ანუ არ გვექნება მეცნიერულად დაზუსტებული (რამდენადაც ეს შესაძლებელია) შედარებით-ისტორიული ძიების გზით პრე-ქართველური ლინგვისტური ტიპი, ყოველგვარ გენეტიკურ კვლევა-ძიებას პიპოთეტური ხასიათი ექნება. სხვანაირად რომ ვთქვათ, როდესაც აღდგება ქართულ-მეგრულ-ქანურ-სვანურის პირვანდელი ბუნება, ეთნიური ურთიერთობის რკვევისათვის სანდო ნიადაგი იქნება შემზადებული. კერძოდ, ბასკურ-იბერიულისა და ქართველური ენების მიმართების პრობლემას მხოლოდ მაშინ შეიძლება გაუჩნდეს პოზიტიური საფუძველი. მანამდის კი ზემოთ ჩამოთვლილ ევროპულ მეცნიერთა და იაფეტოლოგიის დასკვნები დარჩება მეცნიერებაში, როგორც ძალზე საინტერესო და საყურადღებო ძიება, მაგრამ ხშირად საექვო და პოზიტიურად გაუმართლებელი.

ეს გასაგებია იმიტომაც, რომ ევროპელი მკვლევრები ვერ პფლობდნენ ქართველური ენების სინამდვილეს, ხოლო მეორე მხრით, მარის ლინგვისტური კონცენპიციის სპეციფიკური ხასიათი ბასკურ-ქართულ პრობლემას სათანადო პიპოთეტურ დაღს ასვამდა.

მხოლოდ საბჭოთა ქართველმეტყველება, შეიარაღებული მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიით, სათანადო მეცნიერული სერიოზულობით დააყენებს, კერძოდ, ეთნოლოგიური გენეალოგიის საკითხებს და იბერიულ-ქართული პრობლემის გადასაჭრელადაც სანდო ბაზისი იქნება გამონახული.



*) საზოგადოდ შიგრატიის პრობლემა სხვა სიბრტყეზე დადგა მარის შემდგომი ინტერპრეტაციის, მაგრამ ეს საკითხი აქამდე არ გვინტერესებს.

ა ლ. ს უ ლ ა ვ ა

გ. კაჭახიძე, როგორც ღირიკოსი

სოციალისტური მშენებლობის ეპოქამ, სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის წლებში საბჭოთა პოეტების მთელი თაობა გამოზარდეს. ამ თაობის ერთ-ერთი ნიჭიერი წარმომადგენელია პოეტი გ. კაჭახიძე. კაჭახიძემ პირველი ლექსებითვე მიიპყრო ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის ყურადღება. რამდენიმე წლის შემოქმედებითი მუშაობა მან კიდევ შეაჯამა საინტერესო წიგნებში: „ჩემი პირველი უჯრედი“, „ის უბანი და ის კარშიდამო“, „შხიარული შეგობრები“ და სხვა.

ნიჭი რომ პოეტის სამკაულია-ეს უუქველია, მაგრამ ამასთან ერთად თუ პოეტს არა აქვს ცხოვრების შეგრძნობის უნარი, ის მალე ამოიწურება. გ. კაჭახიძის პოეტური პრაქტიკა კი იმ აზრს ამტკიცებს, რომ ეს პოეტი აქტიურად მოზარდი, უდაო ნიჭისა და პოტენციის მქონე შემოქმედელია. ამ მხრივ მან საკმაოდ გაიკაფა გზა და გამოაჩინა თავისი შესაძლებლობანი. რასაკვირველია, გ. კაჭახიძეს აქვს ბევრი ნაკლი: დაუბეწველობა, ემპირიზმი, ზერელობა, მაგრამ ძირითადში ის უსათუოდ უნარიანი საბჭოთა პოეტია, — პოეტი, რომელმაც თავი იჩინა უმთავრესად საბჭოთა სოფლის ყოფაცხოვრების თემატიკის დამუშავებით.

ჯანრის მხრივ მის შემოქმედებაში სკარბრბს ლირიკა, გამსჭვალული სოციალიზმისათვის თავდადებისა და სიყვარულის გრძნობით. გ. კაჭახიძის ლირიკის თავისებურება იმაშია, რომ იგი გამოხატავს არა მარტო პოეტის ვიწრო ინდივიდუალურ ემოციებს, არამედ ეხება საბჭოთა ცხოვრების სინამდვილეს. ამგვარად პოეტი ლირიკული გზით ეპიურობამდე მიდის. ასეთ ლექსებში მას ახასიათებს უშუალობა, ნათელი, კონკრეტული აზროვნება და გულწრფელი ემოციურობა.

თანამედროვე რუსი კრიტიკოსი დ. მირსკი ქართველი პოეტების შავალითზე ამტკიცებდა, თითქოს ქართველ პოეტებს ახასიათებდეს სოფლის უშუალო შეგრძნობის განსაკუთრებული უნარი. თუ ეს დებულება საერთოდ მართალია, იგივე შეიძლება ითქვას გ. კაჭახიძეზედაც. თავის ლექსებში იგი ხშირად იღებს სოფლის ცხოვრების ისეთ თემას, რომელიც ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელოა, მაგრამ პოეტის დაკვირვებული თვა-

ლით შემწნეული — საქირო და დამახასიათებელი. საბჭოთა სოფლის კოდნა, მისი დეტალებისა და წვრილმანების დანახვის უნარი გ. კაქახიძის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს.

ერკინული

ცნობილია საერთოდ, რომ პოეტების შემეცნებაში მტკიცესტანდარტის შთაბეჭდილებებს წარუშლელი კვალი დაუტოვებიათ და ბევრჯერ გამზადრან მათი პოეტური აღგზნების საგნად. გ. კაქახიძის ლექსებში ბავშვობის დროის შთაბეჭდილებები არა ერთხელ გაცოცხლებულა. ეს იმ პერიოდის მოგონებებია, როცა ახალი რევოლუციური ეპოქა ბავშვის მეხსიერებაში შთაგონების პირველ მარცვლებს თესდა. მისი პოეტური დავაგაცეების პერიოდი დაკავშირებულია დიდ ისტორიულ გარდატეხასთან — რევოლუციის გამარჯვებასთან ჩვენში. ამიტომ რა გასაკვირია, რომ მის შემოქმედებას ჭაბუკური პერიოდის ეს შთაბეჭდილებებიც აღელვებდეს.

ამ მხრივ უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია გ. კაქახიძის ლექსი „ჩემი პირველი უჯრედი“. ეს ლექსი ავტობიოგრაფიულია და ამავე დროს ავტორის პოეტური ბუნების დამახასიათებელი. გ. კაქახიძის დადებითი თვისება იმაშია, რომ ის არა სწერს იმაზე, რაც არ უნახავს, რაც არ იცის. ნახული და კარგად განცდილი, — აი, გ. კაქახიძის შემოქმედების საფუძველი.

გ. კაქახიძეს სრული უფლება ჰქონდა თავის ლექსების წიგნისათვის ეწოდებია: „ის უბანი და ის კარმიდამო“. ეს პოეტის ნაცნობი და განცდილი კარმიდამოა, რომელთანაც დაკავშირებულია მისი ბავშვობა, კომკავშირულად ფიჭი და მოქმედება. არ შეიძლება პოეტს არ უყვარდეს, არ იგონებდეს იმ კარმიდამოსა, სადაც მან ფეხი აიდგა, სადაც პირველად ვადადგა გაბედული ნაბიჯი ცხოვრებაში შესასვლელად — ჩაეწერა კომკავშირში ცხოვრების იმ უჯრედში, რომელსაც პოეტი „პირველ უჯრედს“ უწოდებს.

დაუფიქვარია ახალგაზრდა ადამიანისათვის პოლიტიკური ნათლობის პირველი განცდა. ამიტომ იგონებს იგი სიყვარულით „პირველი უჯრედის“ დღეებს. „პირველი უჯრედის“ სკოლა და მისი გაკვეთილები არა ერთსა და ორს საბჭოთა ახალგაზრდას გამოუყვლია. ჩვენ მწერლობაში ბევრი რამ დაწერილა კომკავშირზე. გ. კაქახიძის ლექსი „ჩემი პირველი უჯრედი“ მათ შორის საუკეთესო ლექსად უნდა ჩაითვალოს.

„ასე დაიწყო დღენი მალალი
და გაზაფხული ჩემი ცხოვრების“.

ამ გაზაფხულმა განსაზღვრა პოეტის მომავალი ბედიც და მისცა საშუალება სწორი პასუხი გაეცა ცხოვრების მღელვარე კითხვებზე. მაშინ პოეტი ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო:

„როგორ ვიამბო — ვიყავ პატარა,
წლოვანობით სულ, მგონი, თოთხმეტის“.

ეს იყო მაშინ, როცა დაიბადა ახალი საქართველო, როცა საქართველოს მუშათა კლასმა და რევოლუციურმა გლეხობამ რუსეთის რევოლუციის

მშური დახმარებით გაიმარჯვებს ექსპლოატატორებზე და მათ დაქვემდებარებაში შენევიანებს: ლექსში „ლენინის ნახვა და გაზაფხული“ პოეტი იწერს იმ მომენტს, როცა.

„გარბოდა ზღვისკენ სასახლე ფლიდი;
და გოგუაძემ, გამვლომა მხეცმა,
საგვეახოსთან დაშალა ხიდი“.

ერყინულნი
გინგლირთხენა

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური განახლება პოეტს აწერილი აქვს როგორც ზალხისა და ბუნების სიხარული:

„მზე დახაროდა სიცილით სოფელს.
კირტი ხეებზე სკდებოდა ბევრგან,
ტყემლები შიტკლის თვესაფარს ჭკოედენ
და გაზაფხული ცხოვრებას ერქვა“.

ამ ახალი ცხოვრების გაზაფხულმა გადაშალა პოეტის ცხოვრების ახალი ფურცელი, რომლის შესახებაც ის შესანიშნავად გვიამბობს „პირველ უჯერედში“. საერთოდ, პოეტის ცხოვრებაზე რომ სოფელს დიდი გავლენა მოუხდენია, ამას ამტკიცებს მისი ლექსების დიდი უმეტესობა. სოფელი გ. კაკაბიძისათვის მართლაც საყვარელი თემაა. სოფელს კაკაბიძე უშუალოდ და ორგანიულად განიცდის. იგი იძლევა სოფლის უბრალო და მართალ სურათებს, მის წარსულს, ახალი ცხოვრების დუღილს, გლეხობის კერძო მესაკუთრული მეურნეობიდან კოლექტიურ-სოციალისტური მეურნეობისაკენ გადასვლას და საამური, შეძლებული ცხოვრების გამარჯვებას.

ქალაქიდან სოფელში დაბრუნებული პოეტის ზოგიერთი განწყობილება ისე თვალსაჩინოდ იგრძნობა კაკაბიძის ლექსებში, რომ ერთ დროს მას ესენინის გავლენაც კი დასწამეს. რასაკვირველია, გ. კაკაბიძის შედარება ესენინთან ყოველად გაუმართლებელია, რადგან ესენინის კონცეპცია სავსებით უცხოა გ. კაკაბიძისათვის, და მისი შეხვედრაც დედასთან და მასთან საუბარი სულ სხვა შინაარსისაა.

„მხედება ეზოში დედა ხნიერი
და თბილ აღერსით მაცხებს ყელამდე,
თითქოს ბავშვი ვარ, ისევ ბიჭუნა,“

სწერს გ. კაკაბიძე, მაგრამ იქვე ააშკარავებს თავის დამოკიდებულებას დედისადმი, რომელიც კარგად ვერ ერკვევა სოფლად წარმოებულ პიძოლაში.

„ვეჯდებით მიწურში, სადაც კეთილად
ვაბამლით გამხმარ ძროხებს ზამთარობით.
დედა ყველს იყვანს, მიწვევს კამათში,
ბობოლვებზე თუ რატომ ვილაშქრებთ,
მე ვხუმრობ და იქვე ნაცარში
კატა თათებით იგრებს უღვამებს.“

(„ის უბანი და ის კარშიდამო“)

გ. კაქახიძის დაბრუნება სოფელში და ბავშვობის რომანტიკული მოგონებები არის არა სანტიმენტალური წუწუნო, არამედ წარსულის ერთგვარი გადაფასება. მართალია, კაქახიძეს ძალზე უყვარს მარტინსკის და ის კარმიდამო, სადაც ბავშვობა გაუტარებია, მაგრამ ის მარტინსკის ხმ სოციალურ პირობებსაც, რომლებშიაც იზრდებოდა („დღეები სოფლად“), და ახალი მსოფლმხედველობის თვალსაზრისით უდგება მოვლენებს.

„აქ ჩემს წინაპრებს ჰქონდათ სახლ-კარი,
მეურნეობა წვრილი — ბორკილად.
მაგრამ ერთხელაც მჭადით გამძღარი
მათი ოჯახი არა ყოფილა.
მამაც ამიტომ ქალაქს დაენდო,
ემო ტარხანას მუშის მკლავებით,
დაფრთხი ბაბუსთან და მეც საერთოდ
აქ გაეატარე წელი თვრამეტი.“

გ. კაქახიძე არის არა ყრუ სოფლისა და მისი პრიმიტიულობის აპოლოგეტი, არამედ განახლებული, საკოლმეურნეო სოფლის რომანტიკოსი, რაც შეეხება მოგონებების სურათებს, გ. კაქახიძისათვის ეს ისეთი ფონია, რომელზედაც ის ძველისა და ახლის დაპირისპირებასა და ჩვენებას ახდენს. მაგრამ ის ძველი სოფლისა და მისი ტრადიციების მოწინააღმდეგეა.

ლექსი „ის უბანი და ის კარმიდამო“ ერთი უკეთესი ლექსათაგანია გ. კაქახიძის შემოქმედებაში. იქ ასახულია ჩვენი ცხოვრების ერთი უმნიშვნელოვანესი ხანა — კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პერიოდი. პოეტი გვიხატავს ამ პერიოდის მოვლენებს და საკოლმეურნეო ფორმაზე გადასული გლეხობის სახეებს და განწყობილებებს.

„ეტრეებთ სიდგურებს, ჩქარია წინსვლა...
ახლა ჩველით მდინარის ჯებირს;
მარცხნივ გახედავ სივრცეს, და ძლივს-ღა
შორს გამოჩნდება სოფელი ჩემი.
იქ ცხოვრობს დედა, ოჯახის ბოძი,
ყოველ საქმესთან მიმსვლელი რიხით.
წელს შეაწერეს საკმაოდ ზორცი,
დამზადება და ისიც იხდის.
და წინანდურად არ ყიდის ძროხას,
არც უსინდისოდ ეპურობა ქათმებს;
იცის სიძნელეს არ შევლის ოხვრა,
არამედ — ჯანი, გული და საქმე.
შეიღვივით უფლის პატარა მოზვერს,
უნდა როგორმე გახადოს ხარი;
მისცეს ტარტორებს თამაში მომე
და გაუმაგროს კოლექტივის მხარი.“

გ. კაქახიძე ცხოვრებას ნამდვილი რეალისტის თვალთ უცქერის, ხატავს სინამდვილეს არა ხელოვნურ ფერებში, არამედ რეალურ ვითარე-

ბაში. ლექსში „მგზავრობა ორის“ გამოთქმულია სიხარული ამის გამო, რომ მისი კოლმეურნე დედა შრომას არ იშურებს, რადაც კოლმეურნის მხარში ამოუდგეს — გამოუზარდოს კარგი ხარი, პატიოსნად გადაუხადოს სახელმწიფოს კუთვნილი. ეს ლექსი აღსანიშნავია ზედააღმოსავლეთის სოფლის ბუნება და შრომა დიდი სიყვარულითაა აღწერილი:

„ეზო იშვენებს ტანმალა ჩინარს,
სადაც დედა და სხონა ფართო.
მიყვარს სიმწვანე, არტელი გამრჯე
და შავი მიწა გამბალი წვიმით.
თუ საჭიროა, მოვიხმარ მარჯვენს,
გავევები ხალხს და გავთოხნი სიმინდს,
გულს გამიხარებს ნაშრომი ხევი,
წყაროს წყლის სიტკბოს მაგემებს ჭიქა;
ძროხა მომასმენს წინდფირიდან ბლავილს
და დამინახებს გატენილ ჯიქანს.“

გ. კაჭახიძეს საყოფაცხოვრებო დეტალების აღწერასთან ერთად ეხერხება პეიზაჟის ლირიკული აღწერაც და მისი სიმშვენიერის ჩვენება. აი რა კარგად და კოლორითოდ გადმოგვცემს იგი ბუნებით განცდილს მომენტს:

„სიერცეს ვაცურებ ჩენი ქობიდან,
შორს ჩინარები ჩანან გარჩევით.
გადმოუარეს ფრენით კოლხიდას
და ქობებში ჩასხდნენ ყანჩები.
დღეს დილიდანვე მზიან დარს ჩემობს,
მზემ ხანჯალივით შეჭი იშიშვლა...
ვბარობ, ვისვენებ და ჩემს გარშემო
ქვეყნის მიდამო ჯიხიშისა.“

სოფლის პეიზაჟის ასეთი ხალისიანი და ნათელი აღწერა საცხებით შეეფერება ჩენი თანამედროვეობის ჯანსაღ აზროვნებას. მაგრამ გ. კაჭახიძე პეიზაჟის აღწერაში არა სდგას ყალბი ესთეტიზმის პრინციპზე. იგი პეიზაჟს რაიმე სოციალურ მოვლენას უკავშირებს. პეიზაჟი პოეზიის უდიდესი სამკაულია, მით უმეტესად მაშინ, როცა საქმე ეხება ახალი ადამიანის ბუნებასთან დამოკიდებულების ჩვენებას.

სოციალისტური ცხოვრება ზრდის სიყვარულს ბუნებისადმი, ამიტომ ეს გრძნობა არ შეიძლება არ გამოიხატოს ჩენი ღროის პოეზიაშიც. ამისი მაგალითია გ. კაჭახიძის ლირიკა, სადაც ბუნების აღწერა არა ცხოვრებიდან გაქცევისა და ესთეტიზმის საშუალებაა, არამედ ახალი ცხოვრებისა და მისი სიხარულის გამოხატვა. ზოგი პოეტი, როგორც, მაგალითად გ. კაჭახიძე, ამას სოფლის თემაზე ანხორციელებს, ზოგი ქალაქის ფონზე იძლევა ამ ახალი სიხარულის ეკვივალენტს.

გ. კაჭახიძეს არ ეხერხება ქალაქზე წერა, თუმცა მან ურბანისტული ხასიათის ლექსებიც მოეპოება („ნავთსადენი“, „მანქანამ უნდა მოგვეცეს მანქანა“ და სხვა).

ერეკენული

გ. კაჭახიძე ძლიერია უფრო იქ, სადაც სოფელში სოფლის ცხოვრებისა და ბუნების უშუალოება და მისი ჯანსაღი ათვისება გ. კაჭახიძის შემოქმედებითი ბუნებაა. აღწერს იგი ძველი თუ ახალი ცხოვრების რომელიმე მოვლენას, ყოველთვის შესაფარ სახეებს პოულობს. აი, პოეტი აღწერს შეძლებული ცხოვრების გზაზე დამდგარ კოლმეურნე ცაგარლის ოჯახს. რამდენ ფერებს ნახავთ ამ ლექსში:

„განცდილი სახლი,
განცდილი ეზო,
ძველი ღობე და ჭიშკარი რკინის,
ეზოს კუთხეში საიხვე კერძოდ,
შეთეთობებული ბანოჯის კარით.
ჭიშკრიდან მოსიანს ბანოჯის მთები,
კავკასიონზე მიყრილი ლურჯად;
ჭიშკრის გარშემო წისქვილი თემის,
აღმასკოში და მრავალი ქუჩა.
ეზოში არის მოვლილი შოლი,
სკების რიგი და ხეები ვაშლის.
შემდეგ ოდა და მიწურის ბოლი,
ნიშანსეტივით წასული მთაში“.

ეს ლექსი — „ცაგარლის ოჯახი“ — ფართო მხატვრული ტილოა, სადაც ღრმა და ფერადოვანი სურათებით არის ასახული საბჭოთა სოფლის უხვი გარემო და ბუნება, შეძლებული ცხოვრებისათვის მებრძოლი კოლმეურნეობა და მისი ერთ-ერთი წარმომადგენელი, ქალარა გლეხის ცაგარლის ოჯახი. ამ ოჯახის მავალითზე გ. კაჭახიძე იძლევა საბჭოთა სოფლის დღევანდელ სახეს. წინად ღარიბი გლეხი ცაგარელი:

„ყო ყელამდე ჩამკდარი ვალში
ერთი საწყალი უბრალო ვინმე.“

რომელსაც მაშინ ვერ შეელოდა ვერც ჰუბა და ვერც უზომო შრომა:

„და ტყავამძვრალი კაცი ჰკვიანი
ვერ წამოსწია ვერც ტყის ქარხანამ,
მიტომ არის, რომ მიჯნებს არ იცავს,
გმო სიღარაბე; ძონძის ხალათი.“

ცაგარელი ახლა კოლმეურნეობის წევრია და მისი ოჯახი უკვე ფეხზეა წამომდგარი.

* ამ ლექსში გაბნეულია მრავალი ისეთი დეტალი, რომელშიაც იგრძნობა სოციალისტური სოფლის წარმტაცი სინამდვილე, კოლექტიური შრომის ნაყოფიერება და სიუხვე:

„აწი იხაროს, — სიგლაზე ეყოს,
წელს არტელიდან ჭებასთან ერთად
სარჩოზე შეტე სიმინდი ერგო.“



ქართული

პოეტი ამუქებს ფერებს, რომ ცავარლის ოჯახის მშვენიერი და დამაჯერებელი ვახადოს საკოლმეურნეო ცხოვრების უპირატესობა და მისი გამარჯვების პერსპექტივები. ყოფა-ცხოვრების სურათების აღწერის გვერდით გ. კაჭახიძე ამ ლექსშიაც მოსჩანს როგორც საუკეთესო პეიზაჟისტი, ბუნების სილამაზის შემგრძნობი: იგი ისე ლირიულად და მასველად ხატავს ცავარლის ეზო-მიდამოს, რომ არ შეიძლება არ განიცადო და არ შეგვიყვარდეს ეს ბუნება და გარემო:

„რბილ კონდარში ისვენებს მუხლი,
გულს ათამაშებს ჰაერი წმინდა,
ხედავ: ღალანებს ბუნება უხვი,
უმწერ ხეებს და სიმღერა გინდა.
ცა ლაქვარდოვან სივრცეებს გვახვევს,
ხარობს თვალები ცასავით ღია.
ღერწი გაუსხავთ ბურღულზე კვახებს
და ჯირკებივით ნაყოფი ყრია.
სურნელება სდვას, —
ბაღია მწიფე,
ხეთა შრიალში ოცნება დადის.
გაშალე კალთა, ნაყოფი კრიფე,
აქ დედამიწას ჰქონია მადლი.“

თუ რა გზებით მივიდა ღარიბი გლეხი შეძლებულ ცხოვრებამდე ამას კაჭახიძე გვიხატავს არა მსჯელობითა და პუბლიცისტური ზერხებით, არამედ სურათებით, სადაც გადაშლილია სოფლის სოციალისტური გარდაქმნის პროცესი: ადამიანთა შეგნებაში კერძომესაკუთრული გრძნობების ამოფხვრა, მიჯნების აყრა, კოლექტიური შრომის სიუხვე. კაჭახიძე შრომის მოყვარე, გამრჯე გლეხების თავყვანისმცემელია. მისი კოლმეურნეები ყოფილი ღარიბი და საშუალო გლეხები არიან, საბჭოთა პირობებში საკოლმეურნეო შრომის გზით შეძლებული ცხოვრების მშენებლები. მისი კოლმეურნეები შრომის მოყვარე, წელმაგარი ხალხია. ეს ხალხი წარსულშიაც შრომობდა, მაგრამ მაინც გამოუყვალ სიღარიბეს და გაჭირვებას თავს ვერ აღწევდა. მას შემდეგ კი, რაც სოფელი სოციალისტური განახლების გზაზე შესდვა, გაიმარჯვა შრომის სოციალისტურმა ფორმამ. ღარიბი და საშუალო გლეხობა გადავიდა ახალი ცხოვრების შექმნის მხარეზე. ამ გადასვლას მრავალი სიმწელე, მრავალი ფსიქოლოგიური დაბრკოლება ელოებოდა, მაგრამ ბოლოს მან გაიმართლა თავისი მიზანი და სასურველი ნაყოფიც გამოიღო.

გ. კაჭახიძე გვერდს არ უვლის ამ სიმწელეთა ჩვენებას, მაგრამ უმთავრესად ხატავს უკვე ფეხზე წამომდგარ კოლმეურნეობის შეძლებული

ცხოვრების სინამდვილეს. ამ მხრივ გ. კაჭახიძემ უსათუოდ სწორად ათვისა ახალი ცხოვრების ფერები, დეტალები, ხასიათები ამიტომ ის შეიძლება ჩაითვალოს გამარჯვებული საკოლმეურნეო ცხოვრების, რომანტიკოსად. მართალია ის ზოგჯერ ახალი ყოფის მომენტების განსაზღვრას არ ერიდება ნატურალისტურ ფერებსაც, მაგრამ ამასთანავე მისი ერთგვარი თავისებურება — ცხოვრების ხარბი ათვისების ეინი, ამისი დამამტკიცებელია მისი ლექსები „აივნიანი სახლი“, „ელალა“, „ქალარა მწყემსი და თეთრი ლაფშა“ და სხვ. გ. კაჭახიძეს კარგად ესერება იმერული სოფლის კოლორიტის ასახვა. ამ მხრივ მის ზოგიერთ ლექსში ბუნებოსა და ცხოვრების, ადამიანისა და ცხოვრების ისეთ ნათელ შტრიხებს შეხედებით, როგორც ვერპარნის „ფლამანდრიულ სურათებში“. იგი ახალი იმერეთისა და მისი ახალი ყოფაცხოვრების მხატვარია, სოციალისტური შრომის მადიდებელი, შეძლებული ცხოვრებისა და შეძლებული კოლმეურნეების აპოლოგეტი. ასეთია მისი „ცაგარლის ოჯახის“ მთავარი ფიგურა, მშრომელი გლეხი ცაგარელი, ასეთია მისი დედა, ასეთია წარსულში ქვისმტეხი შაცი ხუბუა, ორულგეთის ქალარა მწყემსი, კოლხიდის ბინადარი — „ქალადიდელი პირხმელი გლეხი“.

გ. კაჭახიძე ამ ადამიანების შრომასა და ცხოვრებას ხატავს ახალი სოციალისტური სინამდვილის ფონზე, მაგრამ არ იფიწყებს იმასაც, თუ რანი იყენენ ისინი წარსულში, რათა ამით უფრო რელიეფურად აჩვენოს, თუ როგორ ამოიყვანა კაპიტალიზმის წუმუქედან მშრომელი გლეხობა სოციალიზმმა, თუ როგორ გაანთავისუფლა იგი სოფლური იდიოტიზმისა და ჩამორჩენილობისაგან, აამალა მისი ადამიანური ღირსება.

მრავალი ასი წლის განმავლობაში ქალაქი სოფლისათვის ბოროტებას ნიშნავდა. „კაპიტალიზმის დროს ქალაქი აძლევდა სოფელს იმას, რაც მას ხრწნიდა კულტურულად, ეკონომიურად, ზნეობრივად, ფიზიკურად“, — სწერდა ლენინი თავის სტატიაში „ფურცლები დღიურიდან“. კაპიტალიზმის დროის ქალაქი სცილდება სოფელს, მათ შორის იბადება წინააღმდეგობა. მხატვრულ მწერლობაში ეს მოვლენა მრავალი შესანიშნავი ტილოთია აღნიშნული (ვერპარნი, იბანიესი, არაგვისპირელი, რეიმონტი, ნინო-შვილი, ბუნინი და სხვ.).

წარსულში ქალაქისათვის სოფელი უვიკობისა და ჩამორჩენილობის სინონიმი იყო. სოციალიზმმა ჩვენს ქვეყანაში მოსპო ეს წინააღმდეგობა. არ გამომარევა ეს მდგომარეობა გ. კაჭახიძესაც. ლექსში „კოლხიდის ბინადარი“ ის კარგად გვიჩვენებს ქალაქისადმი გლეხის ახალ დამოკიდებულებას.

საკოლმეურნეო ცხოვრების გამარჯვებისა და მისი ტრიუმფალური წინსვლის ამსახველ საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს შორის გ. კაჭახიძის „აივნიანი სახლი“ ერთ-ერთ შესანიშნავ ლექსად უნდა ჩაითვალოს. ამ ლექსში დიდი პოეტური დამაჯერებლობით არის მოთხრობილი

ყოფილი ქვისმეტეხი გლეხის ცხოვრება, მისი შავბნელი წარსული და სოციალისტური შრომის საკოლმეურნეო მოძრაობის ფონზე მისი დღევანდელი ბედნიერი ცხოვრება. შინაარსობრივად ეს ლექსი კაკაბიძისათვის დამახასიათებელი თემების რკალს ეკუთვნის. ლექსი უფრო მეტად კაკაბიძის სწვევია იწყება პეიზაჟური სურათის აღწერით და იმ დიდი სინამდვილის გადმოშლით, რომელიც ჩვენი დღევანდელი ცხოვრების სახეს წყვილდა. ვინ უნდა იყოს იმ აივნიანი სახლისა და მისი კარმიდამოს ბინადარი, რომელსაც პოეტი ასე აღწერს:

„კონდარს ჭონდა ძარღვი და სისქე
კარმიდამოსაც ძალ-ღონე ჭონდა.
ჩანდა გემივით უნისლო ცისქვეშ
არყის ხეებში ჩადგმული ოდა.
ფართო აივანს იხედნდა სახლი,
აწვა მსუბუქად აგურის ბოძებს...
ჭადღოთ მაძლარი ბამბურა ძაღლი
კმაყოფილებით დაბტოდა მოღზე.“

აივნიანი სახლი წარსულში მხოლოდ თავადისა და კულაკის საკუთრება იყო. მაგრამ „ძველი სოფელი, — როგორც შესანიშნავად აღნიშნა ჩვენი ქვეყნის უბრძნესმა ბელადმა, ამხანაგმა **ო. ხტალინმა**, — მისი საყდრებით ყველაზე უფრო თვალსაჩინო აღვილას, — ურიადნიკის, ხუცესისა და კულაკის საუკეთესო სახლებით პირველ რიგზე, მისი ნახევრად დანგრეული გლეხური ქოხებით უკანა რიგზე, ჰქრება. მის ადგილზე ჩნდება ახალი სოფელი“. პოეტის მიერ აღწერილი სურათი აი სწორედ ამ ახალი სოფლის სურათია. ესაა გუშინდელი უსახლკარო, უმიწაწყლო, მშიერი გლეხის მაცა ხუბუას დღევანდელი ახალი ოჯახი. ამ კაცს წინად „ემახდნენ გლაბაკს“, მას პრიმიტიულად „შალის ნაქსოვი შარვალი ეცვა“, „ჰჭონდა თვალეზი მწყრალი და მძაფრი“. მაგრამ გამოიცვალა ცხოვრება — მაცა ხუბუა რევოლუციამ ცხოვრების წინა რიგზე წამოაყენა.

მახვილდაა ასახული ის ცვლილება, რომელიც ხუბუას ცხოვრებაში მოხდა. წინად მას საკმელი არ ჰქონდა, ახლა „ჭადღოთ გამძლარი ბამბურა ძაღლიც“ კი კმაყოფილებით დაბტის მოღზე და ალერსიანად ეთამაშება ხუბუას ბავშვებს. ხუბუას წარმატება საკოლმეურნეო გამარჯვების მოძრაობაა. ამას ხუბუაც ამბობს:

„ძალა რა რიგად ჰქონია თურმე
მოწესრიგებულ ხალხსა და შრომას.“

ამ მოწესრიგებულ შრომის წყალობითაა სწორედ, რომ

„ხელმოშობარია ხუბუა მაცი,
სასიბარულო ცხოვრების რიგრატს
ჭერი გაეხსნა ღარიბის სახლში,
განდა ღვინო და მუდმივი იჯრა
სადილისა თუ პატარა ეახშმის“.

ნიჭიერ პოეტს ხუბუას ცხოვრება, ამ ცხოვრების შედეგად გადაჭკვევის გზა ნაჩვენები აქვს საკოლმეურნეო მოძრაობასთან დაკავშირებით. სხვაგვარად არც შეიძლება. არტელი, სადაც ხუბუა ქვეყნის კირველ ხანებში ბევრ სიმძნელეს განიცდიდა. ხუბუას შრომასაც სხვაგვარად უნდა. მაგრამ აი არტელში მოისპო უთავბოლოება, მიიღეს ტრაქტორიც და

„ფრცელი მინდვრები მანქანამ მოხნა,
ხნულები გაძლა სიმინდის მარცვლით“.

სიმინდს გარდა, კოლექტივის ველები ჩაისა და ფორთოხლის ნარგავებმა დაფარა. ხუბუა თავდადებულ შრომას მიეცა, რამაც გაამართლა მისი იმედები:

„უშის შეგნებით გზადგზა მიეწვდით
ბელადის აზრს და არც გკჷნდა მოცლა.
მიწამაც, ხალხის შრომით თუ სიბრძნით,
ვადიდებელი დოვლათი მოგვეცა.
ახლა არ მახლავს ცხოვრების შიში,
მაქვს პურ-ღვინო და სახლ-კარი წმინდა...
ნუ გამახსენებთ ჭეჭყსა და შიმშილს,
ნესტან მიწურს, რომელშიც წვიმა“.

ჩვენს პოეზიაში ცოტაა ისეთი ნაწარმოები, სადაც ასე უშუალოდ იყოს გადმოშლილი ბედნიერი ცხოვრების ყოფა, კოლმეურნე გლეხის ისეთი ტრიუმი სახე, როგორიც „აივნიანი სახლშია“. ეს ლექსი სინამდვილის კონკრეტულ მასალაზე მოცემის საუკეთესო ნიმუშია. კაქახიძე ლამაზი პოეტური ფერებით ამკობს შეძლებული ცხოვრების გზაზე დამღვარი გლეხების ცხოვრებას.

„აივნიანი სახლის“ ავტორი უსათუოდ დაკვირვებული მხატვარია. ამას ამტკიცებენ მისი სხვა კარგი ლექსებიც: „ულალა“, „ლურჯას სიკვდილი“, „ვეკალიბტები“, „ომი, კატორღა და ოქტომბერი“ და სხვა.

თავისი პოეტური ნაწარმოებებისათვის გ. კაქახიძე არ იღებს რთულ-სიუჟეტურ ან ამბებს და სიტუაციებს, მაგრამ არც უწყინარი და უსაგნო ლირიკული განწყობილების ნაჭუჭში იკერება. გ. კაქახიძის ნაკლი ის არის, რომ იგი ვაუტრის პოეტურ განზოგადობასა და კმაყოფილდება უმთავრესად სურათის დახატვით. ეს კი მის შემოქმედებაში უსათუოდ ქმნის ნატურალისტური გაუბრალოების ერთგვარ საფრთხეს. რომ პოეტს მართლა არ ეხერხება განზოგადობა, რომ მას უძნელდება იგი, ამას ამტკიცებს მისი ახალი ლექსების ციკლი — „მგზავრის სტრიქონები“, „დილა დნეპარზე“, „დაბრუნება“, „ზღვაზე“ და სხვ. პოეტი ამ ლექსებში ცდილობს შთაბეჭდილების გადმოცემას, მაგრამ ხშირად უსუსურობასა და გულჭმრყეილობაში ვარდება (ნაწილობრივ გამოირჩევა „პუშკინი ოდესაში“).

ამიტომ საესებით მართალი იყო ალი არსენიშვილი, როცა „დაბრუნების“ გამო აღნიშნა: „სანტიმენტალური „ახალგაზრდა კაცის“ წუთიერ

გრძნობათა დღიურის ნაწევთს იძლევა გ. კაქაბიძე“-ო, და ამ ლექსს „ლიტერატურული გართობა“ უწოდა („ახალგაზრდა კომუნისტი“, 1936წ). ამ ლექსებში გ. კაქაბიძე არა სდვას საექვო იდეოლოგიურ ხაზზე. მათში, პირიქით, საბჭოთა უკრაინისადმი სიყვარულისა და აღფრთოვანების ცდაა, მაგრამ ლექსების დაბალი ხარისხი და ზეოელობა შეტად თვალსაჩინოა.

როგორც ავღნიშნეთ, კაქაბიძეს განსაკუთრებით წებერება განახლებული სოფლის გულწრფელი და პოეტური დასურათება. ეს უდავოა. ამას ამტკიცებენ მისი მშვენიერი ლექსები: „ლაქაშების ტყე ხმება და შიდის“, „ეკალიბტები“, „ქალარა მწყემსი და თეთრი ლაფშა“. სოფლისა და ბუნების წიაღში პოეტი ისე გრძნობს თავს, როგორც საკუთარ სტიქიაში. აღსანიშნავია მისი ლექსები, დაწერილი კოლხიდის თემატიკაზე.

კოლხიდა პოეტის საყვარელი თემაა, ამიტომ ყოველთვის სიყვარულით აღწერს იგი ამ კუთხის განახლებას, მასზე ულამაზესი, სუბტროპიკული ფლორის გაშენება-აყვავებას.

ბუნების განცდის უშუალობა ძალზე დამახასიათებელია გ. კაქაბიძისათვის. ამისი დამამტკიცებელია მისი ერთი საუკეთესო ლექსთაგანი „ელაღა“. ამ ლექსში არა თუ უშუალობაა, არამედ სოფლის ცხოვრების იდეოლოგიური შეგრძნობაც. ჩვენმა კრიტიკამ „ელაღა“ თავიდანვე შეაფასა როგორც „შესანიშნავი ლექსი“, როგორც „მაღალხარისხოვანი მხატვრული დოკუმენტი“. ამ ლექსის თემა უბრალოა და მარტივი. იგი ერთი ქვრივის ოჯახის და მისი ძროხის თავგადასავლის ამბავია. მაგრამ ზოგიერთმა იგი „ბიოლოგიზმის“ გამოძახილადაც მიიჩნია.

რასაკვირველია, ეს აზრი მართალი არ არის. ლექსი უაღრესად სოციალურ თემაზეა. ბიოლოგიზმის მოჩვენებითს შთაბეჭდილებას სტოვებს მხოლოდ პოეტის მიერ მკაცრ ძროხის მშობიარობის მომენტის მართალი და ისეთი სისწორით აღწერა, რომ პიროტყვის ტრავედია — მკედარი ხბოს დაბადება — ადამიანურ ტრავედია მდებდა აყვანილი. მაგრამ ლექსში მაინც მთავარია არა ძროხის ტრავედია, არამედ ცაბადის ქვრივისა და მისი ბავშვების მწუხარება, გამოწვეული ხბოს დაღუპვით და რძისა და ყველის მისპობით.

ანალოგიური ხასიათის ლექსია „ქალარა მწყემსი და თეთრი ლაფშა“. ლექსში შესანიშნავადაა ნაჩვენები ზღვის პირად მდებარე ბუნების სიუხვე, სილალე და კოლექტივის ცხენსაშენის სიძლიერე.

„მეგრულ სოფლებში შეიბრენს მალე
ორულენგეტის ცხენების ფერმა
და კოლექტივებს ძალ-ღონეს შესძენს,
არ დააფიქრებს მიჯნათა ჩიხი,
გაშლილ თავლიდან გაეა და ველზე
ფორდზონის გვერდზე დაიწყებს კიბენს“.

ამ ლექსში პოეტური შტრიხებით მოხაზულია ყოფაცხოვრების მომენტებიც. აი ჭალარა მწყემსის ცხოვრება, მისი ფიქრები და აზრები. ის ზღვის პირად ზის. „ოცნება არ ეზარება“. ფიქრობს, თუ კარგად შეიძლება გამოიკვალა დროება — გააჭრა ძველი ცხოვრების ისეთივე უსაფრთხოება.

„როცა მიჰყავდათ ცხენები ღამით
აფხაზელ ქურდებს ენგურის გაღმა.“

მაგრამ ახლა „შრომა ბატონობს“, აშრობენ ჭაობებს ხალხი აშენებს ბედნიერ ცხოვრებას და „მშვიდია გზა და ოდიშის ღამე.“

ზოგ მწერალს განსაკუთრებულად ეხერხება ცხოველთა სამეფოს ასახვა. ასეთია გ. კაჭახიძეც. ამისი დამამტკიცებელია მისი „ელაღა“, „ჭალარა მწყემსი და თეთრი ლაფშა“, შესანიშნავი საბავშვო ლექსი „ნიშა“ „ლურჯას სიკვდილი“. ეს ლექსები სოციალური გარემოს მახვილი და ღრმა შემეცნებით ხასიათდებიან.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს გ. კაჭახიძის თავდაცვითი თემატის ლექსები. ასეთია მისი „სალამო ტილოს კარავში“, „წითელი ყაზარმა“ და სხვა. აღსანიშნავია „სალამო ტილოს კარავში“. ლექსში უბრალოდ, მაგრამ პოეტურად არის გამოხატული წითელარმიელთა საბანაკო ყოფაცხოვრება და საბანაკო ამოცანები. ვინ არიან ტილოს კარვის ბინადრები? რასაკვირველია, წითელარმიელები, რომელთა შესახებაც პოეტი ამბობს — „მზით დამწვარია ყელა მათგანი“. „სულ ჩვენებია ტანჯანიერი მუშა ბიჭები“ — ო. დასვენების დროს ისინი შაირებს ამბობენ, იცინიან, ოგონებენ სოფელს და ყანებს, მაგრამ სავანეგრო ბრძოლაშიაც აქტიურად მონაწილეობენ. პოეტი შესანიშნავად აღწერს თეთრ კარავში მათ ყოფას და დასვენებას, ღამესაც კი:

„ღლით მანევრები ჭონდათ მთებს იქით,
მზე მოქმედების იყო მესაჭე,
ველზე ანთებდენ ბრძოლას ცეცხლივით
და ამოცანაც დროზე გადაჭრეს.
ახლა ღამეა — ცა დაიმუქა,
მხედრებს მზრუნველობს თეთრი კარავები,
სადღაც შტაბში კი ზეობენ რუკებთან
და იხაზება ხვალის მანევრა.“

გ. კაჭახიძე საკმაოდ ნაყოფიერი პოეტია, მას ბევრი ლექსი აქვს დაწერილი. ყველას გარჩევა ძნელია და არც საჭიროა — საილუსტრაციოდ აღინიშნული ლექსებიც კმარა. მხოლოდ არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი ერთი ლექსი — „ომი, კატორღა და ოქტომბერი“. ეს ლექსი გვიხატავს სურათს, თუ რა გზები გამოიარა სოფელმა და ჩვენმა ხალხმა მეფის რეჟიმის, განსაკუთრებით იმპერიალისტური ომის დროიდან ოქტომბრის რევოლუციამდე. პოეტი ამ სინამდვილეს გვიჩვენებს ერთი კაცის მაგალითზე, რომელიც მეფის მთავრობამ კატორღაში გაგზავნა. მაგრამ ეს

„არხანგელსკიდან მოსული კაცი“ სოფლად პირველი ბოლშევიკი შეიქნა — მან ჩამოიტანა და ავრცელებდა გლეხებში ლენინის პარტიის პროგნოზს. შემდეგ ეს კაცი მენშევიკთა გვარდიელებმა მოკლეს. მაგრამ სოფელში საბჭოებმა გაიმარჯვეს და საფუძველი ჩაეყარა ახალი ^{საბჭოების} ~~საბჭოების~~ ^{ქადაგანების} ~~ქადაგანების~~ ^{განხორციელების} ~~განხორციელების~~ ^{სათვის} ~~სათვის~~.

ამ ლექსში მრავალი პოეტური სახეა („მოლზე ხის ჩერო წევს კამეჩივით და ქოლგასავით ხურავს ტოტები“). ლექსში დახასიათებულია და საკმაოდ ნაჩვენებია მენშევიკების მოღალატური საქმიანობა, იმპერიალისტური ომის დროს სოფლის უნუგეშო მდგომარეობა, შიმშილი, მწუხარება, გამოწვეული ხალხის შეილების ომში დაღუპვით.

გ. კაქახიძე აქტიურად მუშაობს საბავშვო მწერლობაშიც. იგი საბჭოთა ბავშვების საყვარელი პოეტია. კაქახიძეს აქაც მრავალი შედეგი მოეპოვება. იგი ბავშვებისათვისაც შეუდარებელი პეიზაჟისტი და ლირიკოსი პოეტია — ნერგავს ახალ თაობაში პატრიოტულ, შრომისადმი ერთგულებას და უსაზღვრო სიყვარულს სოციალისტურ მშენებლობისადმი. იგი რამდენიმე წიგნის ავტორია („მზიარული მეგობრებო“, „ჩემი ძმა“ და სხვა).

გ. კაქახიძე ნიჭიერი საბჭოთა პოეტია, — პოეტი, რომელიც საკმაო უშუალოდობით და მხატვრული სიძლიერით გვიხატავს სოციალისტურ სინამდვილეს, საამური ცხოვრების სურათებს. იგი თავისი ლექსებით ცხადყოფს საკოლმეურნეო მოძრაობის გამარჯვების აზრს. გ. კაქახიძემ თავისი პოეტური პრაქტიკით უკვე დაამტკიცა, რომ იგი მხატვრული აღიარების, პოეტური სიმამხილისა და თემბატიური მარაგის მქონე პოეტია, რომლის ნაწარმოებებს ახასიათებს ეპიური სიტხადე, იდეურობა და ლირიკული უშუალოება.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ყველაფერი ის, რაც გ. კაქახიძეს დაუწერია, არ არის თანაბარი ღირებულებების მქონე. იგი ყოველთვის ვერა სდგას ოსტატობის სიმალლეზე. შესანიშნავ ლექსებთან ერთად აქვს ბევრი სუსტი ლექსიც. ხშირად ლექსში არ უვარგა ფრაზები, გაუმართავია სტრიქონები, მოშვებულია ლექსალური მეტყველება. ასეთი დეფექტები, სამწუხაროდ, მის კარგ ლექსებშიაც გვხვდება. მაგ., „ცაგარლის ოჯახში“: „თქმული დადადებს აზრთა კრებიდან“ და „ვით კანონი ჩამოატარა შინ გამოსხილი ჭაქის არაყი“; არა პოეტურია „თემი, რომელიც ლექსში ვიამბეთ, არის ოჯახი კოლექტივების, რითაც რაიონს აქვს საღიადო მისი ფრონტი და ბრძოლა პირველი“, „მე შევაჩერე მიდამოს მზერა“ ან და „მე მაპროტესტებს ეს დებულება“ („ის უბანი და კარმიდამო“).

ჩვენი პოეტი ყოველთვის არ ზრუნავს ლექსიკური კულტურის დაუფლებასზე. ამიტომ იგი პროზაიზმში და უგემურობაში ვარდება. ასეთია, მაგალითად: „მე ვტოვებდი იმ დღეს ყირიმს და ლამაზი წუხდა ერთი“ და სხვა გადამეტებულ სანტიმენტალობას გოგოებზე გ. კაქახიძე ზოგჯერ

სიყალბემდე მიჰყავს. „ლირიკულ საღამოში“, მაგალითად, იგი ჩვეულებს უკვე ნათქვამს და მოწაფურ რომანტიულობაში ვარდება. პოეტის გულუბრყვილოს ხდის. ასეთი განმეორებები აქვს „დაბრუნებაში“ და ბოლო დროის სხვა ლექსებშიც. გ. კაკაბიძეს მართებს შინამდევითი ოსტატობისათვის, სიტყვის უფრო ოსტატური დამორჩილებისათვის. მართო უშუალობაზე დაყრდნობამ შეიძლება პოეტი უმცირესი წინააღმდეგობისაკენ წაიყვანოს. „ის უბანი და ის კარმიდამო“-ს და „აივნიანი სახლი“-ს ავტორს კი ძალზე ბევრი მოეთხოვება.

გ. კაკაბიძე ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. მაგალი იდეურობა და მუდმივი, განუწყვეტელი მუშაობა ოსტატობის დაუფლებისათვის მას მოუპოვებს ნამდვილ გამარჯვებას მომავალში. ამისათვის კი ყველა შესაძლებლობა აქვს — პოეტური ნიჭი და სინამდვილის შემოქმედებითი ათვისების უნარი.





იოსებ დავითაშვილი

(გარდაცვალებიდან 50 წლის თავის გამო)

50 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც სიღარიბესა და სიდუხჭირეში დაასრულა თავისი სიცოცხლე მუშა-პოეტმა იოსებ დავითაშვილმა. იოსებ დავითაშვილის ცხოვრება დაბადებიდანვე ტანჯვითა და წვალებით იყო დაღალული და სიკვდილამდისაც ასეთივე ბედის მატარებლად დარჩა.

იოსები დაიბადა 1850 წელს სოფელ რუისში, ღარიბი გლეხის ოჯახში. მამა მისი იყო თავად ციციშვილის ყმა. იოსები 12 წლისა იყო, რომ დაობლდა. მშობლების შემდეგ იოსების მოვლა-პატრონობა იკისრა მისმა უფროსმა ძმამ გიგომ, რომელმაც იოსები ტფილისში გადაიყვანა ხელობის შესასწავლად.

იოსებმა ვერ გაუძლო იმ ცუდ და უდიერ მოპყრობას, რომელსაც მამის იჩენდნენ გიგოს ოჯახში შევირდებისადმი, და ისევ გორში ვაიქცა. გორში შევირდად დადგა დურგალთან. აქ იოსები ავად გახდა და ისევ ტფილისში წამოიყვანა მისმა ძმამ.

იოსების ცხოვრებაში აღსანიშნავია ერთი მეტად საინტერესო მომენტი. თავად ალექსანდრე ციციშვილმა იოსების ძმას გიგოს, როგორც ყმას, საბატონო გადასახადი მოსთხოვა. გიგომ და მისმა მეუღლემ ციციშვილს საბატონო გადასახადში მოსამსახურედ მისცეს იოსებო. ციციშვილმა იგი სოფელ ღოესში წაიყვანა. რამდენიმე თვის შემდეგ გიგომ ფულით გამოიხსნა იოსები ბატონისაგან და ტფილისში მიიბარა შევირდად ჩუქურთმების მკრეხს.

იოსებმა, მართალია ხელობა კარვად შეისწავლა, მაგრამ უფულობის გამო ატესტატი ვერ მიიღო და ამიტომ იგი სამუშაოს ვერ შოულობდა. ნახევარჯერ მშვიერ-მწყურვალი იყო.

საზოგადოებაში გაბატონებული უსამართლობა მას ძლიერ აღელვებდა. სდაგდა თანამედროვეობის უკულმართი პირობები და მას ყოველთვის წყევლა-კრულვით იხსენიებდა. აი რას სწერს იმ დროს იოსები აკაკი წერეთელს:

„ჩემო სიკვდილამდის დაუფიწყარო პოეტო და ოსტატო, რომლის კალამმა ამიხილა თვალები. ნეტავ ისევ ბრმად ვყოფილიყავ და თეთრი და
11. „მნათობი“ № 3

შავი არ გამეცნო. რა უთხრა ჩემს დას, რომელმაც წიგნი მისწავლა, რა ენაღვლებოდა ან ქურდი ან ავაზაკი გავმხდარიყავ, თუ კი პატროსნება ასე შეეწირობებოდა და ვასავალი არა აქვს?"

რასაკვირველია; გაბატონებულ კლასის და მეფის წყვეტსა და პატროსნებულ რეჟიმის წიაღში ამოი იყო პატროსნებისა და სიმართლის შეხება. ამიტომ მართალია პოეტი, როცა ასეთი გულისწყრომითა და სევდით ლაპარაკობს ამ დევნილი პატროსნების შესახებ.

იოსებს თუ ერთის მხრივ გულს უკლავდა სიღარიბე, უფლებობა და უსამართლობა, მეორეს მხრივ მას სულს უწამლავდა უსწავლელობა და სათანადო განათლების უქონლობა. წერა-კითხვა მან მხოლოდ დისგან ისწავლა. თვითგანვითარებას დაწაფებული პოეტი იგონებს თუ როგორ ისწავლა მან ანბანი „ქვების მურით“, „ხარის ბეჭხე“:

ქვების მურით მონალესით
მიმზადია მელანია,
ხარის ბეჭი დაფად მჭონდა
მასწავლიდა მელანია.

იოსებ დავითაშვილს სკოლა თვალთაც არ უნახავს. ამიტომ არის ის თავის თავზე ასე უკმაყოფილო. იოსებს უმუშევრობა სულს უხუთავდა, ულუკმაპუროდ დარჩენილი იგი თავის დას ასე მიმართავს:

„უსაქმობა მაწუხებს ისე, რომ საქმლის ფულს ძლივს გამოვდივარ. შემოვიარე მთელი ხელოსნები, ყველგან უარი მითხრეს, ჩვენთვის ძლივს ვშოულობთ საქმეს ნახევარ ფასად და შენთვის სადღა გვაქვს.“

ამავე წერილში იოსები სთხოვს რა თავის დას ათ მანეთს: „დამერ-წმუნეთ, რომ ბევრჯერ კაპეიკი არ მაქვს, რომ ქალაქი ვიყიდო და იმაზე გადავიტანო ჩემი გულის დარდები და თან თქვენ მოგწეროთ რამე.“

იოსების გულის დარდები კი ბოლშოით და სიტყვილით იყო სავსე არსებული წესწყობილების წინააღმდეგ. იოსები ბევრს სცდილობდა ხელოსნების გაერთიანებას, ამ გაერთიანებაში ხედავდა იგი დიდ ძალას, მაგრამ ეს მან ვერ მოახერხა პირველად.

იოსები სამუშაოს საძებნელად გადასახლდა ქალაქ თელავში, იქ მან შეადგინა ამხანაგობა, გაითქვა სახელი საზოგადოებაში, როგორც პატროსანმა და უნაგრო მშრომელმა, მაგრამ თავისი ეკონომიური მდგომარეობა მაინც ვერ გაიუმჯობესა, ვეღარ გაუძლო გაჭირვებულ ცხოვრებას და სრულიად უპატრონოდ და მოუვლელად გარდაიცვალა თელავში 1887 წელს 13 მარტს ძველი სტილით.

იოსებ დავითაშვილი დიდი გულისტკივილით დაიტირა მშრომელმა ხალხმა. ვახუთ „ივერიას“ ფურცლებზე ასე მუშისა და ხელოსნის ხელ-მოწერით შემდეგი სამგლოვიარო განცხადება დაიბეჭდა:

„ბ-ნო რედაქტორო!“



გუშინწინდელს თქვენს გაზეთში დაბეჭდილმა დეკლარაციულმა თელავიდან არის გამოგზავნილი, მოგვიტანა ფრიალ სიმბოლო (სამსახურხარო ამბავი გლეხის იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების თაობაზე, ტფილისის მდაბიო მუშა ხალხი სულით და გულით მწუხარენი ვართ ჩვენის წრის საუკეთესო თანამომხმის და თანამემამულის იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების გამო. იოსებ დავითაშვილს ჩვენ ვიცნობდით, როგორც ჩვენთვის გულშემატკივარს, სიტყვით და საქმით ჩვენთვის მზრუნველს და ჩვენის ქვეყნის სიკეთისათვის დაუცბრომელ მუშას, ვთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით აუწყოთ განსვენებულის ნათესავთა და ამხანაგთ ჩვენი ღრმა და გამოოთქმელი მწუხარება (ვაზ. „ივერია“ № 56 1887 წ.).

ეს განცხადება მეტად საგულისხმიეროა. შეიძლება ითქვას, რომ გულიდან ამონაკენს ამ სიტყვებში მთელი ქართველი მუშების, ხელოსნების და ღარიბი გლეხკაცობის გულისტკივილია გამოსახული ქვეყნისათვის სასარგებლო ადამიანის, იოსების გარდაცვალების გამო.

ასეთივე შინაარსის განცხადებები დაბეჭდეს გორისა და თელავის ხელოსნებმაც. ტფილისის მოწინავე საზოგადოებამ დიდი ილიასა და აკაკის მეთაურობით კალოუზნის ეკლესიაში პოეტს პანაშედი გადაუხადა. აქ სიტყვებით გამოვიდნენ, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, რომლებმაც აღნიშნეს იოსებ დავითაშვილის შემოქმედების დიდი მნიშვნელობა ხალხისათვის და ის დანაკლისი, რომელიც გამოიწვია მისმა სიკვდილმა.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორ აფასებდა ილია ჭავჭავაძე იოსებ დავითაშვილს და მთელ მის შემოქმედებას:

„როცა გვაქვს არ ვინახავთ
როცა ვარგავთ — ეი ესტირით“.

„დადუმდა საუკუნოდ კიდევ ერთი „მთქმელი“. მოსწყდა ჩვენს ცას ერთი ცოტად თუ ბევრად მანათობელი ვარსკვლავი. კიდევ ერთი ჩვენგან შეიწირა ყოველთა შემწირველმა წუთის-სოფელმა...“

კიდევ იკითხავთ: ვინ იყო აწ განსვენებული იოსებ დავითაშვილი? ნუთუ ამას კითხვა-ლა უნდა. ცოტათ რომ მაინც დავუკვირდეთ მთელ მის ნათქვამს ლექსებს, ვნახავთ, რომ იგი იყო კაცი, რომელსაც ცოტად თუ ბევრად განწმენდილი ჰქონდა თვალნი გლეხთა გულის საიდუმლოთა მნახველად, ყურნი — გლეხთა გულის ძვერის უცნაურთა ხმათა მსმენელად, ხელნი — გლეხთა მაჯისცემის შემტყობად და ენა — ყოველ ამის ამომთქმელად და მთარგმნელად. გული ერისა იგივე ზესკნელი და ქვესკნელია და ამიტომაც თვალისა, ყურის და ხელის იქამდინ მიწვდენა, — ხედრია მარტო რჩეულის კაცისა და ერთი ამათვანი იყო იგი,

ვინც დღეს დავკარგეთ. კუროთხულ იყოს სახსენებელი მისი. კუროთხულ
ყავ შენ, ვინც

დაზგაზე რანდით ლამობდი
მრუდე ხის გასწორებას...



ქართული

ბეჭდვითი ცენტრი

(ილია ჭავჭავაძის შიგნით წარმოთქმული
სიტყვიდან ი. დავითაშვილის პანაშვიდზე).

ქართული კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებლის გულწრფელი სიტყვები და ღრმა აზრები სრულიად ახალ ნათელს ფენს. დავითაშვილის შემოქმედებას და მის ქვნილებათა მნიშვნელობას ხალხისათვის.

ილიას მკაფიო აზრი — „დადუმდა საუკუნოდ კიდევ ერთი“ „მოქმელი“ო, მართლაც რა მრავლის მოქმელია, ამ უბრალო გამოთქმით თითქმის მთელი ი. დავითაშვილის შემოქმედებაა შეეჯამებული და მონახულია მისთვის სათანადო ადგილი ქართულ მწერლობაში.

ცნობილია, რომ აკაკი წერეთელი დიდი მზრუნველობით ეპყრობოდა ი. დავითაშვილს. აძლევდა რჩევა-დარიგებას და ეხმარებოდა ბეჭდვის საქმეში. აკაკი წერეთელმა შესანიშნავად დაგვიხატა ი. დავითაშვილის პიროვნება:

„ის იყო ერთი საწყალი დღიური მუშა-გლეხი, რომელსაც არც ჩამომავლობა და არც ნათესაობა არავინ ჰკითხულობდა, ყოველი რიგვანი და შეგნებული კაცი იმას სახავედა კარგ ადამიანად და ძმურის თვალთ უყურებდა. განსვენებული იმით იყო შესანიშნავი უფრო, რომ თავის პირადობაზე იმდენად არ ფიქრობდა, რამდენადაც საზოგადოებაზე. მისი გრძნობაც იმაზე ჰქონდა მიპყრობილი, რომ მოძმეების კეთილდღეობას მოსწრებოდა, მათი სწორწარმატება ენახა: ეს სურვილი სიტყვად ჰქონდა გადაქცეული და სიტყვაც საქმედ შეძლებისდაგვარად. ახლანდელ დროში, როდესაც ყველა ფიქრობს რომ თავისი პირადი მდგომარეობა გააუმჯობესოს და უგნურთ-უმეტესობის თვალში ხარისხი და პატივი მოიხვეჭოს, ამგვარი კაცების გამოჩენა, როგორც იყო მიცვალებული, შესანიშნავი და დიან სამაგალითოა. და ეს დღევანდელი კრებაც გვიმტკიცებს, რომ, ადამიანის ღირსება ხალხში არ იკარგება ფასდაუდებლად... გაუმარჯოს იმათ, ვინც ცხოვრებაში მას მიბაძვეს და მისგან ამორჩეულსწორ გზას დაადგებიან“.

(აკაკი წერეთლის შიგნით დავითაშვილის
სამოქალაქო პანაშვიდზე წარმოთქმულ
სიტყვიდან).

ასევე დავითაშვილს იმ დროს მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა როცა ქართველი მშრომელი ხალხი, კავკასიის სხვა ერებთან ერთად, უდიდეს სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდა. ერთის მხრივ, მეფის თვითმპყრობელური რეჟიმის უღმობელოება, მეორეს მხრივ მებატონეების, მემამულეების და თავადაზნაურობის სისასტიკე, ეროვნულ



ჩაგვრა მონობასთან ერთად საშინელ მდგომარეობაში აყენებდა მუშებსა და გლეხებს.

მართალია, ბატონეობა ფორმალურად გაუქმებული იქნა, მაგრამ ფაქტიურად იგი მაინც განაგრძობდა არსებობას. უმიწა-წყლოდ „განთავისუფლებული“ გლეხები ისევ მებატონის ბრკყალებში რჩებოდნენ, — ასეთი მდგომარეობის შესახებ სამართლიანად ამბობდა პოეტი:

„შევიყრივარ სუსტი მძღაერსა
ვით შეიყრობს კატას ლომი,
ვით გაებედო, გაგიცხადო
მე უძღურმა მძღაერსა ომი“.

უმიწაწყლოდ დარჩენილი გლეხები, შევიწროვებულნი ათასგვარ გადასახადებით და მოკლებულნი ადამიანურ ცხოვრების პიროვნებს, მასობრივად სტოვებდნენ სოფელს და მიდიოდნენ ქალაქში ლუქმა-პურის საშოვნელად. ამ დროს ქალაქური მეურნეობა ძალზე ჩამორჩენილი იყო. სამრეწველო კაპიტალიზმი ჩასახვის პროცესში იყო. ტფილისში მაშინ თითო-ორიოლა ქარხანა თუ არსებობდა. ამ ქარხნებში ყველა ვერ შოულობდა სამუშაოს. რჩებოდნენ უმუშევრად. ამ გარემოებამ გამოიწვია ხელოსნური წარმოების შექმნა, მაგრამ ხელოსნების ნაწარმს კონკურენციას უწევდა უცხოეთიდან შემოტანილი საქონელი. ამის გამო ხელოსნური წარმოება გაჭრობის პირზე იყო მიმდგარი.

იოსებ დავითაშვილი, როგორც ხელოსანი, კარგად გრძნობდა და განიცდიდა ამ მდგომარეობას. მან კარგად იცოდა მაშინდელი მუშა-ხელოსნებისა და გლეხების ცხოვრება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იოსებ დავითაშვილის შემოქმედებაში შესანიშნავად არის ასახული სწორედ ამ პერიოდის მუშების, ხელოსნების და გლეხების სულსკვეთებანი და განწყობილებანი:

„მუშა ვარ და კიდევ ვიცი,
მუშის ბედი თუ რა არი,
ის უღელში გაბმულია
ჭედმოდრგვით, როგორც ხაჩი“.

ამას კენესით ამბობდა პოეტი, რადგან საკუთარი თვალითვე ხედავდა, თუ როგორ იტანჯებოდა მუშა. თვითონვე განიცდიდა ჩაგვრას და ტანჯვას, მაგრამ სხვა ვერაფერი ვერ მოუხერხებინა. განა მან მარტო მუშის ბედი იცოდა? მუშასთან ერთად გლეხის სულსა და გულშიც იხედებოდა მის გრძნობასა და მისწრაფებასაც გამოხატავდა:

იოსებ დავითაშვილი კარგად ერკვეოდა მაშინდელ საზოგადოებრივ ურთიერთობაში. მას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი არსებული საზოგადოების ორ ბანაკად გაყოფა, არა თუ წარმოდგენილი, — არამედ თვალისწინოდ ხედავდა მას პრაქტიკულ ცხოვრებაში:



„შე გულსა მწევას ეს სოფელი
ორად არის გაყოფილი
ბედით ჩაგრულს უღვთოდ სტანჯავს
თავის ბედით კმაყოფილი“.

ერკინეშვილი
ზინზალიძე

ამას გრძნობს პოეტი და უფრო მეტი სევდითა და გულის ტკივილით
მიმართავს „ლარიბების ბედის წყაროს“:

„რამ დაგაშრო შე ოხერო
ლარიბების ბედის წყარო,
ამოდუღდი, რომ ქვეყანა
ერთნაირად გაახარო.“

პოეტი ამ სევდით სავეს სიტყვების შემდეგ ძალ-ღონეს იკრებს და
გაბედულად, მთელის ხმით მიმართავს მტარვალებს:

„რა გინდა, ჩემო მტარვალო,
კაცი ვარ, კაცად მოცანი.
მე შენ სარჩუნად რათა შექვეს
ორთითი არნად-ფიწალი“.

იოსებ დავითაშვილის შემოქმედების თემატიკური არე მრავალშრი-
ვია. მართალია, მას არა აქვს ლექსის მაღალი კულტურა, დიდი გა-
ნათლება, მაგრამ მისი იდეური პირდაპირობა, აზრების სინათლე და ლექს-
ის ხალხურობა უეჭველად მიმზიდველი და საინტერესოა. მისი თემათა:
გლეხის, მუშა-ხელოსნის ცხოვრება, მდიდარის და ლარიბის ურთიერთო-
ბა, უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა, სიძულელი ვაბატონებული-
კლასების მიმართ, სიყვარული სამშობლოსა და ჩაგრული ხალხისადმი
და სიმღერა მომავალი ბედნიერი ცხოვრებისათვის.

ხშირად პოეტი გულგატეხილია, რადგან ვერ ხედავს იმ ძალას, რომ
მელმაც უნდა დაამზოს მჩაგვრელი კლასის ბატონობა:

„მაგრამ ვინ გვიხნის ტანჯულებს
და ვინ გაგვიხნას გონება,
ხომ არვინ ცდილობს დაამზოს
საწყალი მუშის მონება.“

ასეთი განწყობილებანი დავითაშვილის შემოქმედებაში მთავარი არ-
ა არის. მართალია, აქ პოეტი ვერ იჩენს კლასიურ სიმძაფრეს, ის ნაწი-
ლობრივ პესიმიზმში ვარდება, მაგრამ პოეტს სწამს მომავალი და გაბე-
დულად ამბობს:

„მაგრამ გული შექვეს მთავარი
ვით სალი კლდის ნაჭერიცა,
სიმათილის დროშას ავმართავ
მკლავებში ძალა გვრჩენია.“

პოეტს კარგად აქვს წარმოდგენილი სამშობლოსადმი სიყვარულის-
მნიშვნელობა. ამავე დროს იმასაც ხედავს, რომ სამშობლო დაპყრობილია-

უხეში თვითმპყრობელური ძალის მიერ. ამიტომ პოეტი დაღრმავებულია და წრფელის გულით ამბობს:

„საშობლო, ჩემო ლამაზო,
ზურბუბტო, ანუ აღმასო,
ვიდრე შენს ზურგზე დავდივარ,
გთხოვ მწარე რამე არ მასო.“

ერკინული
ბიზლიმთეა

ასე ფიქრობს პოეტი საშობლოს შესახებ. აქ ნაციონალიზმის ნატა-
შალიც არ არის. პოეტი ჯანსაღად გადმოგვეცემს საშობლოსადმი სიყ-
ვარულის თბილ გრძობებს. მიუხედავად იმისა, რომ დავითაშვილი უს-
წავლელი კაცი იყო, მისი ნიჭი მიიწეოდა ყველაფერს სწვდებოდა. მისი კა-
ლაში ყველაფერს ეხებოდა, რასაც კი ადამიანის კეთილდღეობისათვის და
ბედნიერებისათვის სარგებლობის მოტანა შეეძლო. მისი ყური მახვილი
იყო, და თვალი კი ნათლად დამნახველი ბოროტებისა და სიკეთისა, ჩაგვ-
რისა და მონობისა.

იოსები ადამიანის სულსა და გულში იჭრებოდა. იგი პირდაპირ და
აშკარად სვამდა საზოგადოებრივ აზროვნების განვითარებისათვის მეტად
ახალსა და აქტუალურ საკითხებს. ამავე დროს იბრძოდა ამ ახალი იდეე-
ბის გამარჯვებისათვის თავისი ძალღონის მიხედვით.

იოსებ დავითაშვილის ახალი იდეები, ბრძოლისკენ მომწოდებელი კი-
ლო მისი პოეზიისა იმთავითვე იგრძნო მეფის ცენზურამ, რომელმაც არა
ერთი და ორი ლექსი დაუმახინჯა მუშა-პოეტს. მრავალი სრულიად არ
გაუშვა. პოეტს ეს დიდად აწუხებდა. თავის ერთ ლექსში მან მოხერხებუ-
ლად გაამათრახა ცენზურა:

მშვიდობით შემდეგ ლექსამდინ
დღეს ვერას გატყვიო სხვასო
მიწყება წითელმელანა
თავი რომ უგავს ღლავესო

„წითელ მელანას“ ცენზურას უწოდებდა. როცა პოეტს ჰკითხეს ეს
„წითელი მელანა“ ვილა არისო, მან სთქვა — „ერთი ჩემი ნაცნობი ბორო-
ტი ბებერიო“. როგორც ვიცით, აქ ცენზურაზე ლაპარაკობდა.

იოსებ დავითაშვილი პრაქტიკულად იბრძოდა მუშა-ხელოსნების გა-
ერთიანებისათვის, ამხანაგობების შექმნისათვის, მისი აზრით ასეთ კოლექ-
ტიურ შეკავშირებებს შეეძლო ხელოსნებისათვის საარსებო წყაროს შექ-
მნა. იგი ევროპის მაგალითებსაც იშველიებდა კოოპერატივებისა და
ამხანაგობების ჩამოყალიბებისათვის.

ი. დავითაშვილს კავშირი ჰქონდა ახლად დაარსებულ მუშათა წრეებ-
თან, საიდანაც ის დიდ პოლიტიკურ საზრდოს ღებულობდა. ამ საკითხის
შესახებ მეტად საინტერესო მასალას იძლევა ზუროძე თავის წერილში:

„1876-78 წ. წ. იგი (იოსები) მოწინავე მუშებთან ერთად (ამბ. მ. ჩოდ-
რიშვილი, გიგაური და სხვა) ზეიცურის ქარხანაში მუშაობდა. აქ მან სხვებ-

თან ერთად მუშათა აუტანელი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მომუშავეთა გაფიცვა მოაწყო. გაფიცვამ გაიძარჯვეა, მაგრამ ქუჩაში ქარხნიდან დაითხოვეს... „გასული წლის ზაფხულში (გონჯიჩქრისში) აჩვენ სპეციალურად მიემართეთ ძველ მუშა მიხა ჩოდროშვილს გაეზიარებინა ჩვენთვის თავის მოგონებანი დავითაშვილის შესახებ; მან სხვათა შორის გვიამბო, რომ 1875-77 წლებში ტფილისში არსებობდა მუშათა ფარული წრე, რომელშიაც შედიოდნენ: გოლა ჩიტაძე, მოსეშვილი და სხვ. მათ შორის იოსებ დავითაშვილიც, რომელიც გატაცებული იყო სოციალიზმის იდეით“.

ეს დოკუმენტები და კიდევ სხვა მრავალი მასალები, რომლებიც არსებობენ, სრულიად ახალ შუქს ჰფენენ დავითაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას, მის რევოლუციურად განწყობილ იდეებსა და პრაქტიკულ საქმიანობას.

აქედან გასაგებია, თუ რატომ იყო ასე მებრძოლი და რევოლუციური მოტივების შემცველი ი. დავითაშვილის პოეზია. აქედან ისიც გასაგებია, თუ რატომ იწუნებდა და უგულვებელჰყოფდა ნაციონალისტური იდეალისტური კრიტიკა (ზომლელი, კოტეტიშვილი და სხვ.) ი. დავითაშვილის შემოქმედებას.

მეორეს მხრივ არც ის კრიტიკოსები არიან მართლნი, რომელნიც ფიქრობენ, რომ თითქოს ი. დავითაშვილი იყოს პროლეტარული პოეზიის ფუძემდებელი. ეს დებულება შემცდარია.



იოსებ დავითაშვილის შემოქმედება მხოლოდ საბჭოთა ბელისუფლებების დროს დაფასდა ღირსეულად, მხოლოდ ჩვენს დროს ეღირსა ყველა მის ლექსს გამზადარიყო ხალხის კუთვნილებად. ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობა მას დიდი მონდომებით სწავლობს. იმის ლექსებს არ დაუკარგავს პირვანდელი მიმზიდველობა და ძალა, რადგან ეს ლექსები მომავლის იმედების გამომხატველი იყო:

„ვასწი, წადი შენ წყვილად,
შვე, ამოდი გამობრწყინდი,
მომავალი გაზაფხულო,
მოდე ბაღე, ნუ შეშინდი.“

ეს გაზაფხული მოვიდა. იგი მუშათა კლასმა, ბოლშევიკურმა პარტიამ, დიდმა ლენინმა და დიდმა სტალინმა მოიყვანა.

ს. წვერავა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართულ-ხებური პრობლემა.

1905 — 1907 წლები დიდი მნიშვნელობის თარიღია აღმოსავლეთის უძველესი ისტორიის შესწავლის საქმეში: ერთმა სახელგანთქმულმა ასირიოლოგმა ვინკლერმა თურქეთის დედაქალაქიდან (ანკარა) 150 კილომეტრის მანძილზე აღმოაჩინა ხეტების სატახტო ქალაქი — ბოლაზქოი. აღმოჩენილ ფასდაუდებელ ისტორიულ საგანძურში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შესანიშნავი წიგნთსაცავი და არქივი, რომელიც შეიცავს რაღაც გამოურკვეველი უნის ლურსმულ-წარწერებიან თიხის ფირფიტებს...

ხეტები ისტორიაში ცნობილი არიან უძველესი წყაროებიდან. მაგალითად, ეს ხალხი მოხსენებულია ბიბლიაში, ასირიულ მეფეთა ანალებში, ტიგლათ-პილასარ პირველის წარწერებში, ბაბილონის ქრონიკაში, ეგვიპტურ ძეგლებში და სხვაგან. ჯერ კიდევ პეროდოტემ აღწერა ერთი დიდებული ბარელიეფი, რომელიც ხეტური ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ნიმუშად ითვლება.

ხეტური ძეგლების შესწავლას ხელი მიჰყვეს გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან. ინგლისელი გამილტონი და ფრანგი ტეკსიე პირველი ავტორები არიან, რომელთაც გამოაქვეყნეს ხეტური სიძველეების ძვირფასი დოკუმენტები. 70-იან წლებში აღმოჩნდა პირველი წერილობითი ძეგლები (წარწერები). მრავალი ხეტური დოკუმენტი შეეძინა მეცნიერებს 1882 და 1888 წლების არქეოლოგიური გათხრების დროს.

მაგრამ ეს ფრაგმენტული ძიებანი არ იძლეოდნენ სათანადო საფუძველს ხეტოლოგიური დისციპლინის გამომუშავებისთვის. ბოლაზქოის აღმოჩენის დიდი ისტორიული მნიშვნელობა სწორედ იმაშია, რომ ამიერიდან სათავე დაედო ახალ ისტორიულ-ფილოლოგიურ დისციპლინას — ხეტოლოგიას, რომელიც მოწოდებულია აღადგინოს ძველი აღმოსავლეთის ისტორიული სურათი და საზოგადოდ მისწვდეს კაცობრიობის პირვანდელი ცივილიზაციის სათავეებს. ბოლაზქოის არქივში დაცული მასალის მიხედვით გამოირკვა, რომ სუმერული და ასირულ-ბაბილონური ენების გარდა არსებულან შემდეგი ენები: ხეტური, ლუვიური, ხარიული, ანუ ხურიული, ე. წ. პროტონხატური. ხოლო მანამდის მცირე აზიაში ცნობილი იყო შემდეგი ენე-

ბი: ხალდური ანუ ურარტული, კარიული, ლკიური, ლიდიური ე. წ. ორდექტურუნის წარწერების ეპითეტი. ყველაზე ცხოველი ინტერესი გამოიწვია ხეტურმა, რადგანაც მისი/მატარებელი ხალხი ცენტრალურ როლს ასრულებდა ძველმეზოპოტამიის ისტორიაში. მეტოქეობას უწევდა სირიას, პალესტინას (ძველ-ქანანის) და მეორე ათასეულის ნახევარში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ბატონობდა მთელს მცირე აზიაში. მან შეიმუშავა მეტად მდიდარი თავისთავადი მატერიალური და სულიერი კულტურა. ხეტური ცივილიზაციის ტრადიციებს უხვად დაესესხა შემდგომ ეპოქებში აღმოცენებული კულტურა-საბერძნეთისა და რომისა.

რომ ვინკლერის აღმოჩენა დიდ საუნჯეს წარმოადგენს ეპოქობობისათვის და ეს ფასადაუდებელი ძეგლები გასაღები იქნება მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიის რკვევაში, ეს იმთავითვე ცხადი შეიქნა. ასე გრანდიოზულად წარმოადგინეს ხეტური სიძველეების მნიშვნელობა ორიენტალისტებმა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ძველი აღმოსავლეთის ახალ მასალას ხარბად დაეწაფნენ ევროპისა და ამერიკის მეცნიერები.

ვინკლერის აღმოჩენამ უპირველეს ყოვლისა გაარკვია ხეტების სატახტო ქალაქის პრობლემა. ასირიული წყაროებისა და ბიბლიის მიხედვით ვარაუდობდნენ, რომ ხეტელები გამოვიდნენ ჩრდილოეთ სირიიდან. 1887 წელს აღმოჩენილი არქივის ცნობებით ხეტების ცენტრალურ პუნქტად გამოცხადდა არა ჩრდილოეთი სირია, არამედ მცირე აზია, აი სწორედ ეს ვარაუდი დადასტურდა ახალი მასალის ნიადაგზე. მართლაც, ხეტების მთავარი ნაწილი მოქცეული ყოფილა მცირე აზიის შუა არეში, მდ. ჰალისის ნაპირებზე, კაპადოკიაში, ახლანდელი ბოლანჯის ადგილზე.

მაგრამ თავიდათავი ის არის, რომ აღმოჩენილი წერილობითი ძეგლების მიხედვით შეგვიძლია წარმოვდგინოთ ხეტური ლიტერატურის, ხელოვნების, კანონმდებლობის, სარწმუნოების არსებითი ხასიათი. ირკვევა, რომ მეორე ათასეულში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ხეტური ტომები კულტურის მაღალ საფეხურზე მდგარან და გარკვეულ ეპოქებში მთელი მცირე აზიის პოლიტიკური საჭემპურობელნი ყოფილან. ხეტური კულტურა განიცდიდა მოსახლერე სახელმწიფოების კულტურათა ზეგავლენას და თავის მხრივაც ღრმა გავლენას ახდენდა ეგვიპტურ-ასირიულ-ბაბილონურ კულტურაზე. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ხეტური მწერლობის ერთი ნიშანდობლივი თვისება: მოღწეული ძეგლები ანონიმური კი არ არის, რაც მომიჯნავე ქვეყნების ლიტერატურას ახასიათებს, არამედ ყოველ ნაწარმოებს თავისი ავტორის სახელი უნის. საგულისხმოა, რომ მარტო რიტუალურ-ცერემონიალურ ნაწარმოებთა ავტორები არ არიან მოხსენებული; დასახელებული არიან საერთო ლიტერატურული ძეგლების შემოქმედნიც. ორიგინალურ თხზულებათა გვერდით მდიდრადაა

წარმოდგენილი თარგმნილი ლიტერატურა. უმთავრესად დაიკვირება ბაბილონურიდან რიტუალური ტექსტები, თქმულებები და მითები/სამეფო ედიქტები, ქრონიკები, საბუთები და მისთანანი.

ხუროთმოძღვრების ხაზით ყურადღებას იპყრობს ^{ქრისტეანული} მეფის რეზიდენცია — სატახტო ქალაქი ხატუსა (ბოლახქო). ეს გრანდიოზული ქალაქი თავისი კონსტრუქციით ბაბილონისებურია. შესანიშნავია გალავნის ერთერთი კიშკრის მონოლითზე გამოქანდაკებული ლომი. დაღრჴენილი კბილებით და საზოგადოდ მრისხანე გამომეტყველები. აქვე უნდა აღინიშნოს ომის ღმერთის გამოსახულება, ხეტური ხუროთმოძღვრების იშვიათი ნიმუში, რომელიც უდ. მაიერის სიტყვით, ბერძნული ხელოვნების ერთგვარ პროტოტიპს წარმოადგენს. არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას სტოვებს აგრეთვე სამხრეთის კიშკარი, რომლზედაც გამოსახულია ფრთოსანი სფინქსები. ეს მოტივი, საზღაპრო ცხოველები რომაა გამოქანდაკებული შესავალში, როგორც მცველი არსებანი, ასირიიდან მოდის (საზოგადოდ, კედლების შემკობა რელიეფების ფიქალეებით ასირიული ხუროთმოძღვრების პრინციპია). მეტად საგულისხმოა დედაქალაქიდან სამი კილომეტრის დაშორებით კლდის კედლებზე დატული რელიეფები. ამ რელიეფებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხეტური სარწმუნოების გასაგებად: აქ მოცემულია ხეტელების მთელი პანთეონი.

ნუთუ უკვალოდ გადაშენდნენ ხეტური ტომები, გარდასულ საუკუნეთა ეს ძლევა მოსილი ხალხი, რომელთაც დაარწიეს საკაცობრიო ცივილიზაციის პირველი აკვანი? რომელია თანამედროვე ერებში შთამომავალი ხეტელებისა, — აი, „წყვეული კითხვა“, რომელიც არაერთგზის ყოფილა ევროპულ მეცნიერთა შეხლა-შემოხლის საგანი.

ჯერ კიდევ ხეტოლოგიის ფუძემდებელმა, ბოლახქოს აღმომჩენმა ვინკლერმა გამოსთქვა აზრი, რომ ხეტების შემკვიდრებამ ქართველო ტომები უნდა დაესახოთო. „ჯერ კიდევ არ არის ნათელი, თუ რამდენად შემონახულია ქართულში ხეტური ენების ნაშთები, თუმცა ასეთი რამის ფიქრი სრულიად კანონიერია“ —ო, დაასკვნის დიდი ავტორიტეტი. ამის შემდგომად ორიენტალისტების ორი ბანაკი გამომუშავდა: ერთნი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ხეტები, არიული უ. ი. ინდოევროპული მოდგმის ხალხია, ხოლო მეორეთ ქართველი ხალხი მიანნიათ მცირე აზიის კულტურულ ერთა ნაშთებად. პირველ ბანაკს შეადგენდნენ შემდეგი მეცნიერები: პროზნი, კრემერი, კნუდსონი, ბუგე და სხვები. მეორე აზრს ემხრობიან: ბორჯი, ზომერი, მარი, მეშხანინოვი, წერეთელი, პიუსინგი, კარსტი, ვაიდნერი და სხვანი.

სახელგანთქმული ისტორიკოსი ედ. მაიერი ამბობს:

„კავკასიის რაიონები დასახლებულია მრავალრიცხოვანი ტომებით, რომელთა ეთნიური ბუნება ჯერ კიდევ ნაკლებადაა გამოკვეული. ეს ტომები ერთმანეთთან თითქოს არ არიან ნათესაურ კავშირში. ამათგან

ყველაზე ცნობილი არიან იბერიელები (აწინდელი ქართველები), რომელთაც მტკვარის ხეობა უჭირავთ. ექვს გარეშეა, რომ ეს ხალხი ძველ დროში ღრმად იყო შეჭრილი მცირე აზიაში და სომხეთში, მას უნდა მივათვალოთ მოსხები — მესხები (ასურული წყაროებით მუსკაია, ბიბლიური — მესეხ) და ტობარენები (ბიბლ.-ტუბალ, ასურ. წარწ.-ტაბალაი), რომელთაც ხეტების სამეფოს დაცემის შემდეგ კაპადოკია ეჭირათ და იქიდან ილაშქრებოდნენ ტიგროსის მხარეებში". (Geschichte des Altertums 475).

ოღონდ ერთი კორექტივა: მესხებიც ხომ ქართველი ტომია, რომლებიც გაუგებრობით, მაიერს სხვა მოდგმად მიაჩნია, როგორც ზემო-ამონაწერებიდან ჩანს. ტობარენებიც ქართველ ტომადაა დასახული ზოგიერთი მკვლევრის მიერ.

მეორე დიდი ავტორიტეტი ფრ. კომელი შემდეგს აღნიშნავს: „მცირე აზია ოდესღაც თითქმის მთლიანად დასახლებული იყო იმ ერებით, რომელნიც შეადგენდნენ ერთ ჯგუფს ხეტებთან ერთად და, მაშასადამე, ახლო ნათესაობაში იყვნენ უკანასკნელებთან. ამ აღაროდელულ ერთა ჯგუფს ეკუთვნიან აღმოსავლეთით: ა) ელამიტები და კასეები; ბ) ძველი სომხეთის მკვიდრნი (ე. ი. ნამდვილი აღაროდელები), ე. ი. ურარტუს (ბიბლ.-არარატის) მცხოვრებნი, რომელთა შთამომავლობათ უნდა ჩავთვალოთ ქართველი ტომები (ქართველ-სვან-მეგრულ-ლაზები); გ) მცირე აზიის მცხოვრებნი, ვიდრე არიელები შეესეოდნენ თრაკიიდან; დ) ძალიან საფიქრებელია — პელასგები და ეტრუსკები; ე) ალბათ, იბერები (ესპანეთისა), რომელთა ნამსხვრევებს ამჟამად ბასკები წარმოადგენენ; ვ) აფრიკის ლიბიელები, რომლებიც, ალბათ, ესპანეთის იბერთა ნამსხვრევებს წარმოადგენენ". Abriss der Geschichte Vorderasiens, გვ. 58).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხეტების დაკავშირება ინდოევროპელებთან უსუსური იდეაა. რაც უნდა დიდი იყოს პროზნის დამსახურება ხეტოლოგიის წინაშე (პოზიტიური მასალის გამოვლინების თვალსაზრისით). მისი თეორია, რომლის მიხედვითაც ხეტები „არიული რასის“ ხალხად გამოდიან, მიუღებელია. აი პროზნის კონცეპციის სქემა:

მესამე ათასეულ წლებში (ჩვენს წელთაღმდეგ) მცირე აზიაში ბინადრობდნენ ხატები. რომელთაც შეუქმნიათ დიდი კულტურული ცხოვრება. ეს ტომი შესაძლებელია კავკასიის ერებს (ეგრძოდ, ქართველებს) ენათესაებოდეს (პროზნი არ იცნობს ქართველური ენათმეცნიერების სინამდვილეს). მეორე ათასეულის დამდეგს ხატებს შეესია ინდოევროპული მოდგმის ხალხი — ნეზიტები, რომელნიც დაიძრნენ თანამედროვე უკრაინის ტერიტორიიდან. ამავე მიდამოებს მიაწყდა აგრეთვე ინდოევროპულთა სხვა ტალებიც. ამგვარად ექვსი ენიდან პროზნი ოთხს მიიჩნევს ინდოევროპულად, ხოლო ორი, შესაძლებელია, კავ-

კასიური იყოსო. ამ თეორიის მიხედვით, დამპყრობელები (ე. ი. არიელები) ყოველთვის წარმოადგენდნენ თხელ ფენას და ამიტომ ადვილად ხდებოდა მათი ფიზიკური გათქვეფა ადგილობრივ ტომებში, უხაკი თავიანთი შეინარჩუნესო.

ეს დაუჯერებელია! ისტორიამ ამის მსგავსი მსგავსი შემთხვევების (პროზნის თეორიის კრიტიკა მოცემულია პროფ. ს. ჯანაშიას წერილში. იხ. „კომუნისტი“, 2^ე დეკემბერი, 1936 წ.). არ არის დასაბუთებული აგრეთვე მაინცდამაინც უკრაინიდან მიგრაციის ვარაუდი. მეტად მჭლეა და ხშირად ფანტასტიკური ავტორის ენათმეცნიერული ინტერპრეტაციები. ამგვარად, ხეტური ტომების ინდოევროპულ მოდგმისად მონათვლა ფაქტების „ყურით მოთრევაზე“ დამყარებული.

ინდოევროპულ თეორიას სერიოზულად დაუპირდაპირდა ნ. მარი და აგრეთვე, მისი მიმდევარი ი. მეშჩანინოვი.

ექვს გარეშეა, რომ ხეტოლოგიის პრობლემა მკვიდრ ნიადაგზე დადგება, თუ კვლევა-ძიებაში გამოყენებული იქნება ქართული მასალა. ქართული ხალხის კონკრეტული ისტორია წარმოადგენს რეალურ დასაყრდენს მცირე აზიის გადაშენებულ ერთა პროფილის აღსადგენად. როდესაც ელაპარაკობთ ქართველების ნათესაობაზე მცირე აზიის ერებთან, რომელთანაც მეორე ათასეულ წლებში (ჩვენს წელთაღმდეგ) შექმნეს თავისთავადი მაღალი კულტურა, აქ პირველ რიგში იგულისხმება შემდეგეთნიური წრე: ხუტები, ხურიტები, მიტანელები და ხალდები. არის შეხედულება, რომლის მიხედვითაც ხეტ-ხურიტ-შარტან-ხალდები ერთი და იგივე ხალხია. უეჭველია, როდესაც რიგიანად გვექნება შესწავლილი ქართველური ტომების უძველესი ისტორია, მეტი საბუთი გვექნება ქართულ-ხეტური პრობლემის გადასაჭრელად.

ჯერჯერობით შეიძლება მივუთითოთ მთელ რიგ მომენტებზე, რომელთაც არც თუ მცირედი მნიშვნელობა აქვთ ამ მიმართულებით. მაგალითად, მატერიალური კულტურის დარგში აღსანიშნავია შემდეგი: მცირე აზიის სინამდვილისათვის დამახასიათებელია კლდეში დარბაზების, სამარხებისა და სხვათა გამოკვეთა. ასეთი ძეგლები საქართველოში ბლომად გვხვდება. ასეთია, მაგალ., უფლისციხე, ვარძია და სხვ. კლდის სამარხები ხშირად გვხვდება მტკვრის, რიონის, ყუარჩილის და სხვა ხეობებში. ეს იმას მოწმობს, რომ საქართველოში მაღალსაფეხურზე მდგარა ლითონისა და რკინის კულტურა. აი რას ამბობენ დიდი ავტორიტეტები: „ამურ-კავკასიის ძველი მატერიალური კულტურის ობიექტების გაცნობისას პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს ამ კულტურის სრულყოფილება და მაღალი კულტურა“ (Hoernes, Urgeschichte der bildenden Kunst, გვ. 623).

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ენობრივ მონაცემებს. ირკვევა, რომ ქართულ სიმღერებში შემორჩენილი სიტყვები: „ლაღე“, „იერი“

„ალალე“, „თარი“ (თარი-ალალე) და სხვა, რომელთაც ამჟამად შინაარსი არა აქვთ, მცირე აზიის ღმერთების სახელები ყოფილა.

მთელი რიგი პარალელური ფორმები მოგვეპოვება გეოგრაფიულ სახელებში (მცირე აზიაში მოიპოვება გეოგრაფიული სახელები: ლორი, ქუთაია, ვანგრა, მისტია, თიანეთისი, სანგორი და მრავალი სხვა. შეადარე ქართული: ლორი, მესტია, თიანეთი და სხვ. დაწერილებით იხ. ა. სვანიძის წერილი „Известия“-ში, 1937 წლის 11 თებერვლის ნომერი).

აქ არ გამოვუდგებით ფაქტების დამოწმებას. სპეციალურ ლიტერატურაში საკმაო მასალაა მოცემული იმ აზრის შესამუშავებლად, რომ ქართველი ტომები მცირე აზიის უძველეს ერთა „ნამსხვრევებს“ წარმოადგენენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით სისტემატური და სპეციალური კვლევა-ძიება ჯერ არ წარმოებულა (ნ. მარის, მეშხანინოვის და წერეთლის გამოკლებით, რომელთაც ბევრი დაუწერიათ ამ საგანზე). რაც დღემდის გაკეთებულა, ეს აპრიორულ ვარაუდზე და თითო-ორი საგულისხმო ფაქტებზე უფროა დამყარებული, ვიდრე ღრმა პოზიტიურ გამოკვლევებზე. ამ შრივ საკ. მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ნ. მარის სახელ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი პირველი დაწესებულებაა, სადაც ძირითადად ამ ხაზით სწარმოებს სამეცნიერო კვლევა-ძიება. აქ მუშაობენ ჩვენი საუკეთესო სპეციალისტები და დასახულია დიდი გეგმები ქართველი ტომების ენის, ისტორიის, მატერიალური კულტურის, ეთნოგრაფიისა და ანთროპოლოგიის შესასწავლად. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქართველური ენების სინამდვილის შესწავლას. მზადდება ქართული ენის აკადემიური ლექსიკონი, დიალექტოლოგიური და მეგრულ-ჭანურ-სვანურის ლექსიკონები, შედარებითი ლექსიკონები, ქართველური ენების შედარებითი გრამატიკა და სხვა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ქართულ-ხეტური პრობლემის ჯეროვანად გადაწყვეტა.



ა. ს. პუშკინი — ლექსები

თარგმანი კონსტანტინე ზიჰინაჰისა.

„ბეჰნიკა და ზრომა“. თბილისი, 1937.

ცნობილია, თუ რა ძნელია ა. ს. პუშკინის ლექსების თარგმნა. არსებობს აზრი, რომ პუშკინი ყველაზე „ძნელი სათარგმნი“ პოეტია მსოფლიო ლიტერატურაში. ეს გამოწვეულია იმით, რომ „პუშკინმა უმაღლეს სრულქმნილებამდე მიიყვანა მთავარი თავისი იარაღი — სიტყვა: სიტყვა, როგორც გამოსახვის საშუალება და სიტყვა, როგორც მუსიკალური ელემენტი. ამასთან გამომსახველობა და მუსიკალობა პუშკინმა მიიყვანა ისეთ ერთიანობამდე, როგორსაც იშვიათად მიაღწევს ხოლმე ადამიანის ხელოვნება“.¹)

ცხადია, სხვა ენაზე გადათარგმნის დროს ძნელია ამ ერთიანობის დაცვა. მთარგმნელის მიზანია, — შეეცადოს, აზრის რაც შეიძლება ზუსტად მოცემასთან ერთად, მიუახლოვოს ლექსის ფორმა და მუსიკალობა ორიგინალს. ამ უკანასკნელის, ე. ი. მუსიკალობის გადმოცემა თითქმის შეუძლებელია.

კონსტ. ჭიჭინაძის თარგმანების წიგნაკში თავმოყრილია 15 ლირიკული ლექსი, „წიგნის გამყიდველის საუბარი პოეტთან“ და „ბახჩისარაის ზადრევანი“. კონსტ. ჭიჭინაძე დახელოვნებული და გამოცდილი მთარგმნელია. პუშკინის თარგმნამდე მას უკვე საკმაოდ ბევრი თარგმანი ჰქონდა შესრულებული. მან სთარგმნა დანტე, ბაირონი, „სიმღერა ნიბელუნგებზე“ და სხვ. პუშკინის თარგმანი, უდავოდ, ყველაზე სრულქმნილი ნაშრომია ჭიჭინაძის თარგმანთა შორის. თვით მთარგმნელი საბჭოთა მწერლების კავშირის პუშკინის IV პლენუმზე ამბობდა, რომ მუშაობა პუშკინზე სასიხარულო იყო ჩემთვისო. კონსტ. ჭიჭინაძემ ლირიკული ლექსების თარგმნებს შეუწარმოა ორიგინალის აზრთა წყობა, საკმაოდ

¹ А. С. Пушкин: „Полное собр. соч.“ III- I, 1931. გვ. 62^ა. ე. ლუნაჩარსკის წინასიტყვაობა.

ზუსტად ვადმოგვცა ა. პუშკინის აზრის სისადავე და გამჭვირვებობა. განსაკუთრებით კარგად არის თარგმნილი „Для берегов отчизны дальней“, „Я пережил свои желання“, „Демон“, ტუჩა¹ და სხვა.

ამ თარგმანთა შეფასებისათვის საკმარისია ავიღოთ ერთ-ერთი კვლეული აზრი, ციტატა და მოვძებნოთ მისი შესატყვისი ქართულად. თარგმანების ასეთი შედარების დროს ადვილად გამოჩნდება ხოლმე მისი ყველა ნაკლი და ღირსება. მაგალითისათვის ავიღოთ ანდაზად გადასული სიტყვები ლექსიდან „Туча“:

„Последняя туча гассеянной бури!
Одна ты несешься по ясной лазури,
Одна ты наводишь печальную тень,
Одна ты печалишь ликующий день.“¹

ქართულად:

„ლოტბელო, გაფანტულ ქარიშხლის ნაშთო,
ზოწმენდილ ცის ლავეარდს შენ ერთი აშთობ,
შენ ერთი ეფარვი ბრწყინვალე მზეს,
შენ ერთი აღონებ მხიარულ დღეს.“

აქ ზუსტად არის ვადმოცემული დედნის აზრი და ლექსის წყობა (თუმცა, ჩვენის აზრით, სიტყვის „ერთის“ მაგივრად „მარტო“ რომ ყოფილიყო, თარგმანი მოიგებდა, როგორც სიზუსტის, ისე მუსიკალობის თვალსაზრისით).

და რაც უფრო კარგია ეს თარგმანები, მით უფრო ადვილი შესამჩნევია ის ზოგიერთი უსწორობა, რომელიც შეჰპარვია მთარგმნელს. ეს უსწორობანი შემდეგია:

1. პუშკინის ორიგინალთან შედარებით ლექსის მხატვრული ვადარიბება მაგ.:

„Духовной жаждою томим,
В пустыне мрачной я влачилс*,
(„Прюок“)

ქართულად:

„მძაფრის წყურვილით მეწვოდა სული,
ოდეს ვიდოდი უდაბნოს შინა“ (გვ. 5)

აქ ვამოტოვებულია სიტყვა „Мрачной“. „Влачилс“ ვადმოცემულია შესუსტებული გამოთქმით — „ვიდოდი.“ ეს აღარბიებს მთელს ტრიქონებს.

¹ А. С. Пушкин: „Избранные стихотворения и поэмы“. Гихл. 1933. შემდეგაც ამ გამოცემას ეხმარობთ ორიგინალად.

აღნიშნულ მაგალითში მეორე სახის უსწრობაცაა და შევხებით პირველ სტრიქონში თარგმანის აზრი შეეფარდება დედანს, მაგრამ ლექსი-კურად იგი სხვაფრივ არის გამოთქმული და გამოთქმაც სხვადასხვადასაა. ასეთი სახის გაღარიბება გვხვდება სხვა ლექსებშიც. მაგ.:

„Услышишь суд глупца и смех толпы холодной“
(„Поэту“)

ქართულად:

„მსჯავრს უგუნურისას და ბრბოს სიცილს მოისმენ ხშირად“ (გვ. 7)
(გამოტოვებულია „ХОЛОДНОЙ“).

2. მეორე სახის უსწრობანი — თარგმანის და ორიგინალის მნიშვნელოვანი განსხვავება აზრების გადმოცემაში. მაგ.:

..... „Дорогою свободной
Иди, куда влечет тебя свободный ум“.

ქართულად:

„ვაპყევ შენს გრძნობებს, თავისუფალ გზის დამსახავთა“.

ეს სწორი არ არის. ორიგინალში ნათქვამია: „თავისუფალი გზით წადი იქ, სადაც მოპყევხარ შენს თავისუფალ გონებას“. მთარგმნელს კი გონება შეუცვლია გრძნობებით, რაც ძირიანად სცვლის ლექსის მნიშვნელობას.

ან

„Мы все сойдем под вечны своды
И чейнибудь уж близок час“.
(„Брожу ли я...“)

თარგმანი:

„მარადისობის თაღებქვეშ ჩავა
და წარიშლება იმათი კვალი.“

(გვ. 9).

ან კიდევ

„Младенца много ласкаю,
Уж думаю: прости,
Тебе я место уступаю,
Мне время тлеть, тебе цвести“

(იქვე).

თარგმანი:

„მიუვალურსებ თუ არა ყმაწვილს,
ერთი მაქვს აზრი და გულის ტენა

..... : : :

აჰა — მშვიდობით! დაფითმობ აღგილს,
მე უნდა დავქნე, პყვაოდე შენა“ (გვ. 9)

ორივე ამ შემთხვევაში მთარგმნელს სრულიად ზედმეტად „გაულამაზებია“ პუშკინის სიტყვები, რის შედეგადაც ლექსი დამძიმდა და თარგმანის სიზუსტეც დაირღვა.

არის რამდენიმე არასწორეთ გადმოთარგმნილი გამოთქმაც. მაგ.: „Взыскательный художник“, თარგმნილია „მზატეარო დინჯო“. პოემაში „წიგნის გამყიდველის საუბარი პოეტთან“ სიტყვები

„Для них пишите, их ушам
Приятна лезть Анакреона“

შეცვლილია ამგვარად:

„სწორეთ იმათთვის გაჰფანტეთ დარდი
მშვენიერის დათავმომწონისა.

„ბახჩისარაის შადრევანში“ გამოტოვებულია საადის ეპიგრაფი. ეს ორიოდ შენიშვნა იმას მოწმობს, რომ საერთოდ კარგად და სიყვარულით შესრულებულ თარგმანში შეპარულა რამდენიმე უსწორობა, რომლის გამოსწორებაც ძნელი არ იქნება.

წიგნი კარგად არის გამოცემული. კარგი იქნებოდა ლექსებს დართოდა მოკლე შენიშვნები — კომენტარები.

კ. ჯავრიშვილი.



სოლ. ყუბანეიშვილი: „ვაჟა-ფშაველა, დოკუმენტები და მასალები“.

სახელგამი, 1987 წ., ტფილისი.

„თითქოს იღბლად დაპყლია ჩვენს ლიტერატურას რუსთველიდან დაწყებული, შესანიშნავ მწერალთა და ადამიანთა ვინაობის უტოდინა-რობაო“, — სწერდა 90-იან წლებში ცნობილი მწერალი და ბიოგრაფი ი. მეუნარგია, რომელმაც თითქოს იკისრა ამ „იღბლად დაყოლილი“ ტრადიციის დარღვევა და შეადგინა კიდევ თავისი თანამედროვე რამდენიმე დიდი მწერლის მონუმენტური სახის ბიოგრაფია.

ამით თითქო გზა გაეკაფა ახალ ტრადიციას — საფუძველი ჩაეყარა მწერალთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერას, მაგრამ ამ გზაზე შემდეგ აღარაუის გაუვლია, აღარაუინ დასდგომია მტკიცედ ამ სარბიელს.

გასაგებია ამის შემდეგ, თუ რატომ არ მოგვეპოვება ცხოვრების სრული აღწერა-ბიოგრაფიები ისეთი მწერლებისაც კი, როგორნიც იყვნენ: ილია, აკაკი, ვაჟა, ალ. ყაზბეგი, რ. ერისთავი, შიო მღვიმელი, ბაჩანაყ ნ. ლომოური და სხვანი.

სოლ. ყუბანეიშვილის წიგნი „ვაჟა-ფშაველა“ ამ მხრივ ერთ უდიდეს ხარვეზს ავსებს. როგორც სამართლიანად შენიშნავს წინასიტყვაობაში პოეტი ტ. ტაბიძე, ეს წიგნი, პირველად ქართველ მწერლობაში, მასალე-ბითა და დოკუმენტებით იძლევა მთის უდიდესი პოეტის ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების სურათს.

საინტერესოა ვაჟას გეარის გენიალოგიის გამორკვევა, აგრეთვე ვაჟას მამის პაეღე რაზიკაშვილის აეტრობიოგრაფია. ეს თითქმის მტირემტოდნე ადამიანი პოეტური ნიჭის სიძლიერესა და მწერლურ აღლოს ამჟღავნებს ამ წიგნში გამოქვეყნებულ თავის ლექსში „პოეტს“. ასე განსაზღვრავს იგი პოეტის მოვალეობას: „სანთელი თავის თავეს სწევავს, სხვას კი უნათებს გზასაო“. ეს ლექსი პოეტ შვილებისადმი მოცემულ დავალებას წაავავს.

აღნიშნულ წიგნში სამართლიანად არის მოცემული რაზიკაშვილების საოჯახო პოეზია, რომლის სათავესაც შეადგენდნენ თვით ვაჟას მამა პა-

ვლე და დედა ბარბალე — ნიჭიერი მელექსე, მეზღაპრე და მაგრაძეობიარე ადამიანი.

მათი შვილები — ლუკა (ვაჟა), ნიკო (ბაჩანა), თედო ^{ენი ნიჭიერი შრომითელი მწერლობის დამამშვენიებელი არიან, მაგრამ ამავე დროს გაკვირვებისა და სიმპატიის იწვევს დანარჩენების — გიორგის, სანდროს და მათი დისწულის მიხა რაზიკაშვილის ყურადღება პოეტ ძმებისადმი და პოეზიისადმი სიყვარულით აღსავსე დამოკიდებულება. ისინიც ხომ ნიჭიერი, ტკბილმოუბარი პოეტები არიან. ამას ადასტურებს ამ წიგნში გამოქვეყნებული მიწერ-მოწერა, რომლის უმეტესობაც დაწერილია ფშაურად, ვაჟაური ლექსით.}

წიგნში საბოლოოდ გარკვეულია ვაჟას დაბადებისა და ცხოვრების მთავარი თარიღები.

მოცემული მასალის მეოხებით მკითხველის წინაშე იშლება მრავალი ერთიმეორეზე უფრო საინტერესო ეპიზოდი: ვაჟას მოწაფეობის, მასწავლებლობის, მწერლობისა და საზოგადო მოღვაწეობის ამბები.

მნელად, რომ ვინმეს სხვას ჩვენს მწერლობაში ჰქონდეს ასეთი მდიდარი მასალით დატვირთული ბიოგრაფია.

ვაჟა თელავის, ტფილისის, გორის და სხვა მასწავლებლებში, ვაჟა პეტერბურგის უნივერსიტეტში, ვაჟა მასწავლებელი, ვაჟას დაოჯახება, ვაჟას ურთიერთობა ძმებთან, როგორ წერდა ვაჟა, ვაჟას ენა, ვაჟას ოხუნჯობანი, ვაჟა მონადირე, ვაჟა საზოგადო მოღვაწე, ვაჟას ბრძოლა მთავრობის მოხელეებთან, ვაჟას დამოკიდებულება რევოლუციურ მოძრაობასთან, ვაჟას იუბილე, ვაჟას ავადმყოფობა და სხვა. ეს ისეთი თემებია, უხვი მასალით დატვირთული, რომ თვითველ მათგანზე ყოველ ნიჭიერ მწერალს საინტერესო წიგნის დაწერა შეუძლია.

წიგნში საინტერესო მასალაა დაგროვილი ვაჟას ურთიერთობაზე მეფის ცენზურისაგან და თავს წიგნების გამომცემლობებთან.

წიგნში გახსნილია აგრეთვე ვაჟა-ფშაველას 16-ამდე ფსევდონიმი, რომლებსაც პოეტი უმთავრესად კორესპოდენციებსა და სხვა ხასიათის წერილებს აწერდა.

წიგნში თავმოყრილია მეტად საყურადღებო სურათები აგრეთვე ვაჟას რამდენიმე და ერთი მისი მამის ავტოგრაფი.

დაწერილებით აღწერა ამ წიგნისა ასეთ პატარა ბიბლიოგრაფიულ ცნობაში შეუძლებელია. იგი შედგენილია საქმისადმი დიდი სიყვარულით ხუთასი გვერდის მანძილზე მკითხველის წინაშე ერთიმეორეს სცვლიან მიმზიდველი სურათები და საყურადღებო დოკუმენტები, მოგონებები, მიწერ-მოწერა, გამოუქვეყნებელი ლექსები, პოემები და სხვ. წაიკითხავთ ყველა ამას და თქვენში დარჩება მთის უდიდესი პოეტის, ვაჟა-ფშაველას ცხოვრების ნათელი სურათი.

მაგრამ ეს წიგნი მაინც არ არის მწერლის ბიოგრაფია, იგი მხოლოდ
 ნდიდარი და ძვირფასი მასალის კრებულია ბიოგრაფიისათვის. წიგნის
 პრეტენზია ასეთია.

როგორც ავტორი გვაცნობებს, იგი უკვე შეუდგენია წიგნის
 მზადებას, რომელშიც შევა ვრცელი ბიოგრაფია ვაჟას ნაწერებისა და
 მათ შესახებ გამოქვეყნებული ნაწარმოებნი, აგრეთვე ვაჟას სრული
 იკონოგრაფია და ცხოვრების ქარგა.

წინამდებარე წიგნი ძვირფასი განძია XIX საუკუნის ქართული ლიტე-
 რატურის ისტორიისათვის.

სამწუხაროდ სახელგამს ვერ მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება წიგ-
 ნის შესაფერისად გაფორმებისათვის.

ბ. ცაიშვილი.



ლევან მებრევილი: „ორი გმირი“

სახელგამის საბავშვო და ახალგაზრდობის სეპტორის გამოსცემა.

ტფილისი, 1935 წ. ფ. 1 მ.

ლ. მებრეველის მოთხრობაში აწერილია თავგადასავალი ორი ბავშვისა, რომლებიც ჩელუსკინელთა საშველად გაიპარნენ საბავშვო სახლიდან. მართალია, მათ დანიშნულების ადგილს ვერ მიაღწიეს და ვერც ჩელუსკინელების გადაარჩენაში მიიღეს მონაწილეობა, მაგრამ სამაგიეროდ თავიანთი გმირობისა და თავგანწირვის წყალობით გზაში სამგზავრო მატარებელი გადაარჩინეს კატასტროფისაგან. ორივე ბავშვი დააჯილდოვეს, ისინი ყველასათვის ცნობილ გმირებად გადაქცნენ.

ლ. მებრეველის მოთხრობა საბჭოთა გმირობის შესახებ არის დაწერილი.

ჩვენი ქვეყანა გმირების ქვეყანაა, ჩვენს ქვეყანაში საგმირო საქმეები კეთდება. საბჭოთა ხალხს უყვარს თავისი ქვეყანა და თავისი გმირები. საბჭოთა ბავშვები არაჩვეულებრივი ბავშვები არიან. მათ უყვართ თავიანთი ქვეყანა, უყვართ ამ ქვეყნის გმირები. უანგაროა ეს სიყვარული. აი რას გვეუბნება ავტორი.

გმირობა არაჩვეულებრივი მოვლენა იყო ძველ ქვეყანაში, რადგან თითონ გმირი არაჩვეულებრივი ადამიანი უნდა ყოფილიყო. პირადი განდიდების სურვილი, სიმდიდრის შეძენა, დაპყრობა, სხვებზე ბატონობა, — აი რა ამოძრავებდა ძველ გმირების ნაწილს. სხვანიირად არც შეიძლება, რადგან ძველი ქვეყანა კაპიტალისტურ ურთიერთობაზე იყო აგებული. გავიხსენოთ, რომ ტომ სოიერის ეპოპეაც ფულის პოვნით თავდება. ბევრი აცელქა, ბევრი ამოგზაურა მარც ტვენმა ტომ სოიერი, ბევრი აწვალა ტომმა თავისიანები, მაგრამ ბოლოს ყველაფერი კარგად გათავდა. ტომმა თავისი ეპოპეა ფულის პოვნით დაამთავრა. ფული... ფული ეს იყო ბურჟუაზიული საზოგადოების ყოველი მისწრაფების მიზანი.

ადამიანი, ადამიანის სიცოცხლე, საბჭოთა ადამიანსათვის თავდადება, — აი რა ამოძრავებს ჩვენს საზოგადოებას. ადამიანი უძვირფასესი კაპიტალიაო. სთქვა ხალხთა ბელადმა დიდმა სტალინმა, და ამ კა-

პიტაღორას თვის ეწეობა ჩელუსკინელთა ხსნის გმირულად ამბობენ, ჩვენი ბავშვებიც გაიტაცა ამ ამბავმა და ორი მათგანი ტფილისიდან ყიზილთა-ვან ოკეანესაკენ გაემართნენ.

გმირობა ყოველთვის აინტერესებდა ბავშვებს. გმირის ბრძოლებს და ბავშვობა განუყრელია. ყველა დროისა და ყველა ერის ბავშვი ეტანებოდა გმირის სახეს, გმირის მოქმედებაზე და ცდილობდა გმირის განმეორებას. ეს უნივერსალური მოვლენაა. მაგრამ ამ მოვლენაში საბჭოთა ეპოქას ის ახალი შეაქვს, რომ ჩვენი გმირობა, საბჭოთა გმირობა მოკლებულია ფსევდორომანტიკას, ფილანტროპიასა და ქრისტიანულ სიბრალულს.

ლევან მეტრეველის დამსახურებაც ის არის, რომ მისი გმირების არც ერთი ტონი, არც ერთი ნაბიჯი არაა გახვეული ფსევდორომანტიკის სამოსელში. არაა გამოწვეული ფილანტროპიით და ქრისტიანული სიბრალულით. საბჭოთა ბავშვებისათვის უცხოა ეს ფერები, რადგან საბჭოთა ბავშვი ღვიძლი შვილია თავისი ქვეყნისა. ხოლო საბჭოთა ქვეყანაში გმირობას პოზა და რიტორიკა არ ესაჭიროება. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენს გმირებს ძალზე განვითარებული აქვთ კოლექტიური ადამიანის გრძნობა, სინამდვილის შეგრძნება და საბჭოთა ადამიანის პატივისცემა. ჩვენში გმირობა უხედადაა გაბნეული როგორც ცაში, ისე მიწაზე, როგორც ზღვაზე, ისე მიწის წიაღში. ჩვენი მფრინავები, ჩვენი ტრაქტორისტები, ჩვენი მეზღვაურები, ჩვენი მალაროელები ყოველდღე გვიჩვენებენ გმირობის უნახავ მაგალითებს. ხედავენ ამას ჩვენი ბავშვები და თითონაც მალღლებიან სულით, იზრდებიან თავიანთ ბედნიერ სამშობლოსათნ ერთად.

ლევან მეტრეველის გმირებიც ამ დასკვნამდე მიდიან, მათ მიატოვენ სკოლა, რომ ეხსნათ ჩელუსკინელები. მაგრამ ჩელუსკინელები იხსნენ ავიატორებმა, იმათ, ვისაც სწავლა და ცოდნა ჰქონდა. „დაგვეხმარეთ, ჩვენც გავხდეთ ავიატორები“, — იხვეწებიან პატარა გმირები. სწავლა და ცოდნის შეძენა, აი რაა თქვენი გმირების საქმე. — ეუბნება ავტორი მკითხველებს. მაგრამ ეუბნება ისე, რომ ავტორს სულაც არ გრძნობთ, სულაც არ ხედავთ. ამაშია ავტორის გამარჯვება. ბავშვს არ უყვარს დიდაქტიკა, არ უყვარს ჩიჩინი, არ უყვარს მულამ მოაგონებდე — შენ ბავშვი ხარო. ლ. მეტრეველმა ეს იცის და დიდის ოსტატობით აყენებს ბავშვებს გმირულ პოზიციასზე.

საბავშვო ლიტერატურის ერთ ნაწილში გავრცელებულია ერთი უკულმართი აზრი, თითქოს საბჭოთა ბავშვს არ უნდა მისცე ისეთი წიგნი, სადაც ბავშვი არღვევს ჩვეულებრივ ნორმებს. ჩვენს ლიტერატურაში ეს უკულმართი აზრი პედაგოგებმა შემოიტანეს. მათ უნდათ, საბავშვო წიგნი სასკოლო ოთახად გადააქციონ. ბავშვი მულამ გამგონი, მულამ დიდების ნების დამყოლი, მაგრამ უნებო და უნიციკიტივო იყოს, ერთის

სიტყვით, მათ უნდათ ბავშვი პედაგოგივით დასრულებულ იყოს. რა უბედურება იქნებოდა, ასეთი ბავშვები რომ გვყავდეს!

მართალია! ყოველ ჰასაკს თავისი სპეციფიკა აქვს. ჩვენ ვერაფერს ვაძვართ-მვეთ ბავშვს მისი ჰასაკის სპეციფიურობას. რა ვუყოფდით, რომელიმე ორი ბავშვი ჩელიუსკინელების მისაშველებლად! ყველა ხომ არ გაქცეულა? მთელ სკოლიდან ორი გაიქცა. აქ საქმე ბავშვების ინდივიდუალურ თვისებებთან გვაქვს. მთელი სკოლიდან მხოლოდ ორი... სხვანი დაჩნენ. არ უნდა განვაზოგადოდ ამ ორი ბავშვის საქციელი. ეს ბავშვური საქციელია, ეს იციან თვით ბავშვებმა. ხომ მიიღეს მათ წერილი გაქცეულები-საგან, მაგრამ თვით არ გაქცეულან? რატომ? იმიტომ, რომ ყველა ერთი გუნებისა არ არის. ამიტომ ბავშვს არ უნდა ჩაუხშო ბუნებრივი თვისებები. უნდა ვეცადოთ მხოლოდ, ეს თვისებები კოლექტიური ადამიანის თვისებებისაყენ მიემართოთ. ამას გვეუბნება ავტორი დამაჯერებლად. ავტორი არ იზიარებს პედაგოგების შიშს, და მართალია ავტორი. საბავშვო წიგნი არ არის ყოფაქცევის კოდექსი. საბავშვო წიგნი უნდა იყოს ბავშვის ბუნების დაუფარავი და უტყუარი სარკე. მაშინ დავუჯერებთ ავტორს როგორც ჩვენ, ისე ბავშვები.

ლევ. მეტრეველის წიგნი „ორი გმირი“ სწორედ რომ ასეთი სარკეა ბავშვის ბუნებისა, ბავშვის გულისა.

რ ა ნ ი.



ლავრენტი ზიზინაძე „ჭარმაგი“

სახელგამის საბავშვო და ახალგაზრდობის სამხტორი

1925 წ. ფ. 1 მ. 20 კ.

წინამდებარე წიგნის მიზანია — გააცნოს ჩვენს ბავშვებს რევოლუციამდელი სოფელი.

ახალმა ცხოვრებამ დაეწყებას მისცა ისეთი სიტყვები, როგორცაა მღვდელი, ეკლესია, აზნაური, ხატი, ხატობა, საკურთხი და სხვა ამისთანები. ძველი სოფლისთვის კი ყველაფერი ეს განუყრელი ნაწილი იყო. უმღვდლოდ, უაზნაუროდ, უეკლესიოდ ძველი სოფელი წარმოუდგენელი იყო. აი, ამ ძველ სოფელს გვიხატავს ლ. ჭიჭინაძის წიგნი „ჭარმაგი“.

დიდი სოფელი იყო კურტანიძეების სოფელი. გლეხები მიწას ამუშავებდნენ, მღვდელი ეკლესიაში ლოცულობდა, წირავდა და ხალხს ატყუებდა. მესაკუთრე აზნაურები გუგაშიძეები მიწის დალით ცხოვრობდნენ. დროვამოშვებით ხატობა იმართებოდა ეკლესიასთან. დაერეოდნენ ერთმანეთს დეინით გაღეშონი, ატყუებოდა ჩხუბი, რომელიც ხშირად მსხვერპლიც კი თავდებოდა.

მოხდა თებერვლის რევოლუცია, მაგრამ ამ რევოლუციის შემდეგაც არაფერი შეცვლილა სოფელში. გადააგდეს მამასახლისი და მოვიდა მენშევიკების კომისარი. აზნაურები ისევ აზნაურებად დარჩნენ და ღარიბები ღარიბებად. მღვდელი ისევ ლოცულობდა და ცხოვრობდა სოფლის ხარჯზე. ეპქრები ისევ ყვლეფდნენ ხალხს.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ შესცვალა ყველაფერი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ეკლესიას, აზნაურებს, კერძო საკუთრებას მიწაზე ძირი გამოუთხარა და ცხოვრების წამყვან ძალად პარტიოსანი შრომა გამოაცხადა. ღარიბმა ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა და ეკლესია — ბნელეთის მოციქული — კლუბად გადააქცია. მღვდელი და აზნაური გუგაშიძე მათხოვრად იქცნენ.

ასეთია „ჭარმაგის“ შინაარსი.

წიგნი დაწერილია სურათების ჩვენების მეთოდით. სოფლის ცხოვრება ერთი რომელიმე ოჯახის ან ვმირის ამბავზე არ იშლება, ე. ი. ნაწარმოები უსუფეტოა.

მოუხედავად ამისა იგი უუკველად საყურადღებო მოვლენას ჩვენს საბავშვო ლიტერატურაში, რადგან ძველი სოფლის უტყუარსა და მოზღენილ სურათებს იძლევა. ჩვენის აზრით, სკოლა ვერ აუვლტყუარს ამ საკირო წიგნს, ჩვენი ბავშვები ამ წიგნით გაეცნობიან მშვენიერ სოფელს, ძველ სოფელს.

წიგნი დაწერილია სადად, უბრალოდ, თხრობა მიმართულია ეკლესიის, ცრუმორწმუნეობის, ბოზობლების წინააღმდეგ, მაგრამ არსად, არც ერთ სურათში ავტორი არ ეარდება „ავიტკის“ შტამპში.

ლავერენტი კიკინაძე ახალგაზრდა მწერალია. მან წერა დაიწყო 1929 წელს. უმთავრესად საბავშვო ლიტერატურაში მუშაობს, „თანამშრომლობს საბავშვო ჟურნალებში „პიონერსა“ და „ოქტომბრულში“. იბეჭდება „მნათობში“. გამოსულია ლ. კიკინაძის ორი წიგნი — „ისლიანი სახლები“ (1934 წ.) და „ქარმაგი“ (1936 წ.). ავტორს უჭრის თვალის, აქვს ცხოვრების დაკვირვებისა და მოვლენათა განზოგადოების ნიჭი, შერჩევის უნარი. ბევრი ერთფეროანობიდან ერთი-ორი ტიპიურისა და დამახასიათებლის გამოჭერის ცოდნა. უდავოდ ეტყობა ცოდნა იმ მასალისა, რომლისაგან აგებს სახეს, ხოლო სახეთა ციკლისაგან — მოთხრობას. ყველა გმირს თავისი დამახასიათებელი ფერი და ძარღვი აქვს, თუნდაც ეს გმირები ერთისა და იმავე საქმისათვის იყვნენ გამოყენებულნი. ეს უდავოდ დადებითი თვისებაა მწერლისათვის. ავტორს ემარჯვება პარალელური ძაფების გაყვანა მოთხრობაში და მისობრივი სცენების ისე განაწილება, რომ ყოველი სცენა ახალს იძლევა, მოთხრობის დედააზრს ააშკარავებს და გახზოვებს. ზედმეტი სცენები არ არის. ავტორი ძუნწია იქაც კი, სადაც თითქოს საჭიროა ამა თუ იმ სურათის გაფართოება. ეს კარგია. ესეც თავისებური ხერხია და კარგი ხერხიც, რომ მკითხველი მუდამ ხელში ჰყავდეს მწერალს და დაკვირვებით წააკითხოს წიგნი.

წიგნი გამოცემულია უგემურად. ცუდ ქაღალდზე, ცუდი ყლით. ყოველად შეუწყენარებელი დასურათებით. ეტყობა მხატვარს არც კი წაუკითხავს წიგნი. მაგ., ავტორი ამბობს — ზოსიმე ჯორით ბრუნდებოდა შინ. მხატვარს კი ზოსიმე რატომღაც ვიღზე შეუსვამს. ავტორი ამბობს — ძველად გლეხები გაძვალტყავებულნი იყვნენო. — მხატვარი არ უჯერებს ავტორს და ჩასუქებულ გლეხებს ხატავს და სრულიად არღვევს ავტორის სახეს.

მეტი სიყვარული და ზრუნვა იყო საჭირო იმათ მხრივ, ვინც ეს წიგნი გამოსცა.





მხატვრული ლიტერატურა

ჰავლე იაშვილი — გზა მშვიდობისა (პოემა, გაგრძელება)	3
ალ. ჭეიშვილი — ლელო (რომანი)	10
ტ. ც. ტაბიძე — ლექსის დაბადება (ლექსი)	66
როდიონ ქორჭია — დედა არწივები (ისტორიული ნარკვევი)	67
გ. კაკაბიძე — კონქაძე ბალში (ლექსი)	84
ტ. შვეჩენკო — გამალია (პოემა) თარგ. ილო მოხაშვილისა	86

ესპანეთის რევოლუციური პოეზია

სანჩო პერეს — სტალინი	92
რაფაელ ალბერტი — რომანესო პერცოგ ალბაზე	93
ლუის დე ტაპია — პოეტის გარსია ლორკას ხსოვნას	95
მანუელ ალტოლაგირე — ციხე ელ-კარპიო	96
პროსპერ მერიმე — წერილები ესპანეთიდან (თარგ. გერ. ქი- ქოძისა)	97
ალ. ჭეიშვილი — ესპანეთის თანამედროვე რევოლუციური ლი- ტერატურა	124
შ. ძიძიგური — საქართველო და ესპანეთის იბერია	137

ქრიტიკა და პუბლიცისტიკა

ალ. ხულავა — გ. კაკაბიძე, როგორც ლირიკოსი	147
---	-----

კულტურის მატინე

1. იოსებ დავითაშვილი (გარდაცვალებიდან 50 წლის თავის გამო) ს. წვერაფასი 2. ქართულ-ბეტური პროზა — შ. ძ-სი	161
--	-----

ბიბლიოგრაფია

კ. ჯავრიშვილი — ა. პუშკინის „ლექსები“ თარგმანი კ. ჭიჭინაძისა	175
ს. ცაიშვილი — ს. ყუბანეიშვილი-ვაჟა-ფშაველა, დოკუმენტები და მასალები	179
რანი — ლევ. მეტრეველის „ორი გმირი“	182
რანი — ლ. ჭიჭინაძის „ქარშავი“	185